


თინა ბექაური

ავთანდილა საგინაშვილი

გათემაზვა

5



მასწავლებლის
წიგნი

თინა პექაური
ავთანდილ საგინაშვილი

მათემატიკა 5

V კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

V-VI კლასის მათემატიკის კურსი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასკოლო მათემატიკის სწავლებაში. ეს კურსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარდამავალი ეტაპი I-IV კლასების დაწყებითი სკოლის საფეხურიდან VII-IX კლასების საბაზო საფეხურზე. ამ ეტაპზე ფაქტიურად მთავრდება ნატურალური რიცხვების შესწავლა (კლასიფიკაცია, არითმეტიკული მოქმედებები, გაყოფადობის ნიშნები). საფუძვლიანად ისწავლება წილადები და სასრული ათწილადები (შედარება, დამრგვალება, არითმეტიკული მოქმედებები). ამავე საფეხურზე იწყება ალგებრის მნიშვნელოვანი ელემენტების შემოტანა (მოქმედებები ასოთ გამოსახულებებზე, უმარტივესი თვისებებისა და ფორმულების ასოებით ჩაწერა, ცვლადებს შორის პროპორციული დამოკიდებულების გაცნობიერება, უმარტივესი წრფივი განტოლებების ამოხსნა, ამოცანების ამოხსნა ალგებრული მეთოდით). არსებითად ღრმავდება გეომეტრიული წარმოდგანები როგორც პლანიმეტრის (კუთხის გრადუსული ზომა, სამკუთხედის უტოლობა, პერიმეტრი, ფართობი), ისე სტერეომეტრიის (3D ფიგურების შლილები, მოცულობა, ეილერის ფორმულა) მიმართულებით. ახალ საფეხურზე ადის მონაცემთა ანალიზთან დაკავშირებული მიმართულების სწავლებაც (მონაცემთა რიცხვითი მახასიათებლები: საშუალო, უდიდესი და უმცირესი მონაცემები, სვეტოვანი და წრიული დიაგრამა).

შინაარსობრივთან ერთად არსებითია სტრუქტურული განსხვავება ჩვენ მიერ შედგენილ V-VI და I-IV კლასების სახელმძღვანელოთა სერიებს შორის: თუ I-IV კლასებში სახელმძღვანელოს ძირითადი ერთეული იყო გაკვეთილი (ამ სერიის სახელმძღვანელოებში გაკვეთილს წარმოადგენს საგარჯიშოთა ერთობლიობა №1 საგარჯიშოდან მომდევნო №1 საგარჯიშომდე), V-VI კლასების სახელმძღვანელოების ძირითადი ერთეულია პარაგრაფი. პარაგრაფში მოცემული მასალის საათობრივი განაწილება, მეთოდურ რეკომენდაციებთან ერთად, განმარტებულია მასწავლებლის წიგნის შესაბამის ნაწილში.

პარაგრაფი რაიმე თემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის, კითხვების და საგარჯიშოების ერთობლიობას წარმოადგენს. თეორიული მასალის გადმოცემას, როგორც წესი, წინ უსწრებს პრობლემური ამოცანის განხილვა, რომელსაც ბუნებრივად მივყავართ პარაგრაფის ძირითად თემასთან და შესაბამის ცნებებთან. მასწავლებელს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება, რათა მოსწავლეებმა თეორიული მასალა სიღრმისეულად გაიაზრონ. ამაში მას დაეხმარება პარაგრაფის მომდევნო ნაწილებში მოცემული კითხვები და მრავალფეროვანი საგარჯიშოები, რომლებიც მარტივიდან რთულის მიმართულებითაა დალაგებული და პარაგრაფის თემის შესაბამისი ტექნიკური ილეთების ათვისებასთან ერთად ხელს უწყობს ცნებებისა და მიმართებების გააზრებას.

პარაგრაფები თემატიკის მიხედვითაა თავებად გაერთიანებული. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია დამატებითი საგარჯიშოები, რაც მოცემულ თავში ნასწავლი მასალის გამეორება-განმტკიცებას ისახავს მიზნად.

მასწავლებლის მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემულია თითოეული თავის, თავში შემავალი თითოეული პარაგრაფის, პარაგრაფების დიდი ნაწილის საგაკვეთილო ერთეულების მიზნები და ის უნარები, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე. ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო აქტივობები დეტალურადაა გაწერილი საგაკვეთილო სცენარების სახით.

სარჩევი

1. შესავალი -----	5
2. შინაარსისა და მიზნების რუპა -----	12
3. თემატური გეგმა -----	14
4. საგაპვეთილო დროის სავარაუდო განაწილება -----	16
5. გაკვეთილის სტრუქტურა -----	17
6. გაკვეთილები (მიზნები, სცენარები, სავარჯიშოების ამოხსნები და პასუხები) -----	18
7. ტესტები -----	144
8. ტესტების პასუხები -----	151
1. შეფასების რუპრიკების ნიმუშები -----	152
2. დამატებითი სავარჯიშოები-----	157
3. მეთოდური რეკომენდაციები -----	163
4. ელექტრონული რესურსები -----	166
5. საცნობარო მასალა -----	168
6. მოსწავლის წიგნის სავარჯიშოთა პასუხები -----	170

შესავალი

ჩვენ მიერ წარმოდგენილი V კლასის სახელმძღვანელო შედგენილია მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და „უზრუნველყოფს V კლასის საგნობრივი პროგრამის სრულყოფილად შესწავლას „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სახელმძღვანელოში უპირატესობა ენიჭება მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარებასა და, პრაქტიკული ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევების ფორმირებას.

სახელმძღვანელოს კურსის აგების ძირითადი პრინციპებია:

1. კურსის შესწავლა მყარ საფუძველს ქმნის საგნის შემდგომი სწავლებისათვის;
2. სახელმძღვანელოში მოცემული მასალის შესწავლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას, რაც მისთვის აუცილებელია ამ ეტაპზე და ხელს უწყობს მისი ნიჭისა და უნარიანობის განვითარებას;
3. სახელმძღვანელოში სასწავლო მასალის მოცელობა, შინაარსი და მეოთედები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს;
4. კურსის შინაარსი და საკითხების მიწოდების ფორმა დაკავშირებულია მოსწავლეთა გარემონტველ სამყაროსთან, ყოფით საკითხებთან;
5. შესასწავლი საკითხების დამუშავებისას საგნის განვითარების ლოგიკასთან ერთად გათვალისწინებულია მოსწავლეთა შემეცნებითი განვითარების ეტაპები;
6. სასწავლო შინაარსი და საკითხების თემატური განაწილება შეთანხმებულია სხვა სასწავლო საგნების პროგრამებთან;
7. სახელმძღვანელოს თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებსა და უნარ-ჩვევების განმავითარებელ საგარჯო-შოებს;
8. სახელმძღვანელოს თითოეულ თავში ინტეგრირებულია სტანდარტის სხვადასხვა მიმართულებით გათვალისწინებული საკითხები;
9. სახელმძღვანელოში მოცემული საგარჯოშოები პროდუქტიული ხასიათისაა. მათში დაცულია ბალანსი ლოგიკასა და ინტუიციას, სიტყვასა და თვალ საჩინოებას, ცნობიერსა და ქვეცნობიერს, მიხედვილობასა და დასაბუთებას შორის.

VI კლასის მათემატიკის ჩვენ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო მოსწავლისათვის საჭირო ცოდნის გადაცემასთან ერთად, მიზნად ისახავს პრაქტიკაში ამ ცოდნის გამოყენებას და მოსწავლის მომზადებას სწავლის შემდგომი ეტაპისათვის. ამ თვალსაზრისით, კურსის მიზნები შეესაბამება „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო აგებულია თემატური პრინციპთ. ყოველი შემდეგი თემა ორგანულადად დაკავშირებული წინასთან, რაც განვლილი მასალის გამეორების, განმტკიცებისა და მაღალ დონეზე სწავლის საშუალებას იძლევა. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ცვლილებები, კანონზომიერებები, საგნები და საგანთა გროვები შეადაროს, დაუკავშიროს და განასხვავოს, განაზოგადოს, მოახდინოს დიფერენცირება სხვადასხვა ასპექტებში და მიმართებებში და აღმოაჩინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

ყოველ თავს ბოლოში დართული აქვს დამატებითი საგარჯოშოები, რაც განვლილი მასალის გამტკიცებასა და მოსწავლის ცოდნის დონის შემოწმებას ემსახურება.

წიგნში მოცემულია მოსწავლისათვის საინტერესო სხვადასხვა რუბრიკა („აბა, სცადე“, „შესაძლებელია თუ არა?“, „ეს საინტერესოა“, „ჯგუფური სამუშაო“, „წევილებში სამუშაო“, „პრაქტიკული სამუშაო“, „პროექტი“).

სახელმძღვანელოში მოცემული საგარჯოშოთა სისტემა გამოირჩევა მრავალფეროვნებით და ყველა მოსწავლეს აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთოს შემეცნებით საქმიანობაში. ეს საგარჯოშოები ყოველ პარაგრაფში სამ ჯგუფად არის დაყოფილი: მარტივი და შედარებით გართულებული საგარჯოშოები უშუალოდ პარაგრაფის თემის ათვისებას ემსახურება, ხოლო საგარჯოშოების მესამე ჯგუფი წინა პარაგრაფებში

განვლილი მასალის გამეორებას და მომავალი თემებისათვის მზაობას ისახავს მიზნად. სავარჯიშოების თითოეულ ჯგუფს თავისი ლოგო აქვს.

სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილში მოცემულია:

- მთელი კურსის გასამეორებელი დავალებები;
- საგნობრივი საძიებელი;
- სავარჯიშოთა პასუხები;

მეთოდიკა.

მასწავლებელს ვთავაზობთ მეთოდურ უზრუნველყოფას „მასწავლებლის წიგნით”, რომელიც აგებულია განათლების სამინისტროს მოთხოვნათა შესაბამისად და შეიცავს, როგორც ზოგად კონცეპტუალურ მოსაზრებებს სწავლა-სწავლების პრობლემასთან დაკავშირებით, ისე კონკრეტულ რჩევებსა და იმ აქტივობების აღწერას, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელებას.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

- მოსწავლის წიგნის თავების, პარაგრაფებისა და საგაკვეთილო ერთეულების მიზნები;
- მოსალოდნელი შედეგები (ანუ, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს თავის, პარაგრაფის ან/და გაკვეთილის შესწავლის შედეგად);
- სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების სცენარები;
- საკლასო სამუშაოსა და საშინაო დავალების სავარჯიშოთა ნომრები;
- კომენტარები და პასუხები სავარჯიშოების შესახებ (ამოხსნილი და გარჩეულია მათი უმრავლესობა);
- საგაკვეთილო დროის სავარაუდო განაწილება;
- შემაჯამებელ სამუშაოთა ნიმუშები შეფასების სქემით;
- ტესტები პასუხებით (თავების მიხედვით);
- დამატებითი სავარჯიშოები;
- ელექტრონული რესურსების აღწერა და მისამართები;
- საცნობარო მასალა (მარტივ რიცხვთა ცხრილი, ზომის ერთეულები და სხვა);
- მოსწავლის წიგნის სავარჯიშოთა პასუხები.

სწავლების მეთოდიკა პირველ რიგში გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდიკა ითვალისწინებს V კლასის მოსწავლის ასაკობრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, აგრეთვე სასწავლო მასალის სპეციფიკას. ეკრძოდ,

- მასალის ფორმალური ათვისებიდან აქცენტის გადატანას მოსწავლეთათვის რაოდენობრივი და თვისობრივი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე;
- მათემატიკური საკითხების გადმოცემისას თვალსაჩინოების მაქსიმალურ გამოყენებას;
- ყურადღების გამახვილებას მოსწავლის ზოგადი მათემატიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზე (ვგულისხმობთ იმ უნარებს, რომლებიც არ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე თემატიკით ან მიმართულებით. ესენია: მსჯელობის, კომუნიკაციის, ამოცანების ამოხსნის უნარი. მიგვაჩნია, რომ ამ უნარების გამომუშავება და განვითარება მათემატიკის სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი);
- სახელმძღვანელოში გადმოცემული სასწავლო მასალის დაპავშირებას პრაქტიკასთან. პრაქტიკული ამოცანების ამოხსნელად საჭირო გაზომვებისა და გამოვლების უნარის განვითარებას.

- სახელმძღვანელოში მოცემული საგარჯიშოების მარტივიდან რთულის მიმართულებით დალაგებას, რაც მასწავლებელს ყველა დონის მოსწავლესთან მუშაობის საშუალებას აძლევს.

სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

1. მილიონზე დიდი ნატურალური რიცხვები.

- ნატურალური რიცხვების წაკითხვა, გამოსახვა (მათ შორის 10-ის ხარისხებით), შედარება და დალაგება პოზიციური სისტემის გამოყენებით;
- რიცხვის ჩაწერის სხვა (რომაული, ქართული ანბანური) სისტემები;
- არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. ნაშთით გაყოფა.
- რიცხვის მოცემულ თანრიგამდე დამრგვალება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება.

2. ნატურალური რიცხვების კლასიფიკაცია.

- კენტი, ლუწი, მარტივი და შედგენილი რიცხვები. 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადბის ნიშნები;
- რიცხვის ჯერადები და გამყოფები;
- რიცხვის კვადრატი.

3. წილადები.

- წილადებისა და შერეული რიცხვების წაკითხვა, გამოსახვა და შედარება;
- ტოლმნიშვნელიანი წილადების შეკრება-გამოკლება. წილადის ნატურალურ რიცხვზე გამრავლება;

4. ზომის ერთეულები.

- სიგრძისა და ფართობის ერთეულები (მმ, სმ, დმ, მ, კმ, მმ², სმ², დმ², მ²);
- დროის ერთეულები (დღე-დაბე, საათი, წუთი, წამი);
- მასის ერთეულები (ტ, კბ, გ, მგ).

ამ მიმართულებაში მთავარი ყურადღება ექცევა მოსწავლის მიერ რიცხვის ცნების გააზრებას, გამოთვლების სტრატეგიის სწორად შემუშავებას, ზეპირი ანგარიშის, შეფასების უნარის გამომუშავებას, მიღიონებზე მეტი ნატურალური რიცხვების ჩაწერასა, წაკითხვას და მათზე არითმეტიკულ მოქმედებებს. რიცხვის ჩაწერის სხვადასხვა სისტემების გაცნობას და პოზიციური სისტემის უპირატესობის წარმოჩენას.

საგარჯიშოებისა და ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი ემსახურება მოსწავლის-თვის შეფასების უნარის ჩამოყალიბებას რიცხვებზე მოქმედებისას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის მიერ წილადის სხვადასხვა ინტერპრეტაციის გააზრებას: როგორც მთელის ნაწილის, გაყოფის შედეგის, რიცხვთა სხივის წერტილის და ა.შ. შერეული რიცხვის, როგორც მთელისა და წილადის ჯამის და აგრეთვე როგორც ნაშთით გაყოფის შედეგის გააზრებას. ამ მიზნის მიღწევას სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება და დავალება ემსახურება.

როგორც შედარება, ასევე მოქმედებები წილადებზე (ტოლმნიშვნელიანი წილადების შეკრება, მთელ რიცხვზე გამრავლება) დამყარებულია, ერთი მხრივ თვალსაჩინოებების გამოყენებაზე (მაგ. ფიგურის სხვადასხვა ნაწილების შედარება, რიცხვით სხივზე მდებარეობა და სხვ.), მეორე მხრივ, წილადის როგორც გაყოფის შედეგის წარმოდგენაზე.

მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა

1. სიდიდეებს შორის დამოკიდებულება.

- ა) სიდიდეებს შორის დამოკიდებულების აღწერა (მაგ. ფასი და რაოდენობა, გავლილი მანძილის დამოკიდებულება დროსა და სიჩქარეზე და სხვ);
- ბ) ასოთი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა. ასოთი გამოსახულების მნიშვნელობების ცხრილის შედგენა.

2. რიცხვითი და ასოთი გამოსახულებების შედგენა და გამარტივება.

- ა) შეკრების, გამოკლებისა და გამრავლების გადანაცვლებადობის, ჯუფთებადობისა და განრიგებადობის თვისებები და მათი გამოყენება რიცხვითი და ასოთი გამოსახულებების გასამარტივებლად;
- ბ) რეალური ფითარების ან მისი სიტყვიერი აღწერის (მათ შორის ტექსტური ამოცანის) შესაბამისი რიცხვითი გამოსახულების, ასოთი გამოსახულების, უტოლობის ან განტოლების შედგენა, გამარტივება და ამოცსნა

დიდი ყურადღება ეთმობა სიდიდეთა შორის დამოკიდებულების გააზრებას. ამ საკითხთან დაკავშირებით განხილება მოძრაობის (მათ შორის ორი სხეულის შემსევდრი და საპირისპირო მოძრაობები, მოძრაობა მდინარეში და სხვ) მუშაობის, ყიდვა-გაყიდვის და სხვა ამოცანები.

საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ასოთი გამოსახულებები (მაგ. არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებების ასოთი ჩაწერა, ამოცანების ამოცსნა განტოლების შედგანით და სხვ).

სახელმძღვანელოში მრავლადაა სავარჯიშოები ასოთი გამოსახულების გამარტივებასა და ცვლადის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის მისი რიცხვითი მნიშვნელობის დადგენაზე.

გარდა ტრადიციული მასალისა, სახელმწიფო სტანდარტით ამ მიმართულებით გათვალისწინებულია ახალი მოთხოვნები. კერძოდ, ობიექტთა სისტემებში კანონზომიერებების შემჩნევის უნარის გამომუშავება. სახელმძღვანელოში მოყვანილი აქტივობების ნაწილი მიმართულია სწორედ ამ უნარის განვითარებისაკენ. ასეთი აქტივობების შესრულება და შედეგების განხილვა გათვალისწინებულია მოსწავლეთა წყვილების ან ჯგუფების მიერ, რაც მოსწავლეებს კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარს განუვითარებს.

მიმართულება: გეომეტრია და სიგრცის აღქმა

1. მრავალკუთხედები.

- ა) მართი, მახვილი და ბლაგვი კუთხეების ამოცნობა;
- ბ) სამკუთხედების კლასიფიკაცია კუთხეების მიხედვით;
- გ) სამკუთხედის უტოლობა;
- დ) მრავალკუთხედის პარალელური და გადამკვეთი გვერდები.

2. პრტეფენი ფიგურის ფართობი.

- ა) ფართობი, როგორც არაგადამკვეთი ტოლი ფიგურებით დაფარულ ფიგურაში დამფარავი ფიგურების რაოდენობა;
- ბ) კვადრატისა და მართკუთხედის ფართობი.

3. მრავალწახნაგები.

- ა) მართკუთხა პარალელეპიპედისა და კუბის შლილი;
- ბ) მრავალწახნაგას პარალელური და გადამკვეთი წახნაგები.

3. წრე და წრეწირი.

- ა) წრეწირის/წრის ელემენტები (ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა);
- ბ) წრეწირის/წრის ნაწილები (რკალი, სექტორი).

4. კოორდინატები.

- ა) კოორდინატები, როგორც სიმბოლოთა წყვილი;

- ბ) კოორდინატები რუკაზე.

ვთვლით, რომ სწავლების ამ ეტაპზე აუცილებელია მოსწავლეს გამოუმუშავდეს ინტეიციური წარმოლგენები გეომეტრიული ფიგურების და მათი კომპონენტების შესახებ. ამიტომ, გეომეტრიული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობა ხდება თვალსაჩინოებების დემონსტრირებით. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია მოსწავლების მიერ შესაბამისი აქტივობების გეომეტრიულ მოდელებზე შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფართობის, როგორც ბრტყელი ფიგურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიცხვითი მახასიათებლის შესწავლას. ფართობის აღიციურობის თვისების გამოყენებით ხდება ფიგურის ფართობის დამფარავი ფიგურების რაოდენობასთან დაკავშირება. იმავე ხერხით მიიღება მართკუთხედის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა.

მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

1. მონაცემთა შეგროვება.

- ა) თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების საშუალებები (გაზომვა, დაკვირვება, გამოკითხვა, ამოკრება);
- 2. მონაცემთა მოწესრიგება და წარმოლგენა.

 - ა) რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მოწესრიგება და ანალიზი (მონაცემთა დალაგება ზრდადობა-კლებადობით, დაჯუფება, კლასიფიკაცია);
 - ბ) მონაცემთა წარმოლგენის საშუალებები: სიხშირეთა ცხრილი, პიქტოგრამა, სვეტოვანი დიაგრამა.

მოსწავლეს უძველეს კლასებში მოეთხოვება მარტივი შინაარსის მონაცემების შეგროვება და ორგანიზაცია, შესაბამისი ცხრილების, პიქტოგრამებისა და სვეტოვანი დიაგრამების წაკითხვა, შედგენა და ანალიზი. ამიტომ, სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში შესაბამის მასალასთან ერთად ამ მიმართულებას ცალკე თვით აქვთ დათმობილი.

ზოგადი მათემატიკური უნარები

ამ ტერმინის ქვეშ ვაულის სმობთ იმ უნარებს, რომლებიც არ არიან შემოფარგლული ერთი რომელიმე თემატიკით ან მიმართულებით. ესენია მსჯელობის, კვლევის, ანალიზის, კომუნიკაციის, ამოცანების ამოხსნის უნარი. ვთვლით, რომ ამ უნარების გამომუშავება და განვითარება მათემატიკის სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანია.

მიგვაჩნია, რომ სწავლების ამ ეტაპზე ყველა ამ უნარის განვითარება ძირითადად უნდა მოხდეს ამოცანების ამოხსნის კონტექსტში. სახელმძღვანელოში მოცემული ამოცანების გადასაწყვეტად მოსწავლეებს მოუწევთ რეალური სიტუაციის ან მისი სიტყვიერი აღწერის მათემატიკური მოდელის შექმნა, ამოცანის ამოხსნის მეთოდის შემუშავება, ამოხსნის საჭირო (რიცხვითი გამოსახულების, განტოლების ან უტოლობის) ფორმით წარმოლგენა. ასეთი ამოცანები საშუალებას აძლევენ მასწავლებელს გააკონტროლოს მოსწავლეში აღნიშნული უნარების პროგრესი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც ახასიათებს სამიზნე ასკოპტივი ჯგუფის მოსწავლეთა უმრავლესობას, არის ტექსტის ადგევაზურად ადქმისა და გააზრების უნარის არადამაკმაყოფილებელი დონე. სხვა მიზეზებთან ერთად ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარაგრაფებში მოცემული საკმაოდ მოცულობითი თეორიული ტექსტები, რომელთა გააზრება მოსწავლეთა საკმაო ძალისხმევას მოითხოვს.

ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება ახალი მასალის მიწოდების ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდი: ყოველი ახალი ცნების თუ ფაქტის ფორმალურ გადმოცემას წინ უსწრებს მოსამზადებელი სამუშაო. ეს სამუშაო, ერთი მხრივ თემასთან დაკავშირებული განვლილი მასალის გამეორება, მეორე მხრივ კი ისეთი ამოცანებისა და მაგალითების განხილვაა, რომლებსაც მოსწავლეები თავად მიჰყავს საჭირო ცნებებსა თუ დასკვნებამდე.

იმისათვის რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ტექსტის ადქმა და უურადღება მნიშვნელოვან საკითხები გაამახვილონ, ასეთი საკითხები ფერადი ფონით გამოყოფილ ნაწილზეა განთავსებული.

ტექსტის ადქმის გაუმჯობესება მასწავლებლის მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს. ამაში მას დიდ დახმარებას გაუწევს თეორიული მასალის შემდეგ მოცემული კითხვები, რომლებიც ერთგვარ ინდიკატორებს წარმოადგენენ იმის გასარკვევად, რამდენად სრულყოფილად გაიაზრეს მოსწავლეებმა პარაგრაფის მასალა. ამ კითხვების ნაწილი მაღალი კოგნიტური დონისაა და მათზე პასუხის გასაცემად პარაგრაფის მასალის ფორმალური ცოდნა არაა საკმარისი.

ამა თუ იმ პარაგრაფის მიზნების განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს სავარჯიშოები წარმოადგენენ. ეს სავარჯიშოები, როგორც უკვე აღნიშნეთ სხვადასხვა დონის და დანიშნულებისაა. არის საზეპირო, აუცილებელი და შედარებით მაღალი კოგნიტური დონის სავარჯიშოები. საზეპირო სავარჯიშოები კლასში კითხვა-პასუხის რეჟიმშია გასავლელი. დანარჩენი სავარჯიშოების ნაწილი კლასში დაფასთან ან/და დამოუკიდებელ სამუშაოდაა შესასრულებელი, ნაწილი კი საშინაო დავალებად მისაცემი. საგაკვეთილო სცენარებში მოცემულია რეკომენდაციები თუ რომელი სავარჯიშოები განიხილონ კლასში, რომელი სახლში. თუმცა, ამ რეკომენდაციების შესრულება არაა სავალდებულო. მასწავლებელს შეუძლია კლასის შესაძლებლობების შესაბამისად, თვითონ გადაწყვიტოს – რომელი სავარჯიშო როგორ გამოიყენოს.

მოსწავლის მიერ მასალის კარგად ადქმისა და დამასხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ორგანიზებულად, სტრუქტურირებულად, მიზეზედეგობრივ კავშირებზე აქცენტირებით მიწოდებას. შესასწავლი საკითხის შინაარსი უნდა გადაიცეს მკაფიოდ, უშეცდომოდ, მიმართებების, ცნებების და წესების სრული დაცვით.

სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შეკითხვების დასმა. ამ ინსტრუმენტის გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა: შეგვიძლია შევაფასოთ მოსწავლის ცოდნა, წაგახალისოთ მოსწავლეთა აზროვნება, ვებიძებოთ მსჯელობისკენ, პასუხის დაზუსტებისკენ, გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია და სხვა.

კითხვა-პასუხის წარმართვაში დახელოვნებული მასწავლებელი ამ ინსტრუმენტით მიახედრებს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს, გააზრებინებს მასალას და ამოასხევინებს მაღალი კოგნიტური დონის ამოცანებსაც კი.

კითხვა-პასუხის წარმართვის უამრავი ნიმუში ამ წიგნის საგაკვეთილო სცენარებშია მოცემული. მათი გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა დიდად წაადგება მასწავლებელს სასწავლო მიზნების განხორციელებაში.

შეკითხვების დასმა გამოიყენება აგრეთვე სწავლის მონიტორინგის მიზნით. შესაბამისი შეკითხვების დასმით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს, რამდენად დრმად გაიგეს მოსწავლეებმა ესა თუ ის საკითხი, მისცეს უკუკავშირი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს წინსვლაში.

მასწავლებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლეებისათვის გასაგები შეფასების კრიტერიუმები. მაგალითად, მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს რას ნიშნავს კარგი საშინაო დავალება ან/და რა შემთხვევაში შეფასდება მისი აქტივობა დაღებითად. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების დროს ეფექტურად უნდა იყენებდეს შექებას, რომელიც წაახალისებს მოსწავლეს, გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. მაგრამ შექება არ უნდა იყოს ტრაფარეტული, აუცილებლად უნდა შეიცავდეს უპუკავშირს და უბიძგებდეს მოსწავლეს სიძნელეების დაძლევისა და ხარვეზების გამოსწორებისაკენ.

განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მათემატიკის სახელმწიფო სტანდარტში მოცემულ მოთხოვნებს. იგი სხვადასხვა გტაპზე სხვადასხვა კომპონენტების ერთობლიობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მაგალითად, ერთი გაკვეთილის დონეზე ის შეიძლება იყოს საშინაო დავალების და საკლასო აქტივობების (დაფასთან მუშაობა, დამოუკიდებელი სამუშაო, წყვილებში და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პრეზენტაცია) ჯამური შედეგი, ხოლო განვლილი თავის განმსაზღვრელი შეფასება, მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემულ თავის შესაბამის ტესტში და შემაჯამებელ სამუშაოში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით განისაზღვროს.

სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა სახის აქტივობები. მაგალითად, დამოუკიდებელი მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პროექტის პრეზენტაცია და სხვა. სხვადასხვა აქტივობას კლასის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმა სჭირდება (მერხების განლაგება, მოსწავლეთა გადაჯგუფება და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ აქტივობის სახელმძღვანება ხდებოდეს ორგანიზებულად, ზედმეტი დრო არ უნდა იხარჯებოდეს. მასწავლებელი უნდა იძლეოდეს ზუსტ და მკაფიო ინსტრუქციებს აქტივობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს გათავისებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა უნდა აკეთონ ამა თუ იმ აქტივობის დროს.

მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისთვის გამოცდილ პედაგოგს დავა და ცარციც პყოფნის, მაგრამ XXI საუკუნე ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს, რათა სწავლის პროცესი უფრო საინტერეგსო და სახალისო გაფხადოთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ელექტრონული რესურსები, რომლებიც მრავლად მოიპოვება ინტერნეტის საგანმანათლებლო საიტებზე. მათი მოძიება და გამოყენება ციფრულ ტექნიკაში ოდნავ გათვითცნობიერებული მასწავლებლისთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. ჩვენ რამდენიმე ასეთი საიტის მისამართი და მოკლე ანოტაცია ამ წიგნის ბოლოში გვაქვს მოცემული. ამ რესურსების სარგებელი თრმაგია: V კლასის ასაკის (და სამწუხაროდ უფრო ნაკლები ასაკის) ბავშვების უმრავლესობა დროის დიდ ნაწილს კომპიუტერთან უსარგებლო და ხშირ შემთხვევებაში მავნე თამაშებზე ხარჯავს. საგანმანათლებლო საიტებზე განთავსებული მასალაც და ტესტებიც სწორედ თამაშების სტილშია მოცემული და უსარგებლო თამაშების მათით ჩანაცვლება არა თუ აგნებს, არამედ დიდად შეუწოდს ხელს მათემატიკის სასკოლო პროგრამის ათვისებას.

ჩვენი რჩევა მასწავლებლების მიმართ, განსაკუთრებით კურადღებით გაეცნონ და გამოიყენონ მითითებული ქართულენოვანი საიტები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევთ სასწავლო პროცესის ეფექტურად და შედეგიანად წარმართვაში.

შინაარსისა და მიზნების რუკა

სასწავლო მიზნები	სახელმძღვანელოს მასალა	ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი №
1. მოსწავლემ შეძლოს:	§ 1.1 – 1.4 I თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.1
a) ახალი რიცხვითი სახელებისა და პოზიციური სისტემის გამოყენება; b) ნატურალური რიცხვების კლასიფიკაცია; g) არითმეტიკული მოქმედებების ჩატარება ნატურალურ რიცხვებზე.	§ 6.1–6.3 VI თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.1
	§ 3.1 – 3.9 III დაVI თავების დამატებითი საგარჯიშოები	V.3
2. მოსწავლემ შეძლოს:	§ 7.1 – 7.6, 7.11 – 7.13 VII თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.2
a) წილადებისა და შერეული რიცხვების წაკითხვა, გამოსახვა და შედარება; b) ტოლმნიშვნელიანი წილა- დების შეკრება-გამოკლება. წილადის ნატურალურ რიცხვზე გამრავლება.	§ 7.7 – 7.10, 7.11 – 7.13 VII თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.3
3. მოსწავლემ შეძლოს ზომის ერთეულების გამოყენება და ერთმანეთთან დაკავშირება	§ 1.9, გვ. 35 ზომის ერთეულების გამოყენება წიგნის თითქმის ყველა პარაგრაფში ხდება	V.4
4. მოსწავლემ შეძლოს:	§ 2.2–2.3, 3.1-3.4, 4.1–4.4, 7.11–7.13 II თავის დამატებითი საგარჯიშოები §3.4–3.10,	V.5
a) სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გამოსახვა და აღწერა; b) ალგებრული გამოსახულე- ბის შედგენა და გამარტივება; g) ამოცანის შესაბამისი რიცხვითი გამოსახულების, ასოთი გამოსახულების, უტოლობის ან განტოლების შედგენა, გამარტივება და ამოხსნა	II თავის დამატებითი საგარჯიშოები § 2.2–2.3, 4.1–4.4 კურსის გასამეორებელი საგარჯიშოები	V.6
		V.5–5.6
5. მოსწავლემ შეძლოს გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა, გამოსახვა და მათ ელემენტებს შორის მიმართებების დადგენა	§ 1.5–1.8, 2.4, 2.5, 5.6, 6.5 კურსის გასამეორებელი საგარჯიშოები	V.7–V.8

6. მოსწავლემ შეძლოს ბრტყელი ფიგურების ფართობების შედარება და გამოთვლა	§4.6, 4.7 IV თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.9
7. მოსწავლემ შეძლოს ბადით დაფარულ არეზე ორიენტირება	§5.5 V თავის დამატებითი საგარჯიშოები	V.10
8. მოსწავლემ შეძლოს: ა) მოიპოვოს დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემები ბ) ხელსაყრელი ფორმით წარმოადგინოს თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემები სისტირეთა ცხრილის, პიქტოგრამის ან/და სკეტოვანი დიაგრამის გ) თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი	§ 1.5, 1.8, 5.1–5.2, 5.4 § 5.1–5.4 V თავის დამატებითი საგარჯიშოები § 5.1–5.4 V თავის დამატებითი საგარჯიშოები	V. 11 V.12 V.13

თემატური გეგმა
თავი 1.
ნატურალური რიცხვები. ნუმერაცია (19 სო)

§N ^o	თემის დასახელება	საათების რაოდენო ბა
1.1	ნუმერაცია	2
1.2	რიცხვების ქართული ანბანური და რომაული ნუმერაცია	2
1.3	რიცხვების შედარება	2
1.4	რიცხვების დამრგვალება	2
1.5	წირები. წრფისა და წერტილების ურთიერთობარეცხობა	2
1.6	წერტილების ურთიერთგანლაგება წრფეზე. წირების ურთიერთგანლაგება	1
1.7	სხივი. მონაკვეთი. მონაკვეთის სიგრძე.	2
1.8	ტეხილი	1
1.9	მასა. მასის საზომი ერთეულები.	2
	I თავის დამატებითი სავარჯიშოები	2
	შემაჯამებელი სამუშაო №1	1

თავი 2
გამოსახულება. კუთხე. მრავალკუთხედი (14 სო)

2.1	რიცხვითი გამოსახულება	2
2.2	ასოითი გამოსახულება	2
2.3	განტოლება	2
2.4	კუთხე. კუთხეების შედარება. კუთხეების სახეები	2
2.5	სამკუთხედი	2
	II თავის დამატებითი სავარჯიშოები	2
	შემაჯამებელი სამუშაო №2	1
	სარეზერვო დრო	1

თავი 3
არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე (20 სო)

3.1	ნატურალური რიცხვების შეკრება. შეკრების ძირითადი თვისებები	2
3.2	მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება	2
3.3	მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება. გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფობადობის თვისებები	2
3.4	განრიგებადობის თვისება	2
3.5	გამოსახულების გარდაქმნა. საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა	2
	შემაჯამებელი სამუშაო №3	1
3.6	გაყოფა. გაყოფის კერძო შემთხვევები	1
3.7	მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა	2
3.8	დამატებითი ამოცანები ოთხივე არითმეტიკულ მოქმედებაზე	2

3.9	რიცხვის ხარისხი	2
	III თავის დამატებითი საგარჯიშოები	1
	შემაჯამებელი სამუშაო №4	1

თავი 4.
ამოცანები მოძრაობაზე. ფართობი (17 სო)

4.1	სიჩქარე	2
4.2	შემხვდრი მიმართულებით მოძრაობა	2
4.3	მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით	2
4.4	წყალზე მოძრაობის ამოცანები	2
4.5	კვადრატი, მართკუთხედი, ჰერიმეტრი	2
4.6	ფართობი	2
	პრაქტიკული სამუშაო	
4.7	მართკუთხედისა და კვადრატის ფართობის გამოთვლა	2
	IV თავის დამატებითი საგარჯიშოები	1
	შემაჯამებელი სამუშაო №5	1
	სარეზერვო დრო	1

თავი 5
მონაცემთა ანალიზი (12 სო)

5.1	ცხრილის წაკითხვა, შევსება, დამუშავება	1
5.2	პიქტოგრამა-დიაგრამა	1
5.3	სქემის გამოყენება ამოცანის ამოხსნისას	2
	დამატებითი საგარჯიშოები	1
	საკონტროლო სამუშაო №6	1
5.4	დამატებითი საგარჯიშოები	1
5.5	საკოორდინაციო ბადე	2
5.6	მართკუთხა პარალელეპიდედი. კუბი	2
	V თავის დამატებითი საგარჯიშოები	1
	შემაჯამებელი სამუშაო №7	1

თავი 6
ნატურალური რიცხვების გაყოფადობა (16 სო)

6.1	რიცხვის გამყოფები და ჯერადები	2
6.2	რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები	2
6.3	რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის გამოთვლა	2
6.4	ამოცანის ამოხსნა განტოლების შედგენით	3
6.5	წრე და მისი ნაწილები	2
	VI თავის დამატებითი საგარჯიშოები	2
	შემაჯამებელი სამუშაო №8	1
	სარეზერვო დრო	1

თავი 7
წილადი რიცხვები (34სო)

7.1	ნაწილი	1
7.2	წილადი	1
7.3	წილადების შედარების კერძო შემთხვევები	2
.7.4	წილადი როგორც გაყოფის შედეგი	1
.7.5	წესიერი და არაწესიერი წილადები. შერეული რიცხვი	2
7.6	წილადი და შერეული რიცხვების გამოსახვა რიცხვით სხივზე	1
	შემაჯამებელი სამუშაო №9	1
7.7	ტოლმნიშვნელიანი წილადების შეკრება	2
7.8	შერეული რიცხვის არაწესიერ წილადად წარმოდგენა	2
7.9	ტოლმნიშვნელიანი წილადების გამოკლება	1
7.10.	შერეული რიცხვების გამოკლება	2
7.11	წილადის სიდიდის ცვლის სხვადასხვა შემთხვევები	3
7.12	წილადის ძირითადი თვისება. წილადის შეკვეცა	3
7.13	წილადების შედარება	2
	VII თავის დამატებითი სავარჯიშოები	2
	შემაჯამებელი სამუშაო №10	1
	კურსის გამეორება	7

საგაკვეთილო დროის სავარაუდო განაწილება
(ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი)


I გარიანტი

1. საშინაო დავალების შემოწმება-----3 წთ
2. ზეპირი ანგარიში-----3 წთ
3. მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურება-----10 წთ
4. ახალი მასალის ახსნა----- -15 წთ
5. გაკვეთილის შეჯამება----- -----12 წთ
6. რეკომენდაციები საშინაო დავალებაზე -----2 წთ

II ვარიანტი

1. საშინაო დავალების შესრულების შემოწმება -----5 წთ
2. წინა მასალის გამოკითხვა -----5 წთ
3. ახალი მასალის ახსნა ----- 20 წთ
4. ახალი მასალის განმტკიცება ----- 12-წთ
5. საშინაო დავალების მიცემა ----- 2 წთ

გაკვეთილის სტრუქტურა



გაკვეთილები (მიზნები, სცენარები, საგარჯიშოების ამოხსნები და პასუხები)

თავი I ნატურალური რიცხვები

თავის მიზნები:

მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- ◆ ნატურალურ რიცხვთა რიგი (რა რიცხვიდან იწყება და როგორ მიიღება ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვისაგან);
 - ◆ როგორ მიიღება ყოველი მომდევნო სათვლელი ერთეული; რამდენი ერთეულია ერთ ათეულში, რამდენი ათეულია ერთ ასეულში და ა. შ.;
- უნდა იცნობდეს რიცხვთა 4 კლასს, მათ თანრიგებს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ◆ მრავალნიშნა რიცხვების წაკითხვა და ჩაწერა;
 - ◆ მრავალნიშნა რიცხვების შედარება და შედარების შედეგის ჩაწერა;
 - ◆ მრავალნიშნა რიცხვის თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამის სახით წარმოდგენა.
- ამ თავში მოსწავლე შეისწავლის მილიონებისა და მილიარდების კლასებს, რის შედეგადაც მოსწავლეს განუმტკიცდება წარმოდგენა რიცხვთა კლასების შესახებ. ისწავლიან მათ წაკითხვასა და ჩაწერას.

§ 1.1 ნუმერაცია

მიზნები:

- გავამეორებინოთ მოსწავლეს წინა კლასებში განვლილი მასალა;
- გავაგრძელოთ მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაციის შესწავლა;
- განვუკითაროთ;
 - ა) მატემატიკური მეტყველების, თავისი ნააზრევის გადმოცემის (სიტყვიერად და წერილობით) უნარები;
- გაკვეთილის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის უნარი.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: ნატურალურ რიცხვთა კლასების დასახელება ერთეულების კლასიდან მილიარდების კლასამდე (ჩათვლით).

უნდა შეეძლოს: ერთეულების კლასიდან მილიარდების კლასის ჩათვლით ნებისმიერი რიცხვის წაკითხვა და ჩაწერა ციფრებით.

გაძვეთილის ტიპი: ახალი მასალის ახსნა

მასალა: პლაკატი „ნატურალურ რიცხვთა კლასები“

გაკვეთილის მსვლელობა (I გაკვეთილი)

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

შეოთხე კლასში მოსწავლე გაეცნო რიცხვთა ორ კლასს: ერთეულებისა და ათასეულების კლასს. მან ეს ცოდნა უნდა გაიღორმაოს და გაიფართოოს მილიონებისა და უფრო დიდი კლასების რიცხვების ნუმერაციაზე. ასეთი რიცხვების ნუმერაციას თავისი განსაკუთრებულებანი გააჩნია: მრავალნიშნა რიცხვები იწარმოება, იწოდება და იწერება არა მხოლოდ თანრიგების მიხედვით, არამედ – კლასების მიხედვითაც.

მასწავლებლის მირითადი ამოცანაა, მოსწავლეს გააცნოს ახალი სათვლელი ერთეულები: მილიონი, მილიარდი. ასწავლის მათი ჩაწერა და წაკითხვა.

თემის შესასწავლად მოსწავლისათვის აუცილებელია მისთვის ცნობილი სათანრიგო ერთეულების გასესხება ათობით სისტემაში. უნდა გაიხსენონ ნატურალურ რიცხვთა რიგი (ექვსნიშნა რიცხვების ჩათვლით), მათი ჩაწერისა და წაკითხვის

პრინციპი, რიცხვიდან მისი წინა და მომდევნო რიცხვების მიღების წესი. შემდეგ კი გადავდეთ ახალი კლასების შესწავლაზე.

მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაციის გახსენებისას (1 000 000-ის ფარგლებში) მასწავლებელი იყენებს ასეთ კითხვებს:

- რა იცით ისეთი, რის გარეშეც მატემატიკას ვერ წარმოიდგენ? (რიცხვები)
- რას ვიყენებთ რიცხვების ჩასაწერად? (ციფრებს)
- რიცხვთა ჩაწერის რომელ სისტემას ვსწავლობთ? (ათობით სისტემას)

- I
- რა იცით ისეთი, რის გარეშეც მატემატიკას ვერ წარმოიდგენ? (რიცხვები)
 - რას ვიყენებთ რიცხვების ჩასაწერად? (ციფრებს)
 - რიცხვთა ჩაწერის რომელ სისტემას ვსწავლობთ? (ათობით სისტემას)
 - რამდენი ციფრი გამოიყენება რიცხვის ათობით სისტემაში ჩასაწერად? (10)
 - რამდენი ერთეულია ერთ ათეულში?
 - რამდენი ათეულია ერთ ასეულში?
 - რა ეწოდება ათეულ მილიმეტრს? ასეულ სანტიმეტრს? ათასეულ მეტრს?
 - რამდენჯერ ნაკლებია ერთი ათეული ერთ ასეულზე? ერთი ასეული ერთ ათასეულზე? და ა. შ.
- II
- რა რიცხვი შედგება 5 ასეულის 6 ათეულისა და 2 ერთეულისაგან?
 - რა რიცხვი შედგება III თანრიგის 4 ერთეულის, II თანრიგის 7 ერთეულისა და I თანრიგის 9 ერთეულისაგან?
 - რამდენი ერთეულია 7543-ის თითოეულ თანრიგში? სულ რამდენი ერთეულია მასში? ათეული?
 - ჩაწერე 6718 თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამის სახით.

III – თვლა თითო-თითოდ, ხუთეულებით, ორმოცდაათობით, ათეულებით, ასეულებით, ათასეულებით.

- IV
- დაწერე ციფრებით: ცხრაას ცხრა. რამდენი ციფრი გამოიყენე მის დასაწერად სულ? რამდენი განსხვავებული ციფრი გამოიყენე მის დასაწერად?
 - რას აღნიშნავს ჩანაწერში: 909 თითოეული ციფრი?
 - დაწერე სამნიშნა რიცხვი მხოლოდ 8-იანის გამოყენებით და განმარტე თითოეული 8-იანის მნიშვნელობა მიღებულ სამნიშნა რიცხვის ჩანაწერში.

III. გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა

- როგორ ვიქცევით რიცხვის ადვილად წასაკითხად? (კლასებად ვყოფთ)
- რამდენ კლასს იცნობთ? დაასახელეთ (ერთეულების კლასი, ათასეულების კლასი)
- ვინ მიხვდა რა არის ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის თემა და მიზანი? (გავაგრძლოთ რიცხვების შესწავლა)
- დახ, დღეს ახალ თემას გავეცნობით. ჩვენი გაკვეთილის თემა „ნატურალური რიცხვები“. უნდა ვისწავლოთ ნატურალური რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა, უნდა გავაგრძლოთ მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაციის შესწავლა.

IV. ახალი მასალის ახსნა

- ნატურალური რიცხვები ისეთ რიცხვებს ჰქვია, რომელთაც საგნების დასათვლელად ვიყენებთ. ვის შეუძლია დამისახელოს რამდენიმე ნატურალური რიცხვი?
- რა რიცხვია ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობაში I რიცხვი? (1)
- რატომ არ დაასახელეთ რიცხვი 0?
- დაასახელეთ ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობაში ყველაზე დიდი რიცხვი.
- რატომ ვერ ასახელებთ უდიდეს ნატურალურ რიცხვს? (იმიტომ, რომ არ არსებობს ასეთი რიცხვი, რადგან ყოველი რიცხვის შემდეგ არსებობს მისი მომდევნო რიცხვი და ა. შ.)
- რამდენნიშნა რიცხვები ისწავლეთ მეოთხე კლასში? (ექვსნიშნა)

- დასახლეთ უდიდესი ექსნიშნა რიცხვი (999999)
- რა რიცხვია 999 999-ის მომდევნო რიცხვი?
- რამდენიშნა რიცხვია 999 999-ის მომდევნო რიცხვი?
- როგორ მიიღება 999 999-გან 1 000 000?

მასწავლებელს გამზადებული უნდა ჰქონდეს რიცხვების კლასებისა და თანრიგების ცხრილი. სასურველია, მასწავლებელმა I და II კლასების ცხრილი დაფაზე მოსწავლეებს შეადგენიოს და მერე გამოაჩინოს თავისი ცხრილი.

IV კლასი – მილიარდების კლასი			III კლასი – მილიონების კლასი			II კლასი – ათასეულების კლასი			I კლასი – ერთეულების კლასი		
თანრიგები			თანრიგები			თანრიგები			თანრიგები		
XII	XI	X	IX	VIII	VII	VI	V	IV	III	II	I
ასეული მილიარდები	ასეული მილიარდები	ერთეული მილიარდები	ასეული მილიარდები	ასეული მილიონები	ერთეული მილიონები	ასეული ათასეულები	ასეული ათასეულები	ერთეული ათასეულები	ასეული ათასეულები	ერთეული ათასეულები	ერთეული ათასეულები

წარმოდგენილი ცხრილი სახელმძღვანელოშიცაა მოცემული და მოსწავლეებს შეუძლიათ მის მიერვით იმსჯელონ. საუბარი ექნებათ ჯერ ორ კლასსა და მათ თანრიგებზე, შემდეგ გადავლენ მილიონებისა და მილიარდების კლასებზე.

სასურველია, რომ შეადარონ I და II, I და III, I და IV, IV და V კლასები, გაანალიზონ მათ შორის მსგავსება და განსხვავება: თითოეული კლასი 3 თანრიგისაგან შედგება, ყოველი თანრიგის ერთეული 10-ჯერ მეტია წინა თანრიგის ერთეულზე, I კლასში ითვლიან ერთეულებს, მეორეში კი ათასეულებს და ა. შ.

მასწავლებელი უხსნის, რომ: а) მილიონებით ისევე შეიძლება თვლა, როგორც ერთეულებით (1 მილიონი, 2 მილიონი, 3 მილიონი და ა. შ.); б) მილიონები შეიძლება დავაჯგუფოთ ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად (1 ათასეულ მილიონს უკვე ახალი სათვლელი ერთეულით – 1 მილიარდით ვცვლით) და ა. შ.

მოსწავლემ კარგად უნდა იცოდეს კლასებისა და მათი თანრიგების დასახელება, რიცხვის წაკითხვა. უნდა იცოდეს კიდევ რამდენი თანრიგია დასახელებული კლასის ერთეულის, თუ ათეულის თანრიგის მარჯვნიდან მარცხნივ-ბოლომდე, რათა სწორად ჩაწეროს დასახელებული რიცხვი,

მაგალითად,

214 ათასი-----214 000
5 მილიონი -----5 000 000
409 მილიონი ----- 409 000 000
11 მილიარდი -----11 000 000 000
სამასი მილიონ თოხასი ათას ოცდარვა-----300 400 028
2 487 ათასი ----- 2 487 000

V. განმტკიცება

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. კლასში განიხილება სავN1, N3, N5, N7, N9.

სავN1 – რიცხვებს ადგილიდან წააკითხებს. მასწავლებელს შეუძლია წასაკითხად გამოიყენოს რიცხვები, რომელიც N7 და N8 დაგალებებში სხვა მიზნითაა მოცემული.

სავ. N3 – თითო რიცხვს თითო მოსწავლე წერს. მან არა მარტო უნდა დაწეროს, არა მედ წაიკითხოს კიდევაც თავისი დაწერილი რიცხვი.

სავ. N5 – დაასახელებს მოცემულ რიცხვზე 1-ით ნაკლებ რიცხვს და დაწერს დაფაზე შესაბამის რიცხვით სახელს.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო I ვარიანტი – სავN10; II ვარიანტი – სავN11.

დავალების შესრულების დაწყებამდე გაიხსენებენ რიცხვის შემადგენლობაში ათეულების, ასეულების და ა. შ. თანრიგის ერთეულების რაოდენობის განსაზღვრის ხერხს.

— შესრულებულ დავალებებს მოსწავლეები ერთმანეთში ცვლიან (წყვილში) და უმოწმებენ. აღმოჩენილ შეცდომებს დაფაზე გაანალიზებენ. კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბებენ რიცხვის შემადგენლობაში ასეულების და ათასეულების რაოდენობის განსაზღვრის ხერხს და გაასწორებენ შეცდომებს.

VII. შედეგების შეჯამება

- რა ვისწავლეთ დღეს?
- რამდენი სხვადასხვა ციფრის დაწერა შეგიძლიათ?
- რამდენი სხვადასხვა რიცხვის დაწერა შეგიძლიათ?
- როგორ კითხულობთ რიცხვს?
- რომელი კლასები იცი?
- რამდენი თანრიგისაგან შედგება ერთეულების კლასი? ჩამოთვალე.
- რამდენი თანრიგისაგან შედგება მილიონების კლასი? ჩამოთვალე.
- რამდენიშნა რიცხვია ოცდათერთმეტი მილიონი?

VIII. საშინაო დაგალება: სავ. №2, №4, №6, №8.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №9. მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ნატურალური რიცხვების რაოდენობის დასახელებაა საჭირო: 1, 2, . . . ; თრიუმნიშნა რიცხვების რაოდენობაა 99 – 9 =90.

§ 1.1 ნუმერაცია (II გაკვეთილი)

მიზნები:

- განვიტრიცოთ ცოდნა მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაციის შესახებ;
- აღმოვაჩინოთ პრობლემები მოსწავლეთა ცოდნაში მოცემული ოქმის შესახებ და ვიმუშაოთ მათ აღმოფხვრაზე;

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: ათობით პოზიციურ სისტემაში ნატურალურ რიცხვთა ჩაწერის პრინციპი და წაკითხვის წესი.

უნდა შეეძლოს: ათობით პოზიციურ სისტემაში ნატურალური რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა (თორმეტნიშნა რიცხვების ჩათვლით); რიცხვის თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამის სახით წარმოდგენა.

გაკვეთილის მსგლელობა

- I. ორგ. მომენტ. საშინაო დაგალების შემოწმება
- II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- 1) — რა ვისწავლეთ წინა გაკვეთილზე?
 - კარგად იცით რიცხვების წაკითხვა და ჩაწერა?
 - მილიონებსა და მილიარდებსაც ჩაწერთ?
 - მაშინ მე გიგარნახებთ, თქვენ ჩაწერეთ.

კარნახი
ჩაწერეთ ციფრებით

- 58 მლრდ 12 მლნ 500 ათას 80;
- 102 მლრდ 5 მლნ 112 ათას 12;

- 80 მლრდ 5 მლნ 126 ათას 7;
- 40 მლრდ 40 მლნ 40 ათას 40;
- 105 მლრდ 102 მლნ 20 ათას 6;
- 28 მლნ 459 ათას 129;
- 19 მლნ 127;
- 456 ათას 18;
- 8 მლრდ 2 მლნ 5 ათას 80.

კარნახის შედეგებს წყვილებში ამოწმებენ. ვინც შეცდომა დაუშვა, ხელს იწევს. მასწავლებელი დაფასთან გამოიყვანს, უკარნახებს რამდენიმე რიცხვს და ასწავლის როგორ ჩაწეროს და როგორ წაიკითხოს მრავალნიშნა რიცხვები.

- 2) – რამდენიშნა რიცხვია 5 მილიონი? 507 მილიონი? 75 მილიარდი? 500 მილიარდი?
- ვინ დაინტერესდა გაკვეთილის ბოლოში მოცემული რუბრიკით „ეს საინტერესოა“?
 - რა საიტერესო ინფორმაცია ნახე რუბრიკაში? (ეკითხება მას, ვინც დაინტერესდა და გაუცნო რუბრიკაში მოტანილ ინფორმაციას)
- რომელ კლასს მიეკუთვნება შვიდნიშნა რიცხვი? ცხრანიშნა რიცხვი? თერთმეტნიშნა რიცხვი?
- როგორ მიიღება უდიდესი ექვსნიშნა რიცხვისაგან უმცირესი შვიდნიშნა რიცხვი?
- მოსწავლის პასუხის შემდეგ დაწერენ შესაბამის ტოლობას.
- როგორ მიიღება უმცირესი ათნიშნა რიცხვისაგან უდიდესი ცხრანიშნა რიცხვი?
- მოსწავლის პასუხის შემდეგ დაწერენ შესაბამის ტოლობას.

III. გაპეტილის თემისა და მიზნის გაცნობა

- ვინ გვეტყვის რა არის ჩვენი დღევანდელი გაპეტილის თემა და მიზანი?
- (გავაგრძელოთ ნატურალური რიცხვების შესწავლა, მათი ჩაწერა, წაკითხვა, მიღება)

IV. განმტკიცება. სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე მუშაობა

მუშაობები №7, №13, №15, №17 სავარჯიშოებზე.

სავ№13. ა) – წაიკითხე რა რიცხვია. რა უნდა გავიგოთ?

- ჩანაწერით როგორ მივხვდეთ რომელი თანრიგის ერთეული აკლია მოცემულ რიცხვს? (იმ თანრიგში 0 წერია)

– რომელი თანრიგის ერთეული აკლია 10258-ს? (ერთეულათასეულის).

სავ№17. ამოცანის პირობის ნაწილი თვალებშია ჩაწერილი. ამის მიხედვით უნდა ჩაატარონ კვლევა. საბოლოოდ დაასკვნიან, რომ სალომემ მოარტყა ორჯერ ყვითელ რგოლში, ერთხელ წითელში და ერთხელ – შავში, ორჯერ კი ააცდინა. მაშასადამე, სალომემ $500+500+250+50-50-50=1200$ ქულა მოაგროვა.

დათომ ყვითელ რგოლში 3-ჯერ, ხოლო ყველა დანარჩენში - თითოჯერ მოარტყა და $500+500+500+125+250+50=1925$ ქულა მოაგროვა.

V. შედეგების შეჯამება

- შევაჯამოთ ჩვენი დღევანდელი ნაშრომი. რა იყო ჩვენი მიზანი? მივაღწიეთ მიზანს?
- მოყვევით რა ისწავლეთ.

VI. საშინაო დაგალება; სავ№12, №14, №16.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ№14. სულ მიიღება 6 რიცხვი ($3 \times 2 \times 1$).

სავ№15. სულ მიიღება 4 რიცხვი ($2 \times 2 \times 1$).

სავ№16. ჭიქების რაოდენობა ზემოდან ქვემოთ ყოველ რიგში 1-ით იზრდება. სამი რიგი აგებულია. IV-ში საჭიროა 4, ხოლო V-ში – 5 ჭიქა, ე. ი. საჭიროა კიდევ 9 ჭიქა.

როგორც ვხედავთ, თუ სართულების ათვლას მაღლიდან დავიწყებთ, მაშინ ყოველ სართულს იმდენი ჭიქა სჭირდება, მერამდენეცაა ის სართული ათვლის რიგში. ცხრასართულიანი პირამიდის ასაგებად საჭიროა:

$$1+2+3+4+5+6+7+8+9=45$$

პასუხი: ხუთსართულიანი პირამიდის ასაგებად საჭიროა 15 ჭიქა, ცხრასართულიანისთვის – 45.

§1.2 რიცხვების ქართული ანბანური და რომაული ნუმერაცია (2სო) მიზნები:

1. გავაცნოთ რიცხვების ქართული ანბანური ნუმერაცია;
2. გავაცნოთ რიცხვების რომაული ნუმერაცია;
3. ვასწავლოთ რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა:
 - ა) ქართული ანბანური ნუმერაციით;
 - ბ) რომაული ციფრებით.

საჭირო მასალა: 1. პლაკატი: ქართული ანბანი შესაბამისი ნუმერაციით;
2. პლაკატი: რომაული რიცხვითი ნიშნები;
3. მაიას ტომის ციფრები.

შენიშვნა: მასწავლებელმა მასალა ეკრანზე უნდა აჩვენოს, მაგრამ ვისაც ამის საშუალება არ ექნება, პლაკატს გამოიყენებს.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- რიცხვის წაკითხვისა და ჩაწერის წესები ა) ქართული ანბანური ნუმერაციით;
ბ) რომაული ციფრებით.

უნდა შეეძლოს:

- რიცხვის ჩაწერა და წაკითხვა ა) ქართული ანბანური ნუმერაციით
ბ) რომაული ციფრებით.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- 1) დაწერე 10-ის ჯერადი ყველა რიცხვი, რომელიც რიცხვით სხივზე (ზეპირად) მდგებარეობს:
 - ა) 15200-სა და 15260-ს შორის;
 - ბ) 1999-სა და 2026-ს შორის;
 - გ) 256004-სა და 256084-ს შორის.
- 2) რომელია მეტი: ა) 1547 თუ 1457? ბ) 5000 თუ 599? გ) 1204 თუ 1024? (ზეპირად).
- 3) საკორდინატო სხივზე მონიშნე წერტილები: 2, 8, 3, 4, 7.

III. გაკვეთილის თემის გაცნობა

– დღეს ძალიან საინტერესო თემაზე უნდა ვიმუშაოთ. ჩვენი დღეგანდელი და ხვალინდელი გაკვეთილები უნდა მივუძღვნათ რიცხვების ქართულ ანბანურ და რომაულ ნუმერაციას.

IV. ახალ მასალაზე მუშაობა

მასწავლებელი მოკლე ისტორიულ ცნობებს აწვდის მოსწავლეებს რიცხვებსა და რიცხვთა სისტემების შესახებ. უყვება, რომ 25 საუკუნის წინათ მცირე აზიაში, ძველბერძნულ კოლონიებში შეიქმნა სისტემა, რომელშიც რიცხვებს ანბანის ასოებით აღნიშნავდნენ. ქართული ანბანური სისტემა ამავე პრინციპითაა აგებული (ქართული ანბანის ასოებზე). აცნობს ასოების შესატყვის რიცხვით მნიშვნელობებს და ქართული ანბანური ნუმერაციით რიცხვების ჩაწერისა და წაკითხვის წესებს. დაფაზე ან კედელზე შესაბამისი პლაკატი უნდა ჰქონდეს გაკრული.

მეცნიერებული მოსწავლე ადვილად მიხვდება პრინციპს, რომლის მიხედვითაც მაიას ტომის ციფრებია შექმნილი.

მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს სიმბოლოებს, რომლითაც მაიას ტომის ხალხი აღნიშნავდა რაოდენობებს: 0, 1, 2. შემდეგ მოსწავლეების დახმარებით დაწერს 3-სა და 4-ს. აუხსნის, როგორ იწერება 5 და 6, ხოლო დანარჩენს მოსწავლეებს დაფაზე დამოუკიდებლად დააწერინებს.

მ ა ი ა ს				გ თ მ ი ს			ც ი ფ რ ე ბ ი						
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	15		
	•	•	••	••••	—	—•	—••	—••	—•••	==	==		

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ანბანურ ნუმერაციას. ქართველი ხალხის კულტურის ისტორიიდან შესაბამისი მასალა, რომელიც რიცხვებს უკავშირდება, მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მათვის გასაგები ენით. პკითხოს, უნახავს თუ არა რომელიმე მათგანს ძველი საფლავის ქვებზე ქართული ასოებით მითითებული დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და ა. შ. ამ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება სახელმძღვანელოს მიხედვით.

რომაული ნუმერაცია დღესაც გამოიყენება, ამიტომ საჭიროა წინა კლასებში მიღებული ცოდნის გაღრმავება.

პარაგრაფის შესწავლას 2 გაძვეთილი ეთმობა. მასწავლებელი პირველ გაძვეთილზე ჩაატარებს წყვილებში სამუშაოს, რომელიც არაბული ნუმერაციის ცოდნის გაღრმავებას ისახავს მიზნად, ხოლო მეორე გაკვეთილზე – სახელმძღვანელოში მოგანილ თამაშს: „შევაღინოთ სიტყვები”, რომლის მიზანია ქართული ანბანური ნუმერაციის შესწავლა. მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ. ასოების რიცხვითი მნიშვნელობების გამოყენებით ადგენენ ქართულ სიტყვებს. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც ყველაზე დიდ რიცხვს შეადგენს.

V. რეკომენდაცია

საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, საკონფერენციო თემისთვის ან საწრეო მუშაობისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ლიტერატურა:

ა) „მათემატიკის სწავლების საკითხები სკოლაში”, პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 1953 წ.

ბ) ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1930, გვ. 4-5), სადაც ნათქვამია, რომ 10 000-ის ფარგლებში რიცხვების დასაწერად ქართველები იყენებდნენ ძირითადი რიცხვები ნიშნების შეკრების ხერხს.

მაგალითად:

$$\begin{aligned} \text{„ფოგ“} &= 573 \quad (\varphi-500, \omega-70, \gamma-3); \\ 573 &= 500+70+3 \end{aligned}$$

10 000-ის შემდეგ კი – გამრავლების ხერხსაც იყენებდნენ.

მაგალითად:

$$\begin{aligned} \text{„მიჩ“} &= 50\ 000 \quad (\vartheta-40, \alpha-10, \beta-1\ 000) \\ 50\ 000 &= (40+10) \times 1\ 000 \end{aligned}$$

მასწავლებელი მოკლედ უნდა შეეხოს სხვა ნუმერაციებსაც, ბერძნულს, ეგვიპტურს და ა. შ.

I გაძვეთილი

კლასში განიხილება თეორიულ მასალაში მოცემული ქართული ანბანური ნუმერაცია, სავ. №1, №2 (ა, გ), №3 (ბ, დ), №10 ბ) და სრულდება წყვილებში სამუშაო.

საშინაო დავალებად ეძღვავთ სავ. № 2 (ბ, დ), № 3 (ა, გ), №10 (ა, გ), №12.

II გაძვეთილი

კლასში განიხილება სავ. №4, №6, №8, №13 ა) სრულდება თამაში „შევაღინოთ რიცხვები“

საშინაო დავალება: სავ. №5, №7, №9, №11.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №1.. „შეა“: $900+50+1=951$; „წევზ“: $4000+200+20+7=4227$; „შია“: 911; „ჭა“: 5001; „ჩა“: 1001

სავ. №2. გავითვალისწინოთ, რომ ასოები იწერება მნიშვნელობების კლების მიხედვით ა) „ცოგ“ ($2073=2000+70+3$) ბ) „ჯულ“ (8430) გ) „ჩია“ (1011) დ) „წია“ (4011).

სავ. №3. დ) ჭუკა: $5000+400+20+1=5421$.

სავ. №7. ა) VL, LV; ბ) IC, CI.

სავ. №10. გ) $(8000+400+30+1) + (6000+200+10+5) = 12646$

სავ. №11. სწორი ტოლობაა: ა) $60+10=70$; ბ) არასწორი ტოლობაა, რადგან $60+90=150$, რაც რომაულად ასე ჩაიწერება: **LX+XC=CL**.

სავ. №12. პასუხი: 975310 და 103579

წყვილებში სამუშაო. 2. ა) ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 100-ით მეტია. მომდევნო სამი რიცხვია: 400 600, 400 700, 400 800. ბ) ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 20-ით ნაკლებია. მომდევნო სამი რიცხვია: 699 990, 699 970, 699 950. გ) ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 2-ჯერ მეტია. მომდევნო სამი რიცხვია: 32 000 000, 64 000 000, 128 000 000. დ) ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 2 000 000 000-ით მეტია. მომდევნო სამი რიცხვია: 13 000 000 000, 15 000 000 000, 17 000 000 000. ამ სავარჯიშოს გ) და დ) დავალებების შესრულებისას მოსწავლე სარგებლობს იმით, რომ მიღიონი და მიღიარდი სათვლელი ერთეულებია.

თამაშის: „**შევადგინოთ სიტყვები**” მიზანია ქართული ანბანური ნუმერაციით რიცხვების ჩაწერაში გარჯიში. თამაში შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურად, გაკვეთილის ბოლო რამდენიმე წუთში ან ჩატარდეს ჯგუფური სახით. თამაშის ჯგუფურად ჩატარების შემთხვევაში წინასწარ უნდა მომზადდეს მასალა. სქელი ლამაზი ქაღალდისაგან გამოჭრილ ერთნაირი ზომის თითოეულ მართვთხედზე უნდა ეწეროს ასო და შესაბამისი რიცხვი. ბავშვები ამ მართვთხედების ერთმანეთზე მიღვმით ადგენენ ქართულ სიტყვებს და წერენ შესაბამის რიცხვებს. მასწავლებელს შეუძლია თამაშის დრო 5-7 წთ-ით განსაზღვროს. თითოეულმა ჯგუფმა 1-2 სიტყვა რომ შეადგინოს, საკმარისია, რადგან გასათვალისწინებელია, რომ ასოები იწერება მნიშვნელობის კლების მიხედვით და ამ პირობით სიტყვების მოძებნა სააკმაოდ ძნელია.

1.3 რიცხვების შედარება

- მიზნები:** 1. გავახსეხოთ მიღიონზე მცირე რიცხვების შედარება;
2. ვასწავლოთ: ა) მიღიონზე დიდი რიცხვების შედარება;
ბ) ორმაგი უტოლობის ჩაწერა და წაკითხვა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად უნდა იცოდნენ

- ნატურალური რიცხვების შედარების წესი;
- ორმაგი უტოლობის ჩაწერა და წაკითხვა.

უნდა შეეძლოთ:

- ნატურალური რიცხვების შედარების წესის სწორად გამოყენება,
- უტოლობის ნიშნის სწორად ჩაწერა,
- ორმაგი უტოლობის ჩაწერა და წაკითხვა,
- რიცხვების დალაგება ზრდის ან კლების მიხედვით.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება მოსწავლის მიერ რიცხვითი უტოლობის წაკითხვისას რიცხვითი სახელების ბრუნვას.

საჭირო მასალა: ქაღალდზე დაწერილი ათი განსხვავებული ციფრი.

გაპეტილის მსვლელობა (I გაკვეთილი)

I. ორგ მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში

გაკვეთილი იწყება თამაშით: „**კარგად ვიცნობთ ნატურალურ რიცხვებს**”.

თამაშის მიზანი: გაიმეორონ მიღიონზე მცირე რიცხვების შედარება, მოემზადონ მიღიონზე მეტი რიცხვების შედარების შესასწავლად.

მასწავლებელი მაგიდაზე ციფრებს შლის ისე, რომ მოსწავლეები ვერ ხედავთ ჩანაწერებს. გამოყენების 6-6 მოსწავლე, რომლებიც რიგ-რიგობით იღებენ მაგიდიდან ციფრებს და იმავე რიგით ალაგებენ დაფის ჩარჩოზე ან ხელში იკავებენ ისე, რომ ყველა ხედავდეს. მომზადებულია მომდევნო 6 მოსწავლე. იმათგან

- ერთი კითხულობს რიცხვს, რომელიც შედგა ამოღებული ციფრებით და წერს დაფაზე,
- მეორე ადგნენს ამ ციფრებით შესაძლო უდიდეს რიცხვს და წერს დაფაზე,
- მესამე – ადგენს იმავე ციფრებით შესაძლო უმცირეს რიცხვს და წერს დაფაზე.
- მეოთხე მოსწავლე ციფრებს ადგილებს უცვლის, კითხულობს და დაფაზე წერს მიღებულ რიცხვს.
- ანალოგიურად იქცევა მეხუთე მოსწავლეც.
- მეექვსე მოსწავლე ზრდის ან კლების მიხედვით ალაგებს მის წინ გამოსული მოსწავლეების მიერ დაფაზე დაწერილ რიცხვებს.

ამის შემდეგ თამაშობს მომდევნო ორი გუნდი. თამაში გრძელდება მანამ, სანამ ყველა მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას. გამარჯვებულია ის გუნდი, რომლის წევრებმაც ნაკლები შეცდომები დაუშვეს.

– შეადარეთ რიცხვები 2000000 და 200000.

III. გაკვეთილის თემისა და მიზნის დასახელება

– ვინ მიხვდა რა უნდა ვისწავლოთ დღეს?

IV. ახალი მასალის ახსნა

– როგორ შევადაროთ რიცხვები 2000000 და 200000?

მოსწავლეები დამოუკიდებლად ჩამოაყალიბებენ მრავალნიშნა რიცხვების შედარების წესს. შედარების წესს, რომელიც იციან მილიონამდე რიცხვებზე, განაზოგადებენ მილიონზე დიდ რიცხვებზე. თუმცა, მასწავლებელი მაინც აჩვენებს შედარების რამდენიმე მაგალითს სახელმძღვანელოს თეორიული მასალიდან.

V. განმტკიცება

მუშაობა გრძელდება სახელმძღვანელოს მიხედვით. რიცხვების შედარების წესს ავრცელებენ მილიონზე დიდ რიცხვებზე. მუშაობები №1, №3, №5, №7, №9 სავარჯიშოებზე.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№4; II ვარიანტი – სავ.№6.

VII. საშინაო დავალება სავ.№2, №8, №10.

გაკვეთილის მსვლელობა (II გაკვეთილი)

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

- 1) რა ნიშნებს ვიყენებთ შედარებისას უტოლობის ჩასაწერად?
- 2) როგორ შევადაროთ ექსნიშნა რიცხვი ექსნიშნა რიცხვს? შვიდნიშნა რიცხვი?
- 3) დაასახელე უმცირესი რვანიშნა რიცხვი და უდიდესი შვიდნიშნა რიცხვი.
- 4) ჩაწერე მათემატიკურად წინადადება:
 - ა) 17 მეტია 10-ზე და ნაკლებია 25-ზე;
 - ბ) 100 ნაკლებია 500-ზე და 500 ნაკლებია 1000-ზე.

– რა სახის უტოლობები ჩავწერეთ? (ორმაგი უტოლობა)

იპოვე შეცდომა და გასწორე:

25835701>2587501 1598741<158852 25400335<25400235 999889>1000000

III. განმტკიცება.

თამაში „დიდ-პატარა“

თამაშის მიზანი: რიცხვების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება

თამაშის წესი: დაფასთან გამოჰყავს მოსწავლეთა ორი წყვილი – მეწყვილეა გოგონა

და ვაჟი. ერთი წყვილი დაფისგან ზურგშექვით დგება, ხოლო მეორე წყვილი

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წერს დაფაზე მრავალნიშნა (თითო) რიცხვს. ერთი

წყვილი ჩაწერს დაფაზე რიცხვებს, მეორე წყვილი შემოტრიალდება და სწრაფად

ადებს ხელს რიცხვს შემდეგი წესით – გოგონა ირჩევს დიდ რიცხვს, ვაჟი პატარას. მომდევნო წყვილის გამოსვლისას პირიქით, გოგონა ირჩევს პატარა რიცხვს, ვაჟი დიდს. ითამაშებს 3-4 წყვილი.

IV. დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი №14(გ,დ); II ვარიანტი №19.

მუშაობას გააგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. კლასში ამონებიან №13, №15, №19, №21, №23 საგარჯიშოებს

V. შედეგების შეჯამება

- რა იყო ჩვენი მიზანი?
- მივაღწიეთ მიზანს?
- რა შეგიძლია მითხო 0-ის ნატურალურ რიცხვთან შედარების შესახებ?
- რა შეგიძლია მითხო ექვნიშნა რიცხვის რვანიშნა რიცხვთან შედარების შესახებ?
- რა შეგიძლია მითხო ცხრანიშნა რიცხვის ცხრანიშნა რიცხვთან შედარების შესახებ?

VI. საშინაო დავალება სავ №9, №11, №13, №15.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №1. რადგან 99 548 ხუთიშნა რიცხვია, ხოლო 395 025 – ექვნიშნა, ამიტომ 99 548<395 025; რადგან 1 000 000 შვიდიშნა რიცხვია, 100 000 კი – ექვნიშნა, ამიტომ 100 000<1 000 000; ორივე შესადარებელი რიცხვი ექვნიშნაა, მათი პირველი ციფრებია 3 და 2, ამიტომ 258 456<357159.

სავ. №15. პასუხი: ა)18; ბ) $15 < x < 20$.

სავ. №18 პასუხი: 987.

სავ. №19. პასუხი: 98765

სავ. №20. პასუხი: 1023456789.

სავ. №21. პასუხი: 9876543210. ამოცანას გააჩნია მათემატიკური, ლოგიკური და შემეცნებითი მნიშვნელობა. საჭიროა, ათნიშნა რიცხვებს შორის ყველაზე დიდი რიცხვის ჩაწერა. ჯერ იხსენებენ ნატურალური რიცხვების შედარების წესებს. სწორი პასუხის დაწერის შემთხვევაში მასწავლებელი შესთავაზებს რომელიმე არასწორ პასუხს. ვთქვათ, 99999999999 (თერთმეტნიშნას წერს)

–ჩვენ ხომ უდიდესი რიცხვი უნდა დავწეროთ? ეს უდიდესი ათნიშნა რიცხვი მეტია 9876543210-ზე. 99999999999>9876543210.

მოსწავლეები მასწავლებელს უსაბუთებენ, რომ უტოლობა კი სწორია, მაგრამ 99999999999 არაა საძიებელი რიცხვი. საძიებელი რიცხვი განსხვავებული ციფრებით უნდა ჩაიწეროს, თანაც ათნიშნა უნდა იყოს და არა თერთმეტნიშნა.

– კარგით, ახლა განსხვავებული ციფრებით ჩავწერ ათნიშნა რიცხვს. (წერს – 9876543120). არის თუ არა ჩემი დაწერილი რიცხვი უდიდესი ათნიშნა რიცხვი?

მოსწავლეები პასუხობენ, რომ არც 9876543120 რიცხვია უდიდესი ათნიშნა, რადგან მასზე დიდი ათნიშნა რიცხვებიც არსებობენ. მათ შორის: 9876543200, 9876543208, 9876543210. რატომ ხართ დარწმუნებული, რომ 9876543210 ყველაზე დიდი ათნიშნა რიცხვია? (9876543210-ის უმაღლეს თანრიგში რაც შეიძლება დიდი ციფრი წერია, მომდევნო მისგან განსხვავებულთაგან ყველაზე დიდია და ა.შ. როგორც კი ერთ რომელიმე ციფრს ადგილს შევუცვლით, მივიღებთ 9876543210-ზე ნაკლებ რიცხვს.

ამ საგარჯიშოს შესრულებისას პრობლემური სიტუაციის შექმნა უფრო სრულყოფილი იქნება შემდეგი დავალებების დამატებით:

- ახლა უდიდესი ცხრანიშნა რიცხვი დაწერეთ განსხვავებული ციფრებით.
- უდიდესი თერთმეტნიშნა რიცხვი დაწერეთ განსხვავებული ციფრებით. (ასეთი რიცხვი არ არსებობს, რადგან არსებობს მხოლოდ ათი განსხვავებული ციფრი. XI უკვე რომელიმე მათგანის გამოორება იქნება, რაც ამოცანის პირობას არ აკმაყოფილებს).

სავ. №22 პასუხი: თუ მოცემულ სიდიდეს კილომეტრებში ჩავწერთ მივიღებთ 40 076კმ-ს. ამიტომ ვასკვნით – დედამიწის ეკვატორის სიგრძე ნაკლებია ნახევარ მილიონ კილომეტრზე.

თამაში ასანთის დერებით. სიცხადისათვის მასწავლებელი აკითხებს და არაბული ციფრებით აწერინებს თითოეულ ტოლობას. ამის შემდეგ კი იწყებენ ამოხსნის გზის ძიებას. **პასუხი:** 1) IX+VI=XV;

2) VI+V=XI;

3) X+V=XV.

§1.4 რიცხვების დამრგვალება

მიზანი: ვასწავლოთ ნატურალური რიცხვის დამრგვალება მოცემულ თანრიგამდე და მისი გამოყენება გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის შესაფასებლად.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს რიცხვის მოცემულ თანრიგამდე დამრგვალების წესი.

უნდა შეეძლოს დამრგვალების წესის გამოყენება რიცხვის მოცემულ თანრიგამდე დამრგვალებისას, გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის შესაფასებლად, მიახლოებითი გამოთვლების შესასრულებლად.

მასალა: ფერადი ცარცი.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

1) მასწავლებელი: – რა თანრიგებია ერთეულების კლასში? ათასეულების კლასში? მილიონების კლასში?

- რომელ ორ ათეულს შორისაა 34? 69-ს? 45-?
 - რომელ ორ ასეულს შორისაა 175-? 354-ს? 894-?
 - რომელ ორ ათასეულს შორისაა 1705-ს? 32 654-სს? 188 794-ს?
 - რომელია 47-ის უახლოესი ათეული?
 - რომელია 345-ის უახლოესი ასეული?
 - რომელია 3571-ის უახლოესი ათასეული?
- წაიკითხე რიცხვი: 24 587 324 890.
- უპასუხე კითხვებს ამ რიცხვის მიხედვით:
- რა ციფრი წერია ათეულათასეულების თანრიგში? კიდევ რომელ თანრიგში წერია ციფრი 2?
 - რომელი კლასის რომელ თანრიგში წერია ციფრი 8? ციფრი 4? ციფრი 5?
 - რომელი კლასის რომელი თანრიგი არა გვაქვს? რა ციფრი წერია ამ თანრიგში? როგორი რიცხვი ჰქვია ისეთ რიცხვებს, რომელთა ჩანაწერი 0-ით ან 0-ებით ბოლოვდება? დაასახელეთ რამდენიმე მრგვალი რიცხვი.

III. გაკვეთილის თემის გაცნობა

– სახელმძღვანელოებში ბევრჯერ შეგხვედრიათ მრგვალი რიცხვები. მრგვალი რიცხვები შეგხვედრიათ, ალბათ, გეოგრაფიის წიგნში, ბუნების წიგნში და სხვაგან. მაგალითად, დედამიწის რადიუსი 6400კმ-ია, დედამიწაზე დაახლოებით 350 ათასი სახის მცენარეა, დედამიწიდან მზემდე მანძილი დაახლოებით 150 000 000კმ-ია. იცით ეს რამსელა მანძილია? წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ავტომანქანით ამ მანძილის გავლას დაახლოებით 100 წელი, ანუ 1 საუკუნე დასჭირდება, თვითმფრინავით დაახლოებით 100 წელი, ხოლო კოსმოსური ხომალდით 1წ. ანუ 365 დღე. მზის სხივი კი დედამიწამდე 8 წთ-ში აღწევს. სინათლის სხივი 1წ-ში დაახლოებით 300000კმ-ს გადის.

მანძილი თბილისიდან დედოფლის წყარომდე 149 კმ-ია და ამ მანძილს ავტომანქანა

2სთ 32წ-ში გადის. მძღოლს თუ კითხავთ, რა მანძილია თბილისიდან დედოფლის წყარომდე და რამდენ სანზი ჩადიხარ თბილისიდან დედოფლის წყაროში, გიპასუ-ხებთ, რომ მანძილი დაახლოებით 150 კმ-ია და ორ საათნახევარში ჩავდივარო.

- რა თემაზეც ვსაუბრობდი, რა ახალი სიტყვები მოისმინეთ ჩემი საუბრის დროს? (დაახლოებით)
- რა საერთოს ხედავთ მოცემულ რიცხვებში? 20, 140, 300, 8500, 42000, 2000000 (ყველა მრგვალი რიცხვია)
- ვინ ხვდება რა უნდა ვისწავლოთ დღეს? (მიახლოებითი რიცხვები, რიცხვების დამრგვალება)
- დიახ, ჩვენ დღეს უნდა ვისწავლოთ ნატურალური რიცხვების დამრგვალება და მისი გამოყენება მიახლოებითი გამოთვლებისას.

IV. ახალი მასალის ახსნა

ახალი მასალის ახსნა სახელმძღვანელოს მიხედვით წარიმართება. აუცილებლად იმუშავებენ რიცხვით სხივზე, რათა უფრო ნათლად დაინახონ რეალური სიტუაცია და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ რიცხვის დამრგვალების წესი.

მუშაობისას უნდა გამოიყენონ ფერადი ცარცი, რომლითაც ა) დასამრგვალებელ რიცხვში მონიშნავენ მოთხოვნის შესაბამის თანრიგს; ბ) რიცხვით სხივზე მონიშნავენ დასამრგვალებელი რიცხვის იმ თანრიგის რიცხვებს, რომლამდეც უნდა დამრგვალდეს მოცემული რიცხვი და მანძილები (მონაკვეთები) მოცემული რიცხვიდან ამ მონიშნულ რიცხვამდე სხვადასხვა ფერით გაფერადეს, რათა ცხადად ჩანდეს, რომელი მონაკვე-თია გრძელი და რომელი – მოკლე.

უმჯობესია, 1, 2, 3, 4 ციფრებით დაბოლოვებული რიცხვების დამრგვალება (3-4 რიცხვის) ცალკე სხივზე აჩვენონ, დასკვნა ჩამოაყალიბონ, შემდეგ 6, 7, 8, 9 ციფრებით დაბოლოვებულ რიცხვებზე ნახონ და დასკვნა ჩამოაყალიბონ და ბოლოს 5-ზე.

შემდეგ ერთ მთლიან დასკვნას გამოიტანენ.

V. განტგიცება

დაფასთან რიგ-რიგობით გამოჰყავს მოსწავლეები და ასრულებენ სავ. №1-ში მოცემულ დავალებას. ასევე რიგ-რიგობით მუშაობენ დაფასთან სავ. №6-ის ამოხსნაზე. კლასში განიხილება სავ. №1, №6, №9 და წყვილებში სამუშაო.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – №4 (ა,ბ), II ვარიანტი – №4 (გ,დ).

VII. გასამეორებელ მასალაზე მუშაობა

წყვილებში სამუშაო. მიზანი: მილიონის გააზრება.

სამუშაო 6 დავალებას მოიცავს. ექსივე დავალებაში საჭიროა მოცემულ რიცხვზე შესრულდეს ერთი მოქმედება, რის შედეგადაც მიიღება ერთი მილიონი. ქვემოთ მოცემულია დავალებების ამოხსნა, სადაც ქვეშ ხაზი აქვს გასმული რიცხვს, რომელიც სამუშაოში მოცემული უჯრის ნაცვლად წერია.

- ◆ $999\ 999+1=1\ 000\ 000;$
- ◆ $1\ 000 \times 1\ 000=1\ 000\ 000;$
- ◆ $990+999\ 010=1\ 000\ 000;$
- ◆ $2 \times 500\ 000=1\ 000\ 000;$
- ◆ $990\ 800+9\ 200=1\ 000\ 000;$
- ◆ $4 \times 250\ 000=1\ 000\ 000.$

VIII. რევლექსია. (შედეგების შეჯამება)

- რა ვისწავლეთ ახალი?
- რაში ვიყენებოთ რიცხვების დამრგვალებას?
- რა იყო საინტერესო?

IX. საშინაო დაგალება სავ. №3, №5, №8.

II გაძვეთილი

მიზნები:

- გავუდრმავოთ ცოდნა ნატურალური რიცხვის მოცემულ თანრიგამდე დამრგვალების შესახებ;
- გამუშაოთ რიცხვის მოცემულ თანრიგამდე დამრგვალების წესის გამოყენებით გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის შეფასებაზე.

გაძვეთილის მსვლელობა

- I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება
- II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- I) მასწავლებელი: – ამოგვსნათ რამდენიმე ამოცანა. (პასუხები დაფაზე ჩაიწერება)
- ნინომ ჩაიფიქრა რიცხვი. დაამრგვალა ჩაფიქრებული რიცხვი და შედეგად 270 მიიღო. რა რიცხვი შეიძლებოდა რომ ჩაეფიქრებინა ნინოს? დაასახელე შესაძლო რიცხვებიდან უდიდესი და უმცირესი რიცხვები. (პასუხი: 274, 265)
 - გიგიმ ჩაიფიქრა რიცხვი. ჩაფიქრებული რიცხვი დაამრგვალა ათეულამდე და მიიღო 480. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი შეიძლება იყოს გიგის მიერ ჩაფიქრებული რიცხვი?

475, 476, 479, 471, 477, 472, 478.

- მატარებელში 147 მგზავრია. დაახლოებით რამდენი მგზავრია მატარებელში: 140 თუ 150?
- დაწერე მიმდევრობით რიცხვები, რომელიც მიიღება 456104-ის დამრგვალებით ათეულამდე, ასეულამდე, ათასეულამდე, ათიათასეულამდე, ასიათასეულემდე.

III. სახელმძღვანელოზე მუშაობა

კლასში იმუშავებენ დავალებებზე: № 10, 12, 14, 18.

IV. დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი: სავ.№7(ა, გ); II ვარიანტი: სავ.№7 (ბ, დ)

V. საშინაო დაგალება: სავ.№11, №13, №17.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №1. ამოხსნა მოსწავლების დაფასთან შეასრულონ.

სავ. №2. პასუხი: დაახლ. 150 მილ.

სავ. №3. პასუხი: ა) დაახლ. 6 კმ ბ) დაახლ. 9 კმ.

სავ. №7. დ) თუ 101-ს 100-ით შევცვლით, მივიღებთ 100×102 , ხოლო თუ 98-ს 100-ით შევცვლით, მივიღებთ 20×100 . პასუხი: $101 \times 103 - 100 > 19 \times 98 + 100$.

სავ. №8. ამოხსნა: უნდა გამოვთვალოთ 12 დღე-დამეში რამდენი წამია: $12 \times 24 \times 60 \times 60 = 1036800 \approx 1000000$ პასუხი: დაახლ. 1 მილ-მდე.

პასუხი: დაახლ. 12 დღე-დამე.

სავ. №10. ამოხსნა: $40076 \text{ 000} \approx 40 \text{ 076} \text{ კმ} \approx 40 \text{ 000} \text{ კმ}$.

სავ. №11. პასუხი: 4, 4 და 1.

სავ. №12. თანმიმდევრობით: ვერცხლისფერი, თეთრი, წითელი: 1, 2, 5 ან 1, 3, 4.

სავ. №13-14. პასუხი: 1.

სავ. №17. პასუხი: 10.

§1.5 წირები.

წრფისა და წერტილების ურთიერთმდებარეობა

მიზნები:

- გავაცნოთ მრუდი და სწორი წირები (წრფეები);
- გავამეორებინოთ არითმეტიკული მოქმედებები მილიონამდე რიცხვებზე და მათი შესრულების თანმიმდევრობა;
- გავამეორებინოთ სვეტოვანი დიაგრამა.

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს

- წრფის ამოცნობა, დახაზვა, წაკითხვა, დასახელება;
- წრფეზე, წრფის გარეთ და წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარე წერტილების ამოცნობა;
- შეკრული და გახსნილი წირების, არის შიგნით, გარეთ და საზღვარზე მდებარე წერტილების განსხვავება.

უნდა იცოდეს, რომ ორ წერტილზე გადის ერთადერთი წრფე.

მასალა: პლაკატი წირებით, საქართველოს რუკა.

გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

1) ფრონტალური გამოკითხვა

• გამოსახე სანტიმერებში: 3850სმ, 5დმ5სმ, 384დმ5სმ, 500მმ, 280მმ.

• გამოსახე მეტრებში: 1კმ258მ, 5კმ5მ, 4560დმ, 7კმ20მ, 450დმ.

• კილომეტრებსა და მეტრებში: 3578მ, 65400მ, 32050მ, 8007მ.

2) რამდენი ისეთი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის I ციფრი არის 7?

3) რამდენი ისეთი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის I ციფრი არის 3?

4) რამდენი ისეთი ოთხნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის I ციფრი არის 4?


5) დაამრგვალე რიცხვები ა) ათეულებამდე: 321, 1295, 78967.

ბ) ათასეულებამდე: 32489, 75014, 456789 20545

III. გაკვეთილის თემის გაცნობა

1) მასწავლებელი: – არსებობს ისეთი გეომეტრიული ფიგურა, რომელსაც არც სიგრძე აქვს, არც სიგანე და არც სიმაღლე. რა ფიგურაა ასეთი? (წერტილი)

– რას ვხაზავთ ყოველთვის, როცა კი ფანქრის წვერს ქადალდზე ან ცარცს დაფაზე გაფუსვამო? (ვხაზავთ წირს) -ხაზავს სხვადასხვანაირ წირებს. გამზადებული აქვს პლაკატი, რომელზეც სხვადასხვანაირი წირებია გამოსახული.




– მიხვდით რა თემაზე ვიმუშავებთ დღეს? (წირები)

IV. ახალი მასალის ახსნა

– წირები სხვადასხვანაირია. ზოგიერთი წირი მე დაგხაზე დაფაზე, ზოგიც პლაკატზეა მოცემული.

– როგორი შეიძლება იყოს წირი? (აჩვენებს შეკრულ და გახსნილ წირებს). დიახ, წირი შეიძლება იყოს შეკრული, შეიძლება იყოს გახსნილი.

– როგორი წირებია მოცემული პლაკატზე ზედა რიგში? ქვედა რიგში? (პლაკატზე ზედა რიგში შეკრული წირებია მოცემული, ხოლო ქვედა რიგში გახსნილი). წინა კლასებიდან თქვენ იცით, რომ შეკრული წირი ქმნის არეებს. როგორ არეებს ქმნის? (შიგა და გარე არეებს) რით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული შეკრული წირების შიგა და გარე არეები? (საზღვრით).



საუბრის პარალელურად დაფაზე ხაზავს შეკრულ ტეხილს და ფერადი ცარცების გამოყენებით აჩვენებს არეებს.

— ყოველ ქვეყანას აქვს საზღვარი. ამის ნახვა რუკაზე შეგიძლიათ. მაგალითად, (რუკაზე აჩვენებს საზღვარს) საქართველოს საზღვრის შიგნით ჩვენი ქვეყანა – საქართველო მდებარეობს, ხოლო საზღვრის გარეთ – მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც საზღვარგარეთ ქვეყნებს ვუწოდებთ (აჩვენებს რუკაზე).

ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში რომ წახვიდე, ამ ქვეყნების საზღვრები უნდა გადალახო (ჩამოათვლევინებს რომელი მეზობელი ქვეყნების დასახელებებსაც შეძლებენ ბავშვები).

ამის შემდეგ მასწავლებელი ახაზინებს წირვებს. ასწავლის სახაზავით წრფეების დახაზვას. მოანიშნინებს წერტილებს წრფეზე და მის გარეთ. ყურადღებას ამახვილებს წერტილებისა და წრფეების აღნიშვნასა და დასახელებაზე, სახაზავის სწორად გამოყენებაზე.

შეასრულებინებს რამდენიმე დავალებას, რომელთა დახმარებით მოსწავლე უკეთ გაერკევა წერტილებისა და წრფის ურთიერთმდებარეობაში. მაგალითად,

- გაავლე a წრფე და მონიშნე A წერტილი, რომელიც ეკუთვნის a წრფეს.
- გაავლე b წრფე და მონიშნე D წერტილი, რომელიც არ ეკუთვნის b წრფეს.
- გაავლე ერთმანეთის გადამკვეთი a წრფე და c წრფე. მონიშნე M წერტილი, რომელიც ეკუთვნის a წრფეს და არ ეკუთვნის c წრფეს.
- გაავლე ერთმანეთის გადამკვეთი a წრფე და c წრფე. მონიშნე M წერტილი, რომელიც ეკუთვნის ორივე წრფეს.
- გაავლე b წრფე და მონიშნე D წერტილი, რომელიც არ ეკუთვნის b წრფეს და A წერტილი, რომელიც ეკუთვნის b წრფეს.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპრან სწორ მათემატიკურ მეტყველებას.

მასწავლებელი მოანიშნინებს წერტილს და სახაზავით ახაზინებს ამ წერტილზე გამავალ ჯერ ერთ, შემდეგ კი – რამდენიმე წრფეს, რომლებიც ამ წერტილზე გადის. სთავაზობს მონიშნონ ორი წერტილი და მათზე გაავლონ მრუდე წირვები და წრფე. ამას რამდენიმე მოსწავლეს აკეთებინებს, რათა დარწმუნდნენ, რომ ორ წერტილზე უამრავი მრუდე წირის და მხოლოდ ერთი წრფის გავლებაა შესაძლებელი. მოსწავლეები მუშაობენ დაფაზეც და რვეულებშიც.

V. განმტკიცება

კლასში ამოქსნიან საგ №1, №3, №5, №7, №26.

საგ №1. ერთი მოსწავლე ა) დავალებას ასრულებს, მეორე – ბ) დავალებას. დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლემ გამართული სრული წინადაღებით უნდა ჩამოაყალიბოს რა გააკეთა.


საგ №3. ერთი მოსწავლე ა) დავალებას ასრულებს, მეორე – ბ) დავალებას. სანამ წირს დახაზავს, მანამ უნდა განმარტოს – რა უნდა დახაზოს და როგორ წირს ჰქვია ა) ჩაკეტილი და ბ) როგორს – გახსნილი.

საგ №5 ზეპირად პასუხობენ (მარცხენა წირი გახსნილია, მარჯვენა – შეკრული)

საგ №7. წინადაღებაში სიტყვების ჩასმას ზეპირად ასრულებენ.

- ა) „ A წერტილი ეკუთვნის OC წრფეს”;
- ბ) „ B წერტილი არ ეკუთვნის AC წრფეს”;
- გ) „ C წერტილი ეკუთვნის AO წრფეს”;
- დ) „ O წერტილი ეკუთვნის AC წრფეს”.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო საგ №9. საგ №9. პასუხი:



VII. შედეგების შეჯამება

- რა ვისწავლეთ დღეს? იცნობდით წირებს? არეებს? აბა, დღეს ახალი რა იყო თქვენთვის? (წერტილების წრფისადმი მიკუთვნება-არმიკუთვნება).
- რა გავიმურეთ? (ცხრილი და დიაგრამა).
- რა სახის დიაგრამას იცნობო?

შეაფასებს მოსწავლეებს მათი საშინაო დაგალების, გამჭვივრებელისა და სწორი პასუხების გათვალისწინებით.

VIII. საშინაო დაგალება: სავN2, N4, N6, N8.

II საათი

გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- 1) დაამრგვალე რიცხვები ა) ათეულებამდე:
ბ) ათასეულებამდე


2) ფრონტალური გამოკითხვა

- რამდენნაირი წირები ვიცით? (შეკრული და გახსნილი, მრუდე წირი და წრფე წირი)
- რა ვიცით წრფის შესახებ? (წრფე სწორი ხაზია. მას არც დასწევის აქვს, არც ბოლო).
- რომელი გეომეტრიული ფიგურა შეგვიძლია გამოვსახოთ წრფეზე? (წერტილი)
- 3) - დახაზეთ (დაფაზე, რვეულებში) წრფე და მონიშნეთ მასზე A და B წერტილები. მონიშნეთ წრფის ერთ მხარეს M წერტილი, ხოლო წრფის მეორე მხარეს C და D წერტილები.

სხვადასხვა მოსწავლეს ავალებს განსაზღვრონ რა მდებარეობა უკავია თითოეულ წერტილს წრფის მიმართ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწორ მათემატიკურ მეტყველებას.

III. სახელმძღვანელოზე მუშაობა

კლასში მუშაობებ N8, N12, N14, N16 სავარჯიშოებზე და „შესაძლებელია თუ არა“. სავ. N8. პასუხი:



სავ. N12. დააკვირდით წრფის აღნიშვნებს ამ ამოცანაში და წინა, N11 ამოცანაში. რა განსხვავებას ხედავთ? (N11 ამოცანაში წრფე ერთი პატარა ასოთია აღნიშნული, ამ ამოცანაში კი – ორი ასომთავრულით)

- შეცდომა ხომ არ არის აღნიშვნებში დაშვებული? (არა, წრფის აღნიშვნა შეგვიძლია როგორც ლათინური ერთი პატარა ასოთი, ისე ორი ასომთავრულით.)
- როგორ დავხაზოთ EF წრფე? (მოვნიშნოთ E და F წერტილები და მათზე გავაგლოთ წრფე).
- რა მდებარეობა შეიძლება ეკავოს A წერტილს E და F წერტილების მიმართ? (A წერტილი შეიძლება მოვნიშნოთ E და F წერტილებს შორის ან მათ გარეთ) მონიშნე.
- რა მდებარეობა უნდა ეკავოს B წერტილს EF წრფის მიმართ?
- აქვს მნიშვნელობა, EF წრფის როგორ მდებარეობს მოვნიშნავთ B წერტილს? (არა)
- რა მდებარეობა უნდა ეკავოს C წერტილს EF წრფის მიმართ?
- აქვს მნიშვნელობა, EF წრფის როგორ მდებარეობს მოვნიშნავთ C წერტილს? (დიახ, ამოცანის პირობით B და C წერტილები EF წრფის ერთ მხარეს უნდა მდებარეობ-

დეს და C წერტილი EF წრფის იმ მხარეს უნდა მოვნიშნოთ, რომელ მხარესაც B წერტილი მოვნიშნეთ.)




– აქვს მნიშვნელობა, EF წრფის რომელ მხარეს მოვნიშნავთ D წერტილს? (დიახ. ამოცანის პირობით D და C წერტილები EF წრფის სხვადასხვა მხარეს უნდა მდგრად რეობდეს.)

– რა შეგიძლია თქვა B და D წერტილების მდებარეობაზე EF წრფის მიმართ? (B და D წერტილები EF წრფის მიმართ სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ.)

ნახაზს საბოლოოდ ასეთი სახე ექნება:




სავ. №14. პასუხი:



სავ№16. პასუხი: 3) 2200°.

IV. დამოუკიდებელი სამუშაო სავ№11



პასუხი:

ა) „ A და D წერტილები c წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს”;

ბ) „ B და D წერტილები c წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს”;

გ) „ C და D წერტილები c წრფის ერთ მხარეს მდებარეობს”;

დ) „ A და C წერტილები c წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს”;

ე) „ B და C წერტილები c წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს”.

V. საშინაო დავალება: სავ№10, №15

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები
სავ№15. ა) 5733; ბ) 304742; გ) 411 139; დ) 171512.

§1.6 წერტილების ურთიერთმდებარეობა წრფეზე პარალელური წრფეები

მიზნები: გავაცნოთ

- წრფეზე წერტილების ურთიერთმდებარეობის სხვადასხვა შემთხვევები;
- პარალელური და ურთიერთგადამკავეთი წრფეები.

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სიბრტყეზე მდებარე ორი წრფე ან გადაიკვეთება ერთ წერტილში, ან ერთმანეთის პარალელურია.

უნდა შეეძლოს:

- ნახაზთან შესაბამისად წრფეზე წერტილების ურთიერთმდებარეობის სიტყვიერი აღწერა და პირიქით, სიტყვიერი აღწერის შესაბამისი ნახაზის შესრულება.
- უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს ცნება: „შორის მდებარეობს”, „ერთ მხარეს მდებარეობს”, „სხვადასხვა მხარეს მდებარეობს”.
- მოცემულ ფიგურებზე პარალელური წრფეების (მონაკვეთების) მითითება.


მასალა: 1. სამი საგანი; მაგალითად, განსხვავებული ფერის სამი ფანჯარი ან სამი კუბი; 2) ბარათები, სამი ფერის ცარცი.

გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

1) გამოთვალეთ სქემის მიხედვით



III. გაკვეთილის თემის დასახელება

მასწავლებელს გამოჰყავს დაფასთან სამი ბავშვი – ერთი ვაჟი და ორი გოგონა (ან პირიქით) (პირობითად დავარქვათ შიო, ანა და თათია). ბავშვები დგებიან სახით თანაკასელებისაკენ. ვაჟს აყენებს გოგონებს შორის და კითხულობს:

- ვინ დგას ანას და თათიას შორის?
- ანა დგას შიოს ერთ მხარეს. ვინ დგას შიოს მეორე მხარეს?
- თათია დგას შიოს ერთ მხარეს. ვინ დგას შიოს მეორე მხარეს?
- შემდეგ გოგონებს აყენებს შიოს ერთ მხარეს (ანა შუაშია) და კითხულობს:
- ვინ დგას თათიასა და შიოს შორის?
- ვინ დგას თათიას ერთ მხარეს? მეორე მხარეს?
- ვინ დგას შიოს ერთ მხარეს? მეორე მხარეს?
- ახლა ნახეთ ნახატი სახელმძღვანელოში 23-ე გვერდზე. რა ნახატია? როგორი განლაგებით სხედან ფრინველები ხის ტოტზე?

ბავშვები გამოთქვამენ თავის აზრს. შემდეგ მასწავლებელი მაგიდაზე ან თაროზე, ყველასათვის დასანახ ადგილზე, ერთი წრფის გასწვრივ გარკვეული თანმიმდევრობით ალაგებს კუბებს. მაგალითად, ასე: წითელი, ყვითელი, მწვანე.

მასწავლებელი: – რა ფერის კუბი დევს წითელსა და მწვანე კუბებს შორის? ყვითელი კუბის მარჯვნივ? ყვითელი კუბის მეორე მხარეს?

– ასევეა ერთ წრფეზე მდებარე წერტილებიც, ერთი მათგანი ყოველთვის დანარჩენ ორს შორის მდებარეობს.



– ვინ მეტყვის რა თემა უნდა შევისწავლოთ დღეს?

IV. ახალი მასალის ახსნა

დაფაზე ხაზავს წრფეს და მასზე სამი სხვადასხვა ფერის ცარცით მონიშნავს სამ წერტილს. მსჯელობენ ამ წერტილების ურთიერთმდებარეობაზე.

მასწავლებელი მასალის გადაცემას აგრძელებს სახელმძღვანელოს მიხედვით.

ნახ. 6.3-ის განხილვის შემდეგ, პარალელური წრფეების განმარტებამდე, მასწავლებელი არიგებს ბარათებს, რომელიც მას წინასწარ ორ ვარიანტად აქვს გამზადებული. ბარათებზე შესრულებულია ნახაზები:



მასწავლებელი (ეკრანზე აჩვენებს) დაფაზე წერს კითხვებს, რომლებიც საერთოა ორივე ვარიანტისთვის.

1. რომელი წრფეები გადის A წერტილზე? B წერტილზე? C წერტილზე? D წერტილზე? K წერტილზე?
2. რომელ წრფეს ეკუთვნის A წერტილი? B წერტილი? C წერტილი? D წერტილი? K წერტილი?
3. რომელ წერტილში გადაიკვეთებიან a და b წრფეები? a და c წრფეები? c და d წრფეები? c და b წრფეები? b და d წრფეები?
4. რომელ წერტილში გადაიკვეთება 2 წრფე? 3 წრფე?
5. რომელი წერტილი არ წარმოადგენს წრფეების გადაკვეთის წერტილს?
6. რომელი წრფეები არ კვეთენ ერთმანეთს?

მოსწავლეები რვეულებში ასუხობენ კითხვებს.

დავალების შემოწმების შემდეგ უკვე შემოაქვს პარალელური წრფეების ცნება.

მეცნიერებასებულ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ წრფეზე წერტილერთ-მდებარეობის სიტყვიერი აღწერის შესაბამისი ნახაზის შესრულება და პირიქით, ნახაზის სიტყვიერი აღწერა. უნდა ესმოდეთ შინაარსი სიტყვებისა: „შორის მდებარეობა”, „ერთ მხარეს მდებარეობა” და ამ სიტყვების შემცველი გამონათქვა-მების მიხედვით ნახაზის შესრულება.

V. განმტკიცება

დაფასთან გამოჰყავს 3 მოსწავლე. ისინი ერთდროულად ასრულებენ №1, №2, №3 სავარჯიშოებს. დახაზვას რომ დაამოთავრებენ, სიტყვიერად აღწერენ რა დახაზეს, განმარტავენ წერტილების მდებარეობას წრფეების მიმართ.

ზეპირად პასუხობენ სავ№5,№7, №8, №10. დაფასთან და რვეულებში ხსნიან სავ№6, №11 და №12.

სავ№11 კუბის დახაზვამდე ჯერ მოდელზე აჩვენოს პარალელური და გადამკვეთი წიბოების წყვილები, შემდეგ თვითონ დახაზოს კუბი დაფაზე (აჩვენოს ეკრანზე). ამის სემდეგ უკვე მოსწავლეები დახაზავენ დამოუკიდებლად.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო სავ№18.

VII. შედეგების შეჯამება


- რა ვისწავლეთ დდეს?
- რა მდებარეობა შეიძლება ეკავოს წრფეზე მდებარე სამი წერტილიდან რომელიმე ერთს?
- შეიძლება თუ არა, წრფეზე მდებარე სამი წერტილიდან არც ერთი არ მდებარეობდეს დანარჩენ ორს შორის?
- რა მდებარეობა შეიძლება პქონდეს ორ წრფეს ერთმანეთის მიმართ?
- რამდენი საერთო წერტილი შეიძლება პქონდეს ორ წრფეს?

VIII. საშინაო დაგალება: სავ.№9, №13, №14, №16.

სავარჯიშოების კომენტარები და პასუხები

სავ. №6 ასრულებენ შესაბამის ნახაზს სამივე შემთხვევაში.

სავ. № 20. პასუხის სხვადასხვა ვარიანტიდან გთავაზობთ შემდეგს:



§1.7 სხივი. მონაკვეთი. მონაკვეთის სიგრძე.

მიზანი: წერტილის, სხივის, მონაკვეთისა და მისი სიგრძის შესახებ მიღებული ცოდნის გამეორება / გადრომავება.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ

- სხივი წრფის ნაწილია;
- სხივს აქვს სათავე და არა აქვს ბოლო (წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სხივის შემოუსაზღვრელობაზე);
- სხივისა და მონაკვეთის დახაზვა, აღნიშვნა, ჩაწერა და წაკითხვა.
- მონაკვეთის სიგრძის გაზომვა.

უნდა შეეძლოს

- სხივისა და მონაკვეთის დახაზვა, აღნიშვნა და წაკითხვა;
- ნახაზზე მათი სხვა ფიგურებისაგან გამორჩევა;
- მონაკვეთის სიგრძის გაზომვა;
- მონაკვეთების სიგრძეთა შედარება.


მასალა: დასარიგებელი ბარათები.

გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინამედ ცოდნის გააჭირება

1) გამოთვალეთ სქემის მიხედვით



2) – რა ხელსაწყოს იყენებთ წრფის დასახაზად? ერთხელ კიდევ დააკვირდით ჩემ ხელს, როგორ უნდა დაიკავოთ ფანქარი, რომ წრფე სწორად დახაზოთ (აჩვენებს).

– დახაზეთ 3 წრფე.

დაფასთან გამოჰყავს ერთი მოსწავლე და ავალებს: – მონიშნე A წერტილი. A წერტილზე გავლენა წრფე. თქვით ერთხმად (მიმართავს კლასს): „ეს არის წრფე”.

ახლა A წერტილზე გაავლენ 4 წრფე.

– რამდენი წრფის გავლება შეიძლება ერთ წერტილზე?


– როგორ წრფეებს ეწოდება პარალელური? დახაზე პარალელური წრფეები. (ერთი დაფაზე ხაზავს, დანარჩენები რვეულებში) თქვით ერთხმად: „პარალელური წრფეები”.

– დახაზე ორი ურთიერთგადამცემი წრფე. (ხაზავს) თქვი: „გდამცემი წრფეები”.

– კვეთენ თუ არა წრფეები ერთმანეთს №1 ნახაზზე?

– კვეთენ თუ არა წრფეები ერთმანეთს №2 ნახაზზე? როგორ ვიპოვოთ პერტილის წერტილი?

- პერიოდული მასალები ერთმანეთს №3 ნახაზზე? დააწერე ასო კვეთის წერტილს, თუ ასეთი არსებობს და ჩამოაყალიბე დასკვნა, რომელიც გვეტყვის, რომ ეს ორი წრფე კვეთს ერთმანეთს რომელიდაც წერტილში, ან არ კვეთს. წრფეებიც დაასახელე და კვეთის წერტილიც.



დაფასთან გამოჰყავს სხვა მოსწავლე და ავალებს: – მონიშნე ორი წერტილი – *A* და *B*. დახაზე წრფე ისე, რომ გაიაროს ორივე წერტილზე – *A*-ზეც და *B*-ზეც.

– რამდენი წრფის გავლებაა შესაძლებელი ორ წერტილზე?


მასწავლებელი დაფაზე მონიშნავს ერთ წრფეზე არამდებარე სამ წერტილს და ეკი- თხება კლასს: – შეიძლება წრფე ისე გავავლო, რომ ამ სამივე წერტილზე გაიაროს? თუ ვინმე დადებით პასუხს გასცემს, შეამოწმონ სახაზავოთ.

III. გაკვეთილის თემის დასახელება

- დახაზე წრფე. მონიშნე მასზე *A* წერტილი. რა ფიგურებად დაყო წრფე *A* წერტილმა? თითოეული სხივის რა ელემენტია *A* წერტილი? (სათავე)
- მონიშნე წრფეზე მეორე წერტილი – *B* წერტილი. რა ფიგურად წრფის ის ნაწილი, რომელიც *A* და *B* წერტილებითაა შემოსაზღვრული?
- ვინ მიხვდა რა არის ჩვენი დღეგანდელი გაპეტილის თემა?
- დიახ, დღეს ჩვენი გაკვეთილის თემაა – სხივი, მონაკვეთი, მონაკვეთის სიგრძე. სხივსა და მონაკვეთს მოსწავლე ფორმალურ დონეზე წინა კლასებშიც იცნობდა. ამ შემთხვევაში ცნებებს მეტი შინაარსი ეძლევა.

IV. ახალი მასალის ახსნა

მასწავლებელმა უნდა დაახაზინოს მოსწავლეებს სხივი, მონაკვეთი, წრფე და პკითხოს თუ რა განსხვავებასა და მხგავსებას ხედავენ მათ შორის. დაფაზე შესრულებულ ქვემოთ მოცემულ ნახაზზე აუცილებლად უნდა აღნიშნონ,



რომ ნახაზზე მოცემულია *AB* წრფე და *AB* მონაკვეთი. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ *A* და *B* წერტილები წარმოადგენენ *AB* მონაკვეთის ბოლოებს და *AB* მონაკვეთი წრფის ნაწილია. ერთმანეთში რომ არ აერიოთ, დასაწყისში მაინც, უმჯობესია, წრფე ერთი პატარა ასოთი აღნიშნონ ხოლმე.

– ვინ გვეტყვის რა არის სხივი? (ეს არის წრფის ნაწილი, რომელსაც აქვს საწყისი (სათავე) და არა აქვს ბოლო) რას წარმოადგენს სხივის სათავე? (წერტილს)

გაკვეთილის მსგლელობა მიმდინარეობს სახელმძღვანელოს მიხედვით. სწავლობენ მონაკვეთისა და სხივის ჩაწერა წაკითხვას. იმეორებენ სიგრძის საზომ ერთეულებს და მათ შორის კავშირს. საზავენ და ზომავენ (I გაკვეთილზე სახაზავით) მონაკვეთებს.

V. დამოუკიდებელი სამუშაო

მასწავლებელი სთავაზობს დასარიგებელ ბარათებზე მოცემულ დავალებებს.

დასარიგებელი ბარათის ნიმუში

1. მონიშნე 4 წერტილი და აღნიშნე ისინი ასოებით.
2. ფურცელზე დახაზე სამი მონაკვეთი სხვადასხვა მდებარეობაში (ვერტიკალურად, დახრილი, ჰორიზონტალური), ერთი სიგრძე იყოს 3სმ, მეორის – 4 სმ, მესამის – 5 სმ.
3. გაზომე მოცემული მონაკვეთების სიგრძეები (მასშავლებელი უხაზავს 3-4 მონაკვეთს).
4. დახაზე ორი გადამკვეთი და ორი პარალელური მონაკვეთი.

ბარათზე მოცემულ დავალებას მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ. მასშავლებელი ჩამოვლით ამოწმებს მოსწავლეების ნამუშევრებს. აძლევს საჭირო მითითებებს. ასწავლის ფანქრისა და სახაზავის სწორად დაჭერასა და გამოყენებას, სახაზავით მონაკვეთის სიგრძის გაზომვას.

ზეპირად პასუხობენ №1–4, №7–9 საგარჯიშოებს. ასრულებენ სავ.№5, №6, №13-ის შესაბამისს ნახაზებს.

VI. შედეგების შეჯამება

- რა იყო ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის მიზანი? მივაღწიეთ მიზანს?
- როგორ გავზომოთ მონაკვეთის სიგრძე სახაზავით?
- რა მოგეწონათ გაკვეთილზე? რა გაგიჭირდათ?

VII. საშინაო დავალება: სავ.№10, №12, №14.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები
სავ.№5. სრულდება შესაბამისი ნახაზი. პასუხი: შეკრული წირი (ტეხილი).

სავ.№6. ასრულებენ შესაბამის ნახაზს. პასუხი 6.

სავ.№9. პასუხი: ა) $AE = AC + CE$; ბ) $DB = DC + CB$; გ) $AC = AE - CE$; დ) $BC = DB - DC$.

II გაკვეთილი

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

- 1) – რამდენი წრფის გავლება შეიძლება ერთ წერტილზე? ორ წერტილზე? გვაჩვენე ნახაზზე.
- რამდენი მრუდე წირის გავლება შეიძლება ერთ წერტილზე? ორ წერტილზე? გვაჩვენე ნახაზზე.
- როგორ ფიქრობთ, წერტილების რა მინიმალური რაოდენობაა საჭირო წრფის ასაგებად?
- დახაზე AC წრფე და მისი გადამკვეთი AB წრფე. რა შეგიძლია თქვა AC და AB წრფეებზე? ა წერტილზე?
- დახაზე a წრფე, მონიშნე მასზე თანმიმდევრობით A , C და B წერტილები.
 - დაასახელე ყველა სხივი, რომელიც ნახაზზე მიიღე;
 - დაასახელე ყველა მონაკვეთი, რომელიც ნახაზზე მიიღე;
 - გამოთვალე AC მონაკვეთის სიგრძე, თუ ცნობილია, რომ $AC=4$ სმ 6მმ და $BC=5$ სმ 8მმ;
 - გამოთვალე AC მონაკვეთის სიგრძე, თუ ცნობილია, რომ $AB=8$ მმ და $BC=8$ სმ.

III. გაკვეთილის თემის დასახელება

- თქვენ უკვე მიხვდით ალბათ, რა თემაზე უნდა ვიმუშაოთ დდეს. (ვაგრძელებთ სხივისა და მონაკვეთის შესწავლას)

განმტკიცება. ჯგუფური სამუშაო

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. ხსნიან სავ.№15, №17, №19, №21. ბოლო 9-10 წუთი დაეთმობა ჯგუფურ მეცადინეობას.

ჯგუფში გაერთიანდება არაუმეტეს 5-6 მოსწავლე.

მიზანი: მასალის ათვისებისა და მოსწავლეთა ყურადღებიანობის შემოწმება.

ჯგუფური მეცადინეობის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ტექსტს, რომელიც მოცემულია რუბრიკით: „ეს საინტერესოა!“.

მასწავლებელი: – დავალება 1-ის ნახაზი ააგეთ სუფთად და სწორად. თუ რაიმე ტოლობებია დასაწერი, დაწერეთ.

ჯგუფები ორიგე დავალებას სახატავი რვეულის ფურცლებზე ან ფორმატზე ასრულებენ.

მასწავლებელი 7-8 წუთის შემდეგ ერთდროულად გამოიყვანს ყველა ჯგუფის თითო წარმომადგენელს, რომელსაც ჯგუფი წარადგენს. ყველა ნაშრომს გამოსახუნ ადგილზე დებენ. სათითაოდ განიხილავენ თითოეული ჯგუფის მიერ შესრულებულ I დავალებას. ყურადღება მიექცევა იმას, თუ

- რამდენად სწორად და სუფთად ააგებენ ნახაზს;
- როგორ მონიშნავენ წერტილებს;
- როგორ გამოითვლიან და როგორ ჩაწერენ მონაკვეთების სიგრძეებს;
- როგორ გადაზომეს AC, CD, DK, KE მონაკვეთები;
- გამოიყენეს თუ არა ფარგალი;
- ჩაწერა ან გამოიყენა თუ არა რომელიმე ჯგუფმა $AE = 6 \times OA$ ტოლობა ან მსგავსი სხვა ტოლობა.

მასწავლებელი: – მაჩვენეთ AK მონაკვეთის შუაწერტილი. (აჩვენებენ) როგორ შევა-მოწოთ, არის თუ არა დასახელებული წერტილი AK მონაკვეთის შუაწერტილი?

IV. საშინაო დავალება: სავ.№16, სავ.№21.

სავ. №15 ნახაზზე უნდა დაითვალონ, რამდენი უჯრის გვერდის სიგრძის ტოლია ამა თუ იმ მონაკვეთის სიგრძე და ისე უპასუხონ დასმულ კითხვას. **პასუხი:** $AB = MN$.

მასწავლებელი ნახაზის მიხედვით სვამს დამატებით კითხვებს:

- რომელ მონაკვეთს აქვს მეტი სიგრძე CD -ს თუ RH -ს? AB -ს თუ EF -ს?
- რომელი მონაკვეთია უდიდესი? უმცირესი?

სავ.№17. მასწავლებელი: – დაასახელეთ რომელ მონაკვეთებს ხედავთ ნახაზზე.

- რა შეგიძლიათ ოქვათ ამ მონაკვეთების შესახებ?
- როგორ გამოვსახოთ AC მონაკვეთის სიგრძე AB და BC მონაკვეთების სიგრძეების საშუალებით? ($AC = AB + BC$)

– რამდენი ჯამია შესამოწმებელი? (3) რომელი მათგანია სწორი? (არც ერთი)

– როგორ გამოვსახოთ AB მონაკვეთის სიგრძე AC და BC მონაკვეთების სიგრძეების საშუალებით? (მათი სხვაობით: $AB = AC - BC$)

– წერია თუ არა ეს ტოლობა ჩამონათვალში? (დიახ, ეს ტოლობა)

– სწორია თუ არა δ ტოლობა? (არა) ეს ტოლობა? (არა) რატომ?

სავ. №18. პასუხი: ა) $AB = CD + 2\text{სმ}$; ბ) $EF = MN - 5\text{სმ}$.

სავ. №19. პასუხი: ა) $AB = 3\text{სმ}$; ბ) $MB = 13\text{სმ} 5\text{მმ}$.

სავ. №24. პასუხი: თუ A წერტილი ეკუთვნის BC მონაკვეთს, მაშინ $AC = 1\text{სმ}$, ხოლო თუ B წერტილი ეკუთვნის AC მონაკვეთს, მაშინ $AC = 7\text{სმ}$.

სავ. №25. ამოხსნა

$$\begin{array}{ccccccccc} A & x & M & x & C & y & N & y & B \\ \hline & & & & & & & & \end{array}$$

$$AB = AC + CB = 2x + 2y = 3\text{სმ}, \text{ აქედან } MN = MC + CN = x + y = 1\text{სმ} 5\text{მმ}$$

სავ. №26. პასუხი: თუ C წერტილი ეკუთვნის AB მონაკვეთს, მაშინ 13სმ , ხოლო თუ B


წერტილი ეკუთვნის AC მონაკვეთს, მაშინ 35 მმ.

სავ. №27. არის ორი შემთხვევა:

I შემთხვევა. C წერტილი AB მონაკვეთის შეუადგინებელია.



II შემთხვევა. C წერტილი AB მონაკვეთის გარეთ AB სხივზე მდებარეობს.



§1.8 ტეოლი

მიზანი: გავახსენოთ:

- რა არის ტეოლი;
- რა არის ტეოლის მდგენი;
- ტეოლის სახეები;
- ტეოლის სიგრძის გამოთვლა;
- ტეოლის ბოლოების შემაერთებელი მონაკვეთის თვისება; პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლეს უნდა შეეძლოს
- ტეოლის დახაზვა;
- ნახაზზე ტეოლის გამორჩევა სხვა ფიგურებისაგან;
- მდგენი მონაკვეთების რაოდენობის დადგენა, ამოცნობა, წაკითხვა და ჩაწერა;
- ტეოლის სიგრძის გაზომვა;
- ტეოლის ბოლოების შემაერთებელი მონაკვეთის თვისების (კერძოდ, სამკუთხედის უტოლობის) გამოყენება ამოცანების ამოსახსნელად.

მეთოდური კომენტარები:

ტეოლს მოსწავლეები უკვე იცნობენ. ამ გაკვეთილის მიზანი შესაბამისი ცოდნის გამეორება და გაღრმავებაა.

სასურველია, ამთავითვე ყურადღება გავამახვილოთ ე.წ. სამკუთხედის უტოლობაზე: „სამკუთხედის ნებისმიერი გვერდის სიგრძე დანარჩენი ორი გვერდის სიგრძეთა ჯამზე ნაკლებია, ან სხვანაირად (რაც ახალია მათვის), ერთ წრფეზე არამდებარე სამი A , B და C წერტილისათვის $AC < AB + BC$ (შევნიშნოთ, რომ ტოლობას ადგილი აქვს იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა B წერტილი AC მონაკვეთს ეკუთვნის. ამის ცხადად წარმოსადგენად საგნები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა. საგნებად ფანჯრების და სახაზავების გამოყენება შეიძლება.

კლასში განიხილება პარაგრაფში მოცემული მასალა, ზეპირად ასრულებენ №1–4, №6, №9, №11, №13, №14, №16, №17, №19 სავარჯიშოებს.

საშინაო დავალება: სავ. №7, №8, №10.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №11. ა) ANT მეტია KT მონაკვეთით; ბ) მოსწავლეებს შეუძლიათ თვალზომით (ANT უფრო დიდი სამკუთხედია, ვიდრე ANK) ან სახაზავის დახმარებით შეადარონ პერიმეტრები. თუმცა, უკეთესი იქნება დასაბუთებაში სამკუთხედის უტოლობა გამოიყენონ. მოვიყვანოთ ეს დასაბუთება: $P_{ANK} = AN + NK + AK$, მაგრამ სამკუთხედის უტოლობის (ან რაც იგივეა, ტეოლის თვისების) ძალით $AK < KT + AT$ ე.ი.

$P_{ANK} = AN + NK + AK < AN + NK + KT + AT = AN + NT + AT = P_{ANT}$. პასუხი: $P_{ANK} < P_{ANT}$.

განხილული ამოცანიდან გამოვიტანოთ დასკვნა, რომელიც „აბა სცადეს“ ამოცანაში გამოადგებათ მოსწავლეებს: თუ სამკუთხედი რაიმე წრფით გაყოფილია ორ სამკუთხედად, მაშინ თითოეული ნაწილის პერიმეტრი მთლიანი სამკუთხედის პერიმეტ-


რზე ნაკლები იქნება.

სავ. №12. წერტილები ისე უნდა შეერთდეს, რომ მიღებულ მონაკვეთებს საერთო მხოლოდ ბოლოები ჰქონდეთ.

სავ. №13. MKD ტეხილის სიგრძე მეტია, რადგან $EK + KF > EF$.

სავ. №14. მოსწავლები ადვილად მიხვდებიან, რომ უმოკლესი გზაა შავი ფერის (სწორი გზა უმოკლესია). თვალზომით შეადარებენ წითელ და ლურჯ გზებს (წითელი მეტია) და სახაზავითაც შეამოწმებენ.

„აბა, სცადე!“



ABD სამკუთხედი ABK სამკუთხედის ნაწილია, ხოლო ABK სამკუთხედი ABC სამკუთხედის ნაწილი. ამიტომ, №11 სავარჯიშოში გაქვთებული დასკვნის ძალით,

$$P_{ABD} < P_{ABK} < P_{ABC}.$$

§1.9 მასა. მასის საზომი ერთეულები

მიზნები:

- გავაცნოთ მასის საზომი ერთეული – მილიგრამი;
- გავამეორებინოთ მასის საზომი ერთეულების ცხრილი.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს მასის საზომი ერთეულების ცხრილი.

უნდა შეეძლოს:

- ერთი საზომი ერთეულით წარმოდგენილი შედეგების სხვა საზომ ერთეულებში გამოსახვა;
- მასის საზომ ერთეულთა შორის თანაფარდობის გამოყენება ამოცანების ამოხსნისას;
- ამოცანების ამოხსნა მასის ერთეულების გამოყენებით.

მასალა: სასწორი, ასაწონი საგნები.

გაპეტილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

III. გაპეტილის თემის გაცნობა

– ვიცი, რომ გაინტერესებოთ რა უნდა ვისწავლოთ დღეს. ამოხსენით მაგალითები.

მიღებული შედეგები დაადაგეთ ზრდის მიხედვით და გაიგებთ ჩვენი დღეგანდელი გაპეტილის თემას.

$$360 \cdot 100 - \text{ა}; \quad 4500 \cdot 900 - \text{ა}; \quad (12360+7640):20 - \text{ს}; \quad 140:70 - \text{გ}. \quad (\text{მასა})$$

– რა სიტყვა მივიღეთ? (მასა)

– დღეს მასაზე უნდა ვისაუბროთ. თქვენ უკვე ბევრი რამ იცით მასისა და მასის საზომი ერთეულების შესახებ. რაც იცით, იმას გავიმეორებოთ და მასის კიდევ ერთ საზომ ერთეულს – მილიგრამს გავეცნობით.

IV. საგნის მასისა და მისი საზომი ერთეულების შესახებ მიღებული ცოდნის გამეორება

1) – რა ერთეულებში იზომება საგნის მასა? (გრამი, კილოგრამი, ცენტნერი, ტონა)

– ამათგან რომელია ყვალაზე მცირე საზომი ერთეული? ყველაზე დიდი?

– რა დამოკიდებულებაა მასის საზომ ერთეულებს შორის? წერენ:

$$1\text{გ}=1000\text{კგ}, \quad 1\text{კგ}=100\text{გ}, \quad 1\text{ტ}=1000\text{კგ}.$$

– რაში ვიყენებოთ საზომი ერთეულების ცოდნას?

2 ანამ პკითხა თავის ძმებს, ბეჭედოთ რამდენს იწონისო? –

ბიჭებმა უპასუხეს:

მათე – 3000 კბ;

გიგი – 3ტ;

დემეტრე – 30ტ,

– რომელმა თქვა სიმართლე? (პასუხისმგებელი)

3) დათვი 300 კბ-ს იწონის, კურდღლელი 3000გ-ს. რომელია მძიმე და რამდენჯერაა მძიმე: დათვი თუ კურდღლელი?

4) აფრიკული სპილო 7ტონას და 500კბ-ს იწონის, გრენლანდიური კუშაპი 150ტონას. რომელია მძიმე და რამდენჯერაა მძიმე – სპილო თუ კუშაპი?


V. ახალი საზომი ერთეულის გაცნობა

– რაც თქვენ იცით, მასის იმ საზომ ერთეულებს შორის კუნძულის მცირება გრამი. არსებობს გრამზე უფრო მცირე საზომი ერთეული. ესაა მილიგრამი, შემოკლებით „მგ“. 1 გ=1000 მგ. ასეთი მცირე საზომი ერთეულების გამოყენებაც სჭირდება ადამიანს. ამ საზომ ერთეულს ძირითადად ქიმიკოსები და ფარმაცევტები იყენებენ, ისინი, ვისაც მცირე მასის საგნებოან უწევთ მუშაობა.

VI. განმტკიცება

– ავაგოთ საზომ ერთეულთა კიბე. დამეცნიერებით?

– კუნძულის დაბალ საფეხურზე რომელი ერთეული განვათავსოთ? (კუნძულის მცირე – მგ) შემდეგ? და ა. შ. მსჯელობები, აგებენ კიბეს, რომელიც ასეთ სახეს მიიღებს:



მასწავლებელმა კაბინეტში უნდა იქონიოს სხვადასხვა სახის სასწორი და აჩვენოს მოსწავლეებს, თუ როგორ ხდება საგნების აწონვა თითოეულ მათგანზე. თითოეულ მოსწავლეს ერთხელ მაინც უნდა აცდევინოს ბრინჯის, ლობიოს, ჩანთისა თუ რაიმე სხვა საგნის აწონვა. ამ დროს მან თვალყური უნდა ადგენოს, თუ რამდენად სწორად საზღვრავს ბავშვი აწონვის შედეგს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია 5-6 კგ-მდე მასის მქონე საგნების აწონვა (საგნების გაერთიანებით მიიღებს ამ მასას). უნდა განუმარტოს ჩანაწერების შინაარსი ელექტრონულ სასწორზე. მოსწავლე კარგად უნდა გაერკევს ამ ჩანაწერებში. მასწავლებელი მოსწავლეებს წინა დღეს დავალებად აძლევს გარკვეული წონის საგნების მოგანას. მოტანილი აწონილი საგნების აწონვის სიზუსტის შემოწმება ხდება კლასში, მასწავლებელთან ერთად.

მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ, აგრეთვე, რომ აწონვის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს, არის თუ არა სასწორი გაწონასწორებული.

თითოეულმა მოსწავლემ უშეალოდ უნდა ნახოს როგორ ხდება სასწორის გაწონას-წორება საგნის აწონვისას. მაგალითად, ამ მიზნით სასწორის ერთ თევზზე დებენ 1 კგ მასის მქონე საგანს, მეორეზე – 500 გ-იან საწონს. მასწავლებელი მოსწავლეებს სხვადასხვა მასის საწონებს სთავაზობს, რომელთაგან მოსწავლე ირჩევს იმას, რომელიც სასწორს გააწონასწორებს.

შემდეგ ერთ თევზზე დებს 1კგ-დან 2 კგ-მდე, ვთქვათ, 1კგ 800გ მასის მქონე საგანს, მეორეზე – 1 კგ – იან საწონს. მოსწავლე სასწორს აწონასწორებს.

ცოდნის გაღრმავების მიზნით კლასში წონიან სხვადასხვა საგნებს. ეს პროცესი შეძლება მასწავლებელმა ასე წარმართოს:

- 1) გაწონასწორებულ სასწორზე დადებული საგნის მასის გარკვევა.
- 2) უკვე აწონილი საგნის აწონვის სიზუსტის შემოწმება – აწონვით.
- 3) სასწორის ერთ თევზზე გარკვეული მასის საწონებია. მოსწავლე მეორე თევზზე დებს იმავე მასის საგანს (მაგალითად, წიგნს, რვეულს ან კალამს)

4) სასწორის ერთ თევზზე გარკვეული მასის საგანია. მოსწავლე მეორე თევზზე დებს იმავე მასის საწონებს. შედეგებს წერენ დაფაზე.

მოსწავლისათვის თევზებიან სასწორზე აწონების პროცესი ადვილი არაა, ამიტომ მასწავლებელმა ხშირად უნდა აჩვენოს მას ეს პროცესი, რათა შეძლოს სხვადასხვა სახის სასწორზე სწრაფად და სწორად აწონვა.

შუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. ზეპირად პასუხობენ №1, №3, სავარჯიშოებს, ხსნიან №5, №7, №9, №10 სავარჯიშოებს.

მასწავლებელი მიუთითებს მასის საზომ ქართულ ერთეულებზე და სოხოვს მოიფიქრონ ამოცანები ქართული საზომი ერთეულების გამოყენებით.

VII. შედეგების შეჯამება

- რა თემაზე ვიმუშავეთ?
- რა გავიმეორეთ და ახალი რა ვისწავლეთ?
- რამდენად კმაყოფილი ხარ დღევანდელი შენი ნამუშევრით?

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წერს შეფასებას.

VIII. საშინაო დაგალება: №2, №4, №8 სავარჯიშოები.

მეორე გაკვეთილზე კლასში განიხილება № 10, 11, 13, 15 სავარჯიშოები და რუბრიკა „ეს საინტერესოა“.

საშინაო დაგალებად ეძლევათ №12, 16 სავარჯიშოები და „აბა, სცადე!“

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

საგ№3 დაფაზე და რეეულებში ხსნიან: а) – გ) დაგალებებს, დანარჩენს დამოუკიდებლად ასრულებენ.

საგ. №10. წაიკითხავენ და გაანალიზებენ ამოცანას. ამოხსნის გზის მოძებნა თუ გაუჭირდათ, მასწავლებელი გეზს მისცემს კითხვებით:

- რამდენი აბი უნდა მიიღოს ავადმყოფმა ერთ დალევაზე? (ნახევარი)
- რამდენ მილიგრამს იწონის 1 აბი? (200გგ). ნახევარი აბი? (100გგ).
- დღეში რამდენჯერ სვამს ავადმყოფი წამალს? (3-ჯერ)
- ავადმყოფმა დღეში სამჯერ უნდა მიიღოს ნახევრი აბი წამალი. რამდენ მილიგრამ წამალს მიიღებს იგი დღეში? (300გგ) 5 დღეში? (5-ჯერ მეტს, ანუ 1500გგ-ს.)

საგ. №11. პასუხი: 2ლ ვერცხლისწყალი.

საგ. №13. ერთ დღეში ავადმყოფი 100გგ წამალს მიიღებს, ერთ კვირაში კი 700გგ-ს. მაშასადამე, ერთ კვირაში დასჭირდება $700 : 100 = 7$ (აბი).

„აბა, სცადე!“ ნახევარი ნეხვი 1კგ 500გ-ს იწონის, ამიტომ მეოთხედი საზამთროს წონაა $1\text{კგ } 500\text{გ} + 500\text{გ} = 2\text{კგ}$, ხოლო მთლიანის წონა - 8კგ.

I თავის დამატებითი სავარჯიშოები

მიზანი: I თავში შესწავლილი მასალის განმტკიცება.

მასწავლებელი თავისი შეხედულებისა და საჭიროების მიხედვით შეარჩევს ამოცანებსა და მაგალითებს.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

საგ№8. а) „უპო“; ბ) „ჩპოზ“; გ) „ცო“; დ) „ჰრ“ ე) „ჩყპე“.

საგ№9. а) 8654; ბ) 9441; გ) 1999.

საგ№10. а) 124; ბ) 157; გ) 29; დ) 314 ე) 80.

საგ№21. а) 13406; ბ) 89406.

საგ№25. а) კაპლის; ბ) კაპლის $27 \times 8 = 216\text{მ}$, ჭერმის $36 \times 5 = 180\text{მ}$.

შემაჯამებელი სამუშაო №1 (შეფასების სქემით)

I ვარიანტი

- დაწერე რიცხვი, რომელიც
 - 1-ით მეტია უდიდეს შვიდნიშნა რიცხვზე;
 - 1-ით ნაკლებია უმცირეს სამნიშნა რიცხვზე.
- ჩაწერე ციფრებით რიცხვები:
 - შვიდი მილიონ ცრაას თხუთმეტი ათას სამასოცდაერთი;
 - თორმეტი მილიარდ ოცდაცამეტი მილიონ ხუთას ოცდაორი ათას ექსი.
- გამოთვალე რომაული ციფრებით ჩაწერილი ჯამი: **CXIV + LXXI.** პასუხი ისევ რომაული ციფრებით ჩაწერე.
- რომელია მეტი:
 - 2 კბ თუ 1575გ ბ) ნახევარი გრამი თუ 650მგ
- დახაზე 10 სმ სიგრძის AB მონაკვეთი. ამ მონაკვეთზე მონიშნე M და N წერტილები ისე , რომ $AM = 7$ სმ, ხოლო $BN = 5$ სმ. გამოთვალე MN მონაკვეთის სიგრძე.

II ვარიანტი

- დაწერე რიცხვი, რომელიც
 - 1-ით მეტია უდიდეს რვანიშნა რიცხვზე;
 - 1-ით ნაკლებია უმცირეს ოთხნიშნა რიცხვზე.
- ჩაწერე ციფრებით რიცხვები:
 - რვა მილიონ ოთხას თხუთმეტი ათას სამასოცდაერთი;
 - ჩვიდმეტი მილიარდ ორმოცდაცამეტი მილიონ სამას ოცდაერთი ათას ოთხი.
- გამოთვალე რომაული ციფრებით ჩაწერილი ჯამი: **LXXI + CXIV.** პასუხი ისევ რომაული ციფრებით ჩაწერე.
- რომელია მეტი:
 - 3 კბ თუ 2796 გ ბ) ნახევარი გრამი თუ 450მგ
- დახაზე 10 სმ სიგრძის AB მონაკვეთი. ამ მონაკვეთზე მონიშნე M და N წერტილები ისე , რომ $AM = 5$ სმ-ს, ხოლო $BN = 3$ სმ-ს. გამოთვალე MN მონაკვეთის სიგრძე.

შევასების სქემა

- დაწერა ა) 10 000 000 ----- 1 ქულა;
ბ) 99 ----- 1 ქულა; ა) და ბ) --- 2 ქულა
- ჩაწერა ა) 7 915 321 --- 1 ქულა;
ბ) 12 033 522 006 --- 1 ქულა; ა) და ბ) --- 2 ქულა
- ჩაწერა მოცემული ჯამი ციფრებით $114 + 71$ ----- 1 ქულა
გამოთვალა ჯამი და ჩაწერა რომაული ციფრებით CLXXXV --- 2 ქულა.
- ა) 2 კბ > 1575 გ ----- 1 ქულა;
ბ) ნახევარი გრამი $= 500$ მგ < 650 მგ --- 1 ქულა; ა) და ბ) --- 2 ქულა
- დახაზა შესაბამისი ნახაზი ----- 1 ქულა
გამოთვალა $MN = 2$ სმ ----- 2 ქულა

დონე	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ქულა	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა

თავი 2

გამოსახულება. კუთხე. მრავალკუთხედი.

ამ თავში რიცხვით გამოსახულებებთან ერთად განიხილება გამოსახულებები, რომლებშიც რიცხვები ასოებით არის ჩანაცვლებული. ასეთ გამოსახულებებს ასოთი, ანუ აღგებრული გამოსახულებები ეწოდება. ასოთი გამოსახულებების შემოტანა ახალი და მნიშვნელოვანი საფეხურია, ამიტომ ეს თანდათანობით, ეტაპოვრივად ხდება.

I ეტაპზე გავამეორებინებთ რიცხვით გამოსახულებას, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლას, არითმეტიკული მოქმედების შესრულების რიგის დაცვის წესებს, გამოსახულებათა მნიშვნელობების შედარებას.

გამოსახულებათა შედარებაზე მოცემული ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს ტოლობისა და უტოლობის ცნებების, გამოთვლების ჩვევების ჩამოყალიბებას, ნუმერაციისა და არითმეტიკული მოქმედებების შესახებ ცოდნის განმტკიცებას.

II ეტაპზე გავაცნობთ ასოების შემცველ „აღგებრულ გამოსახულებას”, ანუ „ასოთი გამოსახულებას“, მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლის წესს.

III ეტაპზე გავაცნობთ განტოლებას და ვასტავლით მის ამოხსნას.

IV ეტაპზე ვასტავლით არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებებისა და სხვასხვა სიდიდეთა შორის დამოკიდებულებების ასოთი სახით ჩაწერას.

V ეტაპზე ვასტავლით ამოცანების ამოხსნას განტოლების გამოყენებით.

§2.1 რიცხვითი გამოსახულება (2სო)

მიზანი: ვასტავლოთ რიცხვითი გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა სიტყვების: „ჯამი”, „სხვაობა”, „ნამრავლი” და განაყოფი” გამოყენებით.

პარაგრაფის შესტავლის შედეგად მოსტავლემ უნდა იცოდეს:

- რიცხვითი გამოსახულების წაკითხვა;
- არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულების რიგის დაცვა.

უნდა შეეძლოს:

- როგორც უფრჩილებო, ისე ფრჩხილებიანი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;
- გამოსახულების ჩაწერა კარნახით;
- რიცხვითი გამოსახულების შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით.

მეთოდური კომენტარები:

გაკვეთილი იწყება რიცხვითი გამოსახულებისა და მისი მნიშვნელობის განმარტებით, გამოსახულებების წაკითხვითა და ჩაწერით. ჯერ მარტივი რიცხვითი გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა ხდება, (ჯამი, სხვაობა, ნამრავლი, განაყოფი), შემდეგ – უფრო რთული გამოსახულებების. მოსტავლე უნდა მიეჩვიოს მეტყველების დროს ტერმინების: „გამოსახულება”, „გამოსახულების მნიშვნელობა” გამოყენებას, გამოსახულების სტორად წაკითხვას. გაკვეთილზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რთული გამოსახულების წაკითხვას. მასტავლებელი აცნობს მოსტავლეებს ასეთი გამოსახულებების წაკითხვის წესებს: თუ გამოსახულებაში რამდენიმე არითმეტიკული მოქმედებაა, უნდა დაგაკვირდეთ მათი შესრულების თანმიმდევრობას და გავარკვიოთ, რომელი მოქმედება სრულდება ყველაზე ბოლოს. მაგალითად, $405.5+17 \times 18$ გამოსახულება შეიცავს ორივე საფეხურის მოქმედებებს. პირველ რიგში გაყოფა და გამრავლება სრულდება, ბოლოს კი – შეკრება. ამიტომ მოცემული გამოსახულება არის ორი მარტივი გამოსახულების ჯამი.

მოსტავლემ უნდა იცოდეს, რომ „შევადაროთ გამოსახულებები” ნიშნავს შევადაროთ მათი მნიშვნელობები.

მასალის ახსნა მოხდება სახელმძღვანელოს მიხედვით.

პირველ გაკვეთილზე განიხილება პარაგრაფში მოცემული თეორიული მასალა. №1,

№5, №6, №7-ის №8, №11 და №13 საგარჯიშოებს ხსნიან ზეპირად. დამოუკიდებელად ამოხსნიან: I ვარიანტი – სავ.№12, II ვარიანტი – №14.

II გაკვეთილზე კლასში იმუშავებენ: სავ.№15, №17, №19, №24, №25.

საშინაო დავალებად ექნებათ: სავ.№16, №18, №25.

კომეტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ.№ 5. $5000 - (240 \times 5 + 180 \times 2) = 3440$ ოქთრი=34 ლარი 40 ოქთრი.

სავ.№ 8. $80 \times 3 + 60 : 2 = 270$. პასუხი: 270 კმ.

სავ.№ 12. $12 \times 3 + 8 \times 2$ გამოსახულების მნიშვნელობა, ანუ 52 უნდა შევადაროთ 50-ს. $52 > 50$. პასუხი: არ ეყოფა.

სავ.№13. მასწავლებელი: ამ შემთხვევაში შედარება უნდა შევასრულოთ გამოთვლების გარეშე, რისთვისაც არითმებიყულ მოქმედებათა კანონები უნდა მოვიშველიოთ. დააკვირდით ჯამებს. რას ამჩნევთ? (შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. მაშასადამე, $2 \cdot 222 + 9 \cdot 999 = 9 \cdot 999 + 2 \cdot 222$). ასე აგრძელებენ ამოხსნას.

სავ.№ 14. მასწავლებელი: –ჩამოაყალიბეთ ამოცანა თქვენი სიტყვებით.

– რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? (ნინოს მთლიანი თანხა უნდა შევადაროთ ორი ნამცხვრისა და ერთი კანფეტის საყიდლად საჭირო თანხას).

– რა თანხა აქვს ნინოს? ($20 \times 4 + 10 \times 5$) ოქთრი=130 ოქთრი.

– რა თანხაა საჭირო ორი ნამცხვრისა და ერთი კანფეტის საყიდლად?

($60 \times 2 + 30$) ოქთრი=150 ოქთრი)


– ეყოფა თუ არა ნინოს ფული ორი ნამცხვრისა და ერთი კანფეტის საყიდლად? (არ ეყოფა, რადგან 130 ოქთრი < 150 ოქთრი). პასუხი: არ ეყოფა.

სავ.№ 15. პასუხი: საკმარისია.

სავ.№ 16. გამოთვლა დავიწყოთ უკუსვლით. თაროზე ახლა 34 წიგნია. წიგნების თავ-დაპირველ რაოდენობას დაამატეს 23 და მოაკლეს 8 წიგნი. მაშასადამე, წიგნების თავ-დაპირველი რაოდენობის გამოსათვლელად 34-ს უნდა გამოვაკლოთ ის რაოდენობა, რომელიც დაამატეს და მივამატოთ ის, რაც დააკლეს. მივიღებთ: $34 - 23 + 8 = 19$. მეხუთე-კლასები მოსწავლე განტოლებას ჯერ არ იცნობს, მაგრამ „**-ის და უჯრის გამოყენებით ტოლობების ამოხსნა იცის. შესაძლებელია, რომელიმემ ასეთი ტოლობა დაწეროს: $* + 23 - 8 = 34$ და ამოცანა ისე ამოხსნას. მასწავლებელმა ამოხსნის ეს გზაც უნდა უჩვენოს. პასუხი: თავდაპირველად თაროზე 19 წიგნი იყო.

სავ.№ 17. გამოთვლა დავიწყოთ უკუსვლით. თითოეულ თაროზე ახლა 24 წიგნია. II თაროზე წიგნების რაოდენობა 24 გახდა მას შემდეგ, რაც მასზე I თაროდან 6 წიგნი გადაიტანება. ე. ი. II თაროზე წიგნების თავდაპირველი რაოდენობა იყო $24 - 6 = 18$, ხოლო I-ზე $24 + 6 = 30$. პასუხი: I თაროზე 30, ხოლო II-ზე 18 წიგნი იყო.

სავ.№ 18. ამოცანის ამოხსნისას დახმარებას გაუწევს სქემა:



პასუხი: 12 ჩანგალი.

სავ.№ 19. თანხის ნახევრით ტოლი რაოდენობის ციტრუსი შეიძინეს. მეორე ნახევრით ნიკამ ორჯერ მეტი რაოდენობის ციტრუსი შეიძინა, ვიდრე – ანამ, ვინაიდან მანდარინი 2-ჯერ იაფი დირდა.

სავ.№ 20. $100000 : 800 = 125$. პასუხი: 125.

სავ.№23. а) $1200 \times 950 \text{ გ} = 1140000 \text{ გ} = 1140 \text{ კმ}$. 2500-ს უნდა შევადაროთ $1140 + 1100$ გამოსახულების მნიშვნელობა. $2500 > 2240$. პასუხი: а) გაიაროს (იგულისხმება, რომ მძღოლის მასა არ აღემატება 260 კმ-ს); б) არ გაიაროს.

სავ.№ 24. პასუხი: გ).

სავ.№ 25. პასუხი ალუბლის 162, აკაციის 54. ალუბლის, 3-ჯერ.

სავ.№ 26. ანა-1მ 45სმ, დათო – 1მ 42სმ, ლალი-1მ 39სმ, დემტრე-1მ 35სმ.

§2.2 ასოითი გამოსახულება

მიზანი: გავაცნოთ ასოითი გამოსახულება.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- როგორ იკითხება ასოითი გამოსახულება;
- რა არის ასოს რიცხვითი მნიშვნელობა;
- როგორ გამოითვლება ასოითი გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ასოითი გამოსახულების კარნაბით ჩაწერა;
- ასოითი გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა მასში შემავალი ასოების სხვადასხვა რიცხვითი მნიშვნელობისათვის.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

1) წაიკითხე გამოსახულება:

- ა) 4 005 879 231 – 898 999 220; ბ) 2 589 996 663 + 25987;
გ) 30258 : 9 – 102 დ) (3 210 083+789) · 3
ჟ) 807 452 504 – (459 123 + 248 789) ვ) 32 578 944 + (7 775 009 – 2 368 790)
2) ერთ ქაღაქში 457 000 მცხოვრებია, მეორეში 243 000. რამდენი მცხოვრებია ორივე ქაღაქში? შეადგინე გამოსახულება, წაიკითხე და ზეპირად უპასუხე.
3) მართკუთხედის სიგრძე 12 სმ-ია, სიგანე 18 სმ. გამოთვალე მართკუთხედის პერიმეტრი. შეადგინე გამოსახულება, წაიკითხე და ზეპირად უპასუხე.

III. გაკვეთილის თემის გაცნობა

- რა წავიკითხეთ I დაგალებაში? (გამოსახულება)
– რა შევადგინეთ ამოცანების ამოსახსნელად?
– როგორი გამოსახულებები ვიცით? (რიცხვითი)
რას ვიყენებთ რიცხვითი გამოსახულების ჩასაწერად?
– როგორ გამოსახულებას ჰქვია რიცხვითი გამოსახულება?
– რას ნიშნავს გამოთვე „იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა“?
– რა წესით ვათხობთ გამოსახულებას? (ყველაზე ბოლოს შესასრულებელი მოქმედების მიხედვით)
– გინახავთ ისეთი გამოსახულება, რომელიც ასოს შეიცავს? (დიახ) მაგალითად?
(მაგალითად, ამოგვისნია ასეთი დავალება: გამოთვალე $4+x$ გამოსახულების მნიშვნელობა, როცა $x=200$ და კიდევ სხვაც ბევრი)
– იცით რა ჰქვია ასოს შემცველ გამოსახულებას? (საგარაუდოდ, რამოდენიმე მოსწავლისაგან აპარები დადებითი იქნება)
• დღეს უნდა ვისწავლოთ „ასოითი გამოსახულება“, უნდა გავეცნოთ მისი წაიკითხის წესს და მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლას.

ახალი მასალის ახსნა

მასწავლებელი აცნობს ასოით გამო-	$(3 + 4) \times 4$
სახულებას სახელმძღვანელოს ამოცა-	$(3 + 5) \times 4$
ნა 1-ის გამოყენებით. მაგალითი 1-ის	$(3 + 6) \times 4$
განხილვამდე მასწავლებელი დაფაზე	$(3 + 10) \times 4$
წერს რიცხვით გამოსახულებებს:	$(3 + 11) \times 4$
	$(3 + 17) \times 4$

მასწავლებელი: – თუ ცვლადით ვისარგებლებთ, მაშინ ექვსივე გამოსახულება შეგვიძლია გამოვსახოთ – ერთი ჩანაწერით. აბა, რა ჩანაწერით შევცვალოთ?

მოსწავლები წერენ: $(3 + x) \times 4$.

- როგორი გამოსახულება დავწერეთ?
 - რა მნიშვნელობის მიღება შეუძლია $(3 + x) \times 4$ გამოსახულებას, როცა $x = 4$?
და ა. შ. წერენ:
- როცა $x = 4$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 4) \times 4 = 7 \times 4 = 28$;
- როცა $x = 5$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 5) \times 4 = 8 \times 4 = 32$;
- როცა $x = 6$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 6) \times 4 = 9 \times 4 = 36$;
- როცა $x = 10$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 10) \times 4 = 13 \times 4 = 52$;
- როცა $x = 11$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 11) \times 4 = 14 \times 4 = 56$;
- როცა $x = 17$, მაშინ $(3 + x) \times 4 = (3 + 17) \times 4 = 20 \times 4 = 80$.

- დააკვირდით გამოსახულებებს. რა იცვლება და რა არ იცვლება ერთი გამოსახულებიდან მეორეზე გადასვლისას? (იცვლება x -ის მნიშვნელობა და შესაბამისად, გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა.)

- მაშასადამე, თუ გამოსახულებაში ასოს ნაცვლად სხვადასხვა რიცხვს ჩავსვამთ, გამოსახულების მნიშვნელობაც სხვადასხვა იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასოითი გამოსახულების მნიშვნელობა დამოკიდებულია მასში შემავალი ასოების მნიშვნელობაზე.

შემდეგ ხსნიან გაკვეთილის ტექსტში მოცემულ მაგალით 1-ს, რომლის მიხედვითაც ისწავლიან, რომ გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის გამოსათვლელად ჯერ ამ გამოსახულებაში შემავალი ასოები მათი რიცხვითი მნიშვნელობებით უნდა ჩავანაცვლოთ, ხოლო შემდეგ გამოვთვალოთ მიღებული რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა.

IV. განმტკიცება

განმტკიცების მიზნით ხსნიან სავN1, N2, N5, N6, N7, N11 (ზეპირად, რიგის მიხედვით).

V. დამოუკიდებელი სამუშაო I გარიანტი – სავ. N13; II გარიანტი – სავN16.

VI. შედეგების შეჯამება

- რა იყო ჩვენი მიზანი?
- მივადწიეთ მიზანს?
- როგორ გამოსახულებას ჰქვია რიცხვითი გამოსახულება? ასოითი გამოსახულება?
- რას ეწოდება რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა?
- რას ეწოდება ასოითი გამოსახულების მნიშვნელობა?

საშინაო დავალებისა და დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების ხარისხის, გაკვეთილზე აქტიურობისა და გამოვლენილი უნარების მიხედვით მასწავლებელი შეაფასებს რამდენიმე მოსწავლეს.

საშინაო დავალება: სავN3, N4, N10, N12.

II გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება, განმტკიცება
გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს.

I შესაკრები	II შესაკრები	გამოსახულება	ჯამი
11	10	11+10	21
...	
...	

ცხრილის I სვეტში თვითონ წერს მონაცემებს. რიგ-რიგითობით გაჰყავს მოსწავლეები დაფასთან. თითოეული მათგანი თავისი სურვილით არჩევს რიცხვებს და წერს მათ ცხრილის შესაბამის სვეტებში. 5 მოსწავლის გამოსვლის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- შესაძლებელია თუ არა კიდევ ჯამის დაწერა? (დიახ) რამდენი ჯამის დაწერა შეგვიძლია კიდევ? (ბევრის). - როდემდე შეიძლება ვწეროთ ჯამები?
- მაშასადამე, ორი რიცხვის ჯამის დაწერის უამრავი შესაძლებლობა გვაქვს. ზეპირად დაასახელებინებს კიდევ ორ მოსწავლეს შესაკრებებსა და შესაბამის ჯამებს.
- დავაკვირდეთ ცხრილში ჩაწერილ ჯამებს. რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს?
- პასუხობენ, რომ თითოეული ჯამი მიღებულია ორი შესაკრების შეკრებით. ორ რიცხვზე სრულდება მოქმედება – შეკრება. I სვეტში წერია I შესაკრები, II-ში – მეორე შესაკრები, მესამეში ჯამი და მეოთხეში გამოსახულების მნიშვნელობა.)
- დაასახელეთ ცხრილში ჩაწერილი I შესაკრებები. კიდევ რამდენი შესაკრების დასახელება და ჩაწერა შეგვიძლია? (ბევრის.)
- არსებობს თუ არა იმის საშუალება, რომ გავიმარტივოთ საქმე და ამდენი არ ვწეროთ? შეგვიძლია, თუ არა, რომ ერთი და ყველა ამ რიცხვით გამოსახულების მომცველი გამოსახულება დავწეროთ? (ყველა I შესაკრები აღვნიშნოთ რომელიმე ასოთი, მაგალითად, **a** ასოთი.)
- რომელ სვეტში ჩავწეროთ **a**? (I) ვწეროთ **a** ასოს I სვეტში. რა იგულისხმება მასში? (ვგულისხმობთ ცალ-ცალკე აღებულ ყველა I შესაკრებს: 11, 5, 7, 35, 60 და ა. შ.)
- დაასახელეთ II შესაკრებები (10, 42, 34, 8, 25 და ა. შ.). ამ შესაკრებებსაც აღვნიშნავთ ასოთი თუ დავტოვებთ უცვლელად? (ყველა II შესაკრები აღვნიშნოთ **b** ასოთი.)

I შესაკრები	II შესაკრები	გამოსახულება	ჯამი
11	10	11+10	21
5	42	5+42	47
7	34	7+34	31
35	8	35+8	43
60	25	60+25	85
...	
...	
...	
a	b	a+b	

მასში ვგულისხმობთ ცალ-ცალკე აღებულ ყველა II შესაკრებს). **b** ასოთი ჩავწეროთ II შესაკრებების სვეტში, ანუ II სვეტში. როგორ დაიწერება **a** და **b** რიცხვების ჯამი? (**a+b**). რომელ სვეტში ჩავწეროთ **a+b** ჯამი? (III-ში).

- რა ჩავწეროთ IV სვეტში?
- შეგვიძლია თუ არა, IV სვეტში კონკრეტული რიცხვი ნებისმიერად ჩავწეროთ? (არა)
- IV სვეტში მართლაც ვერ დავწეროთ კონკრეტულ რიცხვს. **a+b** არის მათემატიკური გამოსახულება, რომელშიც შესაკრებები ასოებითად გამოსახული. თითოეულ ასოში ნებისმიერი რიცხვი იგულისხმება. იმ რიცხვებს, რა მნიშვნელობაც შეიძლება მიიღონ **a** და **b** ასოებმა, ამ ასოების რიცხვითი მნიშვნელობები ეწოდება.

დაფაზე ცხრილი ჯერ-ჯერობით რჩება, არ შლიან.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფასთან გამოსულ მოსწავლეს სთხოვს დაწეროს ორი ნებისმიერი რიცხვის ჯამი **a** და **b** ასოებისაგან განსხვავებული ასოების გამოყენებით. გამოჰყავს მოსწავლე, რომელიც ასოებს აძლევს კონკრეტულ მნიშვნელობებს და ითვლის მიღებულ ჯამებს.

მასწავლებელი ისევ უბრუნდება ცხრილს და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ **a** ასოს რიცხვითი მნიშვნელობა II ჯამში, **b** ასოს მნიშვნელობა III ჯამში და ა. შ. შემდეგ ცხრილში ჯამი შეიცვლება სხვაობით და წერენ **a-b**-ს. ამაზეც ისევვე მსჯელობენ, როგორც ჯამზე.

III. დამოუკიდებელი სამუშაო.

მასწავლებელი მოსწავლეებს მერხების მიხედვით ურიგებს ბარათებს. ბარათებზე ცხრილებია მოცემული. ერთ რიგს აძლევს შესავსებად ერთი ვარიანტს, მეორეს – მეორე ვარიანტს.

დასარიგებელი ბარათები I ვარიანტი

a	7	10	1000	325
b	120	15	9	2
$a+b$				
$a \times b$				

II ვარიანტი

a	40	100	700	1000
b	4	5	10	50
$a-b$				
$a : b$				

IV. მეორადი განმტკიცება. სახელმძღვანელოზე მუშაობა

ბარათებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე ხსნიან სავN^o15, №17, №18, №23.

V. საშინაო დავალება: სავN^o14, №22

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №9. $4 \times 24 + a = 96 + a$.

სავ. №17. რა დირს 1 ფანქარი? რა ედირება 2 ფანქარი? 3 ფანქარი? n ფანქარი?

რა დირს 1 საშლელი? რა ედირება 2 საშლელი? 3 საშლელი? m საშლელი?

რა ედირება n ფანქარი და m საშლელი ერთად? ($(20n + 15m)$ თეთრი).

სავ. №18. ა) რა პქვია რიცხვს, რომელზეც მოცემული რიცხვი უნაშოოდ იყოფა? (ამ რიცხვის გამყოფი). ამოცანის პირობის მიხედვით უნდა მოვძებნოთ x -ის ის მნიშვნელობები, რომელზეც რიცხვი 8 უნაშოო იყოფა. რიცხვი, რომელზეც 8 უნაშოოდ იყოფა, რას წარმოადგენს 8-ისთვის? (გამყოფს). მაშ რა რიცხვები უნდა მოვძებნოთ? (უნდა მოვძებნოთ 8-ის გამყოფები). დაასახლეთ 8-ის გამყოფები (1, 2, 4, 8.).

–მაშ, რა მნიშვნელობები შეიძლება პქონდეს x -ს? (1, 2, 4, 8. გ) პასუხი: (7 ან 21).

სავ. №19. ა) $2x+8$; ბ) 2.

სავ. №22. თუ მონიშნულ წერილს აღვნიშნავთ A ასოთი, გვექნება ორი შესაძლებლობა: $MA=4$, $AK=8$ და $MA=8$, $AK=4$.

2.3 განტოლება (2სო)

მიზანი: გავეცნოთ განტოლებას და ვისწავლოთ მისი ამოხსნა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

• რა არის განტოლება;

• რას ნიშნავს განტოლების ამოხსნა.

უნდა შეეძლო:

• განტოლების ამოხსნა და იმის დადგენა, წარმოადგენს თუ არა მოცემული რიცხვი განტოლების ამონასს;

• ამოცანის შესაბამისი განტოლების შედგენა.

მეთოდური კომენტარები:

ჯერ-ჯერობით ვასწავლით მზა განტოლების ამოხსნას, ხოლო შემდეგ მის – შედგენა

საც. მეხუთეკლასელმა მოსწავლემ უნდა იცოდეს შემდეგი სახის განტოლების ამოხსნა:

ა) განტოლების მარჯვენა ნაწილი რიცხვითი გამოსახულებაა:

$$40 + x = 478 - 250; \quad 40x = 478 - 258$$

ბ) ერთ-ერთი კომპონენტი გამოსახულების სახითაა მოცემული:

$$x - (31 + 1489) = 4569; \quad x : (3 + 7) = 450$$

გ) ერთ-ერთი კომპონენტი გამოსახულების სახითაა მოცემული და უცნობი ამ გამოსახულებაში შედის:

$$(x + 25) \times 2 = 400$$

დაწყებითი კლასებიდან მოსწავლეები მიჩვეული არიან უცნობი კომპონენტის აღმნიშვნელი სიმბოლოების („ ? ”, „ * ”, რომელიმე გეომეტრიული ფიგურა და სხვა.) გამოყენებას. მათვის უცნობია განტოლების ცნება. ისინი განტოლებას უყურებენ როგორც ტოლობას, რომელშიც არითმეტიკული მოქმედებების როგორიმე უცნობი კომპონენტი რაიმე სიმბოლოთია აღნიშნული და მათი ამოცანაა მოქმედნონ ის რიცხვი, რომელიც ამ ტოლობაში სიმბოლოს ნაცვლად უნდა ეწეროს.

ახლაც განტოლების შესწავლას გზის დამოკიდებულებაზე დაყრდნობით.

მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეებისათვის ნაცნობი სახის ტოლობას:

$17+x=20$ და სთხოვს მოსწავლეებს დასვან ტოლობის შესაბამისი კითხვა (რა რიცხვი უნდა მივუმატოთ 17 -ს, 20 რომ მივიღოთ?)

– შეკრების რომელი კომპონენტი გვაქვს საძიებელი? (II შესაკრები) როგორ ვიპოვოთ უცნობი შესაკრები?

– რა რიცხვი უნდა ეწეროს ტოლობაში „*“-ის ნაცვლად? (3). რა რიცხვი იყო საძიებელი? (საძიებელი რიცხვი იყო 3.)

– მოცემულ ტოლობაში საძიებელი ანუ უცნობი რიცხვი „*“-ის ნაცვლად x -ით რომ აღვნიშნოთ, რა ტოლობას მივიღებთ? ($17+x=20$) .

– შეკრების რომელი კომპონენტი გვაქვს საძიებელი? (II შესაკრები)

– რა ასოთია აღნიშნული უცნობი შესაკრები? როგორ ვიპოვოთ უცნობი შესაკრები? შესარულებულ შესაბამისი ჩანაწერი.

დაფასთან გამოსული მოსწავლე წერს:

$$x = 20 - 17$$

$$x = 3$$

მასწავლებელი: – $17+x=20$ ტოლობა შეიცავს ასოს. ასეთი სახის ტოლობას, ანუ ტოლობას, რომელიც ასოს შეიცავს, განტოლება ეწოდება. ვიპოვოთ განტოლებაში შემავალი ასოს რიცხვითი მნიშვნელობა, ნიშნავს ამოვხსნათ განტოლება. ჩვენ ამოვხსნით განტოლება და მივიღეთ, რომ $x=3$. რიცხვი 3 წარმოადგენს $17+x=20$ განტოლების ამონასნებს.

ტექსტის განხილვის შემდეგ მივლენ უკვე იმ დასკვნამდე, რომ ყოველი განტოლება რადაც კითხვას შეიცავს და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა განტოლების ამოხსნას ნიშნავს.

ორი-სამი განტოლების ამოხსნის შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ჩამოაყალიბებენ განტოლების ამოხსნის აღგორითმს:

1. განტოლების წაკითხვა;
2. იმის დადგენა, თუ რომელ კომპონენტში შედის უცნობი;
3. უცნობის შემცველი კომპონენტის პოვნა;
4. უცნობის პოვნა;
5. შემოწმება განტოლებაში უცნობის მიღებული რიცხვითი მნიშვნელობის შეტანით.

I გაკვეთილზე კლასში ხსნიან საგ.N^o1-ა), N^o2-ა), N^o3 (ა-დ), N^o5, N^o7.

დამოუკიდებელ სამუშაოდ ასრულებენ: I ვარიანტი – საგ.N^o3-ე), ბ);

II ვარიანტი – საგ.N^o3-ე), თ).

საშინაო დავალება მიეცემათ: სავ.№1-ბ), №2-ბ), სავ.№4, №15.

II გაპვეთილზე კლასში: სავ.№8 (I სვეტი), სავ.№9 (I სვეტი), №10, №12.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№9 (II სვეტი სამ ვარიანტად).

საშინაო დავალება: სავ.№8 (II სვეტი), სავ.№11, სავ.№16.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №1 ა) 1747, 5362, 74063, 255 949, 16 986. სავ.№2 ა) 2400, 22220, 500, 9 000, 41.

სავ. №4 ა) $1 + x = 5 + 2$, $x = 6$.

სავ. №10. —რა უნდა გამოვითვალოთ? ($25x - 18$ გამოსახულების მნიშვნელობა).

$25x - 18$ გამოსახულება ასოთი გამოსახულებაა. მისი მნიშვნელობის გამოსათვლელად x -ის რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ვიცოდეთ. ვიცით x -ის რიცხვითი მნიშვნელობა? (არ ვიცით) შეგვიძლია მისი გამოთვლა? (დიახ.) როგორ? (მოცემული განტოლების ამოხსნით გამოვითვლით x -ის რიცხვით მნიშვნელობას).

$$2x - 3 = 5; \quad x = 4.$$

— ვიცით, რომ $x = 4$. შემდეგ როგორ მოვიქცეთ? (x -ის რიცხვითი მნიშვნელობა ჩავსვათ $25x - 18$ გამოსახულებაში და გამოვთვალოთ მისი მნიშვნელობა.)

$$25x - 18 = 25 \times 4 - 18 = 100 - 18 = 82$$

სავ. №13. მასწავლებელი:— რა გაძეს საძიებელი? (x -ის რიცხვითი მნიშვნელობა). როგორ ვიპოვოთ? (განტოლება უნდა შევადგინოთ ამოცანის პირობის მიხედვით) რა ვიცით რგოლებში ჩაწერილ რიცხვებზე? (მარცხენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამი ტოლია მარჯვენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების გაორკეცებული ჯამისა)

— შეგვიძლია თუ არა მარცხენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამის ჩაწერა? (დიახ. მარცხენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამია: $x + 4 + 8 + 14 = x + 26$)

— რას უდრის მარჯვენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამი? (მარჯვენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამია: $8+14+2+5=29$.) უკვე ვიცით თითოეულ რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამი. ახლა როგორ მოვიქცეთ? (ამოცანის პირობით მარცხენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამი ტოლია მარჯვენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების გაორკეცებული ჯამისა. მარჯვენა რგოლში ჩაწერილი რიცხვების გაორკეცებული ჯამი 58-ის ტოლია). ე.ი. $x + 26 = 58; \quad x = 32$.

სავ. №14. პასუხი: 8 კაკალი.

სავ. №15. პასუხი: 1400 ლარი.

§2.4 კუთხე. კუთხეების შედარება. კუთხეების სახეები გაპვეთილის სტრუქტურა, საგაკვეთილო დროის განაწილება

1. საშინაო დავალების შესრულების შემოწმება ----- 3 წთ
2. მოსწავლეთა აქტივიზაცია ----- 5 წთ
3. ახალი მასალის ახსნა ----- 18 წთ
4. ახალი მასალის განმტკიცება ----- 12 წთ
5. პრაქტიკული სამუშაო ----- 5 წთ

გაკვეთილის თემა: კუთხე. კუთხეების შედარება. კუთხეების სახეები
მიზნები:

- გავაცნოთ კუთხე და მისი სახეები.
- გასწავლოთ კუთხეების შედარება.
- განვუმტკიცოთ ცოდნა ასოთი გამოსახულების შეახებ.
- განვუვითაროთ არასაკმარისი მონაცემების მქონე ამოცანის პირობის შევსების, ამოცანის ამოხსნის უნარების.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: კუთხის გამოსახვა,
აღნიშვნა და დასახელება, მისი სახის ამოცნობა.

უნდა შეეძლოს:

- მრავალკუთხედის კუთხეების დასახელება და მათი სახეების განსაზღვრა;
- კუთხის გარჩევა სხვა ფიგურებისაგან;
- კუთხის სახეების ჩვენება მოდელზე სხივის ბრუნვით;
- კუთხეების შედარება თვალზომითა და ზედდებით (შესაძლებლობის შემთხვევაში); კუთხეების შედარების შედეგის ჩაწერა ტოლობის, მეტობისა და ნაკლებობის ნიშნების გამოყენებით.

მასალა: მოსწავლეებს: ქადალდი გამოსაჭრელად, რვეულის ფურცელი, მაკრატელი, სახაზავი, სამკუთხედისა და მართკუთხედის მოდელები.

მასწავლებელს სადემონსტრაციოდ: მოძრავგვერდებიანი კუთხე, მუყაოსაგან დამზადებული სხვადასხვა სიგრძის გვერდების მქონე 3 ტოლი (მახვილი/ბლაგვი) და 2 განსხვავებული ზომის (მახვილი/ბლაგვი) კუთხე.

გაპეტილის ტიპი: ახალი მასალის ახსნა.

მეცუთეალასელ მოსწავლეს კუთხეზე გარკვეული წარმოდგენა უკვე აქვს. ამ პარაგრაფში ვასწავლით მახვილი, მართი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეების ამოცნობას, მათ სიდიდეთა შედარებას თვალზომით. კუთხის გარადუსულ ზომას კი მოსწავლეები VI კლასში შეისწავლიან.

მეორდური კომენტარები: კუთხეზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად მოსწავლეს კუთხეები ჯერ საგნებზე უნდა ვაჩვენოთ. ამ მიზნით უნდა მოიტანონ მათთვის ნაცნობი ფიგურების: სამკუთხედების, მართკუთხედების, კვადრატების მოდელები. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სამკუთხედისა და მართკუთხედის, კვადრატის მოდელებს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ყოველ მათგანს აქვს კუთხე და გვერდები, რომ სამკუთხედისა თუ ოთხკუთხედის მეზობელი გვერდები კუთხეებს ადგენენ. აჩვენებს კუთხეებს საკლასო ოთახში სხვადასხვა საგნებზე. ამის შემდეგ უფრო აზუსტებს კუთხის ცნებას. მუშაობას განაგრძობს პლაკატის გამოყენებით:


მასწავლებელი: – დაასახელეთ №1 და №2 ნახაზზე გამოსახული სხივები.

– დაასახელეთ №1 და №2 ნახაზზე გამოსახული სხივების სათავეები? (საერთო სათავე აქვთ)

– აქვთ თუ არა საერთო სათავე №1 ნახაზზე გამოსახულ სხივებს? (არა)

– დაასახელეთ საერთო სათავის სხივები №3 ნახაზზე.

– №2 ნახაზზე მოცემული OM და ON სხივები ადგენენ კუთხეს, №1 ნახაზზე კი AB და CD სხივები კუთხეს არ ადგენენ. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ AB და CD სხივებმა კუთხე შეადგინონ? (მათ საერთო სათავე უნდა ჰქონდეთ).



გაპეტილზე აუცილებელია კუთხის მოდელი მოძრავი გვერდებით. ასეთი მოდელის დამზადება შესაძლებელია მუყაოს ქადალდისაგან, რომელსაც წვეროს ჭიკარტით

უმაგრებენ. მისი გვერდები თავისუფლად მოძრაობს და მასწავლებელს საშუალება ეძლევა აჩვენოს მოსწავლებს სხვადასხვა სიდიდის კუთხები. მასწავლებელი ნახაზსა და მოდელზე აჩვენებს სხივებს, რომლისგანაც კუთხეა შექმნილი და ეუბნება, რომ ეს სხივები კუთხის გვერდებს წარმოადგენს, ხოლო წერტილი, რომელიც ამ სხივების საერთო სათავეა – კუთხის წვეროს. ამის შემდეგ სხვადასხვა მოდელზე აჩვენებს კუთხეებს და მათ წვეროებს. მოსწავლეებიც აჩვენებენ კუთხეებს და მათ წვეროებს სხვადასხვა მოდელზე.

მასწავლებლის მეთვალყურეობით ტარდება

პრაქტიკული სამუშაო: „ქაღალდისაგან გამოჭერით კუთხე“

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს კუთხის აგების თანმიმდევრობას:


- მონიშნეთ წერტილი, რომელიც კუთხის წვერო იქნება. გაავლეთ ამ წერტილიდან ორი სხივი. ამოჭერით დახაზული კუთხე.

მასწავლებელიც გამოჭრის ქაღალდისაგან კუთხეს სპეციალურად მრუდე წირით, რათა მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა კუთხეზე, როგორც სამკუთხა ფორმის ფიგურაზე. ჩამოვლით ამოწმებს ნამუშევრებს.

- მაჩვენეთ კუთხე.

მოსწავლეთა უმრავლესობა ერთ, კერძოდ, მცირე კუთხეს აჩვენებს.

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს და აფერადებს მახვილ კუთხეს.



- რას წარმოადგენს დარჩენილი ნაწილი? (დაფაზე მონიშნავს ისრით რა კუთხეზე ცაა ლაპარაკი და უხსნის რომ ისიც კუთხეა.)

გამოაქვთ დასკვნა: მიღებული ორივე ნაწილი კუთხეს წარმოადგენს.

- მოვნიშნოთ O წერტილი და O წერტილიდან გავავლოთ OA და OB სხივები.

ამის შემდეგ აცნობს მოსწავლეებს კუთხის გვერდებს, წვეროს, კუთხის აღნიშვნისა და წაკითხვის წესებს. აკითხებს სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემულ კუთხეებს. დაფაზე დახაზულ კუთხეებს აწერს ასოებს და აკითხებს. ასახელებინებს სახელმძღვანელოს ნახ. 4.1-ზე მოცემული კუთხეების სახეებს და ა.შ.

მასწავლებელს დაფასთან გამოჰყავს მოსწავლე და მიმართავს: – დახაზე კუთხე, დააწერე შესაბამისი ასოები და კუთხის დასახელება დაწერე დახაზული კუთხის ქვეშ. იმავე სამუშაოს ასრულებს რვეულში ყველა მოსწავლე.

განმტკიცების მიზნით კიდევ ერთ მოსწავლეს დაახაზინებს დაფაზე კუთხეს, შეასრულებინებს აღნიშვნებს, დაასახელებინებს გვერდებს, წვეროს და სხივებს, რომლისგანაც კუთხეა შედგენილი.

- რა კუთხეებს ხედავთ №3 ნახაზზე (პლაკატზე)? დაწერეთ.

მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ №3 ნახაზზე მოცემულ კუთხეებს. შემოწმებისას აღმოაჩენენ გამოტოვებულ კუთხეებს. ხშირად გამორჩებათ ხოლმე გაშლილი კუთხეები: $\angle EKG$ და $\angle FKT$ (ნახ.3).

- ერთმანეთის ტოლია თუ არ ორი ფიგურა, ამის შემოწმების ერთ-ერთი ხერხია მათი ერთმანეთზე ზედღებით შედარება. ქაღალდისაგან გამოჭერით სხვადასხვა სიგრძის გვერდების მქონე ორი მართი კუთხე და ერთი მათგანი დაადგეთ მეორეს. ადარებენ კუთხეებს მოდელების ერთმანეთზე ზედღებით. მოსწავლეს უნდა შეეძლოს, თანმიმდევრობით ახსნას, თუ როგორ ადარებს კუთხეებს: „ერთი კუთხე ისე დავადოთ მეორეს, რომ მათი წვეროები შეუთავსდნენ და თითო გვერდი ერთმანეთს გაუყვეს. თუ ამ კუთხეების მეორე გვერდებიც ერთმანეთს გაუყვება, მაშინ კუთხეები ტოლია, თუ არ გაუყვება ერთმანეთს, მაშინ მცირეა ის კუთხე, რომლის გვერდი ასეთი წესით ზედღებისას მეორე კუთხის გვერდებს შორის მოხვდა“.

- რა დასკვნა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მართი კუთხეების შედარების შედეგად?


(ერთმანეთზე ზედდებით მართი კუთხეები ერთმანეთს დაემთხვა, ამის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა მართი კუთხე ტოლია.)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ქაღალდისაგან გამოჭრილი იმ ორი მართი კუთხიდან, რომელიც წერან ერთმანეთს შეადარეს, ერთ-ერთს გვერდების სიგრძე დაუმოკლონ და ისევ შეადარონ ერთმანეთს. შედარების შედეგად ადგენენ, რომ მართი კუთხის სიდიდე არ იცვლება მისი გვერდების სიგრძეების გადიდება-შემცირებით. მასწავლებელს მზად აქვს ამ შემთხვევისთვის ორი ტოლი მახვილი და ორი ტოლი ბლაგვი კუთხე, რომელთაც სახვადასხვა სიგრძის გვერდები აქვთ. მათაც ადარებენ, უცვლიან გვერდების სიგრძეებს, ისევ ადარებენ და გამოაქვთ დასკვნა, რომ კუთხის სიდიდე არ იცვლება მისი გვერდების სიგრძეების ცვლილებით.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაშლილ კუთხეს. აჩვენებს მას მოძრავ გვერდებიანი კუთხის მოდელზე, ხაზავს დაფაზე, ახაზინებს რვეულებში, პლაკატის №3 ნახაზზე ამოაცნობინებს და ასახელებინებს.

- რვეულის ფურცელს ჩამოაჭერით მართი კუთხე და მართი კუთხის ამ მოდელით მოძებნეთ გარშემო მყოფი საგნების მართი კუთხეები. (რვეულისა და წიგნის ყდებზე, დაფასა და მერხზე, ფანჯრის მინაზე და ა. შ.)

მასწავლებელი იღებს სხვადასხვა ზომის კუთხეებს და ზედდებით ადარებს ერთმანეთს. შემდეგ დაფაზე ასრულებს მოცემული ნახაზის მსგავს ნახაზს და ასწავლის კუთხეების შედეგის ჩაწერას.



მოძრავგვერდებიანი კუთხის მოდელზე მასწავლებელი მართ კუთხეს ქმნის და ეკითხება: - როგორი კუთხეა? (მართი)

- დააკვირდით ჩემს მოქმედებას (კუთხის გვერდებს ერთმანეთთან ახლოს მიიტანს) გავადიდე მართი კუთხე თუ შეგამცირე? (შეამცირეთ.)

- მართი კუთხე შეგამცირეთ და მართ კუთხეზე პატარა კუთხე მივიღეთ. მართ კუთხეზე პატარა კუთხეს მახვილი კუთხე ჰქვია.

ერთმანეთისაგან განსხვავებული სიდიდის მახვილ კუთხეებს აჩვენებს მოდელზე. შოგელ მათგანზე ხაზს უსვამს, რომ მახვილი კუთხე მართ კუთხეზე მცირე კუთხეა.

შემდეგ ისევ მართ კუთხეს ქმნის და ადიდებს მას. ისევ იმეორებს კითხვებს და აცნობს ბლაგვ კუთხეს. მოსწავლეები ასკვნიან, რომ ბლაგვი კუთხე მართ კუთხეზე დიდი კუთხეა და გაშლილ კუთხეზე პატარა.

ასწავლის მართი კუთხის დახაზვას მართკუთხა სამკუთხედის გამოყენებით და უჯრიან რვეულში რვეულის ბადის გამოყენებით.

მასწავლებელი აჩვენებს მართ, მახვილ, გაშლილ და ბლაგვ კუთხეებს მოძრავ გვერდებიანი კუთხის მოდელზე, მოსწავლეები ასახელებენ მათ სახეებს თვითონაც აჩვენებენ კუთხეებს სხვადსხვა საგანზე.

მოსწავლეები ასახელებენ კვადრატისა და მართკუთხედის კუთხეების სახეებს და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მართკუთხედსა და კვადრატს ყველა კუთხე მართი აქვს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას:

- 1) შეადგინეთ ფანჯრებით: მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები.
- 2) გადაკეცეთ ფურცელი ოთხად და შემდეგ გაშალეთ. როგორი კუთხეები მიიღეთ? (ერთი წვეროს ირგვლივ მივიღეთ 4 მართი კუთხე.)

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოს მიხედვით.


გაკვეთილზე ხსნიან სავ.№1, №2, №8

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№9; II ვარიანტი – №11.


საშინაო დავალებად ეძღვაოთ სავ.№ 3, 4, 5, 6, 7.

მომდევნო გაკვეთილის მიზანია მიღებული ცოდნის განმტკიცება.

მასწავლებელს გამზადებული აქვს პლაკატი. პლაკატის მიხედვით წერენ და კითხულობენ კუთხეებს, რომლებიც წრფების გადაკვეთით მიიღება. ასახელებენ ყველა გაშლილ, მართ, მახვილ და ბლაგვ კუთხეს.



ნახ.1



ნახ.2

მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს მართკუთხა სამკუთხედით მართი კუთხის დახაზვისა და კუთხეების სახის დადგენაზე, რათა გამოუმუშავდეთ და ჩამოუყალიბეთ შესაბამისი ჩვევები.

კლასში ხსნიან საგარჯიშოებს: №10, №12, №13, №17.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№14; II ვარიანტი – №15.

საშინაო დავალებად ეძღვაოთ სავ.№16, №18, კუთხეების მოდელების დამზადება.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები.

სავ. №1 ზეპირად პასუხობენ

სავ. №2. მოსწავლე დახაზვს, აღნიშნავს და ჩაწერს კუთხეებს, თან თითოეულს მიუწერს რა სახისაა.

სავ. №8 წერენ დაფაზე და რვეულებში. მოსწავლე ასახელებს ნახაზზე მოცემული თითოეული კუთხის სახეს. კუთხეებს ადარებს შემდეგნაირი მსჯელობით: „მართი კუთხე მახვილ კუთხეზე მეტია, ამიტომ $\angle ACB$ მეტია $\angle ODN$ -ზე“. კუთხეების შედარების შედეგს ჩაწერენ ჯერ 2-2 კუთხეზე, შემდეგ კი ორმაგი უტოლობის გამოყენებით (გააერთიანებენ ორ უტოლობას).

„შესაძლებელია თუ არა?“ ა) შესაძლებელია; ბ) შეუძლებელია.

§2.5 სამკუთხედი (2სო)

მასწავლებელი ყოველდღიურად ერთი და იმავე ტიპის გაკვეთილებს არ უნდა ატარებდეს. მით უმეტეს, მათემატიკის გაკვეთილების თემებისა და მიზნების მრავალფეროვნება მათი ერთმანეთისადმი ტყუპისცალებივით მსგავსებას, ერთფეროვნებას გამორიცხავს. ეს კი მუშაობისა და სწავლის მეტი ინტერესს შესძენს მოსწავლეს.

გაკვეთილის თემა: სამკუთხედი

გაკვეთილის ტიპი – ახლის ახსნის, დამოუკიდებლად ათვისების ხასიათის გაკვეთილის სტრუქტურა, საგაკვეთილო დროის განაწილება

1. საშინაო დავალების შესრულების შემოწმება -----3 წთ.
2. წინარე ცოდნის გააქტიურება-----5წთ.
3. დამოუკიდებელი სამუშაო:
 - ა) სახელმძღვანელოზე მუშაობა ----- 15 წთ.
 - ბ) პრეზენტაცია-----5 წთ.
4. განმტკიცება ----- 10-წთ.
5. პრაქტიკული სამუშაო ----- 5წთ.
6. საშინაო დავალების მიცემა ----- 2წთ.

მიზნები:

1) გავაცნოთ მოსწავლეს:

- სამკუთხედი და მისი სახეები კუთხეების მიხედვით;
- სამკუთხედის უტოლობა.

2) განვუკითაროთ მოსწავლეს:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის,
- კითხვის დროს მთავარ საკითხზე ყურადღების გამახვილების,
- სწორი მათემატიკური მეტყველების,
- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: რას წარმოადგენს სამკუთხედი, მისი კუთხეები, წვეროები, გვერდები, სამკუთხედის უტოლობა.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- სამკუთხედის, მისი წვეროების, გვერდებისა და კუთხეების დასახელება, ჩაწერა;
- სხვადასხვა სახის სამკუთხედის ამოცნობა კუთხეების მიხედვით;
- ამოცანების ამოხსნა სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით.

გაპვეთილის სახე: დამოუკიდებელი სამუშაო წყვილებში.

მასალა მასწავლებელს: ორი ფერის ცარცი, სადემონსტრაციო მოძრავგვერდებიანი კუთხე (ორმდენიანი ტეხილი), სამი მონაკვეთი, (სახაზავი, ჯოხი ან სხვა რამ), რომელთაგან ერთის სიგრძე ტეხილის მდგრენი მონაკვეთების სიგრძეთა ჯამის ტოლია, მეორის სიგრძე ტეხილის მდგრენი მონაკვეთების სიგრძეთა ჯამზე მეტია, ხოლო მესამის, – ნაკლებია.

მასალა მოსწავლეს: ფანქარი, სახაზავი, ქადალდი, მაკრატელი, კუთხეების სახეების მოდელები.

გაპვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტ. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

საშინაო დაგალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს კუთხეების სახეებს ამეორებინებს.

- რა სახის კუთხეები ვიციო? (მართი, მახვილი, ბლაგვი, გაშლილი)
- როგორ კუთხეს პქვია მართი? მახვილი? ბლაგვი? გაშლილი?
- მაჩვენეთ მართი კუთხის მოდელი; ბლაგვი კუთხის მოდელი; მახვილი კუთხის მოდელი; გაშლილი კუთხის მოდელი. (მოსწავლეები ადგილიდან აჩვენებენ შესაბამისი კუთხეების მოდელებს.)

მასწავლებელი დაფაზე სხვადასხვა სახის კუთხეებს ხაზავს და მოსწავლეებს მათი სახეების დასახელებას ავალებს. დაფას გაასუფთავებს და მოსწავლეებს (სხვადასხვა მოსწავლეს) სთხოვს, დაფაზე დახაზონ მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები და თითოეულს მიმართავს კითხვით:

- რა ფიგურა დახაზე? რა იცი კუთხის შესახებ? რა იცი შენ მიერ დახაზული კუთხის შესახებ? (მოსწავლემ უნდა დაასახელოს კუთხის სახე, როგორ კუთხეს პქვია ეს სახელი, როგორ იკითხება, როგორ აღინიშნება, როგორ იწერება; უნდა დაასახელოს მისი გვერდები, წვერო)
- რა ფიგურას წარმოადგენს კუთხის წვერო? გვერდი? წაიკითხე შენ მიერ დახაზული კუთხის წვერო და გვერდები.

III. გაპვეთილის

- გადაშალეთ სახელმძღვანელო 54-ე გვერდზე. ამ გვერდზე ჩვენი დღევანდელი ასახსნელი მასალაა მოცემული. რა უნდა ვისწავლოთ დღეს? (სამკუთხედი)
- გთავაზობთ დამოუკიდებელ სამუშაოს. გაეცანით §2.5-ში მოცემული გაპვეთილის მიზანს და დაამუშავეთ §2.5-ში მოცემული თემა: „სამკუთხედი”.

IV. დამოუკიდებელი სამუშაო. ახალი მასალის ახსნა.

იმუშავე შემდეგი გეგმით:

1. ტექსტის კითხვისას

- ა) მოიმარჯვე ფანქარი და სახაზავი, შენ თვითონ შეასრულე რვეულში ნახაზი, რომელზეც ტექსტშია ლაპარაკი.
 - ბ) ამოწერე ახალი ტერმინები;
 - გ) გაითვალისწინე, რომ ახალი ტერმინები არა მარტო უნდა დაიმასოვრო, არამედ კარგად უნდა იცოდე, რას ნიშნავს თითოეული მათგანი;
 - დ) დააკვირდი, რა წინადაღებაა ჩარჩოში ჩასმული და რატომ?
 - ე) დააკვირდი, რომელი ორი სიტყვა შეგხვდა ტექსტში კველაზე ხშირად? (კუთხე, სამკუთხედი) რატომაა ეს სიტყვები სხვებზე ხშირად გამოყენებული?
 - ვ) დააკვირდი ახალ აღნიშვნებს.
2. დახურე სახელმძღვანელო. შეამოწმე რა ისწავლე. ამისათვის
 - ა) დახაზე კველა სახის სამკუთხედი;
 - ბ) აღნიშნე სამკუთხედების წვეროები განსხვავებული ასოებით;
 - გ) ყოველ სამკუთხედს ქვეშ მიუწერე სახე და დასახელება.
 3. დაწერე უტოლობის სახით სამკუთხედის გვერდების თვისება.
 4. დაგუშვათ, რომ §25-ს მეგობრებს ხმამაღლა უკითხავ. კითხვის დროს როგორ მიახედრებ შენს მეგობრებს, რომ სამკუთხედის გვერდების ეს თვისება ყურადსაღებია?
 5. მოიფიქრე, როგორ დაასაბუთებ იმას, რომ სამკუთხედის ნებისმიერი ორი გვერდის სიგრძის ჯამი მესამე გვერდის სიგრძეზე მეტია.
 6. შეასრულე ტექსტის ბოლოში მოცემული დავალება.
 7. გამოჭერი თითოეული სახის თითო სამკუთხედი.
 8. უპასუხე პარაგრაფის ბოლოს მოცემულ კითხებებს.
მასწავლებელი ზემოთ მოცემულ ინსტრუქციას აცნობს მოსწავლეებს (გაგმა ეკრანზე აქვს ან მოკლედ დაუწერს დაფაზე, დანარჩენს ზეპირად გადასცემს.)
მოსწავლეები მერხების მიხედვით წყვილებად მუშაობენ.
მოსწავლეები სახელმძღვანელოზე 15წ-ს მუშაობენ. შესაძლოა, ადრეც დაამთავრონ.

V. განმტკიცება

სახელმძღვანელოდან მასალის დამოუკიდებლად ათვისების შემდეგ გამოდის ერთი მერხის ორი მოსწავლე და დაფის გამოყენებით ერთი გვაწვდის ინფორმაციას სამკუთხედზე: დახაზვა, აღნიშვნა, ჩაწერა და წაკითხვა. ასახელებს მის ცალკეულ გვერდებსა და კუთხეებს. ამასობაში მეორე დაფაზე საჭირო ნახაზებსა და ჩანაწერებს ასრულებს. მისი რიგის დადგომისთანავე გვაწვდის ინფორმაციას სამკუთხედის სახეების შესახებ. ასახელებს და ფერადი ცარცით (რკალით) მონიშნავს კუთხეს, რომელმაც განაპირობა სამკუთხედის სახელწოდება.

პრეზენტაციაზე წარადგენენ თავიანთ ნააზრებს გეგმის მე-4 და მე-5 პუნქტებზე კერძოდ, სამკუთხედის უტოლობის მოდელებით დასაბუთების ხერხებს და თუ აქვთ, ამის ჩვენების სხვა ვარიანტსაც.

VI. პრაქტიკული სამუშაო


თუ რომელიმე მოსწავლემ არ წარმოადგინა სამკუთხედის უტოლობის დასაბუთების შესაბამისი ვარიანტი, ტეხილისა და სპეციალურად შერჩეული მონაკვეთების საშუალებით აჩვენებენ (ჯერ გამოვა, ვინც უშეცდომოდ ასაბუთებს ამ ფაქტს, შემდეგ კი ის, ვინც ვერ დაასაბუთა), რომ

1. არ არსებობს ისეთი სამკუთხედი, რომელის ორი გვერდის სიგრძის ჯამი მესამე გვერდის სიგრძის ტოლია; იდებს ტეხილის მოდელის მდგენი მონაკვეთების სიგრძის ჯამის ტოლ მონაკვეთს და ცდილობს ტეხილის მდგენებითა და შერჩეული მონაკვეთით სამკუთხედის შედგენას.
2. არ არსებობს ისეთი სამკუთხედი, რომელის ორი გვერდის სიგრძის ჯამი მესამე გვერდის სიგრძეზე ნაკლებია; (იდებენ ტეხილს და სპეციალურად შერჩეულ
3. გვერდის სიგრძეზე ნაკლებია;

4. მონაკვეთს და ცდილობებს სამკუთხედის შედგენას.)
 5. იღებენ ტეხილს და ტეხილის მდგრენი მონაკვეთების სიგრძეთა ჯამზე ნაკლები სიგრძის მქონე მონაკვეთს და ცდილობებს სამკუთხედის შედგენას. სამკუთხედი შედგა. გაშლიან ტეხილს და კიდევ ერთხელ შეადარებენ მის სიგრძეს სამკუთხედის მესამე გვერდის სიგრძეს. ეს მათი ერთმანეთზე ზედდებითაც ცხადი დასანახია.

დაფაზე სამკუთხედების დახაზვისას აუცილებელია სამკუთხედების სხვადასხვა მდებარეობაში დახატვა. სტანდარტული სახით, მაგალითად, სულ ისეთი მართკუთხა სამკუთხედის დახაზვა, რომლის ფუძე ერთ-ერთი კათეტია და ძევს ჰორიზონტალურ წრფეზე, სრულყოფილ წარმოდგენას არ აძლევს მოსწავლეს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს მართკუთხა სამკუთხედით ან ქაღალდისაგან გამოჭრილი მართი კუთხით შეამოწმოს, არის თუ არა მოცემული კუთხე მართი.



VII. შედეგების შეჯამება

- რა შეგიძლიათ თქვათ ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის შესახებ? (უჩვეულო იყო)
- რომ იყო უჩვეულო? (ახალი მასალა დამოუკიდებლად ვისწავლეთ)
- მოგეწონათ ასეთი ტიპის გაკვეთილი?
- როული არ იყო მასწავლებლის გარეშე ახალი მასალის ათვისება? (არა, თქვენ ხომ გვეხმარებოდით)
- რამე ხომ არ დაგრჩათ გაუგებარი?
- მე ძალიან მომეწონა თქვენი დღევანდელი მუშაობა. გულდასმით მუშაობდით, დაუზარებლად.

წერს მოსწავლეთა შეფასებას მოსწავლეებთან ერთად.

VIII. საშინაო დაგალება: სავN3, N4, N7 N9.

მომდევნო გაკვეთილზე აგრძელებენ თემის „სამკუთხედი“ შესწავლას. კლასში ხსნიან სავN10, N12, N15, N16.

საშინაო დაგალება: სავN11, N13, 17.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ. N6. ამოცანა შეიძლება ამოიხსნას:

I. $78 - (23+37) = 78$ განტოლების შედგენითა და

მისი მნიშვნელობის გამოთვლის გზით. (მოსწავლეს კარგად უნდა ესმოდეს გამოსახულებაში ჩაწერილი ყოველი რიცხვისა და მოქმედების შინაარსი.)

II. $x + 23 + 37 = 78$ განტოლების გამოყენებით. **პასუხი:** 18სმ.

სავ. N7. ამოცანა შეიძლება ამოიხსნას: I. $(1280 - 478) \cdot 2 = 1280$ განტოლების შედგენითა და მისი მნიშვნელობის გამოთვლის II. $2x + 478 = 1280$ განტოლების გამოყენებით.


პასუხი: 40სმ 18ს.

სავ. N8 შედგება განტოლება: $x + 2x + 31 = 88$. **პასუხი:** 19სმ და 38სმ.

სავ. N11. მოცემული სამკუთხედის მესამე გვერდის სიგრძე 7 სმ-ზე ნაკლებია, ამიტომ პერიმეტრი ნაკლებია 3სმ+4სმ+7სმ=14სმ-ზე. ამავე დროს, მესამე გვერდის სიგრძე 1 სმ-ზე მეტია, მაშასადამე, სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევარჩიოთ ის, რომელიც 8 სმ-ზე მეტი და 14 სმ-ზე ნაკლებია. ასეთია ა) 12 სმ. **პასუხი:** ა).

სავ. N12. a) დათოსა და თეას სახლებს შორის მანძილი უდიდესი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სახლები ერთი წრფის გასწვრივ განლაგებული იქნება ისე, რომ დათოს სახლი ანას და თეას სახლებს შორის მდებარეობდეს. **პასუხი:** 700 გ; ბ) უმცირესი მანძილიც ასევე წრფეზე განლაგების შემთხვევაში იქნება, როცა თეას სახლი ანას და დათოს სახლებს შორისაა. **პასუხი:** 100გ. გ) შეიძლება, რადგან $500 < 300+400$.

სავ. №15.



სავ. №16. მასწავლებელი: – ა) წაიკითხეთ ამოცანა. რა ვიცით? რას ვეძებთ?

– რას ეწოდება სამკუთხედის პერიმეტრი?

– მოცემული გვაქვს თუ არა სამკუთხედის სამივე გვერდის სიგრძე? (სამკუთხედის ორი გვერდის სიგრძე მოცემული გვაქვს, მესამე არ გვაქვს. ის შემოთავაზებული ვარიანტებიდან უნდა შევარჩიოთ.)

– როგორი პერიმეტრის სამკუთხედზეა ლაპარაკი? (უდიდესი პერიმეტრი უნდა ჰქონდეს.)

– მესამეს რაიმე წესით მოვდებნით, თუ პირდაპირ ავირჩევთ მოცემული ვარიანტებიდან უდიდესს? (შესაძლო ვარიანტებიდან ისეთი უდიდესი მონაკვთი უნდა შევარჩიოთ, რომლის სიგრძე მოცემული ორი გვერდის სიგრძის ჯამზე, ანუ 17-ზე ნაკლები იქნება, ამავე დროს, სამკუთხედის უტოლობა სამივე გვერდისათვის უნდა შესრულდეს.)

– შესაძლო ვარიანტებიდან თუ ჩანს ისეთი, რომელზეც პირდაპირ შეგვიძლია თქმა, რომ პირობებს არ აკმაყოფილებს? (17სმ, 25სმ. ამას მოსწავლეები უცებ დაასახელებენ.)

– დაგვრჩა 4 შესაძლებლობა: 2 სმ, 3 სმ, 4 სმ, 16 სმ. ამათგან რომელი არ შეიძლება იყოს სამკუთხედის საძიებელი მესამე გვერდის სიგრძე? (2სმ და 3სმ, რადგან 2+7<10 და 3+7=10.)

– რას იტყვით 4სმ და 16სმ-ის სიგრძის გვერდებზე? (ორივე შეიძლება იყოს სამკუთხედის მესამე გვერდის სიგრძე)

– რომელი აკმაყოფილებს ა) პირობას? (16სმ) ბ) პირობას? (4სმ.)

ჯგუფური სამუშაო შეიძლება შესრულდეს საკლასო ოთახში, დერეფანში ან სკოლის ეზოში.

II თავის დამატებითი საგარჯიშოები (2სო)

მიზანი: მეორე თავში ნასწავლი მასალის გამეორება და განმტკიცება.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №1. $(450 + 540) \times 30 = 29700$; სავ. №2 პასუხი: გ) 206877 ღ) 61133;

სავ. №5. ა) $64542 : 3 + 54 \times 126 = 28318$ ბ) $25892 : (4002 - 3998) = 6473$;

სავ. №16. რა გვაქვს მოცემული და რას გვთხოვს ამოცანა? (მოცემული გვაქვს კითხვა და 5 პირობა. ამ პირობებიდან უნდა შევარჩიოთ ერთი, რომელსაც შეესაბამება კითხვა: „რამდენი ბავშვია გაერთიანებული ცეკვის წრეში?”)

განვიხილოთ ყველა პირობა და შევარჩიოთ. შეიძლება თუ არა წინასწარ განვსაზღვროთ, რამდენი პასუხი ექნება ამოცანას? (ერთი უნდა ჰქონდეს.) რატომ? (ამოცანა მოითხოვს ერთი ვარიანტის შერჩევას, მაშასადამე, ერთი პასუხი უნდა ჰქონდეს.) მოვძებნოთ ის ერთი პასუხი.

ა) პირობის ჩასმის შემთხვევაში მივიღებთ ტექსტს: „ცეკვის წრეში 25 მოსწავლეა გაერთიანებული. მათ შორის 13 გოგონაა. რამდენი ბავშვია გაერთიანებული ცეკვის წრეში?” (მოცემულ პირობაში უკვე ცნობილია რამდენი მოსწავლეა გაერთიანებული ცეკვის წრეში, ამიტომ ადარაა მართებული დაგსვათ კითხვა: „ რამდენი ბავშვია გაერთიანებული ცეკვის წრეში?” გ) პირობა: „ცეკვაზე 10 გოგონა და 10 ვაჟი” არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რამდენი ბავშვია გაერთიანებული ცეკვის წრეში. 20 კი ცეკვავს, მაგრამ რამდენი მოცეკვავს წრეში, რომლებიც ახლა არ ცეკვავნ? და ა.შ. ასე არჩევენ ყველა ვარიანტს. პასუხი: გ.

სავ. №17. პასუხი: გ

სავ. №18. პასუხი: რა გვაქვს მოცემული და რა უნდა გავაკეთოთ? (მოცემულია სამი ამოცანა. თითოეული ამოცანის ტექსტი ისე უნდა შევცვალოთ, რომ მისი ამოხსნა მოხდეს „9-6” გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით.) როგორ შევცვალოთ ა) ამოცანა? (6-ს და 9-ს ადგილები შევუცვალოთ, მივიღებთ საძიებელ ამოცანას: „ორ სკამზე 9 გოგონა იჯდა. ერთ მათგანზე კი 6. რამდენი გოგონა იჯდა მეორე სკამზე?”

ბ) „6-ით მეტის” მაგიერ დაგწეროთ „6-ით ნაკლები” გ) კითხვაში სიტყვა „ორივე” შევცვალოთ სიტყვით: „მეორე”.

სავN19. პასუხი: ა) დარჩა. ბ) შეიძლება დარჩა, შეიძლება –არა.

სავN20. პასუხი: პირველი პირობიდან ვასკვნით, რომ შავი 10-ზე ნაკლებია, ანუ თეთრი 10-ზე მეტია, ხოლო მეორე პირობიდან ვასკვნით, რომ თეთრი 12-ზე ნაკლებია ანუ თეთრების რაოდენობაა 11, შავების 9.

სავN21. პასუხი: 8სმ, 20სმ და 27სმ სიგრძის ჩხირებით.

შემაჯამებელი სამუშაო №2 (შეფასების სქემით)

I ვარიანტი

1. გამოთვალება: $(1235 + 265) : 5$

2. ნიკამ შეიძინა 15 ტომარა ცემენტი, თითო 11 ლარად და 250 სამშენებლო ბლოკი, თითო 1 ლარად და 20 თეთრად. რა თანხა გადაიხადა ნიკამ სამშენებლო მასალაში?

3. ლიკა 7 წლის წინ n წლის იყო. რამდენი წლისაა ლიკა ახლა?

4. ამოხსენი განტოლება: $1573 + x = 3596 - 477$

5. ABC სამკუთხედის AB გვერდის სიგრძეა 3 სმ, BC-ს სიგრძე—7 სმ. AC გვერდის სიგრძე AB და BC გვერდებიდან ერთ-ერთის სიგრძის ტოლია. გამოთვალე ABC სამკუთხედის პერიმეტრი.

II ვარიანტი

1. გამოთვალება: $(1245 + 155) : 7$.

2. საკლასო ოთახისთვის შეიძინეს 18 მერხი, თითო 44 ლარად, და 36 სკამი თითო 15 ლარად და 50 თეთრად. რა თანხა გადაიხადეს საკლასო ავეჯში?

3. ნონა 5 წლის წინ m წლის იყო. რამდენი წლისაა ნონა ახლა?

4. ამოხსენი განტოლება: $x - 1603 = 1521 + 239$

5. ABC სამკუთხედის AB გვერდის სიგრძეა 4 სმ, BC სიგრძე—9 სმ. AC გვერდის სიგრძე AB და BC გვერდებიდან ერთ-ერთის სიგრძის ტოლია. გამოთვალე ABC სამკუთხედის პერიმეტრი.

შეფასების სქემა:

1. გამოთვალა $1235 + 265 = 1500$ ----- 1 ქულა
გამოთვალა $1500 : 5 = 300$ ----- 2 ქულა
2. გამოთვალა ცემენტის (165 ლარი) ან ბლოკის (300) ღირებულება 1 ქულა
გამოთვალა მთლიანი ღირებულება 465 ლარი ----- 2 ქულა
3. ადნიშნა, რომ ლიკა ახლა 7 წლით უფრო სია ----- 1 ქულა
დაწერა პასუხი: ლიკა ახლა $n + 7$ წლისაა ----- 2 ქულა
4. გამოთვალა $3596 - 477 = 3119$ ----- 1 ქულა
გამოთვალა $x = 3119 - 1573 = 1546$ ----- 2 ქულა
5. მიხვდა, რომ $AC = 7$ სმ ----- 1 ქულა
გამოთვალა პერიმეტრი 17 სმ ----- 2 ქულა

დონე	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ქულა	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა

III თავი

არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე და მათი თვისებები

ნატურალურ რიცხვებზე ოთხივე არითმეტიკული მოქმედება და მათი თვისებები მოსწავლეებმა წინა კლასებიდან იციან. ამ თავის მიზანია მოსწავლეს შექმლოს:

- არითმეტიკული მოქმედებების შესრულება მიღიონზე დიდ ნატურალურ რიცხვებზე;
- არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებების სიტყვიერი ჩამოყალიბება, ასოთი ჩაწერა და გამოყენება რიცხვითი და ასოთი გამოსახულებების გასამარტივებლად და გამოსათვლელად;
- დიდი რიცხვების ჩაწერა 10-ის ხარისხების გამოყენებით;
- ამოცანის შესაბამისი რიცხვითი გამოსახულების, ასოთი გამოსახულებისა და განტოლების შედგენა და ამოხსნა.

§3.1 მრავალნიშნა რიცხვების შეკრება. შეკრების თვისებები (2სო)

მიზანები:

- ვასწავლოთ შეკრების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისებების ჩამოყალიბება და ჩაწერა ასოების გამოყენებით;
- განვიხილოთ შეკრების კერძო შემთხვევები;
- ვასწავლოთ შეკრების თვისებების გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად;
- ვასწავლოთ მიღიონზე დიდი რიცხვების შეკრების წესი.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- მრავალნიშნა რიცხვების შეკრება;
- შეკრების კომპონენტებისა და შედეგის სახელწოდებები;
- 0-ის თვისება შეკრების დროს;
- შეკრების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისებები.

მოსწავლეს უნდა შექმლოს:

- შეკრების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის, აგრეთვე, 0-ის თვისების ჩაწერა ასოების გამოყენებით;
- მრავალნიშნა რიცხვის წარმოდგენა თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამის სახით;
- შეკრების თვისებების გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად;
- განტოლების ამოხსნა შეკრების თვისებების გამოყენებით.

შეთოლური კომენტარები: მრავალნიშნა რიცხვების შეკრება და შეკრების თვისებები მოსწავლეებისთვის წინა კლასებიდანაა ცნობილი. ახლა იმ ცოდნის გავრცობა ხდება მიღიონზე დიდ რიცხვებზე. უნდა გაიხსენონ შეკრების თვისებები და ჩაწერონ ასოების გამოყენებით. გაკვეთილის მსვლელობა სახელმძღვანელოს მიხედვით უნდა წარიმართოს. სახელმძღვანელოში მოცემული ნახატების მიხედვით მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოიმარაგოს მასალა თვალსაჩინოებისათვის (თევზებიანი სასწორი, 3 ჭიქა ან 3 ჯამი, კაკლები, ვაშლები, პატარა ბურთები) და მათზე აჩვენოს შეკრების თვისებები.

პარაგრაფი უამრავი მაგალითია შეკრების მოქმედებაზე. მასწავლებელი მათგან იმ მაგალითებს შეარჩევს, რომლებიც მოსწავლეებს ხარვეზების გამოსწორებაში დაეხმარება.

I საათი

კლასში სავ.№1, №3 და №5 დავალებებში მოცემული მაგალითები დაფაზე და რვეულებში ამოხსნან. დაფასთან ერთდროულად ორი მოსწავლე იმუშავებს. სავ. №6 დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№7
საშინაო დავალება: სავ.№2, №8, №9.

II საათი

კლასში სავ.№11, №13, №15, №16, №17.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№14 (II სვეტის სამი მაგალითი)
საშინაო დავალება: სავ.№12, №14 (I სვეტის სამი მაგალითი), №20.

სავარჯიშოების კომენტარები და პასუხები.

სავ.№10. მასწავლებელი: – რამდენი მოქმედებაა შესასრულებელი მოცემულ გამოსახულებაში? (ორი.) რას მოითხოვს ამოცანა? (მოცემული გამოსახულება უნდა შევცვალოთ ისეთი გამოსახულებით, რომელიც მხოლოდ ერთ მოქმედებას შეიცავს.)
– შესაძლებელია ამის შესრულება? (დიახ.) როგორ? (შეკრების ჯუფთებადობის კანონის გამოყენებით). დაწერე.

დაფაზე და რვეულებში წერენ:

$$452002 + (869\,005 + a) = (452002 + 869\,005) + a = 1\,321\,007 + a \text{ და ა.შ.}$$

სავ.№11. გამოთვალონ სამი შესაკრების ჯამი ქვეშმიწერის ფორმით.

სავ.№15. პასუხი:

- 70 ლარის კატლეტი,
- 4 ლარის ორცხობილა,
- 41 ლარის ფუნთუშა.
- სულ 115 ლარი.
- მეტი თანხა აიღო კატლეტში.

სავ.№16. პასუხი: ა) 3 138 400 ლარი, ბ) 5 726 200 ლარი.

სავ.№17. პასუხი: 11915.

სავ.№18. მასწავლებელი: – რა უნდა გამოვთვალოთ? (ჯამები). ჯამები თუ ჯამი? (ორი ჯამი გვაქვს გამოსათვლელი. I, რაც შეიძლება, დიდი, II – რაც შეიძლება, მცირე).
– შესაკრებები გვაქვს, რომ ჯამი გამოვთვალოთ? (არ გვაქვს, ჩვენ უნდა შევარჩიოთ.)
– მოცემული გვაქვს წესი, რის მიხედვითაც უნდა შევარჩიოთ შესაკრებები?
– სად უნდა შევარჩიოთ ისინი? (შესაკრებები მოცემული გვაქვს ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი მარცხენა სვეტია მოცემული, მეორე კი – მარჯვენა ში. მარცხენა სვეტიდან უნდა შევარჩიოთ ერთი შესაკრები, მარჯვენა სვეტიდან – მეორე).
– შესაკრებებს სვეტებიდან ნებისმიერად ვარჩევთ, თუ რაიმე წესით? (ა) უნდა შევადგინოთ, რაც შეიძლება დიდი ჯამი; ბ) უნდა შევადგინოთ, რაც შეიძლება მცირე ჯამი).

– როდისაა ჯამი უდიდესი? (როცა ორივე შესაკრები უდიდესია). რა შემთხვევაში მივიღებთ უდიდეს ჯამს? (თითოეული სვეტიდან უნდა შევარჩიოთ უდიდესი რიცხვი.)
რომელ რიცხვს შეარჩევთ მარცხენა სვეტიდან? (1 748 579) მარჯვენა სვეტიდან? (27 142 357) გამოთვალეთ შერჩეული შესაკრებების ჯამი (28 890 936.)

უმცირესი ჯამის გამოთვლა რაც შეიძლება მცირე შესაკრებების ამორჩევას მოითხოვს. გამოითვლიან შესაძლო უმცირეს ჯამს. ჯამს:

$$1\,245\,789 + 20\,148\,357 = 21\,394\,146.$$

სავ.№19. პასუხი: 3846+2683=6529, 115+4917+5814=10846, 5317+1498=6815.

სავ.№20. პასუხი: ბ).

§3.2 მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება (2სო)

მიზნები:

- ვასწავლოთ მილიონზე მეტი რიცხვების გამოკლება,
- განვიხილოთ გამოკლების კერძო შემთხვევები;
- ვასწავლოთ ჯამიდან რიცხვის გამოკლების წესი;
- ვასწავლოთ რიცხვიდან ჯამისა და სხვაობის გამოკლების წესი;
- ვასწავლოთ უცნობი კომპონენტების პოვნის წესების ასოებით ჩაწერა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება;
- გამოკლების კომპონენტებისა და შედეგის სახელწოდებები;
- უცნობი საკლებისა და მაკლების პოვნის წესები.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- გამოკლების უცნობი კომპონენტების პოვნა;
- 0-ის თვისების ჩაწერა ასოების გამოყენებით;
- ჯამიდან რიცხვის გამოკლების, რიცხვიდან ჯამისა და სხვაობის გამოკლების სხვადასხვა ხერხით შესრულება და გამოყენება გამოთვლების გასამარტივებად;
- განტოლების ამონსნა შეკრებისა და გამოკლების ურთიერთშებრუნებულობის გამოყენებით.

მეორეური კომენტარები: გაკვეთილი მიმდინარეობს სახელმძღვანელოს მიხედვით.

როგორც შეკრების, ასევე გამოკლების გაკვეთილები მოსწავლეთა მაღალი აქტიონით მიმდინარეობს, რადგან მილიონზე დიდ რიცხვებზე შეკრება-გამოკლება წინა წლებში მიღებულ ცოდნას ემყარება. მასწავლებელი ძირითადად მოსწავლეთა დამოუკიდებელ სამუშაოს უნდა ხელმძღვანელობდეს. დაფაზე რამდენიმე მაგალითი დებალური მსჯელობით ამონსნება. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს გამოსახულებების წაკითხვას, კომპონენტების სახელწოდებების გამოყენებას.

I საათი

გაკვეთილზე განიხილება პარაგრაფში მოცემული მასალა №1-2 საგარჯიშოები ზეპირად, სავ.№3, №5, №9.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№7. II ვარიანტი – სავ.№8.

საშინაო დავალება: სავ.№4, №6, №11.

II საათი

კლასში: სავ.№13, №15, №20, №22 და „შესაძლებელია ოუ არა?“

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№16, II ვარიანტი – სავ.№17, საშინაო დავალება: სავ.№14, №18, №23.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები.

სავ. №9. а) 1058690; ბ) 9 000 000; გ) 8 999 999.

სავ. №19. а) $82635 - 54178 = 28457$; ბ) $94480 - 5 5906 = 38574$; გ) $53507 - 34985 = 18512$; დ) $6947 + 93328 = 100275$.

სავ. №20. კოქათ, თოთოელი შეკვრიდან x ცალი კუპიური ამოიღეს. მაშინ პირველი შეკვრიდან ამოდებული ლარების რაოდენობაა $5x$, ხოლო მეორედან $- 2x$. პირველი შეკვრიდან ($784 - 421$) ლარით მეტი ამოიღეს, ვიდრე მეორედან. ვწერთ განტოლებას:

$$5x - 2x = 784 - 421$$

$$3x = 363, \quad x = 121.$$

პასუხი: პირველი შეკვრიდან ამოიღეს 605 ლარი, მეორედან 242 ლარი.

სავ. №21. а) 34; ბ) 24; გ) 20; დ) 15.

სავ. №22. а) 70; ბ) 56; გ) 55.

სავ. №23. 21 სმ 5 მმ.

„შესაძლებელია ოუ არა?“ შესაძლებელია, როდესაც საკლები 2-ჯერ მეტია მაკლებზე.

მაგალითად, $14-7=7$, $20-10=10$. საზოგადოდ, უნდა შესრულდეს პირობა: $a-b=b$, ანუ $a=2b$.

§3.3 მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება. გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისება. (2სო)

მიზანი: ვასწავლოთ მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება, გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისებები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს ასოთი და რიცხვითი მამრავლების შემცველი გამოსახულების გამარტივება, გამრავლების კომპონენტების სახელწოდებები, 1-ისა და 0-ის თვისებები, გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის თვისებები.

უნდა შეეძლოს:

- გამრავლების თვისებების ჩაწერა ასოების გამოყენებით;
- გამრავლების თვისებების გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად;
- უცნობი ოანამამრავლის პოვნა.

მეთოდური კომენტარები: მოსწავლეებმა უპავ იციან მილიონის ფარგლებში რიცხვების გამრავლება. აქ სიახლეა მილიონზე დიდ რიცხვებზე მოქმედება და გამრავლების თვისებების ასოებით ჩაწერა.

კერ იხსენებენ გამრავლების მოქმედების შინაარსს, რისთვისაც მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ ნახატს. გაკვეთილის მსვლელობა სახელმძღვანელოს მიხედვით მიმდინარეობს.

მოსწავლე უნდა შევაჩიოთ $5 \times x$ ნამრავლის $5x$ სახით ჩაწერას და სწორად წაკითხვას („ხუთი იქსი”).

I საათი

კლასში: სავ №1 (ზეპირად), №3, №5, №7

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ №8, II ვარიანტი – სავ №9.

საშინაო დაგალება: სავ №2, №4, №10.

II საათი

კლასში: სავ №11, №13, №17, №23.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ №15, II ვარიანტი – სავ №16.

საშინაო დაგალება: სავ №12, №14, №18.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №16. 420 გვ.

სავ. №18. გ) 12a.

სავ. №19 ა) $585 \times 18 = 10530$, ბ) $580 \times 18 = 10440$.

სავ. №22. 4752 ლარის.

სავ. №23. 98გ 88სმ.

§3.4 განრიგებადობის თვისება (2სო)

მიზანი: ვასწავლოთ გამრავლების განრიგებადობის თვისება ჯამისა და სხვაობის მიმართ და მისი გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: გამრავლების განრიგებადობის თვისება ჯამისა და სხვაობის მიმართ.

უნდა შეეძლოს: გამრავლების განრიგებადობის თვისების ჩაწერა ასოების გამოყენებით, გამრავლების განრიგებადობის თვისების გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად, ფრჩხილებიან გამოსახულებაში ფრჩხილების გახსნა.

მეთოდური კომენტარები: გამრავლების განრიგებადობის თვისება მილიონის ფარგლებში მოსწავლეებს დაწყებით კლასებში აქვთ ნასწავლი. ამიტომ მასწავლებელი უნდა განვითაროს განრიგებადობის თვისებების მიმართ და მისი გამოყენება გამოთვლების გასამარტივებლად.

ბელი ჯერ შეამოწმებს შესაბამისი ცოდნის დონეს, ხოლო შემდეგ სახელმძღვანელოს მიხედვით გააგრძელებს მასალის გადაცემას.

I საათი

კლასში: სავ.№1, 2, 3 (ზეპირად), №8, №9.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№4, II ვარიანტი – სავ.№5.

საშინაო დავალება: სავ.№6, №10, №11.

II საათი

კლასში: სავ.№12 (სიტყვიერდ), №13, №17, №24.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№16 (2-2 მაგალითი)

საშინაო დავალება: სავ.№14, №15, №18. მასშავლებელი აგალებს მოსწავლეებს, მოიტანონ შემდეგი გაკვეთილისთვის ზეპირად გამოთვლის 10-10 მაგალითი, რაც მომდევნო გაკვეთილზე თამაშისთვისაა საჭირო.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №4. 300გ.

სავ. №5. 4,8250გ.

სავ. №7. $79 \times 6 = (80 - 1) \times 6 = 80 \times 6 - 1 \times 6 = 480 - 6 = 474$.

I სვეტს შეასრულებენ დაფაზე, ხოლო დანარჩენს – სახლში.

სავ. №10. 13 ლარი.

სავ. №13. $5 \times (45 + n) = 5 \times (45 + 60) = 5 \times 105 = 525$ (თეთრი).

სავ. №15 და 16-ში გამრავლების კანონებია გამოყენებული. პასუხი მოსწავლემ მსჯელობით უნდა დაასაბუთოს.

სავ. №17. მასშავლებელი: –დავწეროთ ზოლში დარგული ხეების რაოდენობის გამოსათვლელი გამოსახულება.

თუ მოსწავლეებმა ორივე სახის გამოსახულება ვერ დაწერეს, მაშინ მასშავლებელი სოხოვს კიდევ ერთი გამოსახულების დაწერას. დაფაზე დაიწერება:


$$154 \times 3 + 46 \times 3; \quad (154 + 46) \times 3.$$

– რა შეგიძლიათ თქვათ ამ გამოსახულებებზე? (მათ ტოლი მნიშვნელობები აქვთ $154 \times 3 + 46 \times 3 = (154 + 46) \times 3 = 600$). პასუხი: ქარსაცავ ზოლში 600 ხეა დარგული.

სავ. №19. $(120000 + 100000) - (5000 + 3500) \times 12 = 118\ 000$ (კგ). პასუხი: 118 ტ.

სავ. №24. თიკო ნახევარი თანხით იმდენივე რვეულს შეიძენდა, რამდენსაც თაკო მოელი თანხით, რადგან თიკოს მიერ შეძენილი რვეულები ორჯერ იაფია. ე.ი. თიკო ალბომით მეტი შეიძინა. პასუხი: თიკო.

სავ. №25. მარის კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გამოსათვლელად სასურველია სქემატური ნახატის გამოყენება.



პასუხი: მარის კლასში 17 მოსწავლეა.

ს3.5 გამოსახულების გარდაქმნა.

საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა

მიზნები:

- ვასშავლოთ საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა;
- გავაგრძელოთ მუშაობა გამოსახულების გამარტივებაზე შეკრება-გამოკლების თვისებების გამოყენებით.
- გაკვეთილის ტიპი – ახლის ახსნის, საძიებო ხასიათის.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა.

უნდა შეეძლოს:

- როგორც რიცხვით და ისე ასოთ გამოსახულებაში საერთო მამრავლის მონახვა და ფრჩხილებს გარეთ გატანა;
- გამოსახულების გამარტივება.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში

1) თამაში: „საუკეთესო მოანგარიშე”

თამაშის მიზანი: ზეპირ ანგარიშში გაწაფვა.

თამაშის წესი: კლასი იყოფა 2 გუნდად. თითოეული გუნდი ირჩევს თავის „საუკეთესო მოანგარიშეს”, რომელიც გუნდის სახელს დაიცავს. ყოველ მოსწავლეს გამზადებული აქვს ზეპირად გამოანგარიშების 3–4 მაგალითი. (წინა გაკვეთილზე დაავალა მასწავლებელმა). შეირჩევა შეკრება-გამოკლების მაგალითები ათეულებზე, ასეულებზე, ათასეულებზე, მიღიონებზე, გამრავლების თვისებებზე.

ერთი გუნდის „საუკეთესო მოანგარიშეს” სხვა გუნდის წევრები ამოსახსნელად სთავაზობენ 10-10 მაგალითს მანამ, სანამ ჩაჭრიან. ჩაჭრის შემთხვევაში, „საუკეთესო მოანგარიშეს” იმავე გუნდის წევრი ცვლის და თამაში გრძელდება. გამარჯვებულია გუნდი, რომელსაც თამაშში ნაკლები რაოდენობის „მთვლელი” დასჭირდა და მეტი რაოდენობის მაგალითი ამოხსნა. „საუკეთესო მოანგარიშის” ტიტულს მიანიჭებენ მოსწავლეს, რომელმაც ყველაზე მეტი მაგალითი ამოხსნა უშეცდომოდ. თამაშის დრო დგინდება თამაშის დაწყებამდე. იგი ყველა გუნდისთვის ერთი და იგივეა. დროს მკაცრად იცავენ. დროის ამოწურვისთანავე წყდება თამაში.

თამაშის შემდეგ იმურებენ გამრავლების თვისებებს და მათი ზოგადი სახით ჩაწერას.

3) – გამრავლების რა თვისებები ვისწავლეთ? ჩამოაყალიბე. (მიმართავს თითოეული წესის ჩამოყალიბების შემდეგ)

4) – ზოგადად, ანუ ასოებით როგორ ჩაწერთ ამ თვისებებს? (წერენ დაფაზე) – ჩამოაყალიბე სიტყვიერად (მიმართავს თითოეული თვისების ზოგადად ჩაწერის შემდეგ)

5) როგორ გაგამრავლოთ სხვაობა რიცხვზე? ჩაწერე ასოებით.

III. გაკვეთილის თემისა და მიზნების გაცნობა

ამოვხსნათ ამოცანა.

ლაშა და ნიკა მმები არიან. მათ სასახლეარე ნაკვეთი შეიძინეს და მავთულბადით უნდა შემოღობონ. ნაკვეთი მართკუთხედის ფორმისაა, რომლის სიგრძე 36მ-ია, ხოლო სიგანე – 25მ. რა სიგრძის ბადე უნდა შეიძინონ?

– რის სიგრძე უნდა გავიგოთ მავთულის ბადის სიგრძის გამოსათველელად? (დობის) მათემატიკურად რას დავარქმევთ დობის სიგრძეს? (პერიმეტერს)

– დიახ, სწორედ პერიმეტრი გამოოვალეს მეტა, მაგრამ სხვადასხვანაირად.

ლაშამ ასე გამოოვალა: $36 \cdot 2 + 25 \cdot 2 = 72 + 50 = 122$ (მ).

ნიკამ ასე გამოოვალა: $2 \cdot (36 + 25) = 2 \cdot 61 = 122$ (მ).

– ვინ გამოოვალა სწორად? (ორივემ სწორად გამოოვალა, შედეგიც ერთნაირი აქვთ – 122მ სიგრძის ბადე დასჭირდებათ)

– მაშასადამე ვწერო, რომ $36 \cdot 2 + 25 \cdot 2 = 2 \cdot (36 + 25)$? (დიახ)

– მეც გეთანხმებით. ახლა მითხარით – ტოლობის მარცხენა მხარეს უფრო მარტივი გამოსახულება წერია თუ მარჯვენა მხარეს? რატომ ფიქრობ ასე? (მარჯვნივ ორი მოქმედება შესასრულებელი, მარცხნივ სამი).

– შემიძლია ვთქვა, რომ მარცხენა გამოსახულება გამარტივდა? (დიახ)

- კარგად დააკვირდით ტოლობას და მოძებნეთ პასუხი კითხვებზე:
 - რამ გამოიწვია მარცხენა გამოსახულების გამარტივება? რა შეიცვალა?
 - რის გამო შეიცვალა სამი მოქმედება ორი მოქმედებით? (მოისმენენ და გაანალიზებენ პასუხებს)

მასწავლებელი: - ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ფრჩხილებს გარეთ გავიტანეთ საერთო თანამამრავლი. რომელია ეს თანამამრავლი? (2).

- დღეს უნდა ვისწავლოთ საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა.

IV. ახალი მასალის ახსნა

- ტოლობაში: $36 \cdot 2 + 25 \cdot 2 = 2 \cdot (36 + 25)$ რიცხვები შევცვალოთ ასოებით.
- რა მოვიდეთ? $a \cdot c + b \cdot c = c \cdot (a + b)$
- დაასახელეთ საერთო თანამამრავლი, რომელსაც ამის შემდეგ „საერთო მამრავლს“ გუშოდებთ.
- გამრავლების რომელ თვისებას წაიკითხავ ასოებით ჩაწერილი ამ ტოლობის მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვით?
- გადაშალეთ სახელმძღვანელო 75-ე გვერდზე. გავაგრძელოთ ახალი მასალის შესწავლა სახელმძღვანელოს გამოყენებით.

ერთი მოსწავლე დაფაზე და დანარჩენები რვეულებში ხსნიან სახელმძღვანელო-ში მოცემულ სამივე მაგალითს. მე-3 მაგალითის ამოხსნისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გამოსახულების გამარტივება ამ ეტაპზე წარმოადგენს „მსგავსი წევრების“ შეკრებას, მაგრამ არც ამ ტერმინებს და არც „კოუფიციენტს“ ჯერ არ გამოიყენებს. გამოსახულების გამარტივება ემყარება განრიგებადობის კანონს.

მსგავსი სავარჯიშოების შესრულებისას შეგვიძლია, მოსწავლეებს ცხოვრები-სეული ანალოგიები შევთავაზოთ. მაგალითად, სავ. №10-ში უნდა გავამარტივოთ გამოსახულება: $14m + 5m + 9m$. აქ შეიძლება ასეთი კითხვის დასმა: „14 მანდარინს რომ 5 მანდარინი და კიდევ 9 მანდარინი დაგუმატოთ, რამდენი მანდარინი გვექნება?“

V. განმტკიცება

სახელმძღვანელოდან ხსნიან სავ. №1 (ზეპირად), №2, №3, №6.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო

I ვარიანტი – სავ. №2 (შუა სვეტი); II ვარიანტი – №5 (შუა სვეტი). (სწორად შერულებულ თითო მაგალითში 2 ქულა) სულ მაქსიმუმ – 6 ქულა.

VII. საშინაო დაგალება: სავ. №4, №7, №8, №9.

VIII. შედეგების შეჯამება

- რა ვისწავლეთ?
- რას ნიშნავს „საერთო მამრავლის ფრჩხილებს გართ გატანა“?
- რომელი მოქმედების რა თვისებაზე დაყრდნობით მივიღეთ საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანის უფლება?
- ათივე ციფრის გამოყენებით დაწერეთ რაც შეიძლება დიდი ათნიშნა რიცხვი.
- დაწერეთ? (დიახ) მიუწერეთ ორი ნული. სახლში გაარკვით რა რიცხვი მიიღოთ. მე კი მაგ რაოდენობის სისარულსა და ბედნიერებას გისურვებთ.

მომდევნო გაკვეთიზე, იმავე თემის განმტკიცებისას კლასში ხსნიან №16, №18, №19, №21, №26 სავარჯიშოებს.

დამოუკიდებელი სამუშაოდ ასრულებენ სავ. №13 (ორი ვარიანტი, 3-3 მაგალითი).

საშინაო დაგალება: სავ. №15, №17, №25.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

მოცემული ამოცანების ამოხსნა გულისხმობს გამოსახულების შედგენას. რა თქმა უნდა, მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვებითაც ამოხსნან ამოცანები, მაგრამ მოცემული თემის უკეთ ათვისების მიზნით სასურველია, საბოლოოდ მაინც შეადგინოს

გამოსახულება. რთული არ იქნება კითხვების მიხედვით შესრულებული ამოხსნიდან გამოსახულების შედგენა. მთავარია, მოსწავლეს ესმოდეს და შეეძლოს შედგენილი გამოსახულებისა და მასში შემავალი ყოველი რიცხვისა და მოქმედების შინაარსის ახესნა.

სავ. №5. შეა სვეტს სსნიან დაფაზე.

პასუხები: სავ. №6. 357 ლარი; სავ. №7. 250 ლარი; სავ. №8. 3 ლარი 80 ოუთრი; სავ. №14. $(2m - 80)$ ლარი; სავ. №15. $(3a + 3)$ სტ; სავ. №16. 7n; სავ. №18. 11+11n; სავ. №19. $3n + 3$, 18; სავ. №20. $3n - 3$, 117.

სავ. №21. მასწავლებელი: -წავიკითხოთ და კარგად გავიაზროთ ამოცანა. შევასრულოთ მოკლე ჩანაწერი. რაზეა ამოცანაში ლაპარაკი? (სამკუთხედის გვერდებზე) რამდენი გვერდი აქვს სამკუთხედს? (3) ერთმანეთის ქვეშ ჩამოგწეროთ სამკუთხედის გვერდები. სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი აღვნიშნოთ რომელიმე ასოთი. (აღნიშნავენ m -ით, რადგან ეს აღნიშვნა ამოცანის პირობაშია შემოტანილი.)

- რომელი გვერდი აღვნიშნოთ? (ამოცანაში უმცირესი გვერდია m სმ-ის ტოლი).
- რა ვიცით დანარჩენ გვერდებზე? (სამკუთხედის ერთი გვერდი მეორეზე 3სმ-ით, ხოლო მესამეზე 4სმ-ით ნაკლებია). როგორ ფიქროთ, რომელია გრძელი – მეორე თუ მესამე გვერდი? (III) რატომ? რა სიგრძისაა პირველი გვერდი? (m სმ), რა იქნება II გვერდის სიგრძე? მესამე გვერდის სიგრძე? დაფაზე ჩანაწერი:

$$\begin{array}{l} \text{I გვ.} - m \text{ სმ,} \\ \text{II გვ.} - (m+3) \text{ სმ} \\ \text{III გვ.} - (m+4) \text{ სმ} \\ \hline p = ? \end{array}$$

ამოხსნა. $p = (m+3) + (m+4) + m = (m+m+m) + (3+4) = 3m + 7$ (სმ)

როცა $m = 12$ სმ, მაშინ $3m + 7 = 3 \times 12 + 7 = 36 + 7 = 43$ (სმ)

პასუხი: სამკუთხედის პერიმეტრი 43სმ-ის ტოლია.

სავ. №23. დ) $10m - 15n = 5(2m - 3n) = 5 \cdot 40 = 200$. პასუხი: 200.

სავ. №24. ა) $8x + 14x = 22x$; ბ) $22x = 132 \Rightarrow x = 6$; გ) $6 \times 14 = 84$.

სავ. №25. შესაძლებელია ამოცანა კითხვებითაც ამოხსნას, მაგრამ გამოსახულების შედგენით უფრო მარტივია: $(820 + 685 + 500) : 5 = 164 + 137 + 100 = 401$.

სავ. №26. პასუხი: 262.

შემაჯამებელი სამუშაო №3 (შეფასების სქემით)
I ვარიანტი

1. გაიტანე საერთო მამრავლი ფრჩხილებს გარეთ და ისე გამოთვალი:

$$143 \cdot 27 + 157 \cdot 27$$

 2. გაამარტივე გამოსახულება $31 \cdot a + 19 \cdot a$ და გამოთვალი მისი მნიშვნელობა, როცა $a = 15$.

 3. გახსენი ფრჩხილები გამოსახულებაში: $4 \cdot (5x - 13)$

 4. ამოხსენი განტოლება: $15 + 3x = 45$

 5. ABC სამკუთხედის AB გვერდის სიგრძეა n სმ. BC გვერდის სიგრძე 3სმ-ით მეტი, ხოლო AC გვერდის სიგრძე 2-ჯერ მეტია AB გვერდის სიგრძეზე. დაწერე სამკუთხედის პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულება და გამოთვალი მისი მნიშვნელობა, როცა $a = 7$.
II ვარიანტი
1. გაიტანე საერთო მამრავლი ფრჩხილებს გარეთ და ისე გამოთვალი:

$$237 \cdot 25 + 563 \cdot 25$$

 2. გაამარტივე გამოსახულება $22 \cdot a + 18 \cdot a$ და გამოთვალი მისი მნიშვნელობა, როცა $a = 12$.

 3. გახსენი ფრჩხილები გამოსახულებაში: $5 \cdot (3x - 21)$

 4. ამოხსენი განტოლება: $2x + 12 = 28$.

 5. ABC სამკუთხედის AB გვერდის სიგრძეა n სმ. BC გვერდის სიგრძე-4სმ-ით მეტი, ხოლო AC გვერდის სიგრძე 3-ჯერ მეტია AB გვერდის სიგრძეზე. დაწერე სამკუთხედის პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულება და გამოთვალი მისი მნიშვნელობა, როცა $n = 3$.

შეფასების სქემა:

1. დაწერა $143 \cdot 27 + 157 \cdot 27 = (143+157) \cdot 27$ ----- 1 ქულა
 გამოთვალი $(143+157) \cdot 27 = 300 \cdot 27 = 8100$ ----- 2 ქულა

2. დაწერა $22 \cdot a + 18 \cdot a = 40 \cdot a$ ----- 1 ქულა
 გამოთვალი $40 \cdot 15 = 600$ ----- 2 ქულა

3. დაწერა $4 \cdot 5x = 20x$ ----- 1 ქულა
 დაწერა პასუხი: $20x - 52$ ----- 2 ქულა

4. დაწერა $3x = 30$ ----- 1 ქულა
 გამოთვალი $x = 30:3 = 10$ ----- 2 ქულა

5. დაწერა გამოსახულება: $4a + 3$ ----- 1 ქულა
 გამოთვალი პერიმეტრი 31სმ ----- 2 ქულა

დონე	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ქულა	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა

§3.6 გაყოფა. გაყოფის პერძო შემთხვევები (2სო)

მიზნები: განვუმტკიცოთ ცოდნა გაყოფის მოქმედებასა და მისი უცნობი კომპონენტების პოვნის წესების შესახებ, ჩავწეროთ ისინი ასოების გამოყენებით, განვიხილოთ გაყოფის კერძო შემთხვევები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- გაყოფის განსაზღვრა გამრავლების მეშვეობით;
- გაყოფის კომპონენტებისა და შედეგის სახელწოდებები;
- უცნობი კომპონენტების პოვნის წესები;
- 0-ისა და 1-ის თვისებები გაყოფის დროს.

უნდა შეეძლოს

- ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვებზე გაყოფის მოქმედების შესრულება;
- უცნობი კომპონენტების პოვნა;
- ამოცანების ამონენა გაყოფის მოქმედების გამოყენებით.

მეთოდური კომენტარები: მასწავლებელის მიზანია მოსწავლეს მიაწოდოს გაყოფის შინაარსი, აუსენას რას ნიშნავს a რიცხვის b რიცხვზე გაყოფა. ამ მიზნის მიღწევა სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით, კონკრეტული მაგალითის მიცემით უნდა სცადოს, რამდენიმე მაგალითის შემდეგ ჩამოაყალიბებენ გაყოფის ზოგად განსაზღვრებას.
– რას ნიშნავს, 16 გავყოთ 0-ზე? (16 გავყოთ 0-ზე ნიშნავს ვიპოვოთ ისეთი a რიცხვი, რომელიც 0-ზე გამრავლებისას გვაძლევს 16-ს.)

- ე. ი. უნდა შესრულდეს ტოლობა: $0 \times a = 16$. სწორია ეს ტოლობა? (ეს ტოლობა არ შეიძლება სწორი იყოს, რადგან 0 რა რიცხვზეც უნდა გავამრავლოთ, 0-ს მივიღებთ).
- მაშ რას დაწერდი $0 \times a = 16$ ტოლობის მარჯვენა ნაწილში 16-ის ნაცვლად? (0-ს და მივიღებთ სწორ ტოლობას: $0 \times a = 0$.)
- რას ნიშნავს 0 გავყოთ 5-ზე? (0 გავყოთ 5-ზე ნიშნავს ვიპოვოთ ისეთი a რიცხვი, რომელიც 5-ზე გამრავლებისას გვაძლევს 0-ს.)
- დაწერე შესაბამისი ტოლობა (წერს: $0:5 = a$, $0 = a \times 5$) ნამრავლი $a \times 5$ ნულის ტოლია, რას ნიშნავს? ($0 = a \times 5$ ნიშნავს, რომ $a = 0$). საბოლოოდ რა ტოლობა შეგვიძლია დაგწეროთ? $0:5 = 0$.

ანალოგიურად გამოიყვანენ, რომ $a:1=a$; $a:a=1$.

მასწავლებელმა უნდა აუსენას მოსწავლეს, რომ ნულებით დაბოლოებული რიცხვები შეუძლიათ ჩვეულებრივად გაყონ, მაგრამ შეიძლება ასეთი რიცხვების უფრო ადვილად გაყოფა. ამ შემთხვევაში საკმარისია, გასაყოფსა და გამყოფს ჩამოვაცილოთ იმდენი ნული, რამდენი ნულითაც ბოლოვდება გამყოფი. ნულების ჩამოცილებით შედარებით მცირე რიცხვებზე უწევთ გაყოფის მოქმედების შესრულება. შემდეგ კი გასაყოფიდან დარჩენილი რიცხვი გავყოთ.

კლასში საჭ. №1 (ზეპირად), №3, №9, №11, №12.

დამოუკიდებელი სამუშაო: საჭ. №5 (ორ ვარიანტად, 2-2 მაგალითი)

საშინაო დავალება: საჭ. №4, №6, №8, №10.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

საჭ. №3 ამონენისას მოსწავლემ უნდა განმარტოს რომელია უცნობი კომპონენტი და როგორ პოულობს.

საჭ. №8 1 ლარი 35 თეთრი საჭ. №9 8 ლარი საჭ. №10 ა) 80 თეთრი ბ) 24; საჭ. №11 გ);

საჭ. №13. 3კგ მსხალი 9 ლარი დირს, ე. ი. 1 კგ მსხალი 3 ლარი, ხოლო 2 კგ მსხალი 6 ლარი ეღირება. რადგან 2 კგ მსხალი იმდენივე დირს, რამდენიც -3 კგ ვაშლი, ამიტომ 3 კგ ვაშლიც 6 ლარი ეღირება. მაშასადამე, 1კგ ვაშლი 2 ლარი დირს.

საჭ. №14. მოსწავლეებს 68 ცალხაზიანი და 51 უჯრიანი რვეული თანაბრად გაუნაწილდა. ეს კი ნიშნავს, რომ 68 და 51 მოსწავლეთა რაოდენობაზე იყოფა, ანუ

მოსწავლეთა რაოდენობის გამომსახული რიცხვი არის 68-ის და 51-ის საერთო გამყოფი. ასეთი რიცხვია 17. მაშასადამე, რვეულები დაურიგდა 17 მოსწავლეს, თითოეულს -4 ცალხაზიანი და 3 -უჯრიანი.

§3.7 მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა (2სო)

მიზანი: ნატურალური რიცხვის გაყოფა მრავალნიშნა რიცხვები.

მოსწავლემ უნდა იცოდეს: მრავალნიშნა რიცხვების გაყოფის ალგორითმი.

უნდა შეეძლოს: მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა და ამ ცოდნის გამოყენება ამოცანებსა და გამოთვლებში.

მეთოდური კომენტარები: განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გაყოფის კერძო შემთხვევებზე, რომლითაც უნდა შეჯამდეს და სისტემაში იქნეს მოყვანილი მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა. განხილული უნდა იქნეს შემთხვევები:

1. როდესაც 0 მიიღება განაყოფის შუაში;
2. როდესაც 0 ან ნულები მიიღება განაყოფის ბოლოში;
3. როდესაც გასაყოფი და გამყოფი ნულებითაა დაბოლოებული.

მესამე შემთხვევა წინა პარაგრაფში განვიხილეთ. ამ პარაგრაფში დანარჩენ ორს განვიხილავთ.

I საათი

კლასში: სავ.№1, №3, №5, №7.

დამოუკიდებელ სამუშაო: სავ.№6 (I ვარიანტი – I სვეტი; II ვარიანტი – II სვეტი)

საშინაო დაგალება: სავ.№2, 4, 8 (2 სვეტი)

II საათი

კლასში: სავ.№10 (1სვეტი), №13, №14, №15.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი სავ.№11; II ვარიანტი – სავ.№12)

საშინაო დაგალება: სავ.№9, №16 №17.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №4. 12 ლარი 40 თეთრი.

სავ. №7. კუბს აქვს 12 წიბო, ამიტომ ერთი წიბოს სიგრძე იქნება 13სმ.

სავ. №8. ბოლო სვეტი: 608, 738, 20202. სავ.№10. მარცხენა სვეტი: 412, 36, 840; მარჯვენა სვეტი: 8002, 1037070, 49061250000; სავ.№11. 4სო; სავ.№12. 5სო; სავ.№13. 4დღ.

სავ. №14. 0; სავ.№15. 9; სავ. №16. 2.

„წყვილებში სამუშაოს“ შესრულებით მოსწავლეები დაასკვნიან, რომ ასეთი სახის ექვსნიშნა რიცხვები 1001-ის ჯერადებია.

§3.8 ამოცანები ოთხივე არითმეტიკულ მოქმედებაზე (2სო)

მიზანი: მიღებული ცოდნის განმტკიცება, არითმეტიკული მოქმედებების თვისებების გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მასწავლებელი შეარჩევს საჭირო ამოცანებს

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№3. 420ლარი. სავ.№7. 20.

სავ.№9. 240კგ. სავ.№10. 360; სავ.№11. 10-ჯერ. სავ.№12 240გ. სავ.№13. 195კგ;

სავ.№14. ა)745; ბ) 13000კგ და 21000კგ. სავ.№17 26. სავ.№18 4.

სავ.№19. მასწავლებელი: – რა ვიცით თანამამრავლების ან ნამრავლის ბოლო ციფრების შესახებ? (ნამრავლი 4-იანით, ხოლო ერთ-ერთი თანამამრავლი 3-იანით ბოლოვდება)


– ე. ი. ბოლო ციფრი 4 მიღებულია 3-ზე ნამრავლით. 3-ის რა რიცხვზე ნამრავლი ბოლოვდება 4-ით? (ასეთი რიცხვი არის მხოლოდ 8.)

– კიდევ რა ვიცით ამ თანამამრავლების შესახებ? (ერთი თანამამრავლი ორნიშნაა, მისი ერთი ციფრია 8). კიდევ რა ვიცით ამ ორნიშნა რიცხვის შესახებ? (მისი ციფრთა ჯამი 12-ის ტოლია).

– ციფრთა ჯამი 12-ის ტოლია, ერთი ციფრია 8. რა იქნება მეორე ციფრი? (12-8=4)

დაასახელეთ საძიებელი ორნიშნა რიცხვი. (48).

საგ №20. ამოხსნა. I გარიანტი: ამოცანის ამოხსნაში გამოიყენონ სქემატური ნახაზი:



ცარიელი ქილის ღირებულება იქნება: $450 \text{ თეთრი} : 15 = 30 \text{ თეთრი}$.

ჯემი ქილის გარეშე ეღირება $450 \text{ თეთრი} - 30 \text{ თეთრი} = 420 \text{ თეთრი}$.

II გარიანტი: ვოქვათ, ქილის ფასია x თეთრი. მაშინ ჯემის ფასი იქნება $14x$ თეთრი, ხოლო ჯემი ქილით ეღირება $15x$ თეთრი. პირობის თანახმად $15x = 450$, აქედან $x = 30$, $14x = 420$. **პასუხი:** ჯემი ქილის გარეშე 4 ლარი და 20 თეთრი დირს.

საგ №22. ორი შესაძლებლობაა: 2სმ, 10სმ, 11სმ და 3სმ, 10 სმ, 11სმ.

§3.9 რიცხვის ხარისხი

მიზნები:

- რიცხვის ხარისხის გაცნობა;
- ხარისხის შემცველი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- რიცხვის თავისთავზე მრავალჯერადი ნამრავლის ხარისხის სახით ჩაწერა, წაკითხვა;
- ხარისხის შემცველ გამოსახულებაში მოქმედებათა თანმიმდევრობის დადგენა;
- ხარისხის შემცველი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა.
- რიცხვის წარმოდგენა 10-ის ხარისხების გამოყენებით.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება.

1) სწორადაა მოქმედებები გადანომრილი?

$$\text{ა) } \bigcirc \times \overset{1}{\bigcirc} \times \overset{3}{\bigcirc} \left(\overset{2}{\bigcirc} + \overset{4}{\bigcirc} : \bigcirc \right) \quad \text{ბ) } \overset{4}{\bigcirc} \times \overset{6}{\bigcirc} + \overset{5}{\bigcirc} - \overset{2}{\bigcirc} \times \overset{3}{\bigcirc} : \overset{1}{\bigcirc} \times \overset{1}{\bigcirc}$$

2) რა მოქმედებით შეიძლება შევცვალოთ ჯამი? შეცვალე.

$$5+5$$

$$4+4+4$$

$$3+3+3+3$$

$$2+2+2+2+2$$

$$1+1+1+1+1+1$$

III. გაკვეთილის თემისა და მიზნების დადგენა

– შესაძლებელია თუ არა ტოლი რიცხვების ნამრავლი შევცვალოთ რომელიმე მოქმედებით? არ გიფიქრიათ ამაზე?

$$5 \times 5$$

$$4 \times 4 \times 4$$

$$3 \times 3 \times 3 \times 3$$

$$2 \times 2 \times 2 \times 2 \times 2$$

$$1 \times 1 \times 1 \times 1 \times 1 \times 1$$

- დღეს ვისწავლით როგორ შეიძლება შევცვალოთ ტოლი თანამამრავლების ნამრავლი სხვა მოქმედებით.

IV. ახალი მასალის ახსნა

- რა რიცხვია I ნამრავლი თავის თავზე გამრავლებული? (5) დავწეროთ ტოლობის შემდეგ 5. რამდენჯერად რიცხვი 5 თავის თავზე გამრავლებული? (2-ჯერ) მიკუწეროთ პატარა 2-იანი 5-ს ისე, როგორც მე დავწერ. წერს: $5 \times 5 = 5^2$. აბა, ერთხელ კიდევ გავიაზროთ რა გავაკეთოთ და $4 \times 4 \times 4$ ნამრავლი შევცვალოთ სხვა მოქმედებით.
- რა რიცხვია თავის თავზე გამრავლებული? (4) სად დავწერო 4? შემდეგ როგორ მოვიქცე? (უნდა ვნახოთ რამდენჯერაა 4 თავის თავზე გამრავლებული) რამდენჯერ? (3-ჯერ) სად დავწერო 3?

წერს: $4 \times 4 \times 4 = 4^3$. ეს ასე იკითხება: „4 მესამე ხარისხში”

- მოქმედებას, რომლითაც ჩვენ გამრავლება შევცვალეთ, ახარისხება ჰქვია, 4^3 გამოსახულებას ხარისხი. ამ ჩანაწერში 4-ს ჰქვია ხარისხის ფუძე, ხოლო 3-ს ხარისხის მაჩვენებელი.
- შეგიძლიათ მითხრათ რა არის 5^2 ? რა ჰქვია ამ შემთხვევაში 5-ს და რას გვიჩვენებს იგი? რა ჰქვია 2-ს და რას გვიჩვენებს იგი?
- გადაშალეთ სახელმძღვანელო 85-ე გვერდზე, წაიკითხეთ გაპეტილის პირველი 4 აბზაცი და ზეპირად მიასუხეთ კითხვებზე
შესწავლებს აძლევს 2წთ. შემდეგ სვამს კითხვებს:
- როგორ გამოსახულებას ეწოდება ხარისხი?
- როგორ აღინიშნება ხარისხის ფუძე?
- როგორ აღინიშნება ხარისხის მაჩვენებელი?

წერს: a^n – რა დავწერე? რომელია ხარისხის მაჩვენებელი? ფუძე?

- რას ნიშნავს a რიცხვის n ხარისხი? (a რიცხვის თავის თავზე n -ჯერ გამრავლებას).

- იმუშავეთ წყვილებში. ჩაწერეთ ხარისხის სახით ნამრავლები:

$$10 \times 10$$

$$4 \times 4 \times 4 \times 4$$

$$3 \times 3 \times 3 \times 3$$

$$2 \times 2 \times 2 \times 2 \times 2$$

$$1 \times 1 \times 1 \times 1 \times 1 \times 1$$

პასუხების შემოწმების შემდეგ წააკითხებს ხარისხებს და შემოაქვს ახალი ცნებები.

- რიცხვის II და III ხარისხებს თავისი სახელები ჰქვია. რიცხვის II ხარისხს რიცხვის „კვადრატი“ ჰქვია, ხოლო III ხარისხს „კუბი“

- 6^2 იკითხება: „6 მეორე ხარისხში“ ან „6 კვადრატში“.

- 6^3 იკითხება: „6 მესამე ხარისხში“ ან „6 კუბში“.

V. განმტკიცება

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. ხსნიან სავ. №1-5 ზე-პირად; სავ. №9, №11, №13, №18, №23.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ. №7.

საშინაო დავალება: სავ. №10, №12, №21.

მეორე გაპეტილს იწყებს იმის შემოწმებით, თუ როგორ აითვისეს მასალა.

- რა არის რიცხვის ხარისხი?

- მაგალითზე ახსენი რა არის ხარისხი, ხარისხის ფუძე, ხარისხის მაჩვენებელი.

- ჩაიფიქრე რიცხვი და მითხარი რა რიცხვი იქნება მისი 1 არისხი.

- რა არის მოცემული რიცხვის კვადრატი? კუბი?

- სწორია თუ არა ტოლობა: a) $6^3 = 6 \times 3$? (არაა სწორი). გაასწორე შეცდომა.

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდიკირებულურად ურიგებს ბარათებს.

ბარათის ნიმუში

1) შეავსე წინადაღება სათანადო ჩანაწერებით.

- ----- სახის გამოსახულებას ხარისხი ეწოდება, სადაც ----- არის ხარისხის ფუძე, ხოლო ----- ხარისხის მაჩვენებელი.
- ხარისხის ფუძე არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ -----, ხოლო ხარისხის მაჩვენებელი არის -----, რომელიც გვიჩვენებს -----.
- 10^4 გამოსახულებაში 10 არის -----, ხოლო 4 ----- .

2) მოცემული ხარისხი ჩაწერე სიტყვიერად რანდენაირადაც შეგიძლია:

ა) 5^2 ; ბ) 2^3 ; გ) გამოთვალე: 8^2 , 5^3 .

4) ჩაწერე ხარისხის სახით: $11 \times 11 \times 11 \times 11$; $9 \times 9 \times 9$, $(2 \times 3) \times (2 \times 3) \times (2 \times 3)$.

ამის შემდეგ ასწავლის როგორ უნდა გამოთვალონ ხარისხის შემცველი უფრჩილებობა გამოსახულების მნიშვნელობა. მაგალითად, განიხილავ პარაგრაფის ტექსტის სამივე მაგალითს.


მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით მუშაობას გააგრძელებენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე. ხსნიან სავ. №14, №15, №16, №19.

დამოუკიდებელ სამუშაოდ ასრულებენ სავ. №20 (3 სვეტი - 3 ვარიანტი) საშინაო დავალება: სავ. №17, №22, №24.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №28. მარცხენა სვეტი: $12^2 = 144$, $15^2 = 225$, $10^2 = 100$. მარჯვენა სვეტი: $21^2 = 441$, $79^2 = 6241$, $13^2 = 169$.

სავ. №29. ამოხსნა:



$$MN = MB + BN = x + y = 16 \text{ სმ},$$

საიდანაც

$$AC = AB + BC = 2x + 2y = 2(x + y) = 32 \text{ სმ}.$$

III თავის დამატებითი საგარჯიშოები

მიზანი: III თავის მასალის გამტკიცება-გამეორება.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №3. გ). **სავ. №5** სასურველია, მოსწავლეებმა შეფასება აწარმოონ გაყოფის მოქმედების შესრულების გარეშე. მაგალითად, $40\ 000 : 25 = 200\ 000 : 125$, რადგან მარჯვენა მხარეში გასაყოფიც და გამყოფიც გაზრდილია 5-ჯერ, რაც განაყოფს არ შეცვლის.

სავ. №10. $6n$ ლარი.

სავ. №13. 6-ჯერ გადიდება.

სავ. №14. $35n$ თეთრი.

სავ. №15. $3n+1$.

სავ. №16. 1 წამის შემდეგ ბაქტერიების რაოდენობა იქნება $2^{1=2}$, 2 წამის შემდეგ - $2^{2=4}$, 3-ის შემდეგ $2^{3=8}$ და ა.შ. 10 წამის შემდეგ - $2^{10} = 1024$.

შემაჯამებელი სამუშაო №4 (შეფასების სქემით)
I ვარიანტი

1. შეასრულე გაყოფა: $354975 : 15$.
2. ამოხსენი განტოლება: $x : 72 = 1450$.

3. გამოთვალი: $4^2 - 2^3$.

4. გამოთვალე გამოსახულების მნიშვნელობა $(2365 - 2048:32) \times 15$.

5. მართკუთხედის სიგრძეა a სმ, ხოლო სიგანე 9სმ-ით ნაკლები სიგრძეზე. დაწერე მართკუთხედის პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულება და გამოთვალე მისი მნიშვნელობა, როცა $a=17$.

II ვარიანტი

1. შეასრულე გაყოფა: $25548 : 12$.
2. ამოხსენი განტოლება: $x : 36 = 2630$.

3. გამოთვალი: $5^2 - 2^3$.

4. გამოთვალე გამოსახულების მნიშვნელობა $(1368 - 1024:16) \times 25$.

5. მართკუთხედის სიგანეა a სმ, ხოლო სიგრძე 6სმ-ით მეტი სიგანეზე. დაწერე მართკუთხედის პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულება და გამოთვალე მისი მნიშვნელობა, როცა $a=13$.

შეფასების სქემა

- 1) შეასრულა გაყოფა -----1 ქულა.
- 2) სწორად დაწერა x -ის მნიშვნელობის გამოსათვლელი გამოსახულება --1 ქულა;
წორად გამოთვალა x -ის მნიშვნელობა -----2 ქულა.
- 3) სწორად გამოთვალა სარისხები -----1 ქულა;
სწორად გამოთვალა სხვაობა -----2 ქულა.
- 4) ორი მოქმედება მაინც შეასრულა სწორად -----1 ქულა.
დაიცვა მოქმედებათა თანმიმდევრობა და 2 მოქმედება მაინც შეასრულა
სწორად -----2 ქულა;
სწორად გამოთვალა გამოსახულების მნიშვნელობა ----3 ქულა.
- 5) სწორად შეადგინა გამოსახულება -----1 ქულა;
სწორად გამოთვალა პერიმეტრი -----2 ქულა.

დონე	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ქულა	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა

IV თავი

ამოცანები მოძრაობაზე. ფართობი

მიზნები: ვასწავლოთ მოსწავლეებს

- სიჩქარის ცნება და მისი ერთეულები;
- დამოკიდებულება სიჩქარეს, დროს და მანძილს შორის;
- ამოცანების ამოხსნა ორი სხეულის შემხედვი და საწინააღმდეგო მოძრაობის შემთხვევაში;
- წყალზე მოძრაობის ამოცანების ამოხსნა;
- ფართობის თვისებები;
- ფართობის საზომი ერთეულები;
- სხვადასხვა ფიგურის ფართობის გამოთვლა პალეტის გამოყენებით;
- მართკუთხედის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა;
- ამოცანების ამოხსნა ფართობის გამოთვლაზე.

ცალკე ჯგუფად გამოვყავით ამოცანები მოძრაობაზე (რა თქმა უნდა განიხილება მხოლოდ თანაბარი მოძრაობა, ანუ მოძრაობა, როდესაც სხეული დროის ტოლ შეალებულება ტოლ მანძილებს გადის). რა დანიშნულება აქეს აღნიშნული თემის ცალკე ჯგუფად გამოყოფას?

1. მოძრაობის ამოცანები მრავალფეროვანია, რომელთა ამოხსნა განსხვავებული გზით ხდება;
2. მოძრაობის ამოცანებში გაერთიანებულია ამოცანები, რომელთა ამოხსნა ხდება პროპორციულ სიდიდეთა (დრო, მანძილი, სიჩქარე) დამოკიდებულებაზე დაყრდნობით;
3. ასეთი ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს მოსწავლეს, გააცნობიეროს კავშირი დროს, მანძილსა და სიჩქარეს შორის;
4. ასეთი ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს მოსწავლეს სივრცითი წარმოდგენების განვითარებაში.

მოძრაობაზე ამოცანების ამოხსნისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამოცანაში აღწერილი სიტუაციის გრაფიკულ წარმოდგენას. სასურველია, ამოცანის ამოხსნას ყოველთვის ახლდეს გრაფიკული ილუსტრაცია. მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ გაიგონ ილუსტრაციის შინაარსი, არამედ თვითონ შეასრულონ იგი ამოცანის პირობის მიხედვით.

მოძრაობაზე ამოცანებში სამი სიდიდე მონაწილეობს: დრო, მანძილი, სიჩქარე. ამოცანაში შეიძლება თითოეული მათგანი იყოს საძიებელი. ამის მიხედვით მოძრაობაზე არსებობს სამი სახის ამოცანა. ერთი, რომელშიც მოცემული დროისა და სიჩქარის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ მანძილი; მეორე, რომელშიც მოცემული დროისა და მანძილის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ სიჩქარე და მესამე, რომელშიც მანძილისა და სიჩქარის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ დრო.

სახელმძღვანელოში განხილულია ამოცანები ა) შემხედვი მიმართულებით მოძრავ სხეულებზე; ბ) საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სხეულებზე გ) წყალზე მოძრავ სხეულებზე. მცირე დოზით, მაგრამ მაინც მოცემულია ამოცანები, სადაც სხეულები მოძრაობას სხვადასხვა დროს იწყებენ.

თემის – „ფართობი“ ამოცანაა სათავე დაუდოს: ა) მოსწავლის წარმოდგენას ფიგურის ფართობზე; ბ) მოსწავლეს გამოუმუშავდეს მართკუთხედის ფართობის გამოთვლის ჩვევები. ფართობის სწავლება ეტაპობრივად ხდება.

I ეტაპი – ზოგადი წარმოდგენის შექმნა ფიგურის ფართობზე, მათი ერთმანეთთან შედარებით. იმის გარკვევა, თუ რომელი მეტ ადგილს იკავებს სიბრტყეზე;

II ეტაპი – ფართობის საზომი ერთეულის გაცნობა;

III ეტაპი – სხვადასხვა ფიგურის ფართობის გამოთვლა პალეტის გამოყენებით;

IV ეტაპი – მართვულობის ფართობის გამოსათვლელი წესის გამოყვანა და ამ წესის ასოებით ჩაწერა;

V – ამოცანების ამოხსნა ფართობის გამოთვლაზე.

§4.1 სიჩქარე (2სო)

მიზნები:

- გავაცნოთ ამოცანები ორი სხეულის მოძრაობაზე;
- გავაცნოთ მოსწავლეებს სიჩქარის ცნება და მისი კავშირი დროსთან და მანძილთან;
- განუვითაროთ გამოთვლების უნარ/ჩვევები;
- გავამეორებინოთ
 - ა) ნატურალური რიცხვების წაკითხვა;
 - ბ) დროის ერთეულები;
 - გ) გეომეტრიული ფიგურის ამოცნობა და წაკითხვა;
 - დ) დამოკიდებულება ფასს, რაოდენობასა და დირებულებას შორის.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- დროისა და მანძილის მიხედვით სიჩქარის გამოთვლის წესი;
- დროისა და სიჩქარის მიხედვით მანძილის გამოთვლის წესი;
- სიჩქარისა და მანძილის მიხედვით დროს გამოთვლის წესი;
- სიჩქარის საზომი ერთეულები.

უნდა შეეძლოს: მარტივი ამოცანების ამოხსნა დროის, სიჩქარისა და მანძილის გამოთვლაზე

მეოდეური კომენტარები: მეცნიერებული მოსწავლე სიჩქარის ცნებას პირველად ეცნობა, თუმცა სსინდა მარტივ ამოცანებს მოძრაობაზე, სადაც სიტყვა „სიჩქარე“ არ იყო ნახსნები. მაგალითად, შემდეგი სახის ამოცანებს: „ავტომობილი ყოველ საათში 60 კმ-ს გადის. რამდენ კილომეტრს გაივლის ავტომობილი 3 საათში?“. რადგან ასეთი ამოცანების ამოხსნასაა მიხვეული, მასწავლებელმა ჯერ 2-3 ასეთი ამოცანა ზეპირად უნდა ამოახსნევინოს მოსწავლეებს, ხოლო შემდეგ მასალის გადაცემა გააგრძელოს სახელმძღვანელოს მიხედვით.

გაძვეთილზე მოსწავლე სიჩქარეს, დროსა და მანძილს შორის დამოკიდებულებას სწავლობს. ეს დამოკიდებულება კარგად უნდა აღიქვან, რათა შემდგომი მასალაც კარგად აითვისონ. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა შინაარსიანად გაიაზრონ ტოლობები: $s = v \times t$, $t = s:v$, $v = s:t$.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლის სწორ მეტყველებას, ტერმონების სწორად გამოთქმასა და გამოყენებას.

I საათი

კლასში: სავ.№1, №3, №5, №7, №10.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№4 და №9 (სამი ვარიანტი: I რიგს I სტრიქონი, II-ს II სტრიქონი, III-ს III სტრიქონი თრივე ცხრილიდან)

საშინაო დავალება: სავ.№2, №4, №6.

II საათი

კლასში: სავ.№13, №15, №17, №19, №21, №19

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№11 და №16 (ორი ვარიანტი I რიგს I სტრიქონი, II-ს II სტრ., თრივე ცხრილიდან)

საშინაო დავალება: სავ.№12, №14, №18, №20.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავარჯიშოებში მოძრაობის სამი ამოცანაა ცხრილის სახით მოცემული. ერთში უცნობია სიჩქარე, მეორეში – მანძილი, ხოლო მესამეში – დრო.

საგ №4, საგ №9 ცხრილები რვეულებში გადაიხაზონ და ისე შეავსონ. ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს წესი, თუ როგორ გამოთვალა დრო, მანძილი და სიჩქარე.

შემდეგ უნდა იცოდეს რას ნიშნავს „სწრაფი მოძრაობა”, „ნელი მოძრაობა” და შეეძლოს ერთი და იმავე ერთეულებში გამოსახული სიჩქარეების შედარება.

საგ №14. აგტომობილის სიჩქარეა 60 კმ/სთ, რაც ნიშნავს, რომ წუთში 1 კმ-ს გადის. მიტომ 45 წუთში 45 კმ-ს გაივლის. **პასუხი:** 45 კმ.

II გაკეთოლზე მასწავლებელს გამზადებული უნდა ჰქონდეს ცხრილი. ცხრილ ში დრო მუდმივი უნდა იყოს, ხოლო ხან სიჩქარე, ხან მანძილი იზრდებოდეს ან მცირდებოდეს რამდენჯერმე. ცხრილზე მუშაობის მიზანია: მოსწავლემ გაიაზროს მანძილის დამოკიდებულება სიჩქარეზე.

ცხრილზე მუშაობის შემდეგ ამოხსნიან **საგ №15-ს**, რომლის **პასუხია:** а) 1 სთ ბ) 6 სთ.

საგ №21. პასუხი: 1 საათი და 15 წუთი.

§4.2 შემხედრი მიმართულებით მოძრაობა

მიზნები:

- გაგაცნოთ მოძრაობაზე ისეთი ამოცანები, რომლებშიც ორი სხეული შემხედრი მიმართულებით მოძრაობს;
- ვასწავლოთ მოცემულ ამოცანასთან დაკავშირებული სქემის შედგენა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: როგორ გამოითვლება შემხედრი მიმართულებით მოძრავი სხეულების ჯამური სიჩქარე.

უნდა შეეძლოს: იმ ამოცანების ამოხსნა, რომლებშიც ორი სხეული შემხედრი მიმართულებით მოძრაობს.

მეთოდური კომენტარები:


ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა გავთვალისწინოთ, რომ საუბრისას მის მიერ გამოყენებულ სიტყვებს: „ჩქარა”, „ნელა”, ის გონებით უკავშირებს დროს და არა სიჩქარეს. ამიტომ სასურველია, მაწავლებელმა რამდენიმე გაკვეთილზე იმუშაოს მოსწავლის მიერ ამ სიტყვების სწორად გააზრებაზე.

საგ №1. დასმულ კითხვას მოსწავლეები ზეპირად პასუხობენ, განმარტავენ სვლებს. ჩანაწერს არ აკეთებენ.

საგ №2. ამოცანას უხმოდ, თავისთვის წაიკითხავენ. შემდეგ ერთი გამოჰყავს დაფასთან, ჩამოაყალიბებინებს ამოცანის პირობას და კითხვას და სთავაზობს სქემის შედგენას. სქემის ნაწილს თვითონ დახაზავს კომენტარების გარეშე და დაფასთან გამოსულ მოსწავლეს ეკითხება



- რომელი მგზავრის სიჩქარე დაგწერე ნახაზზე?
- რა მოვნიშნე პატარა წვრილი ხაზებით მონაკვეთის ბოლოებში? (პუნქტები, საიდანაც მგზავრები გამოვიდნენ)
- რას შეესაბამება მონაკვეთი, რომლის ბოლოებშიც ეს პუნქტებია მონიშნული? (მანძილს ამ პუნქტებს შორის ანუ მგზავრების მიერ გასავლელ გზას)
- რას შეესაბამება პატარა სქელი მონაკვეთი, რომელიც მონაკვეთზე (გზაზე) მოვნიშნე? (მგზავრების შეხვედრის ადგილს)
- შემთხვევით არის ეს მონაკვეთი (შეხვედრის ადგილი) მონაკვეთის მარცხენა ბოლოსთან უფრო ახლოს, ვიდრე მარჯვენასთან, თუ შეგნებულად მოვნიშნე ასე? (არაა შემთხვევით) აბა, რა გავთვალისწინე? (შეხვედრამდე მგზავრები ერთნაირ დროს დახარჯავენ, ამიტომ მგზავრი, რომელიც 4 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს, უფრო ნაკლებ მანძილს გაივლის, ვიდრე ის, რომელიც 5 კმ/სთ სიჩქარით რომ მოძრაობს)
- დასრულე სქემა – მიმართავს დაფასთან გამოსულ მოსწავლეს.



სქემის დასრულების შემდეგ სთხოვს ჩამოაყალიბოს ამოხსნის გეგმა.

1) გამოვთვალოთ რა სიჩქარით უახლოვდებიან მგზავრები ერთმანეთს; ($4+5=9$ (კმ/სთ))

2) რამდენი საათის შემდეგ შეხვდებიან ერთმანეთს. ($27 : 9 = 3$ (სთ))

- ჩამოაყალიბე პასუხი (მგზავრები ერთმანეთს 3სთ-ის შემდეგ შეხვდებიან. ანალოგიურად ხსნიან მსგავს ამოცანებს.)

II გაკვეთილზე მოძრაობის ამოცანების ამოხსნას მასწავლებელი იწყებს შეკითხვით:

- როგორ გესმით ფრაზები: „ავტომობილი უფრო ჩქარა მოძრაობს, ვიდრე – ველოსიპედი?“ „ფეხით მოსიარულე უფრო ნელა დადის, ვიდრე – ცხენოსანი?“ მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომ ერთის მოძრაობის სიჩქარე ნაკლებია, ვიდრე მეორის. ამის შემდეგ, სასურველია, პრობლემური სიტუაციის შექმნა.

მასწავლებელი: – მე ჩამოვაყალიბებ ამოცანის პირობებს და ორ კითხვას დავსვამ. თქვენ ამოცანის პირობების მიხედვით უნდა განსაზღვროთ, რომელ კითხვაზე შეიძლება პასუხის გაცემა და რომელზე არა. ამოცანა ასეთია: „ ბადრი სკოლაში 10 წუთში მიდის, ხოლო ლიზი – 15 წუთში. ა) ვინ მეტ დროს ხარჯავს სკოლაში მისვლაზე? ბ) ვინ მოძრაობს ჩქარა, ვინ ნელა?“

ამოცანის განხილვისას მოსწავლეები დაასკვნიან, რომ მხოლოდ I კითხვაზეა შესაძლებელი პასუხის გაცემა. მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა იმ მანძილების ცოდნა, რომელსაც გადიან ბადრი და ლიზი.

მასწავლებელი ამოცანას ამატებს პირობებს: ბადრი გადის 600 მ-ს, ხოლო ლიზი 1200მ-ს. ხსნიან ამოცანას, რომელიც მოცემულ ამოცანაზე ამ პირობების დამატებით მიიღება.

მთავარია, მოსწავლეს სიჩქარე ესმოდეს, როგორც დროის ერთეულში გავლილი მანძილი.

სახელმძღვანელოს ტექსტში განხილულია სამი განსხვავებული ტიპის ამოცანა შემხედრ მოძრაობაზე. ერთში გამოსათვლელია მანძილი, მეორეში დრო, ხოლო მესამეში სიჩქარე. სამივე ამოცანაში სხეულები ერთდროულად იწყებენ მოძრაობას. მოსწავლის უკრადლება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ

1. ასეთი მოძრაობისას სხეულები შეხვედრამდე ერთნაირ დროს დახარჯავენ;
2. მათ მიერ შეხვედრამდე გავლილი მანძილების ჯამი პუნქტებს შორის მანძილის ტოლია.

თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მასწავლებელმა ორი მოსწავლე გამოიყვანოს, ერთი დააყენოს დაფასთან, მეორე – მოპირდაპირე კედელთან. ამოძრაოს მოსწავლეები შემხედრი მიმართულებით. ბავშვები ნათლად დაინახავენ, რომ მათ მიერ შეხვედრამდე გავლილი მანძილების ჯამი დაფასა და კედელს შორის მანძილის ტოლია.

ამის შემდეგ სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით იმუშავებენ. სქემატური ნახტები დაფაზე აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამოცანების პირობების შესაბამის ნახტებს პირველ ეტაპზე მასწავლებელი ასრულებს, შემდეგ კი, მოსწავლეები.

I საათი

გაპეტილზე განიხილება პარაგრაფში მოცემული თეორიული მასალიდან ამოცანა 1 და ამოცანა 2. სავ. №1.

საშინაო დავალება: №2-4 ამოცანები.

II საათი

კლასში: პარაგრაფში მოცემული თეორიული მასალიდან ამოცანა 3, სავ. №9, №11,

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ. №7 (ორ ვარიანტად)

საშინაო დავალება: სავ. №8, №10, №14.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №1. ა)10 ქმ/სთ; ბ)114 ქმ/სთ. სავ№2. 3 სთ-ზი. სავ№3. 220 ქმ.

სავ. №4. ტოლი სიჩქარის გამო ავტომანქანები შეა გზაზე შეხვდებიან. პასუხი: 108 ქმ.

სავ. №5. 3სთ ა) T-თან; ბ)162 ქმ; გ) 156 ქმ. სავ№6. 240 ქმ. სავ№7. ა) 4სთ; ბ) 3სთ.

სავ. №9 A-დან გამოსულის სიჩქარეა 60 ქმ/სთ. 120:60=2. პასუხი: სულ დასჭირდება 5სთ.

სავ. №10. ამ და მომდევნო ამოცანაში ავტობუსები შემხვედრი მიმართულებით სხვა-დასხვა დროს გადიან. ამიტომ ჯერ უნდა გამოვთვალოთ 9 საათზე ავტობუსებს შორის მანძილი $315 - 65 = 250$ (ქმ), ხოლო შემდეგ მეორე ავტობუსის მიერ შეხვდრამდე დახარჯული დრო $250 : (65 + 55) = 2$ (სთ) პასუხი: ა)11 სთ-ზე; ბ)120 ქმ; გ)195 ქმ.

სავ. №11. 12 საათზე; სავ№12. $148908+3511=152419$; $64853-15198=49655$

სავ. №13. სოფო-24 მ/წთ; ანდრო-20 მ/წთ.

სავ. №14. ტურბაზამდე მანძილია $5 \times 6 = 30$ ქმ. იმისათვის, რომ ეს მანძილი 5 საათში დაფაროს უნდა იაროს $30:5=6$ ქმ/სთ სიჩქარით.

§4.3 მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით (2სთ)

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეებს მოძრაობაზე ისეთი ამოცანები, რომლებშიც ორი სხეული საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. გავიმეოროთ სამკუთხედის უტოლობა.

აარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: როგორ გამოითვლება მოძრავი სხეულების ჯამური სიჩქარე საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში.

უნდა შეეძლოს: იმ ამოცანების ამოხსნა, რომელშიც ორი სხეული საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს.

მეთოდური კომენტარები:

საგალდებულო ნაწილში ისეთი ამოცანებია მოცემული, რომლებშიც სხეულები ერთდროულად იწყებენ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობას და გამოსათვლელია მათ შორის მანძილი.

სახელმძღვანელოს ტექსტში ისევე, როგორც წინა პარაგრაფში, აქაც ამოცანის ამოხსნა ორი გზითაა ნაჩვენები. შეადარებენ და შეაფასებენ რა ამ ამოხსნებს, მეორე გზას უნდა მისცენ უპირატესობა, რადგან ის მოკლეა და ლოგიკურად ამოცანის კითხვიდან გამომდინარეობს.

ამ ხერხით ამოხსნის შესწავლამდე მასწავლებელმა მოსწავლეები კითხვებით უნდა მიიყანოს:

—რა მანძილი იქნება მატარებლებს შორის 1 სთ-ის შემდეგ? 2 სთ-ის შემდეგ? 3 სთ შემდეგ? და ა. შ.

I საათი

გაკვეთილზე განიხილება პარაგრაფში მოცემული ამოცანა 1. სავ№1, №5, №7.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ№3 (I ვარიანტი – ა), II ვარიანტი – ბ))

საშინაო დაგალებად ეძღვაო $\text{N}2$, №4, №12 ამოცანები.

II საათი

კლასში: სავ№8, №10, №13.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ№9 (I ვარიანტი – ა), II ვარიანტი – ბ))

საშინაო დაგალებად ეძღვაო $\text{N}14$, №15.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ№1. ა)300 ქმ; ბ)645 ქმ.


სავ№2. ა)11 ქმ; ბ)22 ქმ.

სავ№4. ა) შემცირდება 145 ქმ-ით, ე.ი. მათ შორის მანძილი იქნება 55 ქმ; ბ) გაიზრდება 145 ქმ-ით, ე.ი. მათ შორის მანძილი იქნება 345 ქმ.

სავ№5. 1 საათში ველოსიპედისტები 23 ქმ-ით შორდებიან. პასუხი: 69 ქმ.

სავ№6. 176 ქმ. სავ№7. 15 ქმ.

სავ№8. ბ) ამოცანის განხილვა სქემატური ნახაზის გამოყენებით უნდა მოხდეს:



გასწავლებელი: – ვცადოთ ამოცანის ამოხსნა კითხვებითა და შესაამისი მოქმედებებით. რამდენი კილომეტრი გაიარა ერთმა ავტომობილმა 5სთ-ში? ($80 \times 5 = 400$ კმ). რა მანძილი გაიარა მეორე ავტომობილმა 5 სთ-ში? ($775 \text{ კმ} - 400 \text{ კმ} = 375 \text{ კმ}$). რა სიჩქარით მოძრაობდა მეორე ავტომობილი? ($375 : 5 = 75 \text{ კმ/სთ}$). ა) პასუხი: 72 კმ/სთ .

№9. ა) 258 კმ ; ბ) 782 კმ .

№10. ამოცანა ამოვხსნათ ორი გზით:

I გზა: 1. გავიგოთ რამდენი კმ გაიარა ავტობუსმა 4 საათში: $65 \times 4 = 260 \text{ კმ}$; 2. გავიგოთ რამდენი კილომეტრი გაიარა მიკროავტობუსმა 2 საათში: $410 - 260 = 150$. 3. გავიგოთ რა სიჩქარით მოძრაობდა მიკროავტობუსი: $150 : 2 = 75 \text{ კმ/სთ}$.

II გზა: ვთქვათ მიკროავტობუსი მოძრაობდა $x \text{ კმ/სთ}$ სიჩქარით. ამოცანის პირობის თანახმად ავტობუსის მიერ 4 საათში გავლილი მანძილის და მიკროავტობუსის მიერ 2 საათში გავლილი მანძილების ჯამი 410 კმ-ია . ანუ $65 \times 4 + 2x = 410$, $x = 75$. პასუხი: 75 კმ/სთ .

№11. ა) 180 კმ ; ბ) 440 კმ . **№12.** $65 \times 3 = 195 \text{ კმ}$.

№13. სამკუთხედის უტოლობის თანახმად $BC + CD > BD$, ამიტომ პასუხია $ABCD$.

№14. 3 სთ-ში. **№15.** 10 ცალი 5 ლარიანი. **№17** 1 საათსა და $30 \frac{\text{წთ}}{\text{წთ}}$.

§4.4 წყალზე მოძრაობის ამოცანები (2სთ)

მიზანი: ვასწავლოთ როგორაა დამოკიდებული წყალზე მოძრავი სხეულის სიჩქარე დინების სიჩქარეზე.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: წყალზე მოძრავი სხეულის სიჩქარის გამოთვლა როგორც დინების, ისე საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობისას.

უნდა შევძლოს: წყალზე მოძრაობის ამოცანების ამოხსნა.

მეთოდური კომენტარები:

უნდა ამოიხსნას სამი ტიპის ამოცანა:

1. როდესაც სხეულს საკუთარი სიჩქარე არ გააჩნია და დინებას მისდევს;
2. როდესაც სხეულს საკუთარი სიჩქარე გააჩნია და მოძრაობს დინების მიმართულებით;
3. როდესაც სხეულს საკუთარი სიჩქარე გააჩნია და მოძრაობს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

I საათი

გაპეტილზე განიხილება პარაგრაფში მოცემული მასალა და №1-5 ამოცანები. დამოუკიდებელი სამუშაო: სავ №10.

საშინაო დავალება: №6, №7, №8.

II საათი

კლასში: სავ №9, №11 №13 №17

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ №15 (I ვარიანტი – ბ), II ვარიანტი – გ).

საშინაო დავალება: №12, №14, №16.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ №3. 2 კმ/სთ. სავ №4. A-დან B-სკენ. სავ №5. 17 კმ/სთ.

სავ №6. ა) 60 კმ; ბ) 64. სავ №8. 6 საათს.

საგ №9. დემეტრემ დინების საწინააღმდეგო მიმართულებით $(6-2) \times 4 = 16$ კმ გაიარა. უკან დაბრუნებისას იგივე გზა, ანუ 16 კმ უნდა გაცუროს. დინების მიმართულებით მისი სიჩქარე 8კმ/სთ იქნება. ამ სიჩქარით დემეტრე 2სთ-ს იცურებდა დინების მიმართულებით.

საგ №10. კატერი 126 კმ-ს დინების მიმართულებით $(126 : 18)$ სთ = 7 სთ-ში, საწინააღმდეგო მიმართულებით $(126 : 14)$ სთ=9სთ-ში, ხოლო ორივე მიმართულებით – 16 სთ-ში გაივლის. **პასუხი:** 16სთ.

საგ №11. ამ და მომდევნო ამოცანაში სასურველია შესაბამისი სქემის დახაზვა. $20 \times 4 - 16 \times 3 = 32$ კმ.

საგ №12. $27 \times 4 - 21 \times 2 = 66$ (კმ). **საგ №13.** $(30-22) \times 2 = 4$ კმ/სთ. **საგ №16** ა) 5; ბ) 2000; გ) 2012.

საგ №17. ავტომობილი ერთ წუთში გადის 1 კმ-ს, ამიტომ 140 წუთში გაივლის 140 კმ-ს.

§4.5 მართკუთხედის პერიმეტრი (2სთ)

მიზანი: გავახსენოთ მოსწავლეებს მართკუთხედის ელემენტები, პერიმეტრი; გავაცნოთ მართკუთხედის დიაგონალის ცნება, დიაგონალისა და გვერდების თვისებები.

საჭირო მასალა: სხვადასხვა ზომის მართკუთხედების მოდელები (მათ შორის კვადრატებიც), რომელთა რაოდენობა ემთხვევა კლასში მოსწავლეთა რაოდენობას.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლმ უნდა იცოდეს: მართკუთხედის ელემენტები, მათი სახელწოდებები, პერიმეტრის გამოთვლის წესი.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს: მართკუთხედის გადამკვეთი და არაგადამკვეთი გვერდების ამოცნობა, დასახელება; პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულების ასოების გამოყენებით ჩაწერა; დიაგონალების დასახელება.

მეთოდური კომენტარები: მართკუთხედს მოსწავლე წინა კლასებიდან იცნობს. მის ცოდნას ემატება მართკუთხედის დიაგონალების და მოპირდაპირე გვერდების თვისება. (ამ თვისებების მართებულობაში მოსწავლეები მოდელებზე გაზომვებით დარწმუნდებიან).

არითმეტიკული მოქმედებების თვისებების გამოყენებით შეადგენენ მართკუთხედის და კვადრატის პერიმეტრის გამოსათვლელ გამოსახულებებს.

მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ კვადრატიც მართკუთხედია, რომლის ყველა გვერდი ტოლია.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ოთხკუთხედს, რომელთაგან ზოგს არც მართი კუთხე და არც პარალელური გვერდები არ გააჩნია. უთითებენ მართკუთხედის ფორმის საგნებს (წიგნის, რვეულის ყდა თუ ფურცელი, მაგიდა, დაფა, ჰერი, კედლები და ა. შ.) ახდენენ მართკუთხედისა და კვადრატის ფორმების შედარებას, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დაღენას.

მოსწავლეები მოდელებზე მუშაობენ. ვისაც რა მოდელი შეხვდა, იმის პერიმეტრს ითვლის. აჩვენებს მის წვეროებს, გვერდებს, გადამკვეთ და არაგადამკვეთ გვერდებს, აკლებს დიაგონალებს. ზომავს მოპირდაპირე გვერდებს და დიაგონალებს და რწმუნდება, რომ მართკუთხედს მოპირდაპირე გვერდები ტოლი და დიაგონალები ტოლი აქვს.

I საათი

კლასში: საგ. №1, №3, №5, №7.

დამოუკიდებელი სამუშაო: საგ №2 (I ვარიანტ – ა), II ვარიანტ – ბ))

საშინაო დავალება: საგ. №4, №6, №8.

II საათი

კლასში: საგ №9, №11, №13, №15.

დამოუკიდებელი სამუშაო:


საშინაო დავალება: საგ №10, №12, №14. მასწავლებელი შესაბამისი მითითებებით მოსწავლეებს მომდევნო გაკვეთილისთვის პალეტის დამზადებას აგალებს.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

საგ №1. ა) 20სმ; ბ) 30სმ. საგ №2. ა) 80სმ; ბ) 162 სმ; გ) 11სმ. საგ №3. 38 სმ. საგ №5. 3სმ.


საგ №6. 25 მმ. საგ №7. 26 მმ. საგ №8. 38 მმ. საგ №9. 32 მმ. საგ №10. 10 ასმ საგ №11. 1 სმ და 4 სმ, ან 2 სმ და 3 სმ. საგ №12. 7 დღ. საგ №13. 10 სმ. საგ №14. 6 სმ. საგ №15 მართკუთხედის. საგ №16. 18 სმ.

საგ №17. მოსაწავლეები შესაბამის ნახაზს შეასრულებენ და გაზომვით დარწმუნდებიან, რომ მეორე კვადრატის დიაგონალი პირველი კვადრატის გვერდზე ორჯერ დიდია. **პასუხი:** 20 სმ.
საგ №18. თუ 2 წუთში 300 მეტრი გაიარა, მაშინ 60 წუთში გაივლის $30 \times 300 = 9000$ მ=9 კმ-ს. ე.ი. მისი სიჩქარე 9 კმ/სთ-ის ტოლია. **პასუხი:** დაარღვია.



„შესაძლებელია თუ არა“

- შეუძლებელია, რადგან მართკუთხედს დიაგონალები ტოლი აქვს.
- შესაძლებელია. საკმარისია დიაგონალებად ავიდოთ ტოლი სიგრძის გადამკვეთი მონაკვეთები ისე, რომ ერთ-ერთი (ან ორივე) მონაკვეთი გადაკვეთის წერტილით არატოლ მონაკვეთებად გაიყოს (იხ.ნახ.).



§4.6 ფართობი (2 სთ)

გაპვეთილის თემა: ფართობი

ფართობის ცნება შემოგაქვს მოსწავლეთა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ფართობზე საწყისი წარმოდგენების შესაქმნელად მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ ჩვენს გარშემო არსებულ ფიგურებს აქვთ ფართობი, რომ ისინი გარკვეულ ადგილს იკავებენ. შეიძლება დაისვას შეკითხვები: მათემატიკის რამდენი სახელმძღვანელო დაფარავს მერხის ზედაპირს? დაფის შესაღებად მეტი საღებავია საჭირო თუ კედლის შესაღებად? რამდენი უჯრისაგან შედგება უჯრიანი რვეულის გვერდი? და ა.შ.

გაპვეთილის ტიპი: ახალი მასალის შესწავლისა და ცოდნის სისტემატიზაციის.

გაპვეთილის გეგმა, საგაკვეთილო დროის განაწილება

- საშინაო დავალების შემოწმება – 3 წთ;
- გაპვეთილის მიზნის გაცნობა, პროგოცირება – 4 წთ;
- მნიშვნელობის რეალიზება, გააზრება – 18 წთ;
- განმტკიცება – 15 წთ
- დასკვნების გამოტანა – 3 წთ
- საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ

მიზნები:

- გავახსენოთ კვადრატი, მართკუთხედი, სხვადსხვა სახის მრავალკუთხედები;
- შემოვიტანოთ ფართობის ცნება, ფართობის საზომი ერთეულები;
- მიღებული ცოდნის რეალურ სიტუაციაში გამოყენების უნარის გამომუშავება. პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- ფიგურების ფართობების შედარება;
- ფიგურების ფართობების შეფასება ფიგურათა ურთიერთშეთავსებით;
- ფართობის გამოთვლა პალეტით;
- ფართობის ერთეულების სახელწოდებები და შინაარსი.

უნდა შეეძლოს: ფიგურის დაფარვა ერთნაირი არაგადამფარავი ფიგურებით, ბადით და მათი რაოდენობის დასახელება.

საჭირო მასალა: განსხვავებული ზომის და ფერის მართკუთხედები, წრეები, ბადე (პალეტი), ორი ტოლი და ერთი მათგან განსხვავებული, ბადით დაფარული მუყაოს მართკუთხედი, მაკრატელი. მოსწავლეებს 1 სმ ტოლი გვერდების მქონე 10-10 კვადრატი.

ფართობი ორ ეტაპად შემოგვაქვს.

- I. ფართობი, როგორც დამფარავი კვადრატების რაოდენობა;
- II. მართკუთხედის ფართობის გამოსაანგარიშებელი ფორმულის გამოყვანა და ამოცანების ამოხსნა ფართობის გამოთვლაზე.

გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტ. საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- რა ფიგურაა მართკუთხედი? მართკუთხედის გვერდი?
- რამდენი გვერდი აქვს მართკუთხედს? კუთხე? წვერო?
- რა შეგიძლიათ მითხვათ მართკუთხედის დიაგონალის შესახებ?
- რა იცით მართკუთხედის დიაგონალების შესახებ?
- რა შეგიძლიათ მითხვათ ისეთი მართკუთხედის შესახებ, რომელსაც უველა გვერდი ტოლი აქვს?
- როგორ გამოითვლება მართკუთხედის პერიმეტრი? კვადრატის პერიმეტრი?

მეხუთეკლასებულებისათვის ფართობის ცნება ძნელად ასათვისებელია, რადგან ამ ცნების ფორმირებისათვის მარტო მხედველობა და შეგრძნება საქმარისი არაა (მაგ. სიგრძის ცნების ათვისებაში ეს საქმარისი იყო). მიზნის მისაღწევად მასწავლებელს მეტი ძალისხმევა მართებს. მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას უნდა დაუმატოს ბევრი თვალსაჩინო მასალა: ა) ტოლი ფიგურები ბ) ტოლდიდი ფიგურები გ) სხვადსხვა ფართობის მქონე ფიგურები.

III. გაკვეთილის მიზნის გაცნობა. პროგოცირება

– რომელი მართკუთხედი უფრო დიდია – უფითელი თუ მწვანე? (მოისმენს ბაგშვების პასუხებს). როგორ დაგრმუნდეთ თქვენი პასუხის სისწორეში? (ფიგურების ზედდებით)

მასწავლებელი განსხვავებული ფიგურების ზედდებით აჩვენებს, რომ ერთი მთლიანად მოთავსდა მეორეში. ახსენებს სიტყვას „ფართობი“ და ეუბნება, რომ ფართობი არის ადგილი, რომელსაც ეს ფიგურა იკავებს სიბრტყეზე, მაგალითად, რვეულის ფურცლის ფართობი არის ადგილი, რომელსაც ის იკავებს მაგიდაზე). ასკნიან, რომ ერთ ფიგურას მეტი ფართობი აქვს, ვიდრე – მეორეს.

– შედებვა რომ დაგჭირდეს რომელზე დაიხარჯება მეტი საღებავი? (რომელსაც მეტი ფართობი აქვს).

– რომელი ფიგურის გამოჭრას სჭირდება მეტი ქაღალდი? (რომელსაც მეტი ფართობი აქვს).

– ამ მართკუთხედსა და კვადრატზე რას მეტყოთ, რომელი უფრო დიდია? (აჩვენებს ისეთ ფიგურებს, რომელთა თვალზომით შედარება გაუჭირდებათ) არც ერთი მეორეში არ თავსდება. როგორ მოვიქცეთ? თუ სწორ პასუხს ვერ მიიღებს, თვითონ ეტყვის, რომ ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ ამ ფიგურების ფართობები და ფართობების შედარება გაგვცემს პასუხს დასმულ კითხვაზე.

– ვინ მიხვდა რა უნდა ვისწავლოთ დღეს? (ფიგურის ფართობის გამოთლა და ფიგურების ფართობების შედარება)

– ფართობების შედერების ერთ ხერხს უკვე ვიცნობთ. რომელს? (ზედდებით)

IV. ახალი მასალის ახსნა

მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს ტოლი სიგრძისა და სიგანის მართკუთხედებს.

ზედდებით ადგენენ რომ ასეთი მართკუთხედები ტოლია. ტოლია თუ არა მათი ფართობები? ზედდებით დარწმუნდებიან, რომ მათი ფართობებიც ტოლია.

— ეს რას ნიშნავს? (შედებვა რომ იყოს საჭირო, ორივე ფიგურის შესაღებად ტოლი რაოდენობის საღებავი იქნება საჭირო)

მასწავლებელი აჩვენებს ტოლი სიგრძისა და განსხვავებული სიგანის მართკუთხედებს. ზედდებით დარწმუნდებიან, რომ მათი ფართობები განსხვავდება. განსხვავებული ზომების მართკუთხედების შედარებისას, როდესაც ზედდებითაც ცხადად არ ჩანს, რომლის ფართობია მეტი, მასწავლებელი დააყენებს საკითხს მათი შედარების ახალი მეოდის ძიების შესახებ. ამ მიზნით მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წყვილებში იმუშაონ და უჯრიანი რვეულის ფურცელზე დახაზონ სამი მართკუთხედი და გამოჭრან.

• ორი ისეთი, რომლის გვერდი გაუყვება (ტოლი იქნება) რვეულის ბადის 4 უჯრის (კვადრატის) გვერდის სიგრძეს, ხოლო მეორე – 6 უჯრისას;

• ერთი ისეთი, რომლის გვერდი გაუყვება (ტოლი იქნება) რვეულის ბადის 4 უჯრის (კვადრატის) გვერდის სიგრძეს, ხოლო მეორე – 8 უჯრისას.

— დაითვალეთ რვეულის რამდენი უჯრა (კვადრატი) ფარავს თითოეულ მართკუთხედს (24, 24 და 32)

— რას იტენით მართკუთხედების ფართობების შედარებისას? (ორი ტოლია, მესამე მათზე დიდი) ახლა ზედდებით შეადარეთ. რა შედეგი მიიღეთ? (ორივე ხერხით გამოთვლისას შედეგები ერთნაირია)

— მაშ რამდენი ხერხი ვიცით უკვე? (2)

— ყველა სიდიდეს თავისი საზომი ერთეული აქვს. რა იყო ამ შემთხვევაში ჩვენი საზომი ერთეული? (რვეულის ბადის კვადრატი)

— თქვენ ყველას გაქვთ სახლიდან მოტანილი კვადრატები, რომელთაგან თითოეულის გვერდის სიგრძეა 1სმ. დაალეგით მართკუთხედებზე ჯერ ერთზე, მერე მეორეზე, შემდეგ მესამეზე და დაითვალეთ, თითოეული მართკუთხედი რამდენი ასეთი კვადრატით დაიფარება. (6, 6, 8).

— ამ ერთეულებით გაზომვამ შეცვალა შედარების შედეგები? (არა, ორი ტოლია, მესამე მათზე დიდი).

— რა დასკვნას გამოიტანო? (ფართობების შედარებისას არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ერთეულებით ვზომავთ)

— ახლა გადაშალეთ სახელმძღვანელო 102-ე გვერდზე და დაითვალეთ ნახატზე მოცემული ფიგურების ფართობები. საზომ ერთეულად ბადის კვადრატები აიღეთ. შეამოწმეთ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, რაც წიგნში წერია. (ითვლიან და გამოთვლებს ეთანხმებიან).


— რომელი ფიგურა მოიცავს მეტ კვადრატს? (და. ა. შ ადარებენ ნახატზე მოცემული ფიგურების ფართობებს.)

— რა შეგიძლიათ თქვათ ტოლი ფიგურების ფართობებზე? (ტოლ ფიგურებს ტოლ ფართობები აქვს.)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სთხოვს, აჩვენონ ეს ფაქტი რამენაირად. მოსწავლეები თვალსაჩინოებისთვის თავის გამოჭრილ ორ მართკუთხედს (უჯრიანი რვეულის ფურცლიდან 4×6 ზომის მართკუთხედების ზედდებით დაასაბუთებენ) მასწავლებელიც აჩვენებს მოსწავლეებს ერთნაირი ბადით დაფარულ ორ ტოლ მართკუთხედს. მოსწავლეები მათი ზედდებით რწმუნდებიან, რომ ისინი ტოლია. მასწავლებელი აჩვენებს, რომ ეს ორი მართკუთხედი ერთნაირი ბადითაა დაფარული და სვამს კითხვას: შეგვიძლია თუ არა ბაღების გამოყენებით შევადაროთ მართკუთხედების ფართობები? თუ მასწავლებელმა სასურველი პასუხი ვერ მიიღო, მაშინ თვითონ მიუთითებს ბადეების გამოყენებით ფართობების შედარების გზაზე. „მართკუთხედები ტოლია, ვნა-

ხოთ, არის თუ არა ისინი ტოლი რაოდენობის უჯრებით დაფარული?” ითვლიან რამდენი უჯრითაა დაფარული თითოეული მათგანი. აღმოჩნდება, რომ ორივე მართკუთხედი ტოლი რაოდენობის უჯრებითაა დაფარული. მასწავლებელი შეახსენებს სახელმძღვანელოში მოცემულ №4 და №7 ფიგურებზე გამოტანილ დასკვნას, რაც წინ უკვე აღნიშნებს.

გამოაქვთ დასკვნა: ტოლ მართკუთხედებს ტოლი ფართობები აქვთ. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ერთნაირი ბადით დაფარულ თრ ტოლ ფიგურას, რომლებსაც არა აქვთ მართკუთხედის ფორმა.



ფიგურების დამფარავი უჯრების რაოდენობა ნატურალური რიცხვით უნდა გამოისახებოდეს. ზედლებით ადარებენ ერთმანეთს ამ ფიგურებს, ითვლიან დამფარავი უჯრების რაოდენობას და ასკვნიან, რომ ტოლ ფიგურებს ტოლი ფართობები აქვთ. ასეთივე გზით მიდიან დასკვნამდე:

1. ორი ფიგურიდან იმ ფიგურის ფართობია ნაკლები, რომელსაც ნაკლები რაოდენობის უჯრები ფარავს;
2. ფიგურის ფართობს მისი დამფარავი უჯრების, ანუ კვადრატების რაოდენობით ვითვლით.

V. განმტკიცება

სსნიან №1-4 სავარჯიშოებს.

VI. საშინაო დაგალებად მიეცემათ №5-8 სავარჯიშოები.

VII. შედეგების სეჯამება, შეფასება.

თემა: ფართობი (II გაკვეთილი)

გაკვეთილის ტიპი: დამოუკიდებელი (ნაწილობრივ) პრაქტიკული სამუშაო.
(წყვილებში)

გაკვეთილის გეგმა, საგანგეთილო დროის განაწილება

1. საშინაო დაგალების შემოწმება- -3 წთ;
2. გაკვეთილის მიზნის გაცნობა, პროვოცირება – 5 წთ;
3. გააზრება, ცოდნის გაფართოება – 20 წთ;
4. პრეზენტაცია – 4წთ
5. განმტკიცება – 10 წთ
6. საშინაო დაგალების მიცემა – 3წთ

- მიზნები:**
1. ფართობის ადიციურობის თვისების გაცნობა;
 2. ფართობზე მიღებული ცოდნის გამტკიცება;
 3. მიღებული ცოდნის რეალურ სიტუაციაში გამოყენების უნარის განვითარება;
 4. მოსწავლის მიერ სატურარი შეხედულებების, ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.

საჭირო მასალა: ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებო.

შენიშვნა: სასურველია, რომ სუსტი მოსწავლის მეწყვილე ძლიერი მოსწავლე იყოს.

მასწავლებელმა გაკვეთილი მიზანმიმართულად უნდა დაიწყოს, რათა ყველა მოსწავლე მობილიზებული და აქტიურად ჩართული იყოს პრაქტიკულ მუშაობაში. უნდა გააცნოს მიზანი და აუსნას, რომ მათ დღეს დამოუკიდებლად უნდა გამოიყვანონ ფართობის თვისება. რა თვისება? ამის ასნას სამუშაოს ჩატარების შემდეგ მათგან ელოდება.

ფართობის ადიციურობის გასააზრებლად, ფიგურებს ვყოფთ ნაწილებად და ამ ნაწილებით ვაგებთ სხვა ფიგურებს. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ მიღებულ არატოლ ფიგურებს ტოლი ფართობები აქვთ, რადგან ერთიდამავე ნაწილებისგან შედგებიან. აქედან კი დაასკვნიან, რომ ფიგურის ფართობი მისი ოანაუკვეთი ნაწილების ფართობთა ჯამის ტოლია.

მასწავლებელი: – დღეს პრაქტიკული სამუშაოს მსვლელობისას წყვილებმა დამოუკიდებლად უნდა აღმოაჩინოთ ფართობის ერთ-ერთი ძირითადი თვისება. პრაქტიკული სამუშაოს მსვლელობა სახელმძღვანელოში გაქვთ მოცემული. საჭიროა:

- თანმიმდევრობით და ზუსტად შეასრულოთ სამუშაოში მოცემული სვლები.
- უპასუხოთ დასმულ კითხებებს.
- ფიგურები ჩააწეროთ რვეულში.
- რა აგებასაც ფიგურებით შეასრულებთ, მისი შესაბამისი ნახაზი რვეულში შეასრულოთ.

მასწავლებელს ეკრაზე (დაფაზე) გამოაქვს მოქმედების ინსტრუქცია:

1. გამოჭერით 6 კვადრატი.



მოსწავლეები იწყებენ მუშაობას, ჭრიან კვადრატებს.

2. ერთი კვადრატი ერთი დიაგონალზე უნდა გაჭერით. . .

სვლა №1. კვადრატი დიაგონალზე უნდა

გაიჭრას. შედეგად ორი სამკუთხედი

მიიღება.



– რამდენი ფიგურა მიიღეთ? (2)

– რა ფიგურები მიიღეთ? (სამკუთხედები)

– ახლა რა უნდა გააკეთოთ? (ფიგურები უნდა შევადაროთ ერთმანეთს ზედდებით)

– რას ნიშნავს ფიგურების ზედდებით შედარება? (პასუხის დაზუსტების შემდეგ ადარებენ)

– რა კითხვას უნდა უპასუხოთ ამის შემდეგ? (რა შეგიძლიათ თქვათ ფიგურების ფართობების შესახებ?) უპასუხეთ (სამკუთხედების ფართობები ტოლია)

– რის საფუძველზე გამოგაქვთ ეს დასკვნა? (სამკუთხედები ზედდებით ერთმანეთს დაემთხვა)

3) ვინ გვეტყვის რა არის შემდეგი სვლა?

(კვადრატის დაჭრით მიღებული სამკუთხედების ერთმანეთზე მიღებით მიიღე:

ა) სამკუთხედი

– აბა, სცადეთ და მიიღეთ სამკუთხედი.


– მიღებული სამკუთხედი დააწერეთ ფურცელზე.

– რა შეგიძლიათ თქვათ კვადრატის ფართობსა და მიღებული სამკუთხედის ფართობზე? (ტოლია)


– რატომაა ტოლი? (ტოლი ნაწილებისაგან შედგება)


– კიდევ რა უნდა შეადგინოთ? (ოთხკუთხედი)

– რით უნდა შეადგინოთ? (მეორე კვადრატი უნდა გავჭრათ ზუსტად ისე, როგორც წინა კვადრატი გაგჭრით – ორ სამკუთხედად.)




ადგენენ ოთხკუთხედს შესაბამისი პირობის მიხედვით. ასე, თანმიმდევრობით მიჰყვებიან ინსტრუქციას და ორივე დიაგონალზე გაჭრილი კვადრატისაგან მიიღებენ ჩაწერებული ფიგურების ასეთ სურათს






მართკუთხედი



ოთხკუთხედი, რომელსაც პარალელური გვერდების ორი წყვილი აქვს, მაგრამ მართკუთხედი არ არის



მიღებული სამკუთხედების ერთმანეთზე მიღებული მიღებული მიღებული მიღებული, რომელსაც მხოლოდ ორი გვერდი აქვს პარალელური,



ოთხი სამკუთხედისაგან აიგება ასეთი სამკუთხედი.

მასწავლებელი ჩამოვლით აკონტროლებს მოსწავლეთა მუშაობას, აკეთებს შესაბამის კომენტარებს. კარგად შესრულებული დავალებისთვის აქებს შემსრულებელს. არასწორად შესრულების შემთხვევაში მიუთითებს დაშვებულ შეცდომაზე.

წყვილები კვადრატისა და მისი ნაწილებისაგან შედგენილი ფიგურების ფართობების შედარებას მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად ახდენენ. დასკვნის გამოსატანად მორიგეობით პასუხობენ.

- მადალ შეფასებას ის წყვილი დაიმსახურებს, რომელმაც
- ამოცანის პირობების მიხედვით ექვსივე ფიგურა შეადგინა;
 - ექვსივე ფიგურის ნახაზი სწორად შეადგინა;
 - გამოიტანა დასკვნა: „ ფიგურის ფართობი მისი თანაუკვეთი ნაწილების ფართობთა ჯამის ტოლია“.

პრეზენტაციის დროს მასწავლებელი დამატებით კითხვებს უსვამს მოსწავლეებს.
მასწავლებელი: – მაჩვენე აგებულ №N ოთხკუთხედში მონაკვეთი, რომელიც თავდაპირველი კვადრატის გვერდია;

- მაჩვენე აგებულ №M ფიგურაში მონაკვეთი, რომელიც თავდაპირველი კვადრატის დიაგონალია;
- თავდაპირველი კვადრატის ფართობი 16 კვადრატული სანტიმეტრი იყო. რა ფართობი ექნება №C ფიგურას?
- რა ფართობი ექნება კვადრატის ოთხად დაჭრით მიღებულ თითოეულ სამკუთხედს?

ამის შედეგ ხსნიან სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემულ ამოცანა 2-ს. კითხულობენ ამოცანას, აანალიზებენ მას. სახავენ ამოცანის ამოხსნის გზებს.

განმტკიცება სავ. № 7–№9 სავარჯიშოებს და „შესაძლებელია თუ არა“-ს.

საშინაო დავალებად ეძლევათ სავ№5, 10, 11 15. თითოეულს ევალება მუყაოს მართკუთხედის მოდელის დამზადება. მართკუთხედის ზომები უნდა იყოს 3 დმ და 4 დმ.

სავარჯიშოების კომენტარები და პასუხები

სავ. №10. 16სმ². სავ№11. 27სმ².

სავ. №12. თვალსაჩინოებისთვის დავხაზოთ 3×3-ზე კავადრატი. პასუხი: 9-ჯერ მეტი.

სავ. №13. ტოლი პერიმეტრების მქონე კვადრატები ტოლია, რადგან მათ ტოლი გვერდები აქვთ. ამიტომ ფართობებიც ტოლი ექნებათ.

სავ. №14. საზოგადოდ არა. მაგალითად, განვიხილოთ ორი მართკუთხედი, ერთი სიგრძით 10სმ, სიგანით 1სმ, ხოლო მეორე სიგრძით 6სმ, სიგანით 5სმ. ორივე მართკუთხედის პერიმეტრებია 22სმ, მაგრამ პირველის ფართობია 10სმ², მეორის 30სმ².

სავ. №18. 18კმ/სთ.

„შესაძლებელია თუ არა“ შესაძლებელია. მაგალითად, განვიხილოთ ორი მართკუთხედი, ერთი სიგრძით 10სმ, სიგანით 1სმ, ხოლო მეორე სიგრძით 5სმ, სიგანით 4სმ. პირველი მართკუთხედის პერიმეტრებია 22სმ, მეორის 18სმ. მაგრამ პირველის ფართობია 10სმ², მეორის კი 20სმ².

§4.7 მართკუთხედის ფართობის გამოთვლა. (2სთ)

პრაქტიკული სამუშაო წყვილებში

მიზანი: მართკუთხედის ფართობის გამოთვლა.

საჭირო მასალა: ა) 1 კვ.სმ-ის და 1კვ. დმ-ის მოდელები;

- ბ) კვადრატულ სანტიმეტრებად დაყოფილი ბადით დაფარული მართკუთხედი, რომლის გვერდების სიგრძეებია 3დმ და 4 დმ;
- გ) ფანქარი, რევული, კალამი, სკალიანი სახაზავი;
- დ) მაკრატელი;

გაპვეთილის გეგმა, საგავეთილო დროის განაწილება:

1. საშინაო დაგალების შემოწმება -3 წთ;
2. გაკვეთილის მიზნის გაცნობა, პროცესირება – 5 წთ;
3. გააზრება, ცოდნის გაფართოება – 20 წთ;
4. პრეზენტაცია –4წთ;
5. განმტკიცება – 10 წთ;
6. საშინაო დაგალების მიცემა – 3წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი ჩამოვლით ამოწმებს ვინ შეასრულა ან როგორ შეასრულა დავალება. საშინაო დაგალებად მიცემული პქნებათ №8 და №16 საგარჯიშოები. ამასთანავე, თითოეულს უნდა დაემზადებინა მართკუთხედის მოდელი.

მასწავლებელი: – რა პასუხი მიიღეთ სავ. №8-ში (კვადრატის ფართობი 6 კვ.სმ იყო).
– როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე? (კვადრატი ნაწილებად დაჭრეს და ამ ნაწილებისაგან ერთი სამკუთხედი ააგეს. სამკუთხედის ფართობი იგივე იქნება, რა ფართობიც კვადრატს პქნდა, რადგან ფიგურის ფართობი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობთა ჯამის ტოლია).

–ვინ მიიღო განსხვავებული პასუხი? (ასეთის არსებობის შემთხვევაში ეკითხება, თუ როგორ მიიღო ეს პასუხი. მოსწავლე თვითონ თუ ვერ მიხვდა თავის შეცდომას, მასწავლებელი უთითებს მასზე და ასწორებინებს (საჭიროების შემთხვევაში – დაფასთან, მსგავსი ამოცანის ამოსნით, რათა ყველამ იმუშაოს.)

– რა პასუხი მიიღეთ სავ. №16-ში? (18 კმ/სთ) როგორ გამოთვალეთ? ვინ მიიღო განსხვავებული პასუხი? (აქაც, თუ ვინმეს არასწორად აქვს ამოხსნილი ამოცანა, აანალიზებენ მოსწავლის მიერ არჩეულ გზას).

– რა სიჩქარით მოძრაობს მდინარე №16 ამოცანის პირობების მიხედვით? (2 კმ/სთ) მოსწავლეებმა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა იმუშაონ სახელმძღვანელოში მოცემული გეგმის მიხედვით. ეს არაა დამოუკიდებელი მუშაობა. მასწავლებელი დრო და დრო ერთგება მოსწავლეების მუშაობაში თავისი კომენტარებითა და შეკითხვებით. აძლევს მითითებებს, კარნახობს შემდგომ შესასრულებელ სკოლას და ა. შ.

მასწავლებელმა მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ მართკუთხედის ფართობის გამოსათვლელ წესს მოსწავლეებმა თვითონ მიაგნონ.


მასწავლებელი: – წაიკითხეთ პირველი დავალება და დაიწყეთ მუშაობა. დაითვალიერამდენი კვადრატული დეციმეტრით დაიფარება მართკუთხედი.

მოსწავლემ უკვე იცის ბადით დაფარული ფიგურის ფართობის გამოთვლა. მან ისიც იცის, რომ ყოველთვის არაა შესაძლებელი ფიგურის ბადით დაფარვა. ჩნდება კითხვა: ნუთუ არ შეიძლება ფიგურის ფართობის გამოთვლა მასზე კვადრატული ბადის ზედდების გარეშე? ამ კითხვას პასუხი თვითონ უნდა გასცეს.

მოსწავლეებს მოტანილი აქვთ სქელი ქადალდით დამზადებული მართკუთხედის მოდელი, რომლის გვერდების სიგრძეებია 3დმ და 4 დმ. მოსწავლე ჯერ 1 კვ-დმ მოდელებით ფარავს მართკუთხედს.

მასწავლებელი: – 1 კვადრატული დეციმეტრის რამდენი მოდელია საჭირო მართკუთხედის დასაფარად? (12)

– რას ნიშნავს, რომ მართკუთხედის მოდელის დასაფარად კვადრატული დეციმეტრის 12 მოდელია საჭირო? (მისი ფართობი 12 დმ^2 -ის ტოლია.)






– რამდენჯერ მოთავსდა მოდელი მართკუთხედის სიგრძის გასწვრივ? სიგანის გასწვრივ? დააფიქსირეთ ეს ორი რიცხვი და რომელიმე არითმეტიკული მოქმედებით დააკავშირეთ ისინი მართკუთხედის ფართობთან ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღოთ. რა ტოლობა მიიღეთ?

– ბადის უჯრების სათითაოდ გადათვლის გარდა არსებობს თუ არა ბადის უჯრების დათვლის სხვა გზა?

მოსწავლეები ჯერ კიდევ მესამე კლასში, რიცხვების გამრავლების შესწავლისას, მართკუთხედის დამფარავი ბადის დახმარებით ითვლიდნენ რამდენი უჯრა ფარავდა მართკუთხედს.

ჩვენ დავითვალეთ მართკუთხედის სიგრძეში ჩალაგებული კვადრატები, სიგანეში ჩალაგებული კვადრატები და მართკუთხედის დამფარავი კვადრატები, ანუ მართკუთხედის ფართობი. რა კავშირი აღმოაჩინეთ ამ სამ სიდიდეს შორის?

II ეტაპზე მერხის მეწყვილეები მართკუთხედის მოდელს თითო ზოლს ჩამოაჭრიან. ერთი მათგანი სიგრძეზე, მეორე კი – სიგანეზე.



ითვლიან ზოლის ჩამოჭრის შედეგად მიღებული მართკუთხედების ფართობებს და შედეგებს ადარებენ ერთმანეთს. (9კმდ და 3 კვდმ, 8კმდ და 4 კვდმ).

მიღებულ ფართობებს აკავშირებენ ჩამოჭრის შედეგად მიღებული მართკუთხედების სიგრძესა და სიგანესთან და გამოაქვთ დასკვნა:

1) მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია.

2) ფიგურის ფართობი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობთა ჯამის ტოლია.

ამის შემდეგ ზეპირად ხსნიან რამდენიმე ამოცანას მართკუთხედის ფართობის გამოთვლაზე.

მართკუთხედის სიგრძე 7სმ-ის, ხოლო სიგანე 4 სმ-ის ტოლია. რას უდრის მართკუთხედის ფართობი?

დაფაზე ასრულებენ შესაბამის ჩანაწერებს:

$$7 \times 4 = 28(\text{კმ}^2)$$

$$11 \times 12 = 132(\text{კვდმ})$$

$$120 \times 100 = 12000(\text{ კვ.მ})$$

$$160 \times 25 = 4000(\text{ კვ.მ})$$

შემდეგ რიცხვებს ცვლიან ასოებით და წერენ მართკუთხედის ფართობის გამოსათვლელ ზოგად ფორმულას. იხილავენ პერმ შემთხვევას და გამოჰყავთ კვადრატის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა. ზეპირად ხსნიან კვადრატის ფართობის გამოსათვლელ 2-3 ამოცანას.

მასწავლებელი აცნობს ფართობის საზომ ერთეულს – ჰექტარს და უმერს კვადრატული საზომი ერთეულების ცხრილს:

$$1\text{კ.მ}=100 \text{ კვდმ}$$

$$1\text{კვდმ}=100\text{ კვსმ}$$

$$1\text{კ.მ}^2=100\text{ კვ.მ}$$

$$1\text{კვ.მ}=1\ 000\ 000\text{ კვ.მ}$$

$$1\text{ჰა}=10\ 000\text{ კვ.მ}$$

I საათი

გაკვეთილზე სრულდება პარაგრაფში მოცემული პრაქტიკული სამუშაო და განიხილება №1-3 საგარჯიშოები (დამოუკიდებელი სამუშაო).

საშინაო დაგალებად ეძლევათ №4-10-ის ამოცანები.

II საათი

გაკვეთილზე განიხილება №14 (დამოუკიდებელ სამუშაო), №16, 18 ამოცანები დაფასთან და 22 (დამოუკიდებელ სამუშაო).

საშინაო დაგალებად ეძლევათ №11-13, 15, 17, 19-21 ამოცანები.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები

საგ№4. დაგვითოთ ორ მართკუთხედად და ისე დავითვლით. პასუხი: 4960სმ^2 .

საგ№5. 3600სმ^2 . ოთხი რიცხვითი მონაცემიდან საკმარისია ნებისმიერი სამი.

საგ№6. 100კ.მ. **საგ№7.** 25კ.მ. **საგ№13.** 8ტ. **საგ№15.** 105ტ. **საგ№16.** 1024სმ^2 . **საგ№17.** 5გგ.

საგ№18. 40სმ^2 . **საგ№19.** $400 \times 300 : (20 \times 20) = 300$. პასუხი: 300ცალი .


საგ№20. а) $40000:40 = 1000$; ბ) $40000:1000 = 40$.

საგ№21. ოვალსაჩინოებისთვის დაგხაზოთ ნახაზი.

პასუხი: გაიზრდება 84მ^2 -ით, პერიმეტრი -4მ -ით.

		42გ
48გ		2გ

სავ №22. ერთ ძმას ერგო $24 \times 24 = 576\text{მ}^2$ ფართობი, მეორეს $24 \times 24 = 624\text{მ}^2$ (იხ.ნახაზი)




სავ №23. მოცემული კვადრატების ფართობთა ჯამს უნდა გამოაკლდეს გაუფერადებელი სამკუთხედის ფართობი: $36 + 16 - 6 \times 10 : 2 = 22\text{მ}^2$ (სამკუთხედის ფართობი არის $6 \times 10 - 6\text{ე}$ მართკუთხედის ფართობის ნახევარი).

სავ №24. ვთქვათ, მართკუთხედის სიგანეა x , სიგრძე $2x$. $x + 2x = 15$, $x = 5(\text{მ})$, $2x = 10\text{მ}$. პასუხი: 50მ^2 . **სავ №27.** პასუხი: ა) დ) ე) ვ).


„აბა სცადე!“



ბ)



ვ)



IV თავის დამატებითი საგარჯიშოები

მიზანი: IV თავის მასალის გამტკიცება-გამეორება.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ №1. 64კმ/სთ სიჩქარით. **სავ №5.** 5სთ. **სავ №7.** ა) ნიკა; ბ) უნდა შევარჩიოთ I პირობა, რადგან ამ შემთხვევაში ლაშა მეტ მანძილს (2000მ -ს) გადის ნაკლებ დროში ($15\text{წ}-\text{ში}$), ანუ ნიკაზე სწრაფად მოძრაობს. II პირობა არ გამოგვადგება, რადგან ამ შემთხვევაში მანძილი ლაშას სახლიდან სკოლამდე შეიძლება იყოს ნებისმიერი რიცხვი 1000მ -დან 2000მ -მდე (მაგალითად, 1000მ -ის შემთხვევაში გამოვა, რომ ნიკა უფრო სწრაფად მოძრაობს, ხოლო 2000მ -ის შემთხვევაში, პირიქით ლაშას სიჩქარეა მეტი).

სავ №12. ბ) უდიდესი, ა) უმცირესი. **სავ №13.** 5სთ. **სავ №14.** 3სთ-ში.

შემაჯამებელი სამუშაო №5

I ვარიანტი


1. რა მანძილს გაივლის 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ავტომობილი 3 საათში?

2. რა დრო დასჭირდება 420 კმ-ის გასავლელად 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრავ მატარებელს?

3. A და B ქალაქებიდან, რომელთა შორის მანძილი 290 კმ-ია, ერთმანეთის შემსვედრი მიმართულებით ორი ავტომობილი გავიდა. ერთი ავტომობილის სიჩქარეა 65 კმ/სთ, ხოლო მეორის სიჩქარე 75 კმ/სთ. რა მანძილი იქნება ავტომობილებს შორის მათი გასვლიდან 2 საათის შემდეგ?

4. ABCD მართკუთხედი ტოლი
კვადრატებითა დაფარული,
რომელთაგან ზოგი გამუქებულია.
გამოთვალე რამდენჯერ მეტია ABCD
მართკუთხედის ფართობი მისი
გამუქებული ნაწილის ფართობზე.

5. მართკუთხედის სიგანეა a სმ, ხოლო
სიგრძე 6 სმ-ით მეტია სიგანეზე.
დაწერე მართკუთხედის პერიმეტრის
გამოსათვლელი გამოსახულება
და გამოთვალე მისი მნიშვნელობა როცა $a = 9$.



II ვარიანტი


1. რა მანძილს გაივლის 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი მატარებელი 4 საათში?

2. რა დრო დასჭირდება 540 კმ-ის გასავლელად 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრავ ავტომობილს?

3. A და B ქალაქებიდან, რომელთა შორის მანძილი 80 კმ-ია, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით გავიდა ორი ავტომობილი. ერთი ავტომობილის სიჩქარეა 70 კმ/სთ, ხოლო მეორის სიჩქარე 80 კმ/სთ. რა მანძილი იქნება ავტომობილებს შორის მათი გასვლიდან 2 საათის შემდეგ?

4. მართკუთხედი ტოლი კვადრატებითა დაფარული, რომელთაგან ზოგი გამუქებულია. გამოთვალე ABCD მართკუთხედის ფართობზე რამდენჯერ ნაკლებია მისი გამუქებული ნაწილის ფართობი.

5. მართკუთხედის სიგრძეა a სმ, ხოლო
სიგანე 5 სმ-ით ნაკლებია სიგრძეზე.
დაწერე მართკუთხედის ფართობის
გამოსათვლელი გამოსახულება და
გამოთვალე მისი მნიშვნელობა, როცა $a = 13$.



შეფასების სქემა

1. დაწერა ნამრავლი: 60×3 ----- 1 ქულა
დაწერა პასუხი: 180გმ ----- 2 ქულა
2. დაწერა ფარდობა $420 : 70$ ----- 1 ქულა
დაწერა პასუხი: 6სთ ----- 2 ქულა
3. გამოთვალა აგტომობილების მიერ გავლილი მანძილების ჯამი:
 $2(65 + 75) = 280(\text{გმ})$ ----- 1 ქულა
 დაწერა პასუხი: $290 - 280 = 10(\text{გმ})$ ----- 2 ქულა
4. დათვალა მართკუთხედში კვადრატების
 რაოდენობა(ფართობი): $5 \times 10 = 50$ ----- 1 ქულა
 დათვალა გამუქებული ფიგურების რაოდენობა (10)
 და დაწერა პასუხი: 5-ჯერ აღემატება ----- 2 ქულა
5. დაწერა გამოსახულება: $a(a+6)$ ----- 1 ქულა
 გამოთვალა ფართობი: $9 \cdot 15 = 135 \text{ სმ}^2$ ----- 2 ქულა

შენიშვნა: ამოცანა 4-ში მოსწავლე შეიძლება ზეპირად მიხვდეს, რომ მართკუთხედი 5 სტრიქონისაგან შედგება, გამუქებულ ნაწილს კი ერთი სტრიქონი უკავია. ამიტომ მართკუთხედის ფართობი 5-ჯერ მეტია. ამ შემთხვევაშიც ჯამური 2 ქულა დაიწერება.

დონე	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ქულა	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა

თავი 5 მონაცემთა ანალიზი

თავის ძირითადი მიზნები:

- გასწავლოთ მოსწავლეებს მონაცემთა ერთობლიობის მოწესრიგება, ცხრილით სარგებლობა და ცხრილის შედგენა;
- ჩამოვუყალიბოთ დიაგრამების აგებისა და წაკითხვის უნარ-ჩვევები;
- გავაცნოთ მოსწავლეებს საკორდინატო ბადე;
- გასწავლოთ ორიენტირება ბადით დაფარულ არეზე;
- გასწავლოთ საგნის ადგილმდებარეობის განსაზღვრა სიმბოლოთა წყვილის მითითებით;
- განვუმტკიცოთ ცოდნა სივრცული ფიგურების შესახებ. (შლილები, პარალელური და მეზობელი წახნაგები, წიბოები და ა.შ).

§5.1 ცხრილების წაკითხვა, შევსება, დამუშავება

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მათი ცხრილის სახით წარმოდგენა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: ცხრილის წაკითხვა, შედგენა, ანალიზი.

უნდა შეეძლოს:

- მონაცემთა შეგროვების შესაფერისი საშუალების არჩევა;
- მონაცემთა შეგროვება;
- მონაცემთა ერთობლიობების შედარება და მათ შორის მსგავსება – განსხვავების დადგენა;
- შედეგების საფუძველზე ვარაუდის გამოთქმა.

მოსწავლე დაწყებითი კლასებიდან იცნობს ცხრილებს. მე-5 კლასში ვაგრძელებთ ცხრილზე მუშაობაში გაწავჭას. მეხუთე კლასში შედარებით როულ ცხრილებს დავამუშავებთ, ვიდრე წინა კლასებში. ძირითადი მიზანი გამზადებული ცხრილების ანალიზია.

მოცემულ პარაგრაფში მოსწავლემ უნდა დამუშაოს, გაანალიზოს მზა ცხრილი, ამოკრიბოს მონაცემები და ამით შეადგინოს ახალი ცხრილი, რომლის მიხედვითაც გარკვეულ დასკვნებს ჩამოაყალიბებს.

გაკვთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ახალ მასალაზე მუშაობა

შეთავაზებული სამუშაო მოსწავლისთვის ნაცნობ თემას ეხება. განსახილველია მზა ცხრილი. ამ ცხრილიდან ამოკრეფილი მონაცემებით დგება ახალი ცხრილი დალაგებული მონაცემებისათვის. ახალი ცხრილი რაოდენობრივ მონაცემებს გვაძლევს იმის შესახებ, თუ რომელი დავალება რამდენმა მოსწავლემ შეასრულა და ცხადია, იმასაც ადვილად დაგადგინო, რამდენმა ევრ შეასრულა.

მოსწავლე ადარებს ერთმანეთს ახალ ცხრილში ამოკრეფილ მონაცემთა ერთობლიობას და წარმოაჩენს მათ შორის თვისობრივ და რაოდენობრივ მსგავსებასა და განსხვავებას. გამოთქვამს ვარაუდს ამოკრეფილ მონაცემთა საფუძველზე.

ახალი ცხრილის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

- I დავალება მატივი იყო. ის ყველამ ამოხსნა.
- V დავალება 9-დან მხოლოდ ოთხმა ამოხსნა. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი თემის ცოდნაში ხარვეზებია და დამატებითი მუშაობაა საჭირო და ა. შ.

ზემოთ განხილული ცხრილის გარდა გაკვთილზე მუშაობენ სავ.№1 და სავ.№5ში

მოცემულ ცხრილებზე.

მასწავლებელს ცხრილი ეპრანზე (პლაკატზე ან დაფაზე) უნდა ჰქონდეს გადატანილი.

სანამ სვეტში მონაცემების შეტანას დაიწყებენ, ჯერ უნდა დაადგინონ როგორ გამოითვალონ დღის სანგრძლივობა.

მე-4 სვეტის შევსების შემდეგ ცხრილს ასეთი სახე ექნება:

	მზის ამოსვლა	მზის ჩასვლა	დღის ხანგრძლივობა	ამინდი
შაბათი	07 : 42	18 : 52	11 სთ 10 წთ	მზიანი
კვირა	07 : 44	18 : 50	11 სთ 6 წთ	მზიანი
ორშაბათი	07 : 46	18 : 48	11 სთ 2 წთ	ღრუბლიანი
სამსაბათი	07 : 48	18 : 46	10 სთ 58 წთ	წვიმიანი
ოთხშაბათი	07 : 50	18 : 44	10 სთ 54 წთ	ღრუბლიანი

კლასში მუშაობისას ყველა კითხვას უნდა გასცენ პასუხი.

მასწავლებელი: – წაიკითხე ა) კითხვა. სად მოვდებნოთ ამ კითხვის პასუხი? (ცხრილის მეორე სტრიქონისა („კვირა“) და I სვეტის („მზის ამოსვლა“) გადაკვეთაში.

- რატომ შეარჩიე II სტრიქონი? (II სტრიქონში კვირა დღის მონაცემებია შეტანილი).
- რომელ საათზე ამოვიდა მზე კვირას? (7 სთ და 44 წთ-ზე).

ასე ცალკეულ კითხვებზე ეძებენ პასუხებს ცხრილში.

პასუხი: ბ) ღრუბლიანი; გ) 12 წთ-ით; დ) შაბათი; ე) ორშაბათი; ვ) მზიანი - 2, ღრუბლიანი - 2.

სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მოიფიქრონ კითხვები მოცემული ცხრილის მიხედვით. მაგალითად,

- რომელი დღეა ისეთი, რომელშიც მზე დანარჩენ დღეებთან შედარებით ადრე ამოვიდა და გვიან ჩავიდა?
- შაბათს უფრო ადრე ამოვიდა მზე თუ ოთხშაბათს? რამდენი წუთით?
- რომელ საათზე ჩავიდა მზე ოთხშაბათს?
- რომელ დღეს დაღამდა ამ ხუთ დღეში ყველაზე ადრე?
- რომელ დღეს დაღამდა ამ ხუთ დღეში ყველაზე გვიან?
- რა კანონზომიერება შეიმჩნევა დღის ხანგრძლივობაზე ამ კვირაში?
- რომელ საათზე ამოვიდა მზე ხუთშაბათს? (უნდა ასესნან რატომაა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი)
- იმავე კანონზომიერებით თუ შეიცვლება დღის ხანგრძლივობა მომდევნო დღეებშიც, მაშინ რა ხანგრძლივობის იქნება დღე მომდევნო შაბათს?
- რა სათაურს შეურჩევდით მოცემულ ცხრილს?

III. დამოუკიდებელი სამუშაო. საგვარეულო

მოცემული ცხრილის მიხედვით მოსწავლემ უნდა შეადგინოს ახალი ცხრილი. რის-თვისაც საჭიროა წინასწარ დადგინდეს თუ რამდენი სვეტი და რამდენი სტრიქონია საჭირო, რა მონაცემები უნდა შეიტანონ სვეტებში და რა - სტრიქონებში. ადგენენ, რომ ტესტი 5 დავალებისაგან შედგება, ტესტირება გაიარა 9 მოსწავლემ. ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ ადგენენ ცხრილს, რომელსაც ასეთი სახე ექნება:

დაგალება №	რამდენმა ამოსნა
1	8
2	6
3	7
4	5
5	4

მოსწავლები დამოუკიდებლად მოიფიქრებენ კითხვებს ორივე ცხრილის მიხედვით. აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. მასწავლებელი ჩამოვლით ამოწმებს მოსწავლების მუშაობას. ბოლოს კი აკითხებს ცხრილის მონაცემებს და კითხვებს. აანალიზებენ თითოეული მოსწავლის ნამუშევარს.

კითხვები ორივე ცხრილთან დაკავშირებით:

- რამდენმა ვერ ამოხსნა №1 დავალება? №2, №3, №4, №5 დავალება? (ცალ-ცალკე)
- ვინ ამოხსნა ყველა დავალება? (შოთამ)
- ვის გაუჭირდა დავალების შესრულება ყველაზე მეტად? (ვანოს)
- ვინ და ვინ ამოხსნა ზუსტად ერთნაირი დავალებები? (ნინომ და ლაშამ, მარიამმა და ლელამ)
- რამდენმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა დავალება №4?
- რომელი დავალება ვერ ამოხსნა ლელამ?
- რომელი დავალება ვერ ამოხსნა უმრავლესობამ?
- რომელი დავალება ამოხსნა ყველამ?

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

საგ№7 მასწავლებელი: – რამდენი თვისაგან შედგება ერთი კვარტალი? (3) ჩამოთვალე I კვარტლის შემადგენელი თვეები. (იანვარი, თებერვალი, მარტი); II-ის (აპრილი, მაისი, ივნისი).

–რა დანახარჯები აქვს ოფისს (მასალის და საწვავის)?

–რამდენი ლარი დაეხარჯა ოფისს მასალაზე I კვარტალში?

((210+170+190) ლარი = 570 ლარი) ბენზინში? ((300+210+330) ლარი = 840 ლარი) სულ? (1410 ლარი) ასე დაითვლიან ოფისის ხარჯებს II კვარტალში და ბოლოს დაადგენენ, რომ მეორე კვარტალში მეტია ხარჯი, ვიდრე პირველში.

IV. შედეგების შეჯამება

- რა თემაზე ვიმუშავეთ დღეს?
- რაში ვიყენებთ ცხრილებს?
- რა უპირატესობა აქვს საგ№5-ის ცხრილში მოცემული მონაცემების სისშირეთა ცხრილის სახით წარმოდგენას?

V. საშინაო დავალება: საგ№5, №6, №9.

§52 პიქტოგრამა-დიაგრამა

მიზანი: გავაგრძელოთ პიქტოგრამა-დაიგრამაზე მუშაობა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: მოცემული პიქტოგრამისა და სვეტოვანი დიაგრამის წაკითხვა, შედგენა, დამუშავება.

უნდა შეეძლოს: არსებული ან მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით პიქტოგრამის/დიაგრამის აგება.

მოსწავლემ წინა კლასებიდან იცის პიქტოგრამისა და დიაგრამის სახით მოცემულ მონაცემებზე მუშაობა. V კლასში სამუშაო იზრდება. მეტი კითხვა ჩნდება დიაგრამის მონაცემის შესახებ. თვითონ უნდა შექმნას პიქტოგრამა, მოიფიქროს მისთვის მონაცემის შესაბამისი სიმბოლო. მზა ცხრილისა და პიქტოგრამის მიხედვით უნდა ააგოს სვეტოვანი დიაგრამა, დაამუშაოს მონაცემები და უპასუხოს კითხვებს. ადარებს მონაცემთა წარმოდგენის ხერხებს, ირჩევს მათგან რომელია მარტივი და მოხერხებული.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

საგ№4 მოცემულია პიქტოგრამა, რომლის ერთი სიმბოლო ერთ მოსწავლეს შეესაბამება. ვერტიკალურ ღერძზე მონიშნულია წევრთა რაოდენობა თითოეულ ოჯახში, ხოლო პორიზონტალური მიმართულებით აითვლება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა ოჯახის წევრების რაოდენობა ვერტიკალურ ღერძზეა მითითებული. მაგალითად, №2 პიქტოგრამაზე 3-ის გასწვრივ ხუთი სიმბოლოა, რაც ნიშნავს, რომ კლასის ხუთი მოსწავლის ოჯახი ოთხი წევრისაგან შედგება.

პიქტოგრამა №3 მოცემული პირობებისათვის არარეალურ სიტუაციას ასახავს. ამოცანის პირობით ნათიას კლასში 20 მოსწავლეა. პიქტოგრამაზე გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 20-ზე მეტია. მაშასადამე, პიქტოგრამა №3 არ აჩვენებს ზუსტად ნათიას თანაკლასელების რაოდენობას.


განსახილველად დარჩენილ ორივე პიქტოგრამაზე (№1 და №2) მოსწავლეთა რაოდენობაა 20. უნდა მოგნახოთ პირობა, რომლის მიხედვითაც ამ ორ პიქტოგრამას შორის შევარჩევთ სწორად აგებულ პიქტოგრამას.

ამოცანის პირობით ნათიას თანაკლასელების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ ოჯახში წევრთა რაოდენობა 3-ზე მეტია. ამ პირობის დაცვით უნდა შევარჩიოთ სწორი პასუხი. №1 პიქტოგრამის მიხედვით ნათიას თანაკლასელებიდან 12 მოსწავლეა, რომელთა ოჯახში 3 ან 3-ზე ნაკლები ოჯახის წევრია, ხოლო 8 მოსწავლეს ჰყავს 4 ან მეტი ოჯახის წევრი. $12 > 8$. მაშასადამე, №1 პიქტოგრამა არ შეესაბამება ამოცანის პირობას.

№2 პიქტოგრამის მიხედვით ნათიას თანაკლასელებიდან 7 მოსწავლეს ოჯახში 3 ან 3-ზე ნაკლები ოჯახის წევრი ჰყავს, ხოლო 13-ს 4 ან მეტი. მაშასადამე, №2 პიქტოგრამა შეესაბამება ნათიას თანაკლასელების ოჯახის წევრთა რაოდენობას.

საგ№5 დიაგრამის მიხედვით გამოკითხულია 30 მოსწავლე. 30-ის მესამედია 10 და ნახევარი – 15. მოსაწავლეთა საძიებელი რაოდენობა 10-ზე მეტია და 15-ზე ნაკლები. ასეთი რაოდენობა დიაგრამის მიხედვით მხოლოდ 11-ია. **პასუხი:** გამოკითხულთა მესამედზე მეტმა და ნახევარზე ნაკლებმა მხოლოდ ერთი ნაწაროები წაიკითხა.

საგ№7. ამოცანის ამოსახსნელად უნდა შეაღინონ ნახაზი:



პასუხი: პერიმეტრი – 96 სმ, ფართობი – 512 კვ.სმ.

საგ№8. მოცემული პერიმეტრის მქონე ტეხილი საძიებელზე ორჯერ ნაკლები მონაკვეთებისაგან შედგება (იგულისხმება, რომ მოცემული ბადე კვადრატულია). **პასუხი:** 20სმ.

საგ№9. პასუხი:

$$(2 \times 30 + 30) \times 9 = 810$$

$$2 \times (30 + 30 \times 9) = 600$$

$$2 \times (30 + 30) \times 9 = 1080$$

კლასში: საგ№4

დამოუკიდებელი სამუშაო: (წევრილებში) I ვარიანტი – სავ№1; II ვარიანტი – სავ№2.

საშინაო დავალებად: სავ№3, №5.

- ერთ რიგს ავალებს გააკეთონ პლანეტების ანბანური ჩამონათვალი.
- მეორე რიგს ავალებს მოიტანონ ბალის 7-8 კვადრატულის ანბანური ჩამონათვალი.

§ 53 სქემის გამოყენება ამოცანების ამოხსნისას

მიზანი: სხვადასხვა სახის ამოცანების ამოხსნა სქემის გამოყენებით.

მეთოდური რეკომენდაციები:

სახელმძღვანელოში აქცენტი გადატანილია ტესტური ამოცანების ამოხსნაზე. მოსწავლე უნდა ჩასწავლეს ამოცანის შინაარსს, მის სტრუქტურას და ისე მიაგნოს ამოხსნის გზას. ამისთვის კი არსებითია ამოცანის სქემატური და სიმბოლური სახით წარმოდგენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება და დახვეწა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სპეციალური დავალებების სისტემის გამოყენებით. ამ სისტემაში შედის ამოცანები შედარებაზე, დახარისხებაზე, ამორჩევაზე, გარდაქმნაზე, კონსტრუირებაზე.

პარაგრაფში მოცემულია ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ:

- 1) სქემის ამორჩევას ამოცანის პირობების მიხედვით;
- 2) მოცემული სქემის მიხედვით კითხვის დასმას;
- 3) ამოცანის სწორი პასუხის შერჩევას სქემის მიხედვით;

4) სქემის სახით მოცემული ამოცანის ამოხსნას.

I საათი

კლასში: სავ.№1, №2, №3.

დ/ს სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№6; II ვარიანტი – სავ. №7.

საშინაო დაგალება: სავ.№4, №5.

- ერთ რიგს ავალებს შეადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ტიპის ამოცანიდან I და II ტიპის თითო-თითო ამოცანა.
- მეორე რიგს ავალებს შეადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ტიპის ამოცანიდან III და IV ტიპის თითო-თითო ამოცანა.

II საათი

სსნიან სავ.№8-10 და ტარდება ჯგუფური მუშაობა.

საშინაო დაგალება: 5.2 პარაგრაფში დარჩენილი შეუსრულებელი სავარჯიშოები.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ. №2. მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ) – სქემის ამორჩევის რამდენი შესაძლებლობაა? (ამოსარჩევად შემოთავაზებულია 3 სქემა.)

– ვის ასაკს შეესაბამება სათვლელ ერთეულად არჩეული მონაკვეთი? (სათვლელ ერთეულად არჩეული მონაკვეთი სამივე სქემაში თორნიკეს ასაკს შეესაბამება.)

– რამდენი სათვლელი ერთეული უნდა იყოს ბების ასაკის შესაბამის სქემაზე?

(ბების ასაკის შესაბამისი სქემა 8 ასეთ მონაკვეთს უნდა შეესაბამებოდეს.)

– შეამოწმეთ რომელ სქემაშია დაცული ბებისა და თორნიკეს ასაკს შორის შესაბამისობა. (ა) და (ბ) სქემებში ეს შესაბამისობა დაცულია, ხოლო (გ) სქემაში ეს პირობა არაა დაცული, ამიტომ (გ) სქემა პასუხებიდან გამოვრიცხოთ.)

– რამდენი წლით უმცროსია დედა ბებიაზე? (36 წ-ით)

– რამდენი სათვლელი ერთეულით ნაკლები უნდა იყოს დედას ასაკის შესაბამისი სქემა ბებიის სქემასთან შედარებით? (რადგან დედა ბებიაზე 36 წლით უმცროსია და $36 : 9 = 4$, ამიტომ დედის ასაკის შესაბამისი სქემა ბებიის ასაკის შესაბამის სქემაზე 4 მონაკვეთით ნაკლებ მონაკვეთს, ანუ 4 მონაკვეთს უნდა შეიცავდეს.)

– რომელ სქემაზეა ეს პირობა დაცული? (ასეთია ბ) სქემა.

პასუხი: თორნიკეს დედა 36 წლისაა. ბ) სქემა

სავ. №6-8. ეს ამოცანები სასურველია ჯერ სქემის დახმარებით, შემდეგ კი უცნობის შემოტანით და განტოლების შედგენით ამოვნებათ (იმისათვის, რომ სქემიდან განტოლებაზე გადასვლა აღვილად აღსაშენებელი იყოს, სქემის ერთეული მონაკვეთი შეგვიძლია რაიმე ასოთი აღვიზნოთ და დაგწეროთ სქემის შესაბამისი ტოლობა). მაგალითად, განვიხილოთ №6 ამოცანა. ამოცანის პირობის მიხედვით შევადგინოთ სქემა:

ქილის მასა		x
თაფლის მასა		7x
თაფლიანი ქილის მასა		8x=560

თუ ერთეულ მონაკვეთს (ქილის მასას) x -ით აღვნიშნავთ, მაშინ თაფლის მასა (7 მონაკვეთი) იქნება $7x$, ხოლო თაფლი ქილით (რვა მონაკვეთი) $8x$. ვწერთ განტოლებას $8x = 560$, საიდანაც $x = 70$.

სავ. №7. 360 ლარი. **სავ. №8.** შევადგინოთ განტოლება: ვთქვათ, ნეხვი x კგ-ს იწონის. მაშინ საზამთრო $2x$ კგ-ს, ხოლო გოგრა $4x$ კგ-ს აიწონის. ამოცანის პირობით საზამთრო, ნეხვი და გოგრა ერთად 28 კგ იწონის, ვწერთ განტოლებას: $7x = 28$, საიდანაც $x = 4$ კგ, გოგრის მასა იქნება $4x = 16$ კგ. პასუხი: გოგრა 16 კგ-ს იწონის.

განტოლების შედგენით ამოცანების ამოხსნის მეთოდს VI თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ. **სავ. №10.** $(4 \times 4 + 4 \times 5.2) \times 3 = 78\text{სმ}^2$.

ბოლო 15 წუთი დაეთმობა ჯგუფურ სამუშაოს.

შემაჯამებელი სამუშაო №6

I ვარიანტი

ცხრილში მოცემულია V კლასის მოსწავლეთა მიერ მათემატიკის საკონტროლო წერაში მიღებული შეფასებების სიხშირეთა ცხრილი.

ქულები	10	9	8	7	6	5	4	4-ზე ნაკლები
სიხშირე	2	3	4	5	4	2	1	0

ცხრილის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

1. რამდენმა მოსწავლემ მიიღო 9 ქულა?
2. რამდენმა მოსწავლემ მიიღო ქულათა უკლავაზე მეტი რაოდენობა?
3. რამდენმა მოსწავლემ მიიღო 3 ქულა?
4. რამდენჯერ მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც 8 ქულა მიიღეს, იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე, რომლებმაც 5 ქულა მიიღეს?
5. სულ რამდენმა მოსწავლემ დაწერა საკონტროლო?
6. რამდენი მოსწავლეა კლასში, თუ საკონტროლო წერას არ ესწრებოდა 3 მოსწავლე?
7. ცხრილის მიხედვით შეადგინე სვეტოვანი დიაგრამა. დიაგრამას შეურჩიე სათაური, პორიზონტალურ დერძზე მონიშნე მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები, ხოლო ვერტიკალურ დერძზე შესაბამისი სიხშირეები.

II ვარიანტი

ცხრილში მოცემულია V კლასის მოსწავლეთა მიერ მათემატიკის საკონტროლო წერაში მიღებული შეფასებების სიხშირეთა ცხრილი.

ქულები	10	9	8	7	6	5	4	4-ზე ნაკლები
სიხშირე	3	2	5	6	4	3	1	0

ცხრილის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

1. რამდენმა მოსწავლემ მიიღო 8 ქულა?
2. რამდენმა მოსწავლემ მიიღო ქულათა უკლავაზე მეტი რაოდენობა?
3. რამდენმა მოსწავლემ მიიღო 2 ქულა?
4. რამდენჯერ მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც 7 ქულა მიიღეს, იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე, რომლებმაც 9 ქულა მიიღეს?
5. სულ რამდენმა მოსწავლემ დაწერა საკონტროლო?
6. რამდენი მოსწავლეა კლასში, თუ საკონტროლო წერას არ ესწრებოდა 2 მოსწავლე?
7. ცხრილის მიხედვით შეადგინე სვეტოვანი დიაგრამა. დიაგრამას შეურჩიე სათაური, პორიზონტალურ დერძზე მონიშნე მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები, ხოლო ვერტიკალურ დერძზე შესაბამისი სიხშირეები.

შეფასების სქემა:

პირველი ექვსი შეკითხვიდან თითოეულის სწორ პასუხში ----- 1 ქულა
სრულყოფილად შედგენილ სვეტოვან დიაგრამაში ----- 4 ქულა

§5.4 დამატებითი სავარჯიშოები

მიზანი: ცხრილით ან/და სვეტოვანი დიაგრამით წარმოდგენილი მონაცემების დამუშავებაში გაწაფვა.

მასწავლებელი გადაწყვეტს, რომელ მასალაზე იმუშაოს კლასში და რომელი მისცეს დავალებად.

§5.5. საკორდინაცო ბადე

მიზნები:

- ვასწავლოთ ბადით დაფარულ არეზე ორიენტირება, საგნის ადგილ მდებარეობის განსაზღვრა სიმბოლოთა წყვილებით.
- გავამეორებინოთ ცოდნა რიცხვითი სხივის შესახებ.
- გავამეორებინოთ ამოცანის ამონენა სქემის გამოყენებით.

მასალა: გლობუსი, ჭადრაკის დაფა და ჭადრაკის 1-2 ფიგურა.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: კოორდინაცების (სიმბოლოთა წყვილის) გამოყენებით საგნის მდებარეობის განსაზღვრა.

უნდა შეეძლოს:

- სიმბოლოთა წყვილებით მოცემული მდებარეობის განსაზღვრა;
- საგნის მდებარეობის შესაბამისი სიმბოლოთა წყვილების დადგენა.


გაკვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი, დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

- 1) სქემის გამოყენება ამოცანის ამონენისას
- ა) მარკეტში სამი დღის განმავლობაში 1300კგ ყურძენი გაყიდეს. I დღეს გაყიდეს 200კგ, მეორე დღეს იმაზე 3-ჯერ მეტი, ვიდრე I დღეს. რამდენი კილოგრამი ყურძენი გაყიდეს მესამე დღეს? ამოცანა ამონენი სქემის გამოყენებით.

მოსწავლები დამოუკიდებლად ხაზავენ სქემას.



დამოუკიდებლად ხსნიან ამოცანას (შესაძლოა, მოსწავეებმა წარმოადგინონ ამოცანის ორი განსხვავებული ამონენა)

$$\text{ამონენა (I ხერხი)} \quad 1300 - (200 \cdot 3 + 200) = 1300 - 800 = 500 \text{ (კგ)}$$

$$\text{(II ხერხი)} \quad 1300 - 200 \cdot 4 = 1300 - 800 = 500 \text{ (კგ)}$$

ამონენის ხერხების განხილვის შემდეგ მსჯელობენ გამოსახულების შესახებ.

I ხერხი

$$200 \cdot 3 ----- \text{II დღეს} \quad \text{გაყიდული ყურძნის მასა კგ-ში};$$

$$200 \cdot 3 + 200 ----- \text{I და II დღეს} \quad \text{გაყიდული ყურძნის მასა კგ-ში};$$

$$1300 - (200 \cdot 3 + 200) = 1300 - 800 = 500 ----- \text{III დღეს} \quad \text{გაყიდული ყურძნის მასა კგ-ში}.$$


II ხერხი

$$200 \cdot 4 ----- \text{I და II დღეს} \quad \text{გაყიდული ყურძნის მასა კგ-ში};$$

$$1300 - 200 \cdot 4 ----- \text{III დღეს} \quad \text{გაყიდული ყურძნის მასა კგ-ში}.$$

ბ) ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიე სწორად შედგენილი სქემა.




გიგის თორნიკეზე 10 ლარით მეტი აქვს, ხოლო შიოს 30 ლარით მეტი, ვიდრე გიგის. გაიგვ რა თანხა აქვს თორნიკეს, თუ ცნობილი, რომ სამივეს ერთად 170 ლარი აქვს.



ამოცანის განხილვისა და სქემაზე დაკვირვების შემდეგ მოსწავლე ხელის აწევით ატყობინებს მასწავლებელს, რომ პასუხი მზად აქვს (არ ხსნიან ამოცანას, მხოლოდ სქემას ირჩევენ). გამომსვლელმა მოსწავლემ უნდა დაასაბუთოს პასუხი.

2) რიცხვითი სხივი

ა) რომელი არაა სწორად შედგენილი რიცხვითი სხივი?



იხსენებენ, რა არის რიცხვითი სხივი, კოორდინატი, როგორ იწერება წერტილის კოორდინატი, როგორ მოვძებნოთ რიცხვით სხივზე წერტილი კოორდინატის მიხედვით.

III. გაკვეთილის თემისა და ამოცანების დადგენა

საუბრობენ კინოდარბაზში ან საკონცერტო დარბაზში როგორ უნდა იპოვონ თავისი ადგილი. აღნიშნავენ, რომ დარბაზში შესვლისას ჯერ რიგი უნდა მოძებნონ და შემდეგ სკამი. ანუ ორი რიცხვია, ორი კოორდინატითაა ადგილი ბილეთზე მოცემული. ამაზე სახელმძღვანელოს მიხედვით ისაუბრებენ. მასწავლებელი აცნობს გაკვეთილის თემასა და ამოცანებს.

IV. ახალ მასალაზე მუშაობა

მასწავლებელი ჭადრაკის დაფაზე დებს ფიგურას, მოსწავლე განსაზღვრავს მის მდებარეობას. ფიგურას მდებარეობას უცვლის, ან სხვადასხვა ფიგურები უდევს დაფაზე

და ყველა შემთხვევაში განსაზღვრავენ ფიგურის მდებარეობას. მოსწავლეები ასკვინიან რომ ზოგჯერ შეუძლებელია ობიექტის მდებარეობის განსაზღვრა მხოლოდ ერთი კოორდინატით. მიზნის მისაღწევად სხვა ინფორმაციაცაა საჭირო.

დარბაზის შემთხვევაშიც და ამ შემთხვევაშიც ხაზავს დაფაზე (ეკრანზე გამოიტანს) საკოორდინატო ბადეს და აჩვენებს სად მდებარეობს მაყურებლის ადგილი თუ ჭადრაკის ფიგურა.

– წარმოიდგინე (მიმართავს ერთ-ერთ მოსწავლეს), რომ მიდიხარ მეგობართან, რომელთანაც ჯერ არ ყოფილხარ. რა უნდა იცოდე მეგობართან მისასვლელად? (სად ცხოვრობს) რა ინფორმაცია გჭირდება იმისათვის, რომ იცოდე სად ცხოვრობს? (მისამართი) რა იგულისხმება მისამართში? (ქუჩის დასახელება და ბინის მომერი) რამდენი რამის ცოდნა დაგჭირდა? (ქუჩის და სახლის ნომრის) ჯერ რა უნდა მოქმედო? (ქუჩა)

მასწავლებელი ხაზავს ბადეს რიცხვითი სხივის გარეშე.

– დავუშვათ, ქუჩები რომაუდი რიცხვებითაა დანომრილი.


– მოვძებნოთ ჩვენი მეგობრის სახლი. როგორ მოვძებნოთ?

მასწავლებელი გადანომრავს.

– რომელ ქუჩაზე ცხოვრობს მეგობარი? (IV) მასწავლებელი აწითლებს შესაბამის ვერტიკალს.

– სახლის ნომერი ვიციოთ? (3) როგორ მოვიქცეთ? მოისმენს ბავშვების პასუხებს

და თუ სასურველი პასუხი ვერ მიიღო სთავაზობს II რიცხვთა სხივის შემოტანას, რომელიც დაეხმარება მეგობრის სახლის პოვნაში.



მოსალოდნელია მოსწავლეთა პასუხებში სასურველი პასუხიც ერიოს, რადგან მათ უკვე განიხილეს ობიექტის მოძებნა ორი კოორდინატით (დარბაზში და საჭადრაკო დაფაზე)

V. განმტკიცება

ამის შემდეგ რამდენიმე წერტილს მონიშნავს საკოორდინატო ბადეზე, აწერს ასოებს. მოსწავლეები გამოჰყავს და დაფაზე აწერინებს შესაბამის კოორდინატებს. ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომელი კოორდინატი რომელ ადგილზე იწერება.

კლასში ხსნიან სავ. №1, №2, №4.

VI. დამოუკიდებელი სამუშაო სავ. №5.

დამოუკიდებელი სამუშაოს შერულების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი გლობუსზე საუბრობს. აჩვენებს გრძელებას და განედებს. ესაუბრება გრძელებითა და განედებით სარგებლობის მნიშვნელობაზე. მოსწავლეთა დაინტერესებისა და მასალის უკეთ ათვისების მიზნით მოიყანს მაგალითებს (თუნდაც „ტიტანიკი“), თუ რამდენად მნიშვნელოვანია კოორდინატების ცოდნა.

VII. შედეგების შეჯამება

- რა იყო ჩვენი გაკვეთილის თემა?
- რამდენი კოორდინატია საჭირო ობიექტის ადგილ-მდებარეობის გასარკვად საკოორდინატო ბადეზე?
- რა საკითხები გავიმეორეოთ?

- საინტერესო იქმ გაკვეთილი?
- რამე ხომ არ დაგრჩათ გაუგებარი?

VIII. საშინაო დავალება: სავ.№3, №6.

I გაკვეთილზე შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცების მიზნით მასწავლებელი II გაკვეთილს იწყებს თამაშით: „სამიზნეს განადგურება”.

თამაშის თემა: „ორიენტირება ბადით დაფარულ არეზე”

თამაშის მიზანი: აღწერონ ობიექტის მდებარეობა, გამოიყენონ რეალურ ვითარებაში.

მაგნიტურ დაფაზე დახაზულია ბადე (საკორდინატო სისტემა) დაფაზე მიმაგრებულია სამიზნე „წერტილები” (პატარა თვითმფრინავი, გემი, კატერი, ტანკი და ა.შ. ან უბრალოდ, ფერადი წრეები).

თამაშის წესი: თამაშობს 3 ჯგუფი. ჯგუფებს თავისი ფუნქციები აკისრიათ: ერთი ჯგუფი ანადგურებს მტრის საბრძოლო გემებს, მეორე თვითმფრინავებს, მესამე წყალქვეშა ნავებს და ა.შ.

1. ჯგუფის წევრების მიზანია მტრის სამხედრო და სასიცოცხლო ძალების განადგურება. ჯგუფის წევრი ისევრის „ჭურვს ქვემეხით”. იმისათვის, რომ ჭურვი მიზანს მოხვდეს, ქვემეხის მემიზნები უნდა დასახელოს სამიზნის კოორდინატები.

2. „მაჩვენებელი” (დაფასთან გამოსული მოსწავლე) აჩვენებს ფიგურას, არჩეული „სხაიპერი” ასახელებს მის კოორდინატებს. დანარჩენი მოსწავლეები „ისვრიან”. ის, ვინც ეთანხმება მემიზნის მიერ დასახელებულ კოორდინატს, ასწევს მწვანე ბარათს, ვინც არაა თანახმა, ასწევს წითელ ბარათს. სამიზნე განადგურებულად ითვლება, თუ ჯგუფის ყველა წევრი ერთი (სწორად შერჩეული) ფერის ბარათს აწევს. ამ ჯგუფის ერთი მოსწავლე მაინც თუ სხვა ფერის ბარათს აწევს, სამიზნე არ განადგურდება. ფიგურა კიდია დაფაზე მის განადგურებამდე. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომლის „ქვემეხი” და „სხაიპერი” უკეთესები იყვნენ.

ამავე გაკვეთილზე სრულდება სავ.№8, სავ.№9 და სავ.№13.

საშინაო დავალება: სავ.№12-14..

სავარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ. №1. პასუხი: ა)თეთრი პაიკი – a6; ბ)შავი მხედარი – c5; გ)თეთრი მხედარი – e2;

სავ. №2. პასუხი: ა) (5;8); ბ) (6;6)

სავ. №9. სასურველია შეადგინონ ნახაზი. პასუხი: 45 წთ. **სავ.№11. სასურველია**

მოსწავლემ მოიძოოს უკეთესი ხარისხის რუკა, ვიდრე სახელმძღვანელოშია

მოცემული. **პასუხი:** დაახლოებით 40° განედი და 40° გრძედი. **სავ.№13. სამიებელი** ჰერიმეტრი 2-ჯერ აღემატება მოცემულს. **პასუხი:** 84 დღ.

§5.6 მართკუთხა პარალელებიპედი. გუბი. (2სო)

მიზნები:

- გეომეტრიული სხეულების შესახებ ცოდნის გადრმავება;
- მართკუთხა პარალელებიპედის პარალელური და თანამკვეთი წახნაგების ცნების გაცნობა;

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: რას წარმოადგენს მართკუთხა პარალელებიპედი, მისი განზომილებები.

უნდა შეეძლოს:

- მართკუთხა პარალელებიპედის ელემენტების დასახელება;
- შლილებისა და მოდელების დამზადება;
- პარალელებიპედის პარალელური და თანამკვეთი წახნაგების ამოცნობა; პარალელური წიბოების ამოცნობა, დასახელება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შლილებს და მოდელებს და მოსწავლეები ასახელებენ ფიგურას, რომელიც მოცემული შლილისაგან აიგება. ასახელებენ მო-

დელებს, აჩვენებენ მის ელემენტებს, პარალელურ და გადამკვეთ წახნაგებს, წიბოებს და ა. შ.

I საათი

კლასში: სავ.№1, №2, №5, №7.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№11.

საშინაო დავალება: სავ.№4, №6, №8.

II საათი

კლასში: სავ.№10, №13, №14, 19

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№15, 16.

საშინაო დავალება: სავ.№9, 12, 20


კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №6. პასუხი: 80სმ. სავ.№7. პასუხი: 140 სმ.

სავ. №9. პასუხი: ა) 14სმ; ბ) 28ქმს. სავ.№12 პასუხი: ა).

სავ. №13 ამოცანის ამოსახსნელად სასურველია ნახაზის შედგენა და მასზე საჭირო კვეთისა და სიგრძივი ზომების დაფიქსირება.


ამის შემდეგ ადვილად შეიძლება დავანახოთ მოსწავლეს, რომ პარალელეპიდების თავდაპირებელი ზომები იყო: 8 სმ, 3 სმ და 3 სმ, ხოლო ჩამოჭრის შემდეგ: 5 სმ, 3 სმ და 3 სმ.



სავ. №14. ყოველი მიღგმით ერთ-ერთი განზომილება ორმაგდება დანარჩენი კი არ იცვლება. პასუხი: 10 სმ, 10 სმ, 20 სმ; 5 სმ, 20 სმ, 20 სმ; 5 სმ, 20 სმ, 40 სმ.

სავ. №15. პასუხი: MD წიბოს. სავ.№16. პასუხი: 4სმ, 5 სმ, 24 სმ.

სავ. №17. აანალიზებენ სიტუაცას, იკვლევენ, თუ რა სიმაღლის, სიგრძისა და სიგანისაა ასაგები მართკუთხა პარალელეპიდები, რამდენი კუბი დალაგდება მის სიგრძეზე, სიგანეზე და სიმაღლეზე. ასრულებენ შესაბამის სქემატურ ნახაზს.



პასუხი: 6.

სავ. №18. ქაღალდის სიგრძეა $1+2+1+2 = 6(\text{დღ})$, სიგანე $1+3+1 = 5(\text{დღ})$. პასუხი: 30დღ^2 .

V თავის დამატებითი სავარჯიშოები გეომეტრიული ფიგურების გამოფენა.

მიზანი: V თავის მასალის გამეორება- განმტკიცება.

გაკვეთილზე მოაწყონ გეომეტრიული ფიგურების გამოფენა.

გამოფენის მიზანი: გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა გარემომცველ სამყაროში.

ბუნებაში, ტექნიკაში, ყოფა-ცხოვრებაში არსებული საგნების ფორმებზე დაკვირვება.

(ხე, მთა, შენობა, სვეტი, თაღი, ფანჯარა, სამკაული და სხვა).

გეომეტრიული ფიგურების გამოფენა მოეწყობა გაკვეთილის დასაწყისში (2-3 მაგი-დაზე). ექსპონატებად გამოტანილი იქნება თვითნაკეთი მოდელები, მანქანების ნაწილები, სათამაშოები ან მათი დეტალები, სხადასხვა კონსტრუქციები და სხვა, რაშიც მოსწავლე გეომეტრიულ ფიგურას დაინახავს. ყველაფერი ეს ლამაზად, ეფექტურად უნდა იყოს მაგიდებზე განლაგებული.

თითოეულ საგანზე უნდა აჩვენონ რა გეომეტრიულ ფიგურას ხედავთ, მოტანილ მასალაში აღმოჩნდა ორი ერთსახელა ფიგურა, მაგალითად, ორი წრე, მაშინ უნდა შეადარონ ზომები (დიდი, პატარა), ოთხკუთხედების შემთხვევაში უნდა დაადგინონ გრძივი ზომები და ა. შ. უნდა აღინიშნოს ვინ მოიტანა სხვადასხვა სახის საინტერესო ფიგურები და ა. შ.

გამოფენის ექსპონატებად შეიძლება წარმოადგინონ გაზეთიდან ან ჟურნალიდან ამოჭრილი ან/და მათივე გადაღებული ფოტოები.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ. №4. 1524კვსტ.

სავ. №5. მოცემულ ოთხკუთხედი შეგვიძლია მოცემული სამკუთხედის ტოლ 4 სამკუთხედად დავყოთ. **პასუხი:** 40კვტ.

სავ. №7. $6 \times 15^2 = 1350 \text{ დმ}^2$. **სავ. №8.** წვეროებში მოთავსებული 8 კუბი.

სავ. №10. 22სმ, 12სმ, 10სმ.

სავ. №11. შეეძლო 3 კუბის დამზადება. დარჩებოდა 13სმ მავრული.

სავ. №12. 8 კუბი.

სავ. №13. შეიძლება ამოვწეროთ ყველა შესაძლო ჯამი, მაგრამ ზოგიერთი გამეორდება. ამიტომ უმჯობესია ვიმსჯელოთ შემდეგნაირად: უმცირესი ჯამი იქნება 17, უდიდესი 24, ამიტო რაოდენობაა $24 - 16 = 7$.

ჯგუფური სამუშაოს მიზანია მოსწავლეებმა პირამიდის კერძო შემთხვევების (სამკუთხა, ოთხკუთხა, ხუთკუთხა) განხილვით აღმოაჩინონ ზოგადი კანონზომიერება (ეილგრის ფორმულა), რომ პირამიდის წვეროებისა და წახნაგების რაოდენობათა ჯამი 2-ით აღემატება წიბოების რაოდენობას (ეს ფორმულა მართებულია ნებისმიერი მრავალწახნაგასთვის).

შემაჯამებელი სამუშაო №7 (შეფასების სქემით)

I ვარიანტი

ნახაზზე მოცემულ თითოეულ უჯრას


აქვს ორი კოორდინატი

(ასო და ციფრი)

ნახაზის მიხედვით უპასუხე 1-5

კითხვებს:

- რა კოორდინატები აქვს უჯრას, რომელშიც წერია ასო A?




2. რა ასო წერია უჯრაში, რომლის კოორდინატებია (*m*; 6)?
3. რამდენი უჯრითაა დაშორებული (*b*; 4) უჯრა უჯრისაგან, რომელშიც წერია **C** ასო, თუ გადაადგილება შეიძლება მხოლოდ პორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით?
4. დაადგინე იმ უჯრის კოორდინატები, რომელიც მდებარეობს **B** ასოთი აღნიშნულ უჯრაზე სამი უჯრით მაღლა და 4 უჯრით მარცხნივ.
5. ჩაწერე სამი მეზობელი გამუქებული უჯრის კოორდინატები.
6. მართკუთხა პარალელეპიპედის სიგრძეა 5 სმ, სიგანე 4 სმ, სიმაღლე 7 სმ. გამოთვალე ამ პარალელეპიპედის უდიდესი წახნაგის ფართობი.
7. რამდენი წახნაგი აქვს 8 წიბოს მქონე პირამიდას?

II ვარიანტი

ნახაზზე მოცემულ თითოეულ უჯრას
აქვს ორი კოორდინატი
(ასო და ციფრი).

ნახაზის მიხედვით უპასუხე 1-5
კითხებებს:

1. რა კოორდინატები აქვს უჯრას,
რომელშიც წერია **A** ასო?
2. რა ასო წერია უჯრაში, რომლის
კოორდინატებია (*b*; 6)?



3. რამდენი უჯრითაა დაშორებული (*f*; 4) უჯრა უჯრისაგან, რომელშიც წერია **D** ასო, თუ გადაადგილება შეიძლება მხოლოდ პორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით?
4. დაადგინე იმ უჯრის კოორდინატები, რომელიც მდებარეობს **B** ასოთი აღნიშნულ უჯრაზე სამი უჯრით მაღლა და 4 უჯრით მარჯვნივ.
5. ჩაწერე სამი მეზობელი გამუქებული უჯრის კოორდინატები.
6. მართკუთხა პარალელეპიპედის სიგრძეა 6 სმ, სიგანე 4 სმ, სიმაღლე 5 სმ. გამოთვალე ამ პარალელეპიპედის უდიდესი წახნაგის ფართობი.
7. რამდენი წვერო აქვს 8 წიბოს მქონე პირამიდას?

შეფასების სქემა:

- პირველი 4 შეკითხვიდან თითოეულის სწორ პასუხში ----- 1 ქულა
5. სწორად ჩაწერა სამივე უჯრის კოორდინატები ----- 2 ქულა
ორი უჯრის კოორდინატები ჩაწერა სწორად, ერთი შეცდომით ----- 1 ქულა
6. სწორად შეარჩია უდიდესი წახნაგი ----- 1 ქულა
გამოთვალა ფართობი: 35cm^2 ----- 2 ქულა
7. დაადგინა პირამიდის სახე (ოთხკუთხა პირამიდა) ----- 1 ქულა
დაადგინა წახნაგების რაოდენობა ----- 2 ქულა

VI თავი. ნატურალური რიცხვების გაყოფადობა

თავში განხილულია საკითხები:

- ◆ რიცხვის გამყოფები და ჯერადები;
- ◆ მარტივი და შედგენილი რიცხვები;
- ◆ რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები;
- ◆ რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის გამოთვლა;
- ◆ ამოცანის ამოხსნა განტოლების შედგენით;
- ◆ წრე და მისი ნაწილები.

§6.1. რიცხვის გამყოფები და ჯერადები (2სო)

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს რიცხვის გამყოფისა და ჯერადის ცნება, მარტივი და შედგენილი რიცხვები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- რიცხვის გამყოფისა და ჯერადის განსაზღვრება;
- მარტივი და შედგენილი რიცხვების განსაზღვრა;
- ლუწი და კენტი რიცხვების განსაზღვრება.

უნდა შეეძლოს:

- რიცხვის გამყოფებისა და ჯერადების პოვნა;
- მარტივი და შედგენილი რიცხვების ამოცნობა, დასახელება;
- ლუწი და კენტი რიცხვების ამოცნობა, დასახელება.

I საათი

გაკვეთილზე გააცნობს გამყოფს, მარტივ და შედგენილ რიცხვებს.

კლასში: სავ №1, №3, №5, №7.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი სავ №8 (ა, ბ); II ვარიანტი სავ №8 (გ, დ).

საშინაო დავალება: სავ №2, №4, №6.

II საათი

გაპვეთილზე გააცნობს ჯერადს და განუმტკიცებს ცოდნას გამყოფზე, ლურჯი და კენტრიცხვებზე.

კლასში: სავ.№13, №18, №22, №23.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი: №19; II ვარიანტი: №20.

საშინაო დაგალება: სავ.№16 №17, 21.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№1. უნდა დავითვალოთ გამყოფების რაოდენობა ა) 1, 2, 3, 4, 6, 8, 12, 24. პასუხი: 8.

სავ.№5. პასუხი: 15. სავ.№9. პასუხი: ა) ერთი; ბ) ორი; გ) ექვსი. სავ.№16. პასუხი: ვ) 47.

სავ.№17. უდიდესი ლურჯი ექვსნიშნა რიცხვია 999998, უმცირესი კენტი ხუთნიშნა – 10001, მათი სხვაობა კი 989997. სავ.№18. პასუხი: 3 და 5.

სავ.№19 მცდარია დ). მაგალითად 13 არ არის 3-ის ჯერადი. სავ.№20. ჭეშმარიტია ე).

სავ.№22 10-სა და 15-ს შორის ერთადერთი რიცხვი, რომელიც 60-ის გამყოფია, არის 12. პასუხი: ნიკამ შეიძინა 12 საღეჭი რეზინა.

სავ.№23. ყოველ ნობათში უნდა იყოს ტოლი რაოდენობის როგორც მანდარინი, ისე კანფეტი. ამიტომ უნდა მოგებნოთ 30-ისა და 45-ის საერთო გამყოფებს შორის უდიდესი. პასუხი: 15.

სავ.№24. პასუხი: 37, 41, 43.

სავ.№25. თუ დავასახელებთ მოცემული რიცხვების გამყოფებს აღმოჩნდება, რომ ყოველ მათგანს 3 გამყოფი აქვს. ეს რიცხვები მარტივი რიცხვების კვადრატებია. (შევნიშნოთ, რომ ყველა მარტივი რიცხვის კვადრატს და მხოლოდ მათ აქვთ 3 გამყოფი).

სავ.№26. პასუხი: 8ლარი. სავ.№27. პასუხი: 52ლარი.

§ 6.2. რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები (2სო)

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეს რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს: რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები. .

უნდა შეეძლოს:

- რიცხვის ჩანაწერის მიხედვით განსაზღვროს, იყოფა თუ არა რიცხვი უნაშოთოდ
- 2-ზე, 5-ზე და 10-ზე;
- გაყოფადობის ნიშნების ჩამოყალიბება;
- 2-ის, 5-ის და 10-ის ჯერადი რიცხვების დასახელება.

მეორეური კომენტარები:

თემის გადაცემისას მასწავლებელმა სასურველია, დაფაზე ან ფორმატზე რიცხვის ჩანაწერის ნაწილი დაფაროს ისე, როგორც სახელმძღვანელოშია და ისე აუხსნას მასალა. მასალის გადაცემა მოხდება სახელმძღვანელოს მიხედვით, კონკრეტულ მაგალითებზე დემონსტრირებით.

I საათი

კლასში: სავ.№1–4 ზეპირად, სავ.№8, №11, №12.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№5, II ვარიანტ – სავ.№6.

საშინაო დაგალებად ეძღვანთ №7, 9, 10 სავარჯიშოები.

II საათი

კლასში: №10, 11, 14 16.

საშინაო დაგალება: სავ.№12, №15, №17.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №8. გ). სავ.№11. ა) 8; ბ) 0.

სავ. №12. ასეთია სამი რიცხვი: 105, 150 და 510.

სავ. №13. პასუხი: ა) 3 ან 8; ბ) 8.

სავ. №14. იყოფა, რადგან ჯამი დაბოლოვდება 0-ით.

სავ. №15. პასუხია გ) რადგან 3n კენტია, ხოლო $3n - 1$ ლურჯი.

სავ. №16. პასუხი: 4.

სავ. №17. პასუხი: 25, შედგენილია.

სავ. №18. მოსწავლეებს შევასენოთ, რომ ნაშთი ყოველთვის ნაკლებია გამყოფზე.
პასუხი: ა) $324 = 17 \times 19 + 1$; ბ) $526 = 21 \times 25 + 1$; გ) $789 = 52 \times 15 + 9$.

§ 63. რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის გამოთვლა (2სო)

მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეებს რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის გამოთვლა რიცხვის ჩანაწერის მიხედვით.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლეებმ უნდა იცოდეს: როგორ გამოითვლება რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთი რიცხვის ჩანაწერის მიხედვით.

უნდა შევძლოს: ჩანაწერის ბოლო ციფრის მიხედვით რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის დასახელება.


მეთოდური კომენტარები:

გაკვეთილი იწყება **თამაშით:** „თანამამრავლთა ლაბირინთი”

თამაშის თემა: ნატურალური რიცხვების გამყოფები და ჯერადები.

თამაშის მიზანი: რიცხვის გამყოფებისა და ჯერადების პოვნაში გაწაფვა.

თამაშის წესი: კლასი ჯგუფებად იყოფა. თითოეული ჯგუფისთვის დაფაზე ან ფორმაზე გამზადებულია იმდენი განსხვავებული ლაბირინთი, რამდენი ჯგუფიც იღებს თამაშის მონაწილეობას. ჯგუფის წევრები მორიგეობით გამოდიან და ასახელებენ წრეებზე მოთავსებულ რიცხვებს ისე, რომ დასახელებულმა რიცხვებმა ნამრავლში მოგვცეს ლაბირინთის ცენტრში მოთავსებული რიცხვი (ყოველი მომდევნო მოსწავლე



მომდევნო წრეწირიდან ირჩევს ერთ რიცხვს). მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ნიმუშზე ნაგულისხმევია, რომ ჯგუფში 4 მოსწავლეა, რომელთაგან პირველმა უნდა დაასახელოს 2, მეორემ - 10, მესამემ - 5, მეოთხემ 5, რადგან მათი ნამრავლი მოგვცემს ცენტრში მოთავსებულ რიცხვს - 500-ს. შეიძლება თამაშის მიმართულებად აირჩიონ ცენტრიდან გარეთ გამოსვლა. ამ შემთხვევაშიც იმავე რიცხვებს ეძებენ. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ქველაზე სწრაფად აირჩევს ცენტრისკენ (ან ცენტრიდან) მიმავალ გზას.

მასწავლებელმა დაფაზე უნდა დაწეროს რამდენიმე მაგალითი და მოსწავლეებს სთხოვოს მათი 10-ზე გაყოფა (ნაშთით და უნაშოლ). ამ შემთხვევაში შეიძლება ერთ-დროულად რამდენიმე მოსწავლის გამოყვანა. მაგალითები არ უნდა წაშალონ. ამ

მაგალითებით შეამჩნევენ, რომ რიცხვების 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთი ჩაწერილი რიცხვის ბოლო ციფრს ემთხვევა. შემდეგ არჩევენ რა ნაშთი შეიძლება მიიღონ 10-ზე გაყოფით, 2-ზე გაყოფით, 5-ზე გაყოფით და ადგენენ შესაბამის ცხრილს. გამოყავთ ჩანაწერის მიხედვით რიცხვის 2-ზე, 5-ზე და 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთის გამოთვლის წესი. ის ფაქტი, რომ ნაშთი მხოლოდ ბოლო ციფრზეა დამოკიდებული, გამომდინარეობს რიცხვის თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამად დაშლიდან. ამ დაშლაში შემავალი ყველა შესაკრები, ბოლო ციფრით მოცემულის გარდა, იყოფა 2-ზე, 5-ზე და 10-ზე, ამიტომ ეს შესაკრებები ნაშთს არ გვაძლევენ.

პარაგრაფი 2 საათზეა გათვალისწინებული.

I საათი

კლასში: სავ. №1, №3, №5, №7, №17.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№7; II ვარიანტი – სავ.№10.

საშინაო დაგალება: №2, №4, №8.

II საათი

კლასში: სავ.№9, №11, №13, №15, №19.

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ. I ვარიანტი – სავ.№14-ა), I ვარიანტი – სავ.№14-ბ).

საშინაო დაგალება: №12, №18, №20.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№10. პასუხი: 3. **სავ.№11.** ა) ნაშთს მოგვცემს 1-ზე, 3-ზე, 7-ზე და 9-ზე დაბოლოებული რიცხვები. შესაბამისად, ნაშთი იქნება: 1, 3, 2 და 4.

სავ.№12. პასუხი: 6 კალათბურთელი.

სავ.№13. ასეთი რიცხვებია 20, 30, 40, . . . , 110. პასუხი: 10.

სავ.№14. ა) კენტ ადგილზე წითელი წრებია, ლურჯი ადგილზე ყვითელი; ბ) 5-ის ჯერად ადგილებზე ნარინჯისფერი წრებია, ამიტომ წრის ფერს განსაზღვრავს, თუ რა ნაშთი მიიღება ადგილის ნომრის 5-ზე გაყოფით. მაგალითად, 19=3მთელი, ნაშთი 4. ამიტომ, 19-ე ადგილზე იქნება ნარინჯისფერიდან მეოთხე, ანუ წითელი წრე.

სავ.№15. 5-ის გარდა ყველა მონაცემი ლურჯი რიცხვია, ამიტომ ხუთლარიანიც უნდა იყოს ლურჯი რაოდენობით, რათა ჯამში ლურჯი რიცხვი მივიღოთ. აქედან ვასკვნით, რომ ხუთლარიანი არის 2 ცალი (4-ის შემთხვევაში 10 ლარიანის ადგილი ადარ რჩება). მაშინ გვექნება ერთი ათლარიანი და ოთხი ორლარიანი. პასუხი: 4.

სავ.№16. პასუხი: ერთი 5-ლიტრიანი და ექვე 2-ლიტრიანი ან სამი 5-ლიტრიანი და ერთი 2-ლიტრიანი.

სავ.№17. საძიებელი რიცხვია $11 \times 15 + 9 = 174$.

§ 6.4 ამოცანების ამოხსნა განტოლების შედგენით (3სო)

მიზანი: ვასწავლოთ ამოცანების ამოხსნა განტოლების შედგენით.

პარაგრაფის შესწავლის შედეგ მოსწავლემ უნდა იცოდეს თუ რა ეტაპებს მოიცაგს განტოლების შედგენით ამოცანის ამოხსნის მეთოდი.

უნდა შეეძლოს:

1. ამოცანის შესაბამისი საძიებელი სიდიდის ასოთი აღნიშვნა;
2. ამოცანის პირობის შესაბამისი განტოლების ჩაწერა და ამოხსნა;
3. მიღებული პასუხის შემოწმება.

მეთოდური კომენტარები:

პირველ რიგში მოსწავლეები უნდა შევაჩიოთ ამცანის ამოხსნის ყველა ეტაპის სრულყოფილად შესრულებას. ეს ეტაპებია:

1. ამოცანის ყურადღებით წაკითხვა და გააზრება (რა არის მოცემული, რას გვეკითხება);
2. ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდის ერთმანეთთან დაკავშირება (ანუ ამოცანის შესაბამისი განტოლების სიტყვებით ჩამოყალიბება);
3. საძიებელი სიდიდის შემოტანა;

4. განტოლების შედგენა;
5. განტოლების ამოხსნა;
6. პასუხის შემოწმება.

შესასწავლი თემა რთულია, რადგან ის გულისხმობს სიტყვებით ჩამოყალიბებული პირობის მათემატიკური სიმბოლოებით ჩაწერას (მოდელირებას), რაც უფროსკლასელთა უმრავლესობასაც უჭირს. ამიტომ თემის შესწავლას მარტივი ამოცანებით ვიწყებთ. ამ ამოცანების ამოხსნას მოხსავლეები განტოლების შედგენის გარეშეც შეძლებენ (მაგალითად, რიცხვითი გამოსახულების შედგენით, ან სქემის გამოყენებით). სასურველია, ერთი და ოგივე ამოცანა სხვადასხავა გზით ამოიხსნას.

I საათი

კლასში: სავ.№1, 2, 3, 5.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№7-ა); II ვარიანტი – სავ.№7-ბ).

საშინაო დავალება: სავ.№4, 6.

II საათი

კლასში: სავ.№9, №11, №13.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი – სავ.№17; II ვარიანტი – სავ.№18.

საშინაო დავალება: სავ.№8, №12.

III საათი

კლასში: სავ.№10, 14, 20, №24

დამოუკიდებელი სამუშაო: სავ.№19

საშინაო დავალება: სავ.№15, №16.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№12. სიტყვიერი მოდელი: მართკუთხედის ორი გვერდის ჯამის გაორკეცებული ნამრავლი (პერიმეტრი) 96 სმ-ის ტოლია.

საძიებელი სიდიდის შემოტანა: გთქვათ, მართკუთხედის უცნობი გვერდის სიგრძეა a სმ, მაშინ მისი პერიმეტრი $(a + 20) \times 2$ სმ.

განტოლების შედგენა: ამოცანის პირობის თანახმად 96 სმ-ის ტოლი იქნება.

გრძელების განტოლებას: $(a + 20) \times 2 = 96$.

განტოლების ამოხსნა: $a + 20 = 48$, $a = 28$ (სმ).

შემოწმება: თუ მართკუთხედის ერთი გვერდი 28სმ-ია, მაშინ პერიმეტრი იქნება $(28+20) \times 2$ სმ, რაც 96სმ-ს ტოლია.

პასუხი: მართკუთხედის მეორე გვერდის სიგრძეა 28სმ.

სავ.№18. გთქვათ, უცნობი გამყოფია a . ამოცანის პირობის მიხედვით $1458 : a = 15$ (ნაშთი 3). ნაშთიანი გაყოფისას გასაყოფი რომ ვიპოვთ, საჭიროა არასრული განაყოფის გამყოფზე ნამრავლს მივუმატოთ ნაშთი. ე. ი.

$$1458 = 15a + 3;$$

$$15a = 1458 - 3$$

$$15a = 1455;$$

$$a = 97.$$

სავ.№20. სიტყვიერი მოდელი: 2 საათში ორივე ავტომობილის მიერ გავლილი მანძილების ჯამი A და B პუნქტებს შორის მანძილის (260 კმ-ს) ტოლია.

განტოლების შედგენა: გთქვათ, B-დან გამოსული ავტომობილის სიჩქარეა x კმ/სთ,

მაშინ A-დან გამოსული ავტომობილის სიჩქარე იქნება $(x + 10)$ კმ/სთ. 2 საათში B-დან გამოსული ავტომობილი გაივლის $2x$ კმ-ს, A-დან გამოსული ავტომობილი $2(x + 10)$ კმ

ს, ხოლო ორივე ერთად მათ ჯამს, რაც პირობის თანახმად 260 კმ-ს ტოლია. მივიღეთ განტოლება:

$$2x + 2(x + 10) = 260.$$

განტოლების ამოხსნა:

$$2x + 2(x + 10) = 260.$$

$$4x + 20 = 260$$

$$4x = 120$$

$$x = 60$$

პასუხის შემოწმება: თუ B-დან გამოსული ავტომობილის სიჩქარეა 60 კმ/სთ, მაშინ A-დან გამოსული ავტომობილის სიჩქარე იქნება 70 კმ/სთ. 2 საათში B-დან გამოსული ავტომობილი გაივლის 120 კმ-ს, A-დან გამოსული ავტომობილი 140 კმ-ს, ხოლო ორივე ერთად $(120 + 140)$ კმ-ს, რაც 260 კმ-ის ტოლია.

პასუხი: B-დან გამოსული ავტომობილის სიჩქარეა 60 კმ/სთ.

სავN21. $(x + 3x) \times 3 = 144$, $x = 12$. **პასუხი:** 12 კმ/სთ.

სავN24. **პასუხი:** а) 10698; ბ) 33091.

§6.5 წრე და მისი ნაწილები (2სო)

მიზანი: გავაცნოთ წრე და მისი ნაწილები.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს წრეწირთან დაკავშირებული ცნებები, რადიუსება და დიამეტრებს შორის დამოკიდებულება.

უნდა შეეძლოს სხვა გეომეტრიული ფიგურებიდან წრისა და წრეწირის გამორჩევა, წრეწირისა და მისი ელემენტების დახაზვა, ამოცნობა და დასახელება. ისეთი ამოცანების ამოხსნა, რომელშიც რადიუსება და დიამეტრებს შორის თანაფარდობა გამოიყენება.

მასალა: ფარგალი, ფანქარი, სახაზავი, ფერადი ცარცები, დასარიგებელი მასალა (თითო მოსწავლეს თითო წრე და ამ წრეების ზომის ფერადი წრეწირი – გამოჭრილი), წერეებით შედგენილი ნახატები, ილუსტრაციები (ჩაკეტილი და გახსნილი წირები)

გაძვეთილის ტიპი – ახალი მასალის ახსნა.

გაგეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი. საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება

1) მასწავლებელი: – განტოლების შედგენით ამოხსენით ამოცანა:

V^1 კლასში 22 მოსწავლე იყო. მათ კიდევ რამდენიმე მოსწავლე დაემატა და ახლა

V^1 კლასში 25 მოსწავლეა. რამდენი მოსწავლე დაემატა V^1 კლასს?



ამოცანა მარტივია. მოსწავლეები ზეპირად გასცემენ პასუხს. თუმცა, ვფიქრობთ, ამოცანის მოკლე ჩანაწერის გააქოება მომავლისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან ასეთი ვარჯიშით მოსწავლე არა მარტო ამოცანის ამოხსნასა და მოქმედებების კომპონენტებსა და შედეგს შორის კავშირის ცოდნას ეუფლება, არამედ ეზვევა კვლევით მუშაობას და სამუშაოს მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამ მიზნით მასწავლებელმა დრო და დრო ასეთი მარტივი ამოცანების ამოხსნა უნდა გამოიყენოს.

– რა გეგმით უნდა ამოხსნას ამოცანა?

მოსწავლეების პასუხი:

ამოცანის ამოხსნა უნდა წარიმართოს შემდეგი გეგმით:

- 1) ამოცანის ტექსტის გაცნობა (კითხულობს ერთი მოსწავლე);
 - 2) პირობისა და კითხვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და საძიებელი რიცხვის უცნობით აღნიშვნა;
 - 3) ამოცანის მოკლე ტექსტის ჩაწერა;
 - 4) განტოლების შედგენა;
 - 5) განტოლების ამოხსნა;
 - 6) ამოხსნის შემოწმება;
 - 7) პასუხის დაწერა.
- ამოხსენით ამოცანა. იმოქმედეთ გეგმის მიხედვით.
- ერთი მოსწავლე დაფაზე ასრულებს მოკლე ჩანაწერს:
- იყო – 22
დაქმატა – x
გახდა – 25
- მოსწავლეები სთავაზობენ განსხვავებულ გარიანტებს. შესაძლოა სამი სახის განტოლება შეადგინონ ($22+x=25$, $25-x=22$, $x=25-22$) .
- ამოხსნის სისწორე როგორ შევამოწმოთ? ამოწმებენ.
- 2) ფრონტალური გამოკითხვა
 - როგორი წირებია?



- 3) – რომელ გეომეტრიულ ფიგურებს იცნობთ?
- რა ხელსაწყოთი ვზომავთ მონაკვეთის სიგრძეს?
- სიგრძის საზომ რომელ ერთეულებს იცნობთ?

III. გაკვეთილის თემის დადგენა

- ახლა დავადგინოთ რა უნდა ვისწავლოთ დდეს. ამას თქვენ ჩემი დახმარების გარეშე დაადგენოთ. გამოთვალეთ გამოსახულებების მნიშვნელობები, შედეგები დააღადგეთ ზრდის მიხედვით და წაიკითხეთ სიტყვა, რომელსაც მიიღებთ. (დამოუკიდებლად მუშაობენ)

$$3\ 000\ 000 : 60\ 000 = \text{კ}; \quad (50)$$

$$900 \cdot 600 = \text{ლ}; \quad (540\ 000)$$

$$1\ 000\ 000 - 600\ 000 = \text{რ.} \quad (400\ 000)$$

- რა სიტყვა მიიღეთ? რა არის ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის თემა? (წრე) .
- დდეს გავეცნობით წრეს, წრეწირს და გავარკვევთ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. გავეცნობით წრის ელემენტებს, ვისწავლით წრეწირის და ხაზებს, წაკითხვას, ამოცნობას, ჩაწერას და წრეზე და წრეწირზე ამოცანების ამოხსნას.


IV. ახალი მასალის ახსნა

- დაფაზე, ფარგლის გარეშე, რომელიმე საგნის გამოყენებით ხაზავს წრეწირს. რა დავხაზე?

გააფერადებს წრეწირის შიდა არეს

- ახლა რა დავხაზე? (პასუხობენ). პირველად დავხაზე შეკრული წირი, რომელსაც წრეწირი პქვია. გაფერადების შემდეგ უკვე მაქვს წრეწირი და წრეწირით შემოსაზღვრული არე, სიბრტყის გაფერადებული ნაწილი. ეს უკვე წრეა.

მოსწავლებს ურიგებს წრებს და წრეწირის მოდელებს (ერთმანეთისაგან განსხვავებული ფერით) და სოხოვს ქაღალდის წერილი რგოლი მოარგონ წრეს (ისე უნდა იყოს გამოჭრილი, რომ უხეში წარმოდგენა არ შეექმნათ) წარმოიდგინეთ, რომ ეს ნახაზი ფურცელზე შეადგინეთ. დააკვირდით მიღებულ ნახაზს.



- მაშ რა ყოფილა წრეწირი? რითაა წრე შემოსაზღვრული? (შეკრული წირით, რომელსაც წრეწირი პქვია)

თვითონაც ხაზავს დაფაზე წრეს და მის საზღვარს განსხვავებული ფერებით.

- მაშ რა ყოფილა წრეწირი? (წრის საზღვარი)

- აიღეთ წრე და ლამაზად გადაკეცეთ შუაზე. რა მიიღეთ? (გადაკეცვის ხაზი) რამდენ ნაწილად გაყო წრე გადაკეცვის ხაზმა? (2) როგორი ნაწილებია? (ტოლი) როგორ დაასაბუთებთ რომ ტოლია? (ზედღებით)

- ახლა სხვანაირად გადაკეცეთ წრე შუაზე. რა მიიღეთ? (ისეთივე ხაზი) ახლა კიდევ სხვანაირად გადაკეცეთ წრე შუაზე. რა მიიღეთ? (ისევ ისეთი ხაზი)


- დააკვირდით გადაკეცვის სამივე ხაზს. რას ამჩნევთ? (ყველა ერთ წერტილში იკვეთება) ეს განსაკუთრებული წერტილია. ამ წერტილს წრეწირის ცენტრი პქვია, ხოლო იმ სამ მონაკვეთს, რომელიც თქვენ წრის შუაზე გადაკეცვით მიიღეთ, დიამეტრი. რა ყოფილა წრის დიამეტრი? (მონაკვეთი, რომელიც წრეწირის ორ წერტილს აერთებს) ეს არაა ზუსტი განმარტება. ჩვენ მხოლოდ ამ განმარტების ნაწილს მივაგენით. რა განსაკუთრებულებას ამჩნევთ დიამეტრებს? დააკვირდით წრეს, გადაკეცვის ხაზებს და პასუხი ისე გამეცით.

დაფაზე დახაზულ წრეში ავლებს სამ დიამეტრებს სხვადასხვა ფერით.

მოსწავლები პასუხობენ, რომ დიამეტრები ერთ წერტილში იკვეთებიან.

- მართალია, წრეწირის ყველა დიამეტრი ერთ წერტილში იკვეთება. რამდენი დიამეტრის გავლებაა შესაძლებელი? (უამრავი) ყველა დიამეტრი ერთ წერტილში იკვეთება. ამ წერტილს წრეწირის ცენტრი პქვია. მას ლათინური ასომთავრულით აღვნიშნავთ. წრეწირის ცენტრს ხშირად O ასოთი აღნიშნავთ.

- ახლა თუ შეგიძლიათ ჩამოყალიბოთ რა არის დიამეტრი? (მონაკვეთი, რომელიც წრეწირის ორ წერტილს აერთებს და ცენტრზე გადის) ყოჩად, ბავშვებო! შესანიშნავდ მუშაობთ. დიამეტრებს d ასოთი ან როგორც მონაკვეთს, ორი ასომთავრულით აღნიშნავთ.




ახლა გავარკვიოთ რა თვისება აქვს წრეწირის ცენტრის. მონიშნეთ ცენტრი და გადაკეცვის ხაზების გამოყენებით გაზომეთ ყველა მანძილი წრეწირის ცენტრიდან წრეწირის რომელიმე წერტილებდე. თქვენ 3 დიამეტრი გაქვთ ე.ო. ცენტრიდან წრეწირამდე უნდა გაზომოთ 6 მანძილი.

– რა შედეგი მიიღეთ? (ყველა მანძილი ტოლია) სწორედ ესაა ცენტრის განსაკუთრებულება. როგორ ჩამოაყალიბებთ ამ ფაქტს? (მასწავლებლის დახმარებით ჩამოაყალიბები: წრეწირის ცენტრი არის წერტილი, რომელიც თანაბრადა დაშორებული წრეწირის ნებისმიერი წერტილიდან)


– თქვენ გაზომეთ 6 მონაკვეთის სიგრძე. თითოეულ ამ მონაკვეთს რადიუსი პქნია. დააკვირდით ამ მონაკვეთების ბოლოებს და იპოვეთ რადიუსის განმარტება.

(რადიუსი არის მონაკვეთი, რომელიც წრეწირის რომელიმე წერტილს წრეწირის ცენტრთან აერთებს). რადიუსის რა თვისებას ამჩნევთ? (ყველა ერთმანეთის ტოლია). როგორ ჩაწერთ ამას ამ ნახაზის მიხედვით?




$OC = OB$? (მართალია. რადიუსი მონაკვეთია და როგორც აქამდე აღვნიშნავდით მონაკვეთს, რადიუსის შემთხვევაშიც ასე მოვიქცევით. რადიუსს ხშირად ერთი r ან ერთი R ასოთიც აღნიშნავთ.)

– კიდევ რა თვისებას ამჩნევთ რადიუსს ან დიამეტრებს? (დიამეტრი ორი რადიუსის ტოლია.) როგორ ჩაწერთ ამ წინადაღებას მათემატიკურად ნახაზის მიხედვით? $CB = 2 \cdot OC$, $CB = 2 \cdot OB$. ზოგადად, ფორმულით?



$$d = 2 \cdot r$$

– შეიძლება თუ არა წრეწირის ორი წერტილის შეერთება ისეთი მონაკვეთით, რომელიც წრეწირის ცენტრზე არ გაივლის? ნახაზზე გვაჩვენებ (მიმართავს ერთ-ერთ იმ მოსწავლეს, რომელმაც დადებითი პასუხი გასცა)



– მონაკვეთს, რომელიც წრეწირის ორ წერტილს აერთებს, ქორდა პქნია. არის თუ არა AB ქორდა დიამეტრი? (არა, რადგან ცენტრზე არ გადის) შეგიძლიათ ისეთი ქორდის დახაზვა, რომელიც ცენტრზე გაივლის? (დიახ) . ვინ დაასრულებს წინადაღებას: დიამეტრი ისეთი ქორდაა, რომელიც . . .

– როგორ დავხაზოთ წრე და წრეწირი? რით დავხაზოთ? რა უნდა გავაკეთოთ პირველ რიგ ში? (ფარგლით ვხაზავთ, პირველად ცენტრი უნდა მოვნიშნოთ)

რამდენჯერმე დახაზავს წრეწირს დაფაზე ნელი მოძრაობით და ახსნა-განმარტებით, თუ როგორ დაიყავონ ფარგლი და როგორ შემოხაზონ წრეწირი. შემდეგ მოსწავლეებს ახაზინებს წრეწირებს რვეულებში, დაფაზე.

– როგორ დავხაზოთ სასურველი ზომის წრეწირი? რა არის ამისთვის საჭირო? (ფარგლით და სახაზავი) იღებენ კონკრეტული ზომის რადიუსებს (სახელმძღვანელოდან სავN3) და ხაზავენ წრეწირებს.

– რა გინახავთ თქვენს გარშემო წრის ან წრეწირის ფორმის? (ბორბლები, ბეჭედი, ხაჭაპური, მონეტები, საათი და ა. შ)

ის, რომ წრეწირს გლუვი ზედაპირი აქვს და მისი გაგორება აღვილია, ადამიანმა საუკუნეების წინ შეამნია და შესანიშნავად იყენებს პრაქტიკაში. ბორბლების გამოგონებამდე ადამიანი ხის დიდ მორებს იყენებდა მძიმე საგნების გადასაადგილებლად. ამის მაგალითია ეგვიპტის პირამიდის კედლის ნახატები (კარგი იქნება თუ აჩვენებს ნახატს).

V. განმტკიცება


– ამოქსნათ საგარჯიშოები სახელმძღვანელოდან. ასრულებენ დავალებებს: სავN5, N7, N9, N11,

VI. დამოუკიდებელი სამუშაო: სავN13.

VII. შედეგების შეჯამება

- რა ვისწავლეთ?
- რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წრე და წრეწირი? (წრე არის შეკრული წირი, წრე – სიბრტყის ნაწილი, რომელიც წრეწირითაა შემოსაზღვრული)
- წრის რა ელემენტებს გავეცანოთ?
- როგორ ავაგორ 4სმ ტოლი რადიუსის მქონე წრეწირი?
- რა სიგრძის იქნება ამ წრის დიამეტრი?

- შესაძლოა ქორდა იყოს დიამეტრზე პატარა? დიდი? ტოლი?
VIII. საშინაო დავალება: სავ №2, №4, №6, №8.
- წრეებით შეგიძლიათ ლამაზი ნახატების შედგენა. საშინაო დავალებასთან ერთად შეასრულეთ ნახატები წრეების გამოყენებით. მე რამოდენიმეს გაჩვენებთ.



II გაკვეთილზე ასწავლის რა არის რკალი და სექტორი, რა მდებარეობა შეიძლება ეკავოს ორ წრეწირს.

კლასში: სავ №13, №17, №19, №20

დამოუკიდებელ სამუშაო: სავ №14.

საშინაო დავალება: სავ №16, №18, №22.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:
სავ. №17. 4 სმ.

სავ. №18. ა) კი; ბ) არა; გ) არა; დ) კი; ე) კი.

სავ. №21. ა) ერთი; ბ) ორი; გ) არცერთი.

VI თავის დამატებითი სავარჯიშოები (2სო)

მიზანი: VI თავის მასალის გამეორება-გამტკიცება

მათემატიკური საათი.

ჯგუფური მეცადინეობა

თემა: რიცხვთა გაყოფადობა.

მიზანი: ცოდნის განმტკიცება გაყოფის, ჯერადის, გაყოფადობის ნიშნების, წრისა და წრეწირის შესახებ.

გაკვეთილის ტიპი: შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცების გაკვეთილი.

ეს თემა ერთ-ერთი რთული თემაა, ამიტომ თამაში მისი განმტკიცების მიზნით ტარდება. თამაშის ჩატარებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე უცხადებს მასწავლებელი მოსწავლეებს, რომ გუნდური თამაში უნდა ჩატარდეთ ამ თემაზე. უთითებს გასამეორებელ მასალას.

შერჩეული უნდა იქნეს 2 გუნდი, 9–9 წევრით. გუნდში გაერთიანდება 4 ძლიერი, 4 საშუალო და ერთიც სუსტი მოსწავლე. დანარჩენი მოსწავლეებიც 2 გუნდად იყოფიან. ერთი ერთ გუნდს გულ შემატკიცრობს, მეორე – მეორეს.

თამაშის წესი: დაფაზე გამოკიდულია 2 პლაკატი. თითოეული პლაკატი 9 მართკუთხედადადა დაყოფილი, რომლებშიც ამოცანებია ჩაწერილი. მაგიდაზე დევს 12 ბარათი, ზუსგად ისეთივე ზომის, როგორი მართკუთხედებიცაა პლაკატზე. 9 ბარათზე წერია პლაკატზე მოცემული ამოცანების სწორი პასუხები (თითოზე თითო), ხოლო 3-ზე არასწორი. თითოეული მოსწავლე სხინის თითო ამოცანას, მაგიდაზე ეძებს შესაბამის პასუხს. იდებს ამ პასუხს და მიაკრავს (დააფარებს), ამოცანას. საბოლოოდ პლაკატზე უნდა ჩანდეს არა ამოცანები, არამედ მათი პასუხები. როდესაც ყველა ამოცანა დაიფარება პასუხებით, შედეგები შეჯამდება. ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

6-ის მარტივი გამყოფების ჯამი	უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 2-ზე და 5-ზე	15-ის გამყოფების ჯამი
35-ზე გაყოფით მიღებული შესაძლო უდიდესი ნაშთი	2459-ის 100-ზე გაყოფით მიღებული ნაშთი	27-ის ჯერადი უმცირესი სამნიშნა რიცხვი
მოცემული რიცხვების განაკვეთი: 15, 16, 25, 45, 56, 60, 5-ის ჯერადი რიცხვების რაოდგნობა	340-ის უდიდესი კენტი გამყოფი	რა უდიდესი მნიშვნელობის მიღება შეუძლია a -ს, თუ ცნობილია რომ a ქენტი რიცხვია და $20 < a < 43?$

პასუხებით ამოცანების დაფარვის შემდეგ პლაკატი ასე უნდა გამოიყერებოდეს


5	90	24
34	59	108
4	85	41

პასუხების სამი ბარათი (არასწორი პასუხებით)
მაგიდაზე რჩება.

ამის შემდეგ იწყება გულშემატკივრების კონკურსი (8-8 კითხვა თითოეული გუნდის გულშემატკივრებს):

კონკურსანტებმა ნახაზის მიხედვით უნდა უპასუხონ კითხვებს:

- რა ფიგურას ხედავთ ნახაზზე?
 - რას წარმოადგენს O წრეტილი წრეწირისათვის?
 - რა იცით წრეწირის ცენტრის შესახებ?
 - რას წარმოადგენს წრეწირის რადიუსი?
 - დაასახელე რადიუსები მოცემულ ნახაზზე.
 - რამდენი რადიუსის გავლებაა შესაძლებელი წრეწირში?
 - რა შეგიძლიათ თქვათ ერთი და იმავე წრის ყველა რადიუსის შესახებ?
 - რას წარმოადგენს ქორდა?
 - რამდენი ქორდის დახაზვაა შესაძლებელი ერთ წრეწირში?
 - შასაძლებელია თუ არა უდიდესი ქორდის დასახელება მოცემული ნახაზის მიხედვით?
 - რას წარმოადგენს წრეწირის დიამეტრი?
 - რა იცით წრეწირის დიამეტრის შესახებ?
 - რა ეწოდება წრეწირის უდიდეს ქორდას?
 - რა თანაფარდობაა წრეწირის რადიუსება და დიამეტრების შორის?
 - რა შეგიძლიათ თქვათ ქორდისა და დიამეტრის შესახებ, როცა ქორდა ცენტრზე არ გადის?
 - რომელი წრფე კვეთს ნახაზზე მოცემულ წრეწირს?
- დარჩენილ დროში მუშაობენ სავარჯიშოების ამოხსნაზე.



II საათი

მიზანი: VI თავის მასალის გამეორება-გამტკიცება

გაკვეთილი – თამაში

გაკვეთილზე ტარდება „გეომეტრიულ ფიგურათა ყრილობა“.

თამაშის ჩატარებამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე მასწავლებელი უცხადებს მოსწავლეებს, რომ გუნდური თამაში უნდა ჩატარდეთ ამ თემაზე. უთითებს გასამეორებელ მასალას. შეარჩევს სხვადასხვა ფიგურებს. მოსწავლეები შეარჩევენ სასურველ ფიგურას. მასწავლებელი აკონტროლებს მომზადების პროცესს და იმას, რომ რომელიმე ფიგურა არ გამორჩეთ განაწილებისას, ან ყველამ ერთი და იგივე არ აირჩიოს.

ფიგურები საანგარიშო მოხსენებით გამოდიან (ერთი მოსწავლე ერთ ფიგურას წარმოადგენს. ახასიათებს იმ ფიგურას, რომელსაც წარმოადგენს). ყველა მომხსენებელს ეყოლება თანამომხსენებელი, რომელიც იმ ინფორმაციას მოგვაწვდის, რაც მომხსენებელს გამორჩა. თუ ორივემ ვერ ამოწურა სათქმელი, ორივე მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ ყრილობის თავჯდომარე მიმართავს ყრილობის დელეგატებს (მოსწავლეებს): – სიტყვით ხომ არ სურს ვინმეს გამოსვლა? – ვინც შეძლებს, წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას.

კომენტარები საგარეულოების შესახებ და პასუხები:

სავ. №2. 1005. სავ№3. 9999998. სავ№8. არა. სავ№9. გ).

სავ. №12. A და B-ს ის საერთო ნაწილი, რომელიც C წრის გარეთაა.

სავ. №14. 307. სავ№16. $5x + 123 = 248$, $x = 25$.

სავ. №17. 1000ლ, 2000ლ. სავ№18. $2580 - 415 \times 2 = 1750$.

სავ№19. $x + x - 24 = 126$, $x = 75$. პასუხი: 75 და 51.

სავ. №20. $(5x + x) \times 2 = 60$, $x = 5$. პასუხი: 125ს^2 .

სავ. №21. $(x + x - 5) \times 2 = 42$, $x = 13$. პასუხი: 104ს^2 .

სავ. №22. უნდა შეუერთდეს 5 ბავშვი (3 გოგონა და 2 ვაჟი), თითოეულ გუნდში იქნება 7 ბავშვი, 4 გოგონა და 3 ვაჟი.

სავ№23. უნდა შეუერთდეს 6 ბავშვი (2 გოგონა და 4 ვაჟი), თითოეულ გუნდში იქნება 9 ბავშვი, 4 გოგონა და 5 ვაჟი.


სავ№24. გვაქვს 5 კენტი ციფრი, ამიტომ ათეულების თანრიგში გვაქვს 5 არჩევანი, რომელთაგან თითოეულს ერთეულების თანრიგში შეესაბამება 5 არჩევანი. სულ გამოდის 25.

„შესაძლებელია თუ არა“ 1. ა) შესაძლებელია, მაგალითად $2 + 3 = 5$; ბ) შესაძლებელია, მაგალითად $5 - 3 = 2$; გ) შეუძლებელია. 2) შეუძლებელია; 3) შეუძლებელია; 4) შესაძლებელია, მაგალითად 2 და 5; 5) შეუძლებელია.

შემაჯამებელი სამუშაო №8 (შეფასების სქემით)


I ვარიანტი

- დაწერე 35 -ის ყველა გამყოფი.
- დაწერე 42-ის მარტივი გამყოფები.
- რა ციფრი უნდა ეწეროს „*“ -ის ნაცვლად, რომ $17 + 19^*$ ჯამი იყოს 5-ის ჯერადი კენტი რიცხვი?
- ნიმუში 14 ვარდითა და 21 მიხაკით რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ერთნაირი თაიგული უნდა დაამზადოს. რამდენი ვარდი და რამდენი მიხაკი იქნება თითოეულ თაიგულში?
- ნახაზზე მოცემული O და O_1 ცენტრების მქონე ორი წრეწირი. დიდი წრის რადიუსი ორჯერ მეტია მცირე წრის რადიუსზე. OO_1 მონაკვეთის სიგრძეა 12 სმ. გამოთვალე წრეწირების რადიუსები.



II ვარიანტი

1. დაწერე 35 -ის ყველა გამყოფი
2. დაწერე 42-ის მარტივი გამყოფები
3. რა ციფრი უნდა ეწეროს * -ის ნაცვლად, რომ $17^* + 193$ ჯამი იყოს 5-ის ჯერადი ლუწი რიცხვი?
4. ნიამ 24 ვარდითა და 16 მიხაკით რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ერთნაირი თაიგული უნდა დაამზადოს. რამდენი ვარდი და რამდენი ტიტა იქნება თითოეულ თაიგულში?
5. ნახაზე მოცემული O და O_1
ცენტრების მქონე ორი წრეწირი. დიდი წრის რაღიც სამჯერ მეტია მცირე
წრის რაღიც სხვ. OO_1 მონაკვეთის სიგრძეა 12 სმ. გამოთვალე წრეწირების რადიუსები.



შეფასების სქემა

1. დაწერა 35-ის ერთი გამყოფი მაინც ----- 1 ქულა
დაწერა 35-ის ყველა გამყოფი (1, 5, 7, 35) ----- 2 ქულა
2. დაწერა 42-ის ერთი მარტივი გამყოფი მაინც ----- 1 ქულა
დაწერა 42-ის სამივე მარტივი გამყოფი (2, 3, 7) ----- 2 ქულა
3. დაწერა პასუხი 8 ----- 2 ქულა
თუ დაწერა პასუხი 3 ეწერება მხოლოდ 1 ქულა
4. გამოთვალა თაიგულების შესაძლო უდიდესი რაოდენობა (7) --- 1 ქულა
გამოთვალა თაიგულში გარდებისა (2) და მიხაკების (3) რაოდენობა – 2 ქულა
5. აღნიშნა, რომ რადიუსების სიგრძეთა ჯამია 12სმ ----- 1 ქულა
გამოთვალა რადიუსები (8სმ და 4 სმ) ----- 2 ქულა

VII თაგი. წილადი

თავის მიზანი: ვასწავლოთ მოსწავლეს წილადები და მათზე მოქმედებები. მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა წილადზე, როგორც

- მოელის ნაწილის ჩანაწერზე;
- ნატურალური რიცხვის ნატურალურ რიცხვზე გაყოფის შედეგზე;
- რიცხვითი სხივის წერტილზე;
- რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე.

წილადის შესწავლის საფუძველს თვალსაჩინოება წარმოადგენს, ამიტომ სწავლებისათვის საჭირო კველა მოქმედება საგნებზე დემონსტრირებით უნდა შესრულდეს.

მასალა წილადებზე გადაიცემა ისე, როგორც სახელმძღვანელოშია მოცემული.

§7.1 ნაწილი

მიზანი: ვასწავლოთ მოსწავლეს

- ფიგურის ნაწილების ამოცნობა, დასახელება, ჩაწერა და გამოთვლა;
- მარტივი ამოცანების ამოხსნა ნაწილებზე.

პარაგრაფების შესწავლის შემდეგ მოსწავლემ უნდა იცოდეს ფიგურების ნაწილების დასახელება, ჩვენება და ჩაწერა.

უნდა შეეძლოს:

- ნაწილების ამოცნობა და დემონსტრირება;
- ნაწილებზე მარტივი ამოცანების ამოხსნა;
- წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის დასახელება.

მასალა: დასაჭრელი 2 წრე, 2 კვადრატი, 12 სმ სიგრძის ქადალდის 2 მართკუთხა ზოლი, მაკრატელი, პლაკატი ნაწილებზე.

მეოდური კომენტარები: მასწავლებელს გაკვეთილის ასახსნელად მომზადებული უნდა პქონდეს გეომეტრიული ფიგურები: მართკუთხედები, წრეები. მოდელებზე უკათესად დაინახავს მოსწავლე, როგორ მიიღება ფიგურის ნაწილი.

იმისათვის, რომ გავაცნოთ ბავშვებს ნაწილი და წილადი რიცხვები და მათზე ნათელი წარმოდგენა შეუძლია, ისინი პრაქტიკულად უნდა ვამჟმაოთ მათ მიღებაზე. მაგალითად, წრის მეოთხედი ნაწილის მისაღებად წრე უნდა დაჭრას 4 ტოლ ნაწილად და ამ ნაწილებიდან აიღოს ერთი და ა. შ.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ყველაზე მოხერხებულია ქადალდისაგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურების გამოყენება. გამოიყენება აგრეთვე გეომეტრიული ფიგურების ნახატები. სამუშაო მასალა უნდა პქონდეს მასწავლებელს და თითოეულ მოსწავლესაც. ნაწილებზე და შემდეგ წილადებზე სწორი წარმოდგენა ჩამოუყალიბდებათ მას შემდეგ, როცა თავისი ხელით მიიღებენ ამ ნაწილებს.

მეოთხე კლასში მოსწავლეები უკვე გაეცნენ მოელის მეორედ, მესამედ და მეოთხედ ნაწილებს, მარტივ გამორებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, იმისათვის, რომ ახალი მასალა კარგად შეითვილზე კიდევ ვიმუშაოთ ნაწილის ცნების ფორმირებაზე.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში. წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელსა და თითოეულ მოსწავლეს გამზადებული აქვს რამდენიმე ერთნაირი წრე, მართკუთხედი, კვადრატი.

— აიღეთ ორი ერთნაირი წრე ერთი მათგანი გაყავით ორ ტოლ ნაწილად.


მასწავლებელმა უნდა აჩვენოს მოსწავლეებს, როგორ კეცავს შეაზე წრეს და როგორ ჭრის გადაპეცვის ხაზე. შემდეგ აჩვენებს და ეუბნება რომ „ეს არის მთელი წრე” და „ ეს არის ნახევარი წრე”. „ნახევარწრე” არის მთელი წრის ნახევარი.

ამის შემდეგ კითხვებით გააგრძელებს მასალის გადაცემას:

- რამდენი ნახევარწრე მივიღეთ ერთი წრისაგან?
- რამდენი ნახევარწრისაგან შევაღგენო ერთ წრეს?
- რამდენი ნახევრისაგან შედგება ერთი მთელი?
- როგორ მივიღოთ კვადრატის ნახევარი?
- სცადეთ და მიიღეთ კვადრატის ნახევარი.

მოსწავლეებს წინასწარ აქვთ გამზადებული ქაღალდის 2-2 ტოლი კვადრატი.

ვინაიდან კვადრატის ორ ტოლ ნაწილად გაყოფის სხვადასხვა გზა არსებობს, მოსწავლეები ამ დავალებას სხვადასხვა გზით ასრულებენ. ეს გზები ნახაგზეა მოცემული.



აიღებს კვადრატის ნახევრებს (მოსწავლეების მიერ მიღებულ სხვადასხვა ვარიანტს) და აჩვენებს მის ნახევარს.

- რამდენი ნახევარი კვადრატისაგან შედგება ერთი სრული კვადრატი?
- აჩვენეთ მოდელზე, რომ ერთი სრული კვადრატი ორი ნახევარი კვადრატისაგან შედგება. (ბავშვები ნახევარკვადრატებს აფარებენ დაუჭრელ კვადრატზე.)
- როგორ ჩავწეროთ მათემატიკურად „ნახევარი კვადრატი”? ($\frac{1}{2}$ კვადრატი)
- რა არის $\frac{1}{2}$? (წილადის სახით ჩაწერილი რიცხვი) რას გვიჩვენებს $\frac{1}{2}$?
- თქვენ უკვე იცით, რომ წრის, კვადრატის და საერთოდ, რაიმე ფიგურის ნახევარი ასე აღინიშნება: $\frac{1}{2}$.
- რას აღნიშნავს რიცხვი 2 ამ ჩანაწერში? (2 აღნიშნავს რომ წრე, კვადრატი თუ რომელიმე სხვა ფიგურა 2 ტოლ ნაწილადაა დაყოფილი)
- რას აღნიშნავს რიცხვი 1 ამ ჩანაწერში? (რიცხვი 1 აღნიშნავს იმას, რომ აღებულია ერთი ასეთი ნაწილი)
- ვინ მიხვდა რა თემაზე უნდა ვისაუბროთ დღეს? (ნაწილზე)
- დიახ, ჩვენ დღეს უნდა ვისწავლოთ ფიგურის ნაწილების ამოცნობა, დასახელება და ჩაწერა. უნდა ამოვცხნათ ამოცანები ნაწილებზე.

III. გაკვეთილის თემაზე მუშაობა

- როგორ მივიღოთ ფიგურის $\frac{1}{3}, \frac{1}{4}, \frac{1}{13}, \frac{1}{30}, \frac{1}{5}, \frac{1}{9}, \frac{1}{10}$ და ა. შ. ნაწილები? გამოჰყავს ორი მოსწავლე, და აძლევს დავალებას: –აიღე ქაღალდის ერთი ზოლი და მიიღე ზოლის $\frac{1}{4} \left(\frac{1}{3}\right)$ ნაწილი.


ერთი ზოლს 4 ტოლ ნაწილად ჭრის, მეორე 3 ტოლ ნაწილად და თითო ნაწილს აჩვენებენ.

თითოეულმა მოსწავლემ იმდენად უნდა გაითავისოს ნაწილის ცნება, რომ სხვისთვისაც შეძლოს იმის განმარტება, რომ მაგალითად,

- მონაკვეთის $\frac{1}{4}$ ნაწილის მისაღებად ეს მონაკვეთი 4 ტოლ ნაწილად უნდა დაყოს და მათგან ერთი ნაწილი აიღოს.

- 4 ტოლ ნაწილად დაყოფილი მონაკვეთი 4 ასეთი ნაწილისაგან შედგება, ანუ 1 მთელი მონაკვეთი მისი ოთხი მეოთხედისაგან შედგება.
- 4 ტოლ ნაწილად დაყოფილი მონაკვეთის ერთი ნაწილი რიცხობრიგად ასე ჩაიწერება: $\frac{1}{4}$.

მასშავლებელს წინასწარ გამზადებული აქვს პლაკატი ნაწილებზე



– დაასახელეთ და ჩაწერეთ ა) კვადრატის; ბ) წრის; გ) მართკუთხედის; დ) კვადრატის ჩამოჭრილი ნაწილი.

- AB მონაკვეთის რა ნაწილია AO მონაკვეთი? $\left(\frac{1}{2}\right)$
- რა შეგიძლია თქვა AO და AB მონაკვეთების სიგრძეების შესახებ? ($AO < AB$)
- AO მონაკვეთის სიგრძის ტოლი რამდენი მონაკვეთისაგან შედგება AB მონაკვეთი?(2)
- რამდენი ნახევრისაგან შედგება ერთი მთელი? (2)
- EF მონაკვეთის რა ნაწილია EM მონაკვეთი? $\left(\frac{1}{3}\right) MN$ მონაკვეთი? $\left(\frac{1}{3}\right) NF$ მონაკვეთი? $\left(\frac{1}{3}\right)$


– EM მონაკვეთის სიგრძის ტოლი რამდენი მონაკვეთისაგან შედგება EF მონაკვეთი? (3)

– რამდენი მესამედისაგან შედგება ერთი მთელი? (3)

ნაწილებზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად ეფექტურია ერთი და იმავე მთელის ნაწილების შედარება, რაც აუცილებლად თვალსაჩინოების გამოყენებით უნდა განახორციელონ. მაგალითად, შევთავაზოთ $\frac{1}{2}$ -ისა და $\frac{1}{3}$ -ის შედარება. ამისათვის კარგი იქნება ქადალდის 2 ერთნაირი ზოლის გამოყენება, რომელთა სიგრძე იქნება როგორც 3-ის, ისე 2-ის ჯერადი რიცხვით გამოსახული. მაგალითად, 12 სმ.

IV. განმტკიცება. პრაქტიკული მუშაობა წყვილებში

- ქადალდის ერთი ზოლი დაყავით 2 ტოლ ნაწილად, მეორე კი 3 ტოლ ნაწილად.
- მოსწავლეები წყვილში მუშაობენ. ერთი ერთ ზოლს 3 ტოლ ნაწილად ჭრის, მეორე – მეორე ზოლს 2 ტოლ ნაწილად.
- ზოლის რა ნაწილები მიიღეთ? (მივიღეთ $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{3}$ ნაწილები)



- შეადარეთ ზოლის $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{3}$ ნაწილების სიგრძეები ერთმანეთს მათი ერთმანეთზე ზედღებით. რა მიიღეთ? (მეორედი ნაწილი მეტია მესამედ ნაწილზე)
 - რა სიგრძის მონაკვეთია ზოლის ნახევარი? მესამედი? რომელია მეტი ზოლის $\frac{1}{2}$ ოუ $\frac{1}{3}$ ნაწილი?
 - დახახეთ რვეულში 8 სმ სიგრძის ორი მონაკვეთი. ერთი დაყავით 2 ტოლ ნაწილად, ხოლო მეორე 4 ტოლ ნაწილად. რომელია მეტი $\frac{1}{2}$ ოუ $\frac{1}{4}$?
 - როგორ გამოვთვალოთ მონაკვეთის $\frac{1}{2}$ ნაწილის სიგრძე? (მონაკვეთი დავყოთ 2 ტოლ ნაწილად და შემდეგ ავიდოთ ერთი ნაწილის სიგრძე.)
 - როგორ გამოვთვალოთ მონაკვეთის $\frac{1}{4}$ ნაწილის სიგრძე? (მონაკვეთი დავყოთ 4 ტოლ ნაწილად და შემდეგ ავიდოთ ერთი ნაწილის სიგრძე.)
 - რა სიგრძისაა თქვენს მიერ დახაზული მონაკვეთის $\frac{1}{4}$ ნაწილი?
 - რა სიგრძე ექნება 15 სმ სიგრძის მონაკვეთის $\frac{1}{3}$ ნაწილს? $\frac{1}{5}$ ნაწილს? $\frac{1}{15}$ ნაწილს?
 - როგორ გამოვთვალოთ რამდენი გრამია 1 კგ ბრინჯის $\frac{1}{4}$ ნაწილი? $\frac{1}{5}$ ნაწილი? $\frac{1}{10}$ ნაწილი?
 - როგორ გამოვთვალოთ რამდენი მეტრია 1 კმ-ის $\frac{1}{4}$ ნაწილი? $\frac{1}{5}$ ნაწილი? $\frac{1}{10}$ ნაწილი?
- მუშაობა გრძელდება სახელმძღვანელოს მიხედვით. ხსნიან პარაგრაფის თეორიულ ნაწილში მოცემულ ამოცანებსა და მაგალითს.
- ზეპირებად ხსნიან საგ №1, 2 6, 4, 5, 6, 7, 12.
- V. დამოუკიდებელი სამუშაო**
- I ვარიანტი – საკ. №13; II ვარიანტი – საკ. №14.
- VI. შელეგების შეჯამება**
- რა იყო ჩვენი მიზანი?
 - მივაღწიეთ მიზანს?
 - როგორ მივიღოთ მთელის მერვედი ნაწილი?
 - რას გვიჩვენებს $\frac{1}{14}$ -ში რიცხვი 14? რიცხვი 1?

- როგორ ვიპოვოთ რიცხვის $\frac{1}{10}$ ნაწილი? $\frac{1}{5}$ ნაწილი?
- როგორ ვიპოვოთ რიცხვი, რომლის $\frac{1}{2}$ ნაწილი 15-ის ტოლია?
- როგორ ვიპოვოთ რიცხვი, რომლის $\frac{1}{14}$ ნაწილი 10-ის ტოლია?

VII. საშინაო დაგალება რაც დარჩათ ამოუხსნელი.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №11. ა) $1\text{ქმ} : 5 = 1000 \text{ მ} : 5 = 200 \text{ მ};$

ბ) $1 \text{ სო} : 12 = 60 \text{ წთ} : 12 = 5 \text{ წთ};$ გ) $1 \text{ ჰა} : 4 = 10000 \text{ კვ.მ} : 4 = 2500 \text{ კვ.მ}.$

სავ. №16. ჯერ გამოვთვალოთ მთელი ნაკვეთის ფართობი: $6 \text{ კვ.მ} \times 10 = 60 \text{ კვ.მ},$ შემდეგ დარჩენილი ნაწილის ფართობი: $60 \text{ კვ.მ} - 6 \text{ კვ.მ} = 54 \text{ კვ.მ}.$

სავ. №17. ჯერ გამოვთვალოთ მთელი გზის სიგრძე: $16 \text{ კმ} \times 5 = 80 \text{ კმ},$ შემდეგ დარჩენილი ნაწილის სიგრძე: $80 \text{ კმ} - 16 \text{ კმ} = 64 \text{ კმ}.$

სავ. №18. ჯერ გამოვთვალოთ მთელი ნაკვეთის ფართობი: $12 \text{ მ} \times 8 \text{ მ} = 96 \text{ კვ.მ},$ შემდეგ ბადრიჯნის $96 \text{ კვ.მ} : 6 = 16 \text{ კვ.მ}$ და კომბოსტოს $96 \text{ კვ.მ} : 8 = 12 \text{ კვ.მ}$ ფართობები, ბოლოს ლობიოს ფართობი: $96 \text{ კვ.მ} - (16 \text{ კვ.მ} + 12 \text{ კვ.მ}) = 68 \text{ კვ.მ}.$

სავ. №19. უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ AM და BN მონაკვეთების სიგრძეები AB მონაკვეთის სიგრძის ნახევარზე მეტია. **პასუხი:** AN=BM= 1სმ 5მმ; MN=1სმ.

სავ. №20. ნახაზზე მოცემულია 8 მცირე კუბი. დიდი კუბის წიბოს გასწვრივ უნდა განლაგდეს 3 მცირე კუბი. ამიტომ, დიდი კუბის ზომებია $3 \times 3 \times 3 = 27.$ ე.ი. დიდი კუბი შედგება 27 მცირე კუბისაგან. **პასუხი:** ა) შესავსებად საჭიროა $27 - 8 = 19 \text{ მცირე კუბი};$ ბ) მოცემული კუბებისაგან აიგება 2-ჯერ დიდი წიბოს მქონე კუბი. ამ ამოცანის ამოსსნისას სასურველია თვალსაჩინოების გამოყენება.

სავ. №21. ა) DEF; ბ) KMN; გ) ABC.

§7.2 წილადი (1სო)

მიზანი: გაგახსენოთ მოსწავლეს

1. ნაწილის ჩაწერა წილადის სახით;
2. ჩვეულებრივი წილადის წაკითხვა და ჩაწერა;
3. წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის დასახელება, მათი შინაარსი.

პარაგრაფების შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს: წილადის ჩაწერა და წაკითხვა, წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის დასახელება, ამოცნობა და დემონსტრირება, ფიგურის ნაწილის წილადის სახით წარმოდგენა.

მეთოდური კომენტარები: ამ პარაგრაფშიც დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებებზე დემონსტრირებას. მასწავლებელს გაკვეთილის ასახსნელად მომზადებული უნდა პქონდეს გეომეტრიული ფიგურები: მართკუთხედები, კვადრატების ბადით დაფარული სხვადასხვა ზომის 2-3 მართკუთხედი (დახაზული პლაკატზე, ეკრანზე, მუჟაოზე, რაზეც ხელი მიუწვდება), რომლებიც ტოლ ნაწილებადა დაყოფილი და ზოგიერთი ნაწილი გაფერადებულია. მოდელებზე უკეთესად გაიზრებს მოსწავლე წილადის შინაარსს.

ბადით დაფარულ მართკუთხედზე ჯერ განსაზღვრავენ რამდენ ტოლ ნაწილადაა დაყოფილი მართკუთხედი, ხოლო შემდეგ – მართკუთხედის რა ნაწილია გაფერადებული. დაწერენ და წაიკითხავენ შესაბამის წილადებს, დაასახელებენ მრიცხველსა და მნიშვნელს და განმარტავენ თითოეულის შინაარსს.

გაკვეთილზე განიხილება სავ №1, №2, №6, №7, №12, №13. (ზეპირად), №5, №13

დამოუკიდებელი სამუშაო. ერთი ვარიანტ – სავ №9 და 11

საშინაო დაგალება: ყველა სავარჯიშო, რაც დარჩა.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავN7. ა) $\frac{1}{12}$ ნაწილი; ბ) $\frac{4}{12}$ ნაწილი, $\frac{8}{12}$ ნაწილი.

სავN14. $\frac{1}{10}$ ნაწილის გავლას 3-ო დასჭირდებოდა, მთელი გზის გავლას – 30 წთ.

§7.3 წილადების შედარების კერძო შემთხვევები

მიზანი: ვასწავლოთ ა) ტოლმნიშვნელიანი წილადების ბ) ტოლმრიცხველიანი წილადების შედარება.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს ა) ტოლმნიშვნელიანი წილადების ბ) ტოლმრიცხველიანი წილადების შედარების წესები.

უნდა შეეძლოს ა) ტოლმნიშვნელიანი წილადების ბ) ტოლმრიცხველიანი წილადების შედარება და ოვალსაჩინოდ დემონსტრირება.

მეთოდური რეკომენდაციები: საწყის ეტაპზე, ოვალსაჩინოების გამოყენებით, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ნაწილები უნდა შედარდეს.




მოსწავლეებმა შეოთხე კლასიდან იციან რიცხვის მარტივი ნაწილის გამოთვლა, ამიტომ არ გაუჭირდებათ რიცხვის ერთი მესამედისა და ერთი მეორედის გამოთვლა. იხილავენ ამოცანა 1-ს, რომელშიც მათთვის ნაცნობი ხერხით შეიძლება ეკას მიერ წაკითხები გვერდების რაოდენობის გამოთვლა. შემდეგ კი ადარებენ ნატურალურ რიცხვებს, რომლის საფუძველზეც გამოჰყავთ ტოლმრიცხველიანი წილადების შედარების წესი. ორივე ამოცანის განხილვისას მასწავლებელს ხელთ უნდა პქონდეს შესაბამისი ნაწილების მოდელები. 12სმ-იანი 3 ზოლიდან ერთი დაყონ 3 ტოლ ნაწილად, მეორე 6 ტოლ ნაწილად, მესამე 2 ტოლ ნაწილად და გამოჭრან $\frac{2}{3}, \frac{2}{6}, \frac{2}{4}$ ნაწილები.



ნაწილების ზედდებით შეადარონ და დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნა ტოლმრიცხველიანი წილადების შედარების შესახებ. შედარებისას უნდა წერონ შესაბამისი უტოლობები

სახელმძღვანელოს 161-ე გვერდზე მოცემული ნახ. 1-ის შესაბამისად მასწავლებელს უნდა პქონდეს ქაღალდის 4 ზოლი. ამ ზოლებზე მოსწავლეებთან ერთად უნდა შეასრულოს მითითებულ ნაწილებად დაჭრა და მათი ერთმანეთზე ზედდებით შედარება.

უნდა პქონდეს აგრეთვე, ტოლი მართულებები ერთნაირი ბადით დაფარული. მაგალითად, მართულებები ზომებით 5 სმ და 8სმ. ეს მართულებები დაყოფილი იქნება 40 ტოლ ნაწილად, რომელზეც გაფერადებული იქნება სხვადასხვა რაოდენობის უჯრები. ვთქვათ, 7, 18 და 20 უჯრა. მიიღებენ ნაწილებს: $\frac{7}{40}, \frac{18}{40}, \frac{20}{40}$.



გამოჭრიან გაფერადებულ ნაწილებს და ზედდებით შეადარებან. დამოუკიდებლად გამოიყვანენ ტოლმნიშვნელიანი წილადების შედარების წესს.

I საათი

კლასში: სავN1, N5, N6

დამოუკიდებელი სამუშაო; სავ.№3 (3 ვარიანტი, თითოს თითო სვეტის 2 უტოლობა) საშინაო დაგალება: სავ.№2, №4.

II საათი

კლასში: სავ.№7, №11, №13, №15.

დამოუკიდებელი სამუშაო; სავ.№8, სავ.№9.

საშინაო დაგალება: სავ.№6, №10, №17.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№5. საკმარისია შევნიშნოთ, რომ $\frac{7}{9} > \frac{5}{9}$, ამიტომ გვერდების რაოდენობა ზედმეტია.

თუმცა შეიძლება მოსწავლემ ჯერ გამოთვალოს თითოეულის მიერ წაკითხული გვერდების რაოდენობა და შემდეგ მიღებული მთელი რიცხვები შეადაროს.

სავ.№11. მეტი დარჩა მამიას, რადგან მან ყველაზე ნაკლები დალია. შეიძლება ჯერ გამოვითვალოთ დარჩენილი ნაწილები და მიღებული წილადები შევადაროთ.

სავ.№12. უვარგისი ადმონიდა $36 : 9 = 4$ სოკო, ანუ $\frac{4}{36}$ ნაწილი, ამიტომ ვარგისი

იქნება 32 სოკო, ანუ $\frac{32}{36}$ ნაწილი.

სავ.№13. მეორე ტაიმს ესწრებოდა $1500 + 1500 : 3 = 2000$ მაყურებელი.

სავ.№14. გაკვეთილს ესწრებოდა $24 - 24 : 6 = 20$ მოსწავლე.

სავ.№15. AMBC ოთხკუთხედის პერიმეტრი შედგება 2 რადიუსის (ანუ დიამეტრის)

ტოლი 4 მონაკვეთისა და 5სმ სიგრძის ერთი მონაკვეთისაგან. ამიტომ პერიმეტრი ($8\pi + 5$ სმ-ს ტოლია).

სავ.№17. მოცემული ოთხკუთხედი შედგება 6სმ გვერდის მქონე კვადრატისა და მისი ნახევარი ფართობის მქონე სამკუთხედისაგან. პასუხი: 54სმ^2 .

„შესაძლებელი თუ არა“ შესაძლებელია, მაგალითად $1/2 = 2/4$, ან $3/3 = 2/2$.

§7.4 წილადი, როგორც გაყოფის შედეგი (1სო)

მიზანი: ა) გავაცნოთ კავშირი წილადსა და განაყოფს შორის; ბ) გასწავლოთ წილადის ჩაწერა გაყოფის სახით და პირიქით.

პარაგრაფის შესწავლის შედეგად მოსწავლეს უნდა შეეძლოს

- ორი ნატურალური რიცხვის განაყოფის წარმოდგენა წილადის სახით;
- წილადის წარმოდგენა განაყოფის სახით;
- მთელი რიცხვის წილადის სახით ჩაწერა.

სავარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ. №7. ჯერ წილადი ჩავწეროთ განაყოფის სახით, შემდეგ გამოვიყენოთ უცნობი გასაყოფის პოვნის წესი: ა) $x:7=18$, $x=126$; ბ) $x:10=125$, $x=1250$; გ) $x:12=7$, $x=84$.

სავ. №8. $\frac{2}{5}, \frac{3}{5}, \frac{4}{5}, 1, \frac{5}{3}$.

სავ. №9. სამკუთხედის გვერდებს უთავსდება კვადრატების გვერდები. ეს ნიშნავს, რომ სამკუთხედის გვერდის სიგრძე კვადრატის გვერდის სიგრძის ტოლია. სამკუთხედის სამივე გვერდი ტოლია და პერიმეტრი 30 სმ-ს უდრის. სამკუთხედის და შესაბამისად, კვადრატის გვერდის სიგრძე 10 სმ-ის ტოლია. მაშინ თითოეული კვადრატის ფართობი 100 კვ.სმ-ის, ხოლო სამივესი ერთად – 300 კვ.სმ-ის ტოლია.

§7.5 წესიერი და არაწესიერი წილადები. შერეული რიცხვი (2სო) მიზნები:

- გაგაცნოთ წესიერი და არაწესიერი წილადები, შერეული რიცხვები;
- ვასწავლოთ წილადის 1-თან შედარება;
- არაწესიერი წილადის ჩაწერა შერეული რიცხვის სახით.

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ:

- წესიერი და არაწესიერი წილადის განმარტება;
- შერეული რიცხვების შედარების წესი.

უნდა შეეძლოთ: წილადის ერთოან შედარება, შერეული რიცხვების შედარება, არაწესიერი წილადის შერეული რიცხვის სახით ჩაწერა, შერეული რიცხვის მთელი და წილადი ნაწილების ჯამად წარმოდგენა

I საათი

კლასში: სავ. №1, №4 (ზეპირად), სავ.№2, №3, №7, №9.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№10.

საშინაო დავალება: სავ.№5, №6, №8.

II საათი

კლასში: სავ.№11, №12, №15, №17,

დამოუკიდებელი სამუშაო I ვარიანტი – სავ.№12(ა,ბ,გ), II ვარიანტ – სავ.№12 (დ,ე,ვ).
საშინაო დავალება: სავ.13, №14, №16.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ.№14-16. საკმარისია მთელი ნაწილების შედარება.

სავ.№17. მაგალითად, ა) $1\frac{1}{2}$; ბ) $10\frac{1}{2}$; გ) $\frac{1}{2}$.

§7.6 წილადი და შერეული რიცხვების გამოსახვა რიცხვით სხივზე (1სო)
მიზანი: ვასწავლოთ წილადი და შერეული რიცხვების გამოსახვა რიცხვით სხივზე.
მოსწავლეებმა უნდა შეძლონ

- წილადი და შერეული რიცხვების რიცხვით სხივზე დატანა;
- რიცხვით სხივზე მოცემული წერტილის შესაბამისი წილადი და შერეული რიცხვის ჩაწერა.

I საათი

კლასში: სავ.№1, №3, №4, №6.

საშინაო დავალება: სავ.№2, №5, №8.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავ.№1. ნახაზზე მთელებს შორის შეალებები ათ ტოლ ნაწილადაა დაყოფილი, ე.ი.

ერთი ნაწილის სიგრძე $1/10$ -ის ტოლია. A($2/10$), B($6/10$), C($1\frac{5}{10}$) . . .

სავ.№6. რიცხვით სხივზე (0;1) და (1;2) შეალებები 12-12 ტოლ ნაწილებად უნდა

დაიყოს. იმისათვის, რომ მოვნიშნოთ მაგალითად $\frac{3}{4}$, შევნიშნოთ, რომ 12-ის $\frac{3}{4}$ არის 9,

ე.ი. (0;1) მონაკვეთში უნდა გადავთვალოთ 9 დანაყოფი და მოვნიშნოთ მისი ბოლო.

სავ.№7. ნახაზზე მოცემული მონაკვეთი შედგება 12 ტოლი მონაკვეთისაგან. ამიტომ
მითითებული სიგრძის მონაკვეთების ასაგებად საკმარისია დავთვალოთ, თუ რამდენი

მონაკვეთი შეესაბამება მოცემულ სიგრძეებს. მაგალითად, $\frac{1}{3}$ ქმ-ს შეესაბამება $12 : 3$


= 4 მონაკვეთი, ე.ი. უჯრიან რვეულში უნდა დაიხაზოს 4 უჯრის სიგრძის მონაკვეთი.

სავ.№8. $\frac{27}{100}$. **სავ.№9.** $\frac{19}{60}$, $\frac{30}{60}$.

შემაჯამებელი სამუშაო №9

I ვარიანტი

1. ფიგურის რა ნაწილია გამუქებული მოცემულ ნახაზზე?



2. მოცემული წილადებიდან ამოწერე ა) წესიერი ბ) არაწესიერი წილადები.

$$\frac{1}{5}, \frac{6}{5}, \frac{11}{11}, \frac{12}{13}, \frac{5}{2}.$$


3. ჩასვი წილადებს შორის შედარების ნიშანი: „>”, „<” ან „=” ისე, რომ სწორი ჩანაწერი მიიღო.

ა) $\frac{7}{15} \cdots \frac{9}{15}$ ბ) $\frac{9}{5} \cdots \frac{9}{8}$ გ) $\frac{12}{7} \cdots 1$ ღ) $\frac{25}{25} \cdots 1$

4. ჩაწერე შერეული რიცხვის სახით წილადი: ა) $\frac{17}{5}$, ბ) $\frac{49}{11}$.

5. რომელი წერტილი


შეიძლება შეესაბამებოდეს
მოცემულ რიცხვით სხივზე



ა) $1\frac{2}{3}$ -ს? ბ) $\frac{5}{6}$ -ს?

II ვარიანტი

1. ფიგურის რა ნაწილია გამუქებული მოცემულ
ნახაზზე ?



2. მოცემული წილადებიდან ამოწერე ა) წესიერი, ბ) არაწესიერი წილადები.


$$\frac{3}{7}, \frac{11}{10}, \frac{100}{100}, \frac{8}{16}, \frac{9}{2}.$$

3. ჩასვი წილადებს შორის შედარების ნიშანი: „>”, „<” ან „=” ისე, რომ სწორი ჩანაწერი მიიღო.

ა) $\frac{5}{12} \cdots \frac{8}{12}$ ბ) $\frac{5}{3} \cdots \frac{5}{7}$ გ) $\frac{64}{61} \cdots 1$ ღ) $\frac{46}{23} \cdots 2$

4. ჩაწერე შერეული რიცხვის სახით წილადი: а) $\frac{27}{5}$, ბ) $\frac{79}{11}$.

5. რომელი წერტილი შეიძლება
შეესაბამებოდეს მოცემულ რიცხვით
სხივზე ა) $1\frac{2}{10}$ -ს? ბ) $\frac{2}{5}$ -ს?



შეფასების სქემა:

- დაშალა მთლიანი მრავალკუთხედი ტოლ ნაწილებად (8 ნაწილი) --- 1 ქულა
დაწერა პასუხი $\left(\frac{3}{8}\right)$ ----- 2 ქულა
- სწორად და სრულად ამოწერა წესიერი ან არაწესიერი წილადები ----- 1 ქულა
სრული პასუხისათვის ----- 2 ქულა
- 2 ან 3 სწორი პასუხისათვის ----- 1 ქულა
4 სწორი პასუხისათვის ----- 2 ქულა
- ჩაწერა სწორად ერთ-ერთი რიცხვი ----- 1 ქულა
ჩაწერა სწორად ორივე რიცხვი ----- 2 ქულა
- ამოიცნო ერთი წერტილი ----- 1 ქულა
ამოიცნო ორივე წერტილი ----- 2 ქულა

§7.7 ტოლმნიშვნელიანი წილადების და შერეული რიცხვების შეკრება (2სო)

მიზანი: ტოლმნიშვნელიანი წილადების და შერეული რიცხვების შეკრება. პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ

- ტოლმნიშვნელიანი წილადების და შერეული რიცხვების შეკრება;
- მიღებული ცოდნის ამოცანების ამოსახსნელად გამოყენება.

ტოლმნიშვნელიანი წილადების შეკრებას მოსწავლეები ადვილად ითვისებენ. აქ მხოლოდ თვალსაჩინოება და მათი სწორად გამოყენებაა საჭირო. ასევე თვალსაჩინოებაა საჭირო შერეული რიცხვის არაწესიერი წილადის სახით ჩასაწერად.

შერეული რიცხვების შეკრებისას უნდა გამოვიყენოთ შეკრების გადანაცვლებადობისა და ჯუფორებადობის თვისებები.

I საათი

კლასში: სავ.№1 (ზეპირად), №3, №6, №9.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი: – სავ.№7; II ვარიანტი – სავ.№8.

საშინაო დავალება: სავ.№4, №5, №16.

II საათი

კლასში: სავ.№10, №11, №12, №14.

საშინაო დავალება: სავ.№13, №15, №22.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავN13. ჯერ გამოვთვალოთ მეორე დღეს გავლილი მანძილი 27კმ, შემდეგ ორივე დღეს გავლილი მანძილი $50\frac{3}{4}$ კმ.

სავN14. ჯერ გამოვთვალოთ $რუსული = 80 : 5 = 16$, ინგლისური $80 : 4 = 20$ და გერმანული $80 : 20 = 4$ წიგნების რაოდენობა, ხოლო შემდეგ მთელ რაოდენობას გამოვაკლოთ მათი ჯამი: $80 - (16 + 20 + 4) = 40$. პასუხი: 40.

სავN23. 59.

§7.8 შერეული რიცხვის წილადის სახით წარმოდგენა (2სო)

მიზანი: ვასწავლოთ შერეული რიცხვის წილადის სახით წარმოდგენა და მისი გამოყენება გამოთვლებში.

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ შერეული რიცხვების წილადის სახით ჩაწერა.

შერეული რიცხვის წილადის სახით ჩაწერის წესი ორი განსხვავებული გზით შეგვიძლია მივიღოთ. ერთი გზა გულისხმობს, რომ შერეული რიცხვი არის ნაშთით გაყოფის შედეგი. მისი მთელი ნაწილი წარმოადგენს არასრულ განაკვეთს, წილადი ნაწილის მრიცხველი ნაშთს, ხოლო მნიშვნელი გამყოფს. ამ შემთხვევაში შერეული რიცხვის წილადის სახით ჩასაწერად საჭიროა ვიპოვოთ გასაყოფი, რომელსაც დავწეროთ წილადის მრიცხველად. მეორე გზა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ შერეული რიცხვი მთელი და წილადი ნაწილების ჯამს წარმოადგენს, ამიტომ წილადად ჩასაწერად საგმარისია შევასრულოთ შეკრების მოქმედება (ამისათვის მთელი ნაწილი ისეთი წილადის სახით უნდა ჩაგწეროთ, რომლის მნიშვნელი წილადი ნაწილის მნიშვნელის ტოლი იქნება).

I საათი

კლასში: სავN1, N3, N5,

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი: – სავN6; II ვარიანტი – სავN7.

საშინაო დაგალება: სავN2, N8, N13.

II საათი

კლასში: სავN (ზეპირად), N9, N10, N11, N14.

საშინაო დაგალება: სავN, N15, N16.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები:

სავN10. მანანას მოძრაობის სიჩქარე $\frac{19}{2}$ კმ/სთ, ხოლო დოდოსი $\frac{23}{2}$ კმ/სთ. უნდა გავახსენოთ შემხვედრი მიმართულებით მოძრაობისას როგორ გამოითვლება მიახლოების სიჩქარე და გამოვითვალოთ, რომ ისინი ერთმანეთს $\frac{19}{2}$ კმ/სთ + $\frac{23}{2}$ კმ/სთ = $21\frac{1}{2}$ კმ/სთ სიჩქარით უახლოვდებიან.

შენიშვნა: შეიძლება ჯერ გამოვთვალოთ 2სო-ში თრივეს მიერ გავლილი მანძილი 42კმ, შემდეგ მიახლოების სიჩქარე $42\frac{1}{2}$: 2სო = $21\frac{1}{2}$ კმ/სთ. პასუხი: $21\frac{1}{2}$ კმ/სთ.

სავN12. a) უნდა შერეულდეს $6 - x > 4$ უტოლობა, ამიტომ $x = 1$. b) უნდა შერეულდეს $10 - x > 7$ უტოლობა, ამიტომ $x = 1$ ან $x = 2$.

სავN13. a) უნდა შერეულდეს $a + 4 \leq 5$ უტოლობა, ამიტომ $a = 1$. b) უნდა შერეულდეს $a - 2 \leq 2$ უტოლობა, ამიტომ $a = 3$ ან $a = 4$.

§7.9 ტოლმნიშვნელიანი წილადების გამოკლება (1სო)

მიზნები:

- ვასტავლოთ ტოლმნიშვნელიანი წილადების გამოკლება;
 - მიღებული ცოდნის გამოყენება გამოთვლებში და ამოცანების ამოხსნაში.
- პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ
- ტოლმნიშვნელიანი წილადების გამოკლება;
 - მიღებული ცოდნის გამოყენება ამოცანების ამოხსნელად.

ტოლმნიშვნელიანი წილადების გამოკლებას მოსწავლეები ადგილად ითვისებენ. აქაც ისევე, როგორც შეკრების დროს, თვალსაჩინოება და მათი სწორად გამოყენებაა საჭირო.

კლასში: სავ.№1, №3, №5, №7, №9, №16(ა,ბ).

დამოუკიდებული სამუშაო: I ვარიანტი: №13(ა,ბ); II ვარიანტი: №13(დ,ე);

საშინაო დავალება: სავ.სავ.№4, №10, №11.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ.№8. 6 000 კვ.მ ფართობის მქონე ნაკვეთის ფართობის მესამედი 6 000კვ.მ : 3 = 2 000 კვ.მ-ია. ნაკვეთის დანარჩენი ნაწილის ფართობია – 6 000კვ.მ-2 000 კვ.მ = 4 000 კვ.მ. ხოლო მისი ნახევარი – 2 000 კვ.მ. **პასუხი:** ხეხილს უკავია 2 000 კვ.მ ფართობი.

სავ.№9. ა) მოცემული სხვაობების შესადარებლად შეიძლება:

I. – გამოვთვალოთ სხვაობები და მიღებული შედეგები შევადაროთ:

$$1 - \frac{7}{100} = \frac{100}{100} - \frac{7}{100} = \frac{93}{100}$$

$$1 - \frac{4}{100} = \frac{100}{100} - \frac{4}{100} = \frac{96}{100}$$

$$\frac{96}{100} > \frac{93}{100}$$

$$\text{მაშასადამე, } 1 - \frac{4}{100} > 1 - \frac{7}{100}$$

II.– ერთი და იმავე მთელს, კერძოდ 1-ს აკლდება ერთ შემთხვევაში $\frac{7}{100}$, ხოლო

მეორე შემთხვევაში $\frac{4}{100}$. როდესაც ორ სხვაობაში საკლები ერთი და იგივე რიცხვია, მაშინ ის სხვაობაა მეტი, რომლის მაკლებიც ნაკლებია. ამის საფუძველზე ზეპირად შეგვიძლია პასუხის გაცემა: $1 - \frac{4}{100} > 1 - \frac{7}{100}$.

უნდა განიხილონ ამოხსნის ორივე ვარიანტი და აღნიშნონ რომელი მათგანია ოპტიმალური.

სავ.№10. ამ ამოცანაში ჯერ შევასრულოთ გამოკლება, რის შედეგად მივიღებთ ტოლი მრიცხველების (23-ის) მქონე წილადებს, რომელთა შედარება მოსწავლეებმა უპასუხიანია.

სავ.№12. ამოცანა შეიძლება ამოიხსნას

I – შემდეგი გეგმის მიხედვით:

$$1) \frac{5}{14} - \frac{1}{14} = \frac{4}{14} \quad (\text{ნაწილი დახარჯეს II დღეს})$$

$$2) \frac{5}{14} + \frac{4}{14} = \frac{9}{14} \quad (\text{ნაწილი დახარჯეს ორივე დღეს})$$

II – გამოსახულების შედგენითა და მისი მნიშვნელობის გამოთვლით:

$$\frac{5}{14} + \left(\frac{5}{14} - \frac{1}{14} \right) = \frac{5}{14} + \frac{4}{14} = \frac{9}{14}. \text{ პასუხი: ორივე დღეს დახარჯეს მარაგის } \frac{9}{14} \text{ ნაწილი.}$$

მოსწავლეები წარმოადგენენ ამოხსნის სხვადასხვა ვარიანტს. უნდა განიხილონ ამოხსნის ყველა ვარიანტი.

სავარაუდო 14. ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა ვარიანტები უნდა განიხილონ. გამოსახულების შედგენის შემთხვევაში მოსწავლეს გააზრებული უნდა პქონდეს ყოველი მოქმედების შინაარსი და უნდა შექმლოს მისი ახსნა.

$$1) \frac{7}{24} + \frac{3}{24} = \frac{10}{24} \quad (\text{ნაწილი წაიკითხა II დღეს})$$

$$2) \frac{7}{24} + \frac{10}{24} = \frac{17}{24} \quad (\text{ნაწილი წაიკითხა ორივე დღეს})$$

$$3) 1 - \frac{17}{24} = \frac{24}{24} - \frac{17}{24} = \frac{7}{24} \quad (\text{ნაწილი დარჩა წასაკითხი})$$

სავარაუდო 18. განვიხილოთ ამოცანის ამოხსნა შემდეგი გეგმით:

$$1) \frac{1}{4} + \frac{1}{4} = \frac{2}{4} \quad (\text{ნაწილი შეაკეთეს II დღეს})$$

$$2) \frac{1}{4} + \frac{2}{4} = \frac{3}{4} \quad (\text{ნაწილი შეაკეთეს ორივე დღეს})$$

$$3) 1 - \frac{3}{4} = \frac{1}{4} \quad (\text{ნაწილი შეაკეთეს III დღეს})$$

სავარაუდო 20. ამოცანა შეიძლება ამოიხსნას სხვადასხვა გზით.

I – გამოსახულების შედგენით:

$$4\frac{1}{5} + \left(4\frac{1}{5} + \frac{2}{5} \right) + \left(4\frac{1}{5} + \frac{2}{5} + \frac{2}{5} \right) = 4\frac{1}{5} + 4\frac{1}{5} + \frac{2}{5} + 4\frac{1}{5} + \frac{2}{5} + \frac{2}{5} =$$

$$= 12 + \left(\frac{1}{5} + \frac{1}{5} + \frac{2}{5} + \frac{1}{5} + \frac{2}{5} + \frac{2}{5} \right) = 12 + \frac{9}{5} = 12 + 1\frac{4}{5} = 13\frac{4}{5}$$

რომელიც არც თუ ისე კომპაქტურად გამოიყერება. მისი ამოხსნა შედარებით როგორიც იქნება, რადგან გამოსახულება დიდია და მისი მნიშვნელობის გამოთვლაც შრომატევადი იქნება. უმჯობესია ამოცანა ამოიხსნას ეტაპებად:

$$1) 4\frac{1}{5} + \frac{2}{5} = 4\frac{3}{5} \quad (\text{II რიცხვი})$$

$$2) 4\frac{3}{5} + \frac{2}{5} = 4\frac{5}{5} = 5 \quad (\text{III რიცხვი})$$

$$3) 4\frac{1}{5} + 4\frac{3}{5} + 5 = 13\frac{4}{5} \quad (\text{სამივე რიცხვის ჯამი}).$$

§7.10 შერეული რიცხვების გამოკლება (2სო)

მიზანი: ვასწავლოთ შერეული რიცხვების გამოკლება
პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ

- მთელიდან წილადის და ტოლმნიშვნელიანი შერეული რიცხვების გამოკლება;
- მიღებული ცოდნის ამოცანების ამოსახსნელად გამოყენება.

I საათი

კლასში: სავარაუდო 1, 3, 10.

დამოუკიდებელი სამუშაო: I ვარიანტი: სავარაუდო 6 – I სვეტი; ვარიანტი სავარაუდო 6 – II სვეტი.

საშინაო დავალება: სავ.№2, №4, №13.

II საათი

კლასში: სავ.№5 – შუა სვეტი, №11.

დამოუკიდბელი სამუშაო: I ვარიანტი: სავ.№5 – I სვეტი; ვარიანტი სავ.№5 – II სვეტი.
საშინაო დავალება: სავ.№7, №8, №12.

საგარჯიშოების კომენტარები და პასუხები

სავ.№3. ამოცანის ამოსახსნელად მისი პირობების მიხედვით უნდა შევადგინოთ ნახაზი:



სავ.№4 ამოცანის ამოსახსნელად მისი პირობების მიხედვით უნდა შევადგინონ ნახაზი:



AB მონაკვეთის სიგრძე AO და OB მონაკვეთების სიგრძეთა ჯამის ტოლია. ე. ი.

$$AB = AO + OB. \quad AO = 9\frac{39}{100} \text{ ა}, \quad OB = 9\frac{39}{100} - 2\frac{14}{100} = 7\frac{25}{100} \text{ ა}. \quad \text{მაშასადამე},$$

$$AB = 9\frac{39}{100} + 7\frac{25}{100} = 16\frac{64}{100} (\text{გ}) = 16 \text{ გ} 64 \text{ სგ. პასუხი}: 16 \text{ გ} 64 \text{ სგ.}$$

სავ.№9 ამოცანა ამოვხსნათ გამოსახულების შედეგით:

$$3\frac{750}{1000} + \left(3\frac{750}{1000} - \frac{450}{1000} \right) = 3\frac{750}{1000} + 3\frac{300}{1000} = 6\frac{1050}{1000} = 7\frac{50}{1000} \text{ გ.}$$

პასუხი: ორივე მანქანაზე $7\frac{50}{1000}$ ტ ტვირთია.

სავ.№10 შევადგინოთ ამოცანის შესაბამისი რიცხვითი გამოსახულება:

$$12\frac{1}{5} - 7\frac{2}{5} - \left(7\frac{2}{5} - 4\frac{2}{5} \right) = 1\frac{3}{5} \quad (\text{ლიტრი})$$

სავ.№11 შევადგინოთ x -ის მნიშვნელობის გამოსათვლელი გამოსახულება ნახაზის მიხედვით და გამოვთვალოთ მისი მნიშვნელობა:

$$x = 8 - \left(2 + 1\frac{4}{5} \right) = 8 - 3\frac{4}{5} = 7\frac{5}{5} - 3\frac{4}{5} = 4\frac{1}{5}. \quad x = 4\frac{1}{5} \text{ სგ.}$$

სავ.№12. ამოცანა ამოვხსნათ შემდეგი გეგმის მიხედვით:

1) რამდენი ლიტრი ზეთია III ბიდონში?

$$12\frac{4}{5} - 7\frac{1}{5} = 5\frac{3}{5};$$

2) რამდენი ლიტრი ზეთია I ბიდონში?

$$12\frac{4}{5} - 7\frac{4}{5} = 5$$

3) რამდენი ლიტრი ზეთია II ბიდონში?

$$7\frac{1}{5} - 5 = 2\frac{1}{5}.$$

§7. 11 წილადის სიდიდის ცვლის სხვადასხვა შემთხვევა (3სო)

მიზანი: გავარკვიოთ როგორ იცვლება წილადი მისი მხოლოდ მრიცხველის ან მხოლოდ მნშვნელის ცვლით.

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ რას ნიშნავს წილადის რამდენჯერმე გაზრდა/შემცირება.

უნდა შეეძლოთ:

- მრიცხველის ან მნიშვნელის ცვლილებით გამოწვეული წილადის ცვლილების აღწერა და თვალსაჩინოებაზე დემონსტრირება;
- წილადის მოელ რიცხვზე გამრავლება და გამოთვლებსა და ამოცანების ამოსახსნელად გამოყენება.

I საათი

ქლასში: სავ.№1, №3, №5, №6.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№8.

საშინაო დაგალება სავ.№2, №4, №7.

II საათი

ქლასში: სავ.№9, №11, №13, №25.

საშინაო დაგალება სავ.№10, №12, №24.

III საათი

ქლასში: სავ.№15, №17, №18. ბოლო 15 წუთს დაუთმობენ პრაქტიკულ სამუშაოს, რომლის მიზანია წილადების ცვლილების თვალსაჩინოდ წარმოდგენა.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№19 (სამ ვარიანტად)

საშინაო დაგალება სავ.№14, №16, №20.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავ.№11. ამოცანის პირობით ავზი მეორე ონგანით 2-ჯერ სწრაფად ივსება, ვიდრე პირველი ონგანით. მაშასადამე, მეორე ონგანით ავზის ავსებას 2-ჯერ ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე პირველი ონგანით ავსებას, ანუ $\frac{14}{30} = \frac{14}{15 \cdot 2}$ (სო)

$$\text{ან } \frac{14:2}{15} = \frac{7}{15} \text{ (სო). უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ } \frac{14}{30} = \frac{7}{15}. \text{ პასუხი: } \frac{7}{15}.$$

სავ.№18 წილადებს: $\frac{7}{40}$ და $\frac{21}{40}$ ტოლი მნიშვნელები აქვთ, ამიტომ $\frac{21}{40} > \frac{7}{40}$, რადგან

21>7. ამასთანავე, 21 : 7=3. მაშასადამე, $\frac{21}{40}$ 3-ჯერ მეტია $\frac{7}{40}$ -ზე.

სავ.№20 A პუნქტიდან B პუნქტამდე მანძილი მარისა და განოს მიერ გავლილი

მანძილების ჯამის, ანუ $\frac{1}{3} + \frac{2}{3} = 1$ კმ-ის ტოლია. პასუხი: $AB = 1$ კმ.

სავ.№21. ამოცანის პირობით მართკუთხედის სიგანე $\frac{11}{12}$ სმ-ია, სიგრძე სიგანეზე 6-ჯერ

მეტია. მაშასადამე, მართკუთხედის სიგრძე $\frac{11}{2} = 5\frac{1}{2}$ სმ-ის ტოლია. მართკუთხედის

პერიმეტრი ტოლი იქნება: $\left(\frac{11}{12} + \frac{11}{12}\right) + \left(5\frac{1}{2} + 5\frac{1}{2}\right) = \frac{22}{12} + 11 = 1\frac{10}{12} + 11 = 12\frac{10}{12}$ (სმ).

პასუხი: $12\frac{10}{12}$ სმ

სავN^o23 ა) რადგან $\frac{25 \times n}{42}$ -ის მრიცხველი n -ჯერ მეტია $\frac{25}{42}$ -ის მრიცხველზე, ამიტომ $\frac{25 \times n}{42}$ n -ჯერ მეტია $\frac{25}{42}$ -ზე. ბ) რადგან $\frac{12}{5 \times n}$ -ის მნიშვნელი n -ჯერ მეტია $\frac{12}{5}$ -ის მნიშვნელზე, ამიტომ $\frac{12}{5}$ n -ჯერ მეტია $\frac{12}{5 \times n}$ -ზე.

§7.12 წილადის ძირითადი თვისება. წილადის შეკვეცა (3სო)
მიზანი: ვასწავლოთ წილადის ძირითადი თვისება და მისი გამოყენება წილადის შესაცვლილებელი.

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- წილადის ძირითადი თვისების სიტყვიერად ჩამოყალიბება და თვალსაჩინოებაზე დემონსტრირება;
- წილადის შეკვეცა.

I საათი

კლასში: სავ.N^o1, N^o2, N^o3, N^o5.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.N^o6 (ორ ვარიანტით, სტრიქონების მიხედვით 5-5 წილადის შეკვეცა).

საშინაო დავალება სავ.N^o4, N^o7, N^o8 (ა,ბ).

II საათი

კლასში: სავ.N^o9, N^o11, N^o13, N^o20(ა,ბ), N^o21.

საშინაო დავალება სავ.N^o10, N^o12, N^o20.

III საათი

კლასში: სავ.N^o8(გ,დ), N^o15, N^o17, N^o18.

საშინაო დავალება სავ.N^o14, N^o16, N^o22.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ და პასუხები

სავN^o4. ექსკავატორმა I დღეს შეასრულა სამუშაოს $\frac{200}{500} = \frac{2}{5}$ ნაწილი, ხოლო მეორე დღეს დანარჩენი, ანუ $1 - \frac{2}{5} = \frac{3}{5}$ ნაწილი. ზოგიერთი მოსწავლე მეორე დღეს შესრულებულ სამუშაოს ნაწილს გამოითვლის $\frac{300}{500} = \frac{3}{5}$ -ის სახით. პასუხი: $\frac{2}{5}; \frac{3}{5}$.

სავN^o5. ა) 5-ზე ბ) 2-ზე გ) 10-ზე

სავN^o9. ბ) რადგან $\frac{13}{20} > \frac{7}{20}$, ამიტომ ვასკვნით, რომ გზის გასავლელი ნაწილი მეტია გავლილ ნაწილზე;

გ) მთელი მანძილი შეგვიძლია წილადის სახით შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: $\frac{20}{20}$,

რომლის ნახევარი არის $\frac{10}{20}$. მგზავრმა გაიარა გზის $\frac{7}{20}$ ნაწილი. $\frac{7}{20} < \frac{10}{20}$.

პასუხი: მგზავრს არ გაუვლია გზის ნახევარი.

სავN^o 14. ჯერ ასრულებენ წილადების შეკვეცას, შემდეგ კი ადარებენ მიღებულ შპვეც.

წილადებს. $\frac{16}{48} = \frac{1}{3}$, $\frac{125}{225} = \frac{5}{9}$, $\frac{3}{9} = \frac{1}{3}$, $\frac{45}{63} = \frac{5}{9}$, $\frac{70}{245} = \frac{2}{7}$. ახლა უგვე პარგად

$$\text{ჩანს, რომ } \frac{16}{48} = \frac{3}{9}, \quad \frac{125}{225} = \frac{45}{63}.$$

სავ. №15—ის ამოხესნისას იმურებენ ტოლმნიშვნელიანი და ტოლმრიცხველიანი წილადების შედარების წესებს. ეს წესები მომდევნო გაკვეთილზეც დასჭირდებათ. შეკვეცით დაიყვანება საერთო მნიშვნელზე — а) 10 – ზე, ბ) 12-ზე.

სავ. №16. ჯერ უნდა გამოვითვალოთ ნაკვეთის ფართობი: $100 \times 90 = 9000$ კვმ, შემდგა სათავსოს ფართობი: $5 \times 4 = 20$ კვმ და ისე გავარკვიოთ ეზოს ფართობის რა ნაწილი დაიკავა სათავსომ: $\frac{20}{9000} = \frac{1}{450}$. **პასუხი:** სათავსომ დაიკავა ნაკვეთის $\frac{1}{450}$ ნაწილი.

სავ. №18. ამოცანის პირობებიდან გამომდინარე, *a*-ს რიცხვითი მნიშვნელობა 7-ზე მცირე, ამავე დროს, 2-ის ჯერადია. მაშასადამე, *a*-ს შეუძლია მიიღოს მნიშვნელობები: 2, 4, 6, ხოლო *b*-ს რიცხვითი მნიშვნელობა 5-ის ჯერადია: $b=5, 10, 15$.

სავ. №19. ამოცანა ამოვხსნათ განტოლების შედგენით: ვთქათ, პირველმა და მეორემ, თითოეულმა, *a* დეტალი დაამზადა, მაშინ მესამე დაამზადებდა $2a$ დეტალს, ხოლო სამივე ერთად — $4a$ დეტალს. ამოცანის პირობით სამივე ზეინკალმა 192 დეტალი დაამზადა. ვწერთ ტოლობას: $4a = 192$, საიდანაც $a=48$.

პასუხი: პირველმა დაამზადა 48 დეტალი, მეორემ — 48, ხოლო მესამემ 96.

§7.13 წილადების შედარება (2სო)

მიზანი: ვასწავლოთ წილადების და შერეული რიცხვების შედარება

პარაგრაფის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ა) წილადის ძირითადი თვისების გამოყენება არატოლი მრიცხველებისა და მნიშვნელების ქვენე წილადების შესადარებლად;
- ბ) წილადი და შერეული რიცხვების შედარება.

I საათი

კლასში: სავ.№1, №3, №5.

დამოუკიდებელი სამუშაო სავ.№4 (ორ ვარიანტად)

საშინაო დავალება სავ.№6, სავ.№7.

II საათი

კლასში: სავ.№9, №11, №13, №14.

საშინაო დავალება სავ.№8, სავ.№2, №12.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ და პასუხები:

სავ. №6. სიმინდს

სავ. №7 მეორე დღეს

სავ. №8 ელექტროენერგიის

სავ. №9. სასურველია ამოხესნისას დავიხმაროთ რიცხვითი სხივი, რის შემდეგაც მოხსევებს არ გაუჭირდებათ სწორი პასუხის გაცემა, რადგან რიცხვით სხივზე ნათლად დაინახავენ მოცემულ რიცხვით შეალენდს. **პასუხი:** 6, 7, 8.

სავ. №10. თითოეული წილადი ჩავწეროთ ისეთი სახით, რომლის მნიშვნელია 15.

$$\frac{2}{3} = \frac{10}{15}, \quad \frac{4}{5} = \frac{12}{15}. \text{ საძიებელი წილადის მრიცხველი აღვნიშნოთ } x - \text{თ } \frac{2}{3} < \frac{x}{15} < \frac{4}{5} \text{ ანუ}$$

$$\frac{10}{15} < \frac{x}{15} < \frac{12}{15}. \text{ მაშასადამე, } x=11. \text{ პასუხი: } \frac{11}{15} \text{ სავ. №11. პასუხი: } \frac{19}{24}.$$

სავ.№14 პასუხი: 750მ. **სავ.№14.** შედგება განტოლება: $x \times 320 = 240\ 000$, $x = 750(\text{მ})$.

შემაჯამებელი სამუშაო №10

I ვარიანტი

1. დაწერე მოცემული რიცხვი უპვეცი წილადის სახით:

a) $\frac{56}{64}$

b) $\frac{150}{4500}$

c) $2\frac{4}{6}$

2. შეასრულე მოქმედებები: $\frac{2}{7} + \frac{1}{7} \times 4$

3. სანატორიუმში დამსვენებელთა $\frac{3}{11}$ ნაწილი ინგლისელია, ინგლისელებზე 2-ჯერ მეტი – გერმანელი. დამსვენებელთა რა ნაწილს შეადგენენ ინგლისელი და გერმანელი დამსვენებლები ერთად?

4. ნატოს 840 ლარი პქონდა. ამ თანხის $\frac{1}{10}$ ნაწილით მან სუნამო იყიდა. რამდენი ლარი დარჩა ნატოს?

5. ჩაწერე მოცემული რიცხვები ზრდის მიხედვით: $1\frac{4}{9}, \frac{5}{7}, 2\frac{1}{4}, \frac{4}{5}$

II ვარიანტი

1. დაწერე მოცემული რიცხვი უპვეცი წილადის სახით:

a) $\frac{72}{99}$

b) $\frac{250}{1500}$

c) $1\frac{5}{15}$

2. შეასრულე მოქმედებები: $\frac{3}{8} + \frac{1}{8} \times 2$

3. გიორგის კურდღლების $\frac{4}{13}$ ნაწილი თეთრი ფერისაა, შავი ფერის კი – 2-ჯერ მეტი, ვიდრე თეთრი. კურდღლების რა ნაწილს შეადგენენ შავი და თეთრი კურდღლები ერთად?

4. დათოს 2400 ლარი პქონდა. მან ამ თანხის $\frac{1}{6}$ ნაწილით ტელევიზორი შეიძინა. რამდენი ლარი დარჩა დათოს?

5. ჩაწერე მოცემული რიცხვები კლების მიხედვით: $2\frac{1}{3}, \frac{3}{5}, 1\frac{1}{4}, \frac{2}{3}$

შეფასების სქემა:

- ჩაწერა უკვეცი წილადის სახით ა) და ბ) წილადები ან გ) ----- 1 ქულა
ჩაწერა უკვეცი წილადის სახით სამივე რიცხვი -----2 ქულა
- შეასრულა ერთ-ერთი მოქმედება ----- 1 ქულა
შეასრულა ორივე მოქმედება ----- 2 ქულა
- გამოთვალა ორჯერ მეტი ნაწილი ----- 1 ქულა
გამოთვალა ნაწილების ჯამი ----- 1 ქულა
- გამოთვალა დანახარჯი ----- 1 ქულა
გამოთვალა დარჩენილი თანხა ----- 2 ქულა
- დაუშვა მხოლოდ ერთი შეცდომა ----- 1 ქულა
დაალაგა უშეცდომოდ ----- 2 ქულა

შენიშვნა 1: პირველი ხუთი შემაჯამებელი სამუშაო უნდა შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

შენიშვნა 2: მე-6 საკონტროლოდან მოცემულია განმსაზღვრელი შეფასება ქულებით..
თითოეული შემაჯამებელი სამუშაო ფასდება 10 ქულიანი სისტემით. დავალებათა უმრავლესობის ამოხსნა დაყოფილია ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ფასდება 1 ქულით, ხოლო ორივე ერთად 2 ქულით.

შენიშვნა 3: სასწავლო გეგმით ბოლო რამდენიმე გაპეტილი (სულ 7 საათი) ეთმობა მთელი კურსის გამეორებას. შესაბამისი მასალა მოცემულია სახელმძღვანელოს 196-198-ე გეგრძელებაზე და მასწავლებლის წიგნის ბოლოში.

პროექტების შესახებ

მოსწავლის წიგნის ბოლო ნაწილში დართულია პროექტების რამდენიმე ნიმუში.
მათ შესასრულებლად მოსწავლეებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ-ის) გამოყენება მოუწევთ. წარმოდგენილი პროექტები სასწავლო-შემეცნებითი ხასიათისაა. მოსწავლეები პროექტს და მასზე მუშაობის მეთოდს თვითონ ირჩევენ. მუშაობები ინდივიდუალურად, წევილებში ან ჯგუფურად. სასურველია, მასწავლებელმა თავადაც მოიფიქროს ან ისტ-ის მეშვეობით მოიძიოს მოსწავლეთა ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროექტები, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიების, მოწესრიგების, გააზრებისა და პრეზენტაციის უნარებს განუვითარებს.

პროექტის „სამკუთხედის პრაქტიკული გამოყენება“ შესასრულდებლად მოსწავლეებს სამკუთხედის სიხისტის თვისების მოძიება, გააზრება და თვალსაჩინოებით დემონსტრირება მოუწევთ. სამკუთხედის ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ გვერდების შეუცვლელად სამკუთხედის კუთხეებს ვერ შევცვლით. იგი სამკუთხედების ტოლობის მესამე ნიშნიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად ტოლი გვერდების მქონე სამკუთხედები ტოლია. შესაბამისი თეორიული მასალა მეშვიდე კლასში ისწავლება. ჩვენ შემთხვევაში მოსწავლეებს ამ თვისების თეორიული დასაბუთება არ მოეთხოვებათ.

შეუთე კლასის მოსწავლეებისთვის უკვე ცნობილია მეტრული სისტემის სიგრძისა და მასის საზომი ძირითადი ერთეულები (რუბრიკის სახით მეტუთე კლასის სახელმძღვანელოში ქართული საზომი ერთეულებიც არის მოცემული). როგორც ცნობილია, აშშ-ში უმეტესწილად, ზომის არამეტრულ სისტემას იყენებენ. ამ სიტემის ერთეულებს შორის ჯერადი დამოკიდებულებებია. ამის გამო, პროექტის „სიგრძისა და მასის საზომი ამერიკული ერთეულები“ შესრულება არ საჭიროებს წილადი რიცვების ცოდნას (პროექტში არ მოითხოვება მეტრული სიტემის ერთეულებთან კავშირის

დადგენა, რაც წილადების ცოდნის გარეშე ვერ შესრულდება. ასეთი მოთხოვნის დამატების შემთხვევაში პროექტი შეიძლება VI კლასში გავაგრძელოთ).

პროექტი „მზის სისტემის პლანეტები“, მასალის დიდი მოცულობით გამოიჩინა. დაინტერესების შემთხვევაში, პროექტზე მოსწავლეები რამდენიმე სასწავლო წლის მანძილზე შეიძლება გამუშაოთ. ამ ეტაპზე კი პლანეტათა სახელებისა და მარტივი თვისებების მოძიება—შესწავლაც საკმარისია.


პროექტი „გარდების ხეივნის გაშენება“ მოსწავლეთა უშუალო პრაქტიკულ საქმიანობასთან და ამ საქმიანობაში მათემატიკის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. მოსწავლეებმა უნდა მოიძიოო ვარდის შესაბამისი ჯიშები, შეისწავლონ დარგვის წესები (მაგალითად, ნერგებს შორის მანძილი), გამოთვალონ ნერგების საჭირო რაოდენობა და თანხა, რაც „გარდების ხეივნის გაშენებას“ დასჭირდება.

გთავაზობთ მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშს.

აქტივობა	დაბალი	საშუალო	მაღალი
ინფორმაციის მოძიება	ვერ მოიძია შესაბამისი ინფორმაცია ან მოძიებული ინფორმაცია არ შეესაბამება თემას	მოიძია არასრული ინფორმაცია ან მოძიებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება თემას	მოიძია სრულყოფილი ინფორმაცია
ინფორმაციის დახარისხება	ინფორმაცია არ არის დახარისხებული	ინფორმაცია დახარისხებულია ნაწილობრივ	ინფორმაცია დახარისხებულია სრულყოფილად
თვალსაჩინოებათა შექმნა/მოძიება	პროექტს თვალსაჩინოებები არ ახლავს ან თემის შეუსაბამოა	თვალსაჩინოებების ნაწილი შეესაბამება თემას	ახლავს თემის შესაბამისი მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები
პროექტის საპრეზენტაციოდ მომზადება	პროექტი არაა საპრეზენტაციოდ მომზადებული ან მომზადებულია უხარისხოდ	პროექტი გარკვეული საპრეზებითად საპრეზენტაციოდ მომზადებულია	პროექტი მომზადებულია სრულყოფილად
თემის პრეზენტაზია აქტუალობის დასაბუთება	პრეზენტაცია არ შედგა ან იყო თემის შეუსაბამო	პრეზენტაცია გარკვეული ხარვეზებით ჩატარდა, სრულად არ წარმოჩინდა თემის აქტუალობა, პრეზენტაციოს მსჯელობა იყო ნაკლებად დამაჯერებელი	სწორად იყენებს ტერმინებს, მსჯელობს დამაჯერებლად და ასაბუთებს თემის აქტუალობას.


ტესტები
 (სახელმძღვანელოს ყოველ თავს შეესაბამება ერთი ტესტი)
ტესტი № 1

- ექვსი მილიონ შვიდას ორმოცი ათას თექვსმეტის ჩანაწერია
 ა) 674016; ბ) 60740016; გ) 6704016; დ) 6740016.
- 508012-ის თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამად დაშლაა
 ა) $500000+8000+10+2$; ბ) $50000+8000+12$;
 გ) $500000+800+10+2$; გ) $508+012$.
- რას აღნიშნავს ათობით სისტემაში რომაული ჩანაწერი LXXVI ?
 ა) 76-ს; ბ) 34-ს; გ) 5101051-ს; დ) 74-ს.
- რომელია განსხვავებული ციფრებით ჩანაწერილი შესაძლო უმცირესი ოთხნიშნა რიცხვი?
 ა) 1000; ბ) 1023; გ) 1234; დ) 1111.
- რიცხვის $109\ 598\ 073$ მილიონების თანრიგამდე დამგვალებით მიიღება
 ა) 11 000 000; ბ) 200 000 000; გ) 109 600 000; დ) 110 000 000.
- რომელია შეკრული ტეხილი?



- ა) N 1; ბ) N 2; გ) N 3 დ) N 4.

- ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია მცდარი ნახაზის მიხედვით?



- ა) A, B და D წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობენ;
 ბ) E და C წერტილები AB წრფის სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ;
 გ) A წერტილი BD სხივს ეკუთვნის;
 დ) D წერტილი AB სხივს ეკუთვნის.
- ოთხი ტოლი მდგენის მქონე ტეხილის სიგრძე 24 სმ-ია. რას უდრის ერთი მდგენის სიგრძე?
 ა) 6სმ-ს; ბ) 8სმ-ს; გ) 96სმ-ს; დ) 4 სმ-ს.
- D წერტილი AB მონაკვეთზე მდებარეობს, ამასთან $AD = 3\text{სმ } 2\text{მმ}$, $AB=7\text{სმ } 8\text{მმ}$. რას უდრის BD მონაკვეთის სიგრძე?
 ა) 11 სმ-ს; ბ) 10 სმ-ს; გ) 4სმ 6მმ-ს; დ) 10სმ 10მმ-ს.

$$10 \cdot 2350 - 13800 =$$

- ა) 138450; ბ) 138550; გ) 438150; დ) 550.

ტესტი №2

1. $2355 - 355 \times 4$ გამოსახულების მნიშვნელობაა

- ა) 8000; ბ) 935; გ) 875; დ) 1935.

2. რომელია მეტი, 61×92 თუ 5400?

- ა) $61 \times 92 > 5400$; ბ) $61 \times 92 < 5400$; გ) $61 \times 92 = 5400$; დ) $61 \times 92 \leq 5400$.

3. მაღაზიაში 16ყუთი მანდარინი და 12 ყუთი ფორთოხალი მიიტანეს. ერთი ყუთი მანდარინი 15კგ-ს, ხოლო ერთი ყუთი ფორთოხალი 25კგ-ს იწონიდა. რომელი ციფრუსი მიიტანეს მეტი, მანდარინი თუ ფორთოხალი და რამდენით მეტი?

- ა) მანდარინი 220კგ-ით მეტი; ბ) ფორთოხალი 60-ით ნაკლები;
გ) ფორთოხალი 60-ით მეტი; დ) მანდარინი 120-ით მეტი.


4. ლარნაკში n ცალი წითელი და 8 ცალი თეთრი ვარდია. სულ რამდენი ვარდია ლარნაკში?

- ა) $8 - n$ ცალი; ბ) $n \times 8$ ცალი; გ) $8 : n$ ცალი; დ) $n + 8$ ცალი.

5. გამოთვალე $487\ 890 : m$ გამოსახულების მნიშვნელობა, როცა $m=90$.


- ა) 54210; ბ) 4521; გ) 5321; დ) 5421.

6. რომელი უტოლობაა სწორი ნახაზის მიხედვით?



- ა) $\angle A > \angle B$; ბ) $\angle A > \angle C$; გ)* $\angle B < \angle C$; დ) $\angle B > \angle C$.

7. რომელი სამკუთხედია ბლაგვეულსა?



- ა) 1); ბ) 2); გ) 3); დ) 4).

8. რომელი განტოლების ამონასსნია 9?

- ა) $x+x=9$; ბ) $x-9=9$; გ) $9 \times x=1$; დ) $9+x=18$.

9. $x+x=216$ განტოლების ამონასსნია

- ა) 108; ბ) 216; გ) 14; დ) 109.

10. თუ სამკუთხედის ორი გვერდის სიგრძეა 17სმ და 11სმ, მაშინ მესამე გვერდის სიგრძე შეიძლება იყოს

- ა) 2სმ; ბ) 4სმ; გ) 6სმ; დ) 8სმ.

ტესტი №3

1. $1023\ 361 + 756\ 448$ გამოსახულების მნიშვნელობაა

- ა) 178 9 109; ბ) 1 779 709; გ) 1 779 809; დ) 178 1935.

2. $12\ 200\ 809 - 9\ 558\ 945$?

- ა) 2 652 864; ბ) 2 642 864; გ) 2 641 904; დ) 2 641 864.

3. რომელია არასწორი ტოლობა?

- ა) $(a + b) \cdot c = a \cdot c + b \cdot c$; გ) $(a - b) \cdot c = a \cdot c - b \cdot c$;
ბ) $(a \cdot b) \cdot c = (a \cdot c) \cdot (b \cdot c)$; დ) $a - (b + c) = a - b - c$.

4. $(7 + x) \cdot 4 =$

- ა) $28 + x$; ბ) $7 + 4x$; გ) $28x$; დ) $28+4x$.

5. გამოთვალეთ $38 \times 49 + 49 \times 62$.

- ა) 4900; ბ) 3800; გ) 6200; დ) 6478.

6. $2 \times 3^2 =$

- ა) 36; ბ) 18; გ) 25; დ) 16.

7. $9 \cdot 10^4 + 4 \cdot 10^3 + 2 \cdot 10 + 8 =$

- ა) 94 328; ბ) 9 428; გ) 944328; დ) 94028.

8. სამი ყუთიდან თითოეულში 5ცალი წითელი და a ცალი მწვანე ვაშლია. რამდენი ვაშლია სამივე ყუთში ერთად?

- ა) $15 + a$; ბ) $5 + 3a$; გ) $15a$; დ) $15+3a$.

9. ერთ კლასში n მოსწავლეა, მეორეში 3-ით ნაკლები. რამდენი მოსწავლეა ორივე კლასში?


- ა) $3 - n$; ბ) $3n$; გ) $2n - 3$; დ) $n - 3$.

10. ერთ ნობათში k ცალი კანფეტია, მეორეში 2-ჯერ მეტი ვიდრე პირველში, ხოლო მესამეში იმდენივე, რამდენიც პირველ და მეორე ნობათში ერთად. რამდენი კანფეტია სამივე ნობათში?

- ა) $3k$; ბ) $3+k$; გ) $6k$; დ) $k + 6$.

ტესტი №4

1. თუ ავტომობილი 60კმ/სთ სიჩქარით იმოძრავებს, მაშინ 3 საათში გაივლის
 ა) 120 კმ-ს; ბ) 20 კმ-ს; გ) 180 კმ-ს; დ) 63 კმ-ს.
2. რა დროში გაივლის 75 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი მატარებელი 300 კმ-ს?
 ა) 4 სთ-ში; ბ) 2 სთ/ში; გ) 3 სთ 30 წთ-ში; დ) 2 სთ 20 წთ-ში.
3. ქალაქებიდან, რომელთა შორის მანძილი 240 კმ-ია, შემხვედრი მიმართულებით ერთდღოულად ველოსიპედისტი და მოტოციკლისტი გამოვიდნენ. ველოსიპედისტის სიჩქარე იყო 24 კმ/სთ, ხოლო მოტოციკლისტის სიჩქარე – 36 კმ/სთ. რა დროში შეხვდებიან ველოსიპედისტი და მოტოციკლისტი ერთმანეთს?
 . ა) 4 სთ-ში; ბ) 20 სთ-ში; გ) 16 სთ 40 წთ-ში; დ) 6 სთ-ში
4. სკოლიდან ერთდღოულად გამოსული გოგი და სალომე ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართნენ. გოგი მოძრაობდა 4 კმ/სთ სიჩქარით, სალომე – 3 კმ/სთ სიჩქარით. რა მანძილი იქნება გოგისა და სალომეს შორის სკოლიდან გამოსვლიდან 2 საათში?
 ა) 28 კმ; ბ) 2 კმ; გ) 7 კმ; დ) 14 კმ.
5. კატერის საკუთარი სიჩქარეა 18 კმ/სთ, მდინარის დინების სიჩქარე – 6 კმ/სთ. რა დროში გაივლის კატერი 72 კმ-ს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით?
 ა) 2 სთ-ში; ბ) 6 სთ-ში; გ) 16 სთ-ში; დ) 3 სთ-ში
6. მართკუთხედის ფორმის ოთახის სიგრძე 5 მ, ხოლო სიგანე 3 მ-ია. გამოთვალე ოთახის ფართობი.
 ა) $8\theta^2$; ბ) $15\theta^2$; გ) $2\theta^2$; დ) $16\theta^2$.
7. კვადრატის პერიმეტრი 36 სმ-ია. გამოთვალე კვადრატის ფართობი.
 ა) 9 სმ;
 ბ) $18\theta^2$;
 გ) $81\theta^2$;
 დ) $36\theta^2$.
8. $1\theta^2 =$
 ა) $10\theta^2$;
 ბ) $100\theta^2$;
 გ) $1000\theta^2$;
 დ) $10000\theta^2$.
9. გელამ a სმ სიგრძის კვადრატი დიაგონალზე გაჭრა და მიღებული ნაჭრების მიდგმით სამკუთხედი შეადგინა. რა ფართობის სამკუთხედი შეადგინა გელამ?
 ა) a^2 ;
 ბ) $2a^2$;
 გ) $4a$;
 დ) $2a$.
10. ნახაზზე მოცემული $ABCD$ მართკუთხედის BC გვერდის M შუა წერტილი A წვეროსთან არის შეერთებული. ABM სამკუთხედის ფართობია 5 ს^2 . გამოთვალე $ABCD$ მართკუთხედის ფართობი.




- ა) $10\theta^2$;
 ბ) $20\theta^2$;
 გ) $30\theta^2$;
 დ) $40\theta^2$.


ტესტი №5

დიაგრამზე მოცემულია ერთ-ერთ მაღაზიაში ოთხი კვარტლის განმავლობაში გაყიდული ტელევიზორების რაოდენობა.


Диаграма показывает количество проданных телевизоров в четырех кварталах:




- რომელ კვარტალში გაიყიდა ყველაზე ნაკლები ტელევიზორი?
ა) I კვარტალში; ბ) II კვარტალში; გ) III კვარტალში; დ) IV კვარტალში.
- რამდენი ტელევიზორი გაიყიდა II კვარტალში?
ა) 50; ბ) 5; გ) 60; დ) 40.
- რამდენი ტელევიზორი გაიყიდა ოთხივე კვარტალში?
ა) 200; ბ) 180; გ) 160; დ) 140.
- რომელ კვარტალში გაიყიდა ოთხივე კვარტალში გაყიდული ტელევიზორების მესამედი?
ა) I კვარტალში; ბ) II კვარტალში; გ) III კვარტალში; დ) IV კვარტალში.
- მოცემული ფიგურებიდან რომელია ცილინდრი?




№1



№2



№3



№4

ა) №1;

ბ) №2;

გ) №3;

დ) №4.

- გოჩამ 10სმ სიგრძის წიბოს მქონე 7 კუბისგან მართკუთხა პარალელეპიპედი ააგო. რა სიგრძის წიბოები აქვს აგებულ პარალელეპიპედს?

ა) 10სმ, 10სმ, 70სმ; ბ) 10სმ, 10სმ, 50სმ; გ) 10სმ, 20სმ, 40სმ; დ) 20სმ, 20სმ, 30სმ.

- მართკუთხა პარალელეპიპედის ზომებია: სიგრძე 5სმ, სიგანე 4სმ, სიმაღლე 13 სმ. გამოთვალე საერთო წვეროს მქონე სამი წიბოს სიგრძეთა ჯამი.


ა) 260სმ²; ბ) 65სმ²; გ) 22სმ²; დ) 17სმ²

- მართკუთხა პარალელეპიპედის ზომებია: სიგრძე 5სმ, სიგანე 4სმ, სიმაღლე 13 სმ. გამოთვალე საერთო წვეროს მქონე სამი წახნაგის ფართობთა ჯამი.

ა) 260სმ²; ბ) 65სმ²; გ) 20სმ²; დ) 137სმ²

- რამდენი წიბო აქვს მოცემულ პრიზმას?

ა) 5; ბ) 10; გ) 15; დ) 20.



- რამდენი წახნაგი აქვს მოცემულ პრიზმას?

ა) 5; ბ) 7; გ) 15; დ) 9.

ტესტი №6

1. 105 არის 5-ის

- ა) გამყოფი; ბ) ჯერადი; გ)ნაწილი; დ) მამრავლი.

2. რიცხვებიდან 7, 17, 27, 37, 47 მარტივია

- ა)ერთი რიცხვი; ბ) ორი რიცხვი; გ) სამი რიცხვი; დ) ოთხი რიცხვი.

3. რიცხვებიდან 3, 13, 23, 33, 43 შედგენილია

- ა)ერთი რიცხვი; ბ) ორი რიცხვი; გ) სამი რიცხვი; დ) ოთხი რიცხვი..

4. 123457-ის 10-ზე გაყოფით მიღებული ნაშთია

- ა) 1; ბ) 3; გ) 5; დ) 7.

5. უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომლის 5-ზე გაყოფით მიღებული ნაშთია 2, არის

- ა) 102; ბ) 97; გ) 12; დ) 92.

7. ყველა ერთნიშნა მარტივი რიცხვის ნამრავლია


- ა) 30; ბ) 105; გ) 210; დ) 0.

8. გიგიმ და თათიამ ერთად 36 რვეული შეიძინეს. გიგიმ თათიაზე 3-ჯერ მეტი რვეული შეიძინა. რამდენი რვეული შეიძინა თათიამ?

- ა) 10; ბ) 12; გ) 9; დ) 27.

9. ნახაზზე მოცემული O ცენტრის მქონე წრენირისთვის OA
ნარმოადგენს


- ა) რადიუსს; ბ)დიამეტრს; გ)ქორდას; დ) რკალს.



10. ორი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამია 49. გამოთვალე
ამ ორი რიცხვის ნამრავლი.

- ა) 48; ბ) 600; გ) 220; დ) 0.

10. ნახაზზე მოცემული ABCD მართულხედის
პერიმეტრი 54სმ-ია, ხოლო BC გვერდი 3სმ-ით
გრძელია AB გვერდზე. თუ AB გვერდის სგრძე x სმ-
ია, მაშინ მოცემული ტოლობებიდან რომელია
სწორი?



- ა) $x+3=54$; ბ) $2x+3=54$;
გ) $2x+6=54$; დ) $4x+6=54$.

ტესტი №7

1. ქვემოთ მოცემული წილადებიდან წესიერი წილადია


ა) $\frac{3}{1}$;

ბ) $\frac{3}{2}$;

გ) $\frac{3}{3}$;

დ) $\frac{3}{4}$.

2. მართკუთხედის რა ნაწილია ნახაზზე
გაფერადებული?



ა) ნახევარი;

ბ) მესამედი;

გ) მეოთხედი;

დ) მეხუთედი.

3. წილადებიდან $\frac{1}{5}, \frac{1}{4}, \frac{3}{4}, \frac{3}{5}, \frac{2}{5}$ უდიდესია

ა) $\frac{3}{4}$;

ბ) $\frac{3}{5}$;

გ) $\frac{2}{5}$;

დ) $\frac{1}{4}$.

4. თუ რიცხვი 6 ნარმოდგენილია წილადის სახით, რომლის მნიშვნელია 5, მაშინ ამ
წილადის მრიცხველი იქნება

ა) 6;

ბ) 30;

გ) 60;

დ) 20.

5. ჩანერე არანესიერი წილადის სახით $3\frac{7}{9}$.

ა) $\frac{27}{9}$;

ბ) $\frac{34}{9}$;

გ) $\frac{9}{34}$;

დ) $\frac{9}{27}$.

6. ჩანერე შერეული რიცხვის სახით წილადი $\frac{23}{7}$.

ა) $2\frac{2}{7}$;

ბ) $2\frac{9}{7}$;

გ) $3\frac{2}{7}$;


დ) $3\frac{1}{7}$.

7. ლალიმ, გივიმ და ნათიამ ერთი და იმავე ფასის ნოუთბუქები შეიძინეს. ლალიმ
შენაძენში ხელფასის ნახევარი გადაიხადა, გივიმ – ხელფასის მესამედი, ხოლო
ნათიამ – ხელფასის მეოთხედი. ვის მეტი ხელფასი აქვს, ლალის, გივის თუ ნათიას?
ა) ლალის; ბ) გივის; გ) *ნათიას; დ) შალვას.

8. ნახაზზე მოცემული O ცენტრის მქონე წრენირის OA

რადიუსის სიგრძეა $3\frac{2}{5}$ სმ. გამოთვალე დიამეტრის სიგრძე.

ა) $6\frac{4}{5}$ სმ; ბ) $6\frac{4}{10}$ სმ; გ) $1\frac{7}{10}$ სმ; დ) $3\frac{1}{5}$ სმ.



9. ნავის სიჩქარე მდგარ წყალში $6\frac{3}{5}$ კმ/სთ-ია, მდინარის დინების

სიჩქარე – $2\frac{4}{5}$ კმ/სთ. რა სიჩქარით იმოძრავებს ნავი დინების მიმართულებით?

ა) $3\frac{4}{5}$; ბ) $4\frac{1}{5}$ კმ/სთ; გ) $8\frac{2}{5}$ კმ/სთ; დ) $9\frac{2}{5}$ კმ/სთ.

10. მართკუთხედის სიგრძეა $3\frac{1}{4}$ სმ, სიგანე – $2\frac{3}{4}$ სმ. გამოთვალე პერიმეტრი.

ა) 10სმ; ბ) $5\frac{3}{4}$ სმ; გ) 6სმ; დ) 12სმ.

ტესტების პასუხები

№1 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ღ	პ	პ	ბ	ღ	ბ	ბ	პ	ბ	ღ

№2 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	პ	ბ	ღ	ბ	ბ	ბ	ღ	პ	ღ

№3 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ღ	ბ	ღ	პ	ბ	ღ	ღ	ბ	ბ

№4 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	პ	პ	ღ	ბ	ბ	ბ	ღ	პ	ბ

№5 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	პ	ბ	ღ	ბ	პ	ბ	ღ	ბ	ბ

№6 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ღ	პ	ღ	ბ	ბ	ბ	პ	ბ	ღ

№7 ტესტი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ღ	ბ	პ	ბ	ბ	ბ	ბ	პ	ღ	ღ

**შეფასების რუბრიკების ნიმუშები
ამოცანის გადაწყვეტის შეფასების რუბრიკა**

კრიტერიუმი	დაბალი	საშუალო	მაღალი
ამოცანის ანალიზი	უჭირს რეალური ვითარებიდან გამომდინარე პრობლემის გამოკვეთა; უჭირს სიტუაციური ამოცანის საფეხურებად დაყოფა; უჭირს ფაქტების შედარება-განსხვავება.	უმეტესად ახერხებს რეალური სიტუაციიდან გამომდინარე პრობლემის გამოკვეთას, მაგრამ უჭირს მისი „თარგმნა“ მათემატიკურ ენაზე; სიტუაციურ ამოცანას ყოფს საფეხურებად, მაგრამ ამოხსნა ვერ მაჰავას ბოლომდე.	ყოველთვის აკეთებს ამოცანის ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში პირობას ადეკვატურად ანაწევრებს ქვემოცანებად და აკეთებს სწორ დასკვნებს
თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან კავშირი	გერ აბაგშირებს თეორეულ ცოდნას პრაქტიკასთან კასთან	იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკასთან მიმართუბაში, მაგრამ აქეს ხარვეზები	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას ავლენს ლრმა ანალიზის უნარს.

საშინაო დავალების და დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	დაბალი 1–2 ქულა	საშუალოზე დაბალი 3–4 ქულა	საშუალო 5–6 ქულა	საშუალოზე მაღალი 7–8 ქულა	მაღალი 9–10 ქულა
გამოთვლები	გამოთვლები არასწორია, შედეგები არაადეკვატური	გამოთვლების მცირე ნაწილი სწორადაა ჩატარებული	გამოთვლების მცირე ნაწილი არასწორადაა ჩატარებული	გამოთვლებისას პოულობს რაიმე გზას. გამოთვლები ძირითადად სწორია	გამოსათვლელად ირჩევს და იყენებს ოპტიმალურ ხერხს, გამოთვლები ყოველთვის სწორია.
ამოცანის ამოხსნის გზა და რეალიზება	გერ აღიქვამს დავალების შინაარსს, ვერ ჭრის მარტივ მათემატიკურ პრობლემას	სრულად ვერ აღიქვამს დავალების შინაარსს, უჭირს მარტივ მათემატიკური ამოცანის ამოხსნა	ჭრის მარტივ მათემატიკურ პრობლემას სტანდარტული მიღებისა და პროცედურების გამოყენებით	პრობლემას ყოფს საფეხურებად – მარტივ მოცანებად, მაგრამ ხარვეზებით	ქმნის ამოცანის ამოხსნის ალგორითმს, რთულ პრობლემას ყოფს საფეხურებად – მარტივ მოცანებად, ირჩევს ამოხსნის ოპტიმატურ ვარიანტს
შესასრულებელი სამუშაოს ვადები და მოცულობა	დავალებას ვერ ასრულებს ან ასრულებს იშვიათად, არასრულად და არასწორად	უჭირს დავალების შესრულება; ასრულებს მხოლოდ მარტივ დავალებებს	ასრულებს დავალებებს ვადებისა და რაოდენობების გათვალისწინებით, ზოგჯერ აქვს ხარვეზები	უმეტესად ასრულებს დავალებებს ვადებისა და რაოდენობების გათვალისწინებით	ყოველთვის სრულყოფილად ასრულებს დავალებებს მოცულობის გათვალისწინებით

გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების რუბრიკა

პრიტერიუმები	პასიური	ნაწილობრივ ჩართულობის მონაცილების მონაცილებაში	სრულად ჩართული
საკლასო აქტივობები მონაცილებაში	იშვიათად მონაცილებაში	მონაცილების შედარებით მარტივ აქტივობები	მონაცილების ყველა აქტივობაში
წესებისა და ალგორითმების ცოდნა	ვერ აყალიბებს წესებსა და ალგორითმებს	წესებს და ალგორითმებს აყალიბებს მცირედი უზუსტობებით, უჭირს ლოგიკური დასკვნების გამოტანა	შეუცდომლად აყალიბებს გამრავლება-გაყოფის წესებს, მსჯელობს აღეპვატურად და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები
გამართული მეტყველება, მათემატიკური ცნებებისა და ტერმინების გამოყენება	არ იცავს მეტყველების ელემენტარულ წესებს. იშვიათად, ან საერთოდ ვერ იყენებს მათემატიკურ ტერმინებსა და ცნებებს	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს. საუბრობს მეტ-ნაკლებად გამართულად. სშირად სწორად იყენებს	გამართულად მეტყველებს. აქვს მდიდარი ლექსიკა, ყოველთვის სწორად და ამოცანის შესაბამისად იყენებს მათემატიკურ ცნებებსა და ტერმინებს
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს	ხშირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას
ლოგიკური და საინტერესო კითხვის დასმა	უჭირს თემის შესაბამისი კითხვის დასმა	ხშირად სვამს ლოგიკურ და საინტერესო კითხვებს	ყოველთვის სვამს ლოგიკურ და საინტერესო კითხვებს
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	არ უსმენს სხვებს და არ აცდის საუბრის დამოავრებას	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამოავრებას. საკუთარ მოსაზრებას გამოოთქამს მოსმენილზე დაყრდნობით, თუმცა, არცთუზუსტად	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოოთქამს მოსმენილზე დაყრდნობით. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას.

ჯგუფის მუშაობის შეფასების ოუბრიკა

კრიტერიუმები	ჯგუფის მუშაობა წარუმატებებელია	ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებელია	ჯგუფის მუშაობა წარმატებულია
ჯგუფის წევრების თანაბარი ჩართულობა მუშაობაში	ყველა წევრი არაა ჩართული	უმრავლესობა ჩართულია	ყველა ჩართულია
ამოცანის ამოხსნის გზის მოძებნა	მასწავლებლის მითითებისა და დახმარების მიუხედავად, ვერ პოულობენ ამოცა- ნის ამოხსნის გზას	მასწავლებლის მითითების შემდეგ არაზუსტად, მცირედი ხარვეზებით პოულო- ბენ ამოცანის ამოხ- სნის გზას	ზუსტად, დამოუკიდებლად (ან მასწავლებლის მცირედი დახმარე- ბით) პოულობენ ამოცანის ამოხ- სნის სწორ გზას
ურთიერთმოსმენისა და აზრის გაზია- რების უნარი	კამათობენ, არ უს- მენენ ერთმანეთს და არის არასაქმი- ანი ხმაური, არ იზიარებენ ერთმა- ნეთის აზრს	ხმაურობენ ნაკლებად საჭმიანად; ნაკლებად იზიარებენ ერთმანეთის აზრს	უსმენენ ერთმანეთს და საჭიროების შემთხვევაში იზია- რებენ ერთმანეთის აზრს
ინსტრუქციის მიხედ- ვით მუშაობა	ზუსტად ვერ მიყვე- ბიან ინსტრუქციას	ნაწილობრივ მიყვე- ბიან ინსტრუქციას	მუშაობენ ინსტრუქ- ციის მიხედვით
დროის ლიმიტის დაცვა	ვერ ეტევიან განსაზღვრულ დროში	უმნიშვნელოდ გააცდი- ნეს ან გადააჭარბეს დროს	დაიცვეს დროის ლიმიტი

პრეზენტაციის შეფასების რულიკა

	განსავითარებელი	აწილობრივ განსავითარებელი	სრულად გჰანვითარებულ
პრეზენტა- ტორი	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტატორის მეტყველება ფაქტობრივად გაუგებარია. • არასწორად ან თემის შესაბამოდ იყენებს მათემატიკურ ცნებებსა და ტერმინებს • პრეზენტატორი საერთოდ არ იყენებს თვალის კონტაქტს აუდიტორიასთან 	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტატორი მეტყველებს ნაწილობრივ მკაფიოდ და გასაგებად • ნაწილობრივ სწორად იყენებს მათემატიკურ ცნებებსა და ტერმინებს • იშვიათად ამყარებს თვალის კონტაქტს აუდიტორიასთან 	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტატორი მეტყველებს მკაფიოდ და გასაგბად • სწორად და თემის შესაბამისად იყენებს მათემატიკურ ცნებებსა და ტერმინებს • მუდმივად ამყარებს თვალის კონტაქტს აუდიტორიასთან
პრეზენტა- ციის შინა- არსი	<ul style="list-style-type: none"> • არასწორად და გაუმართავად აყალიბებს წესებს; • უჭირს ლოგიკური მსჯელობა და ვერ იყენებს შეძენილ ცოდნას ამოცანების ამოხსნის დროს • ვერ აგებს ამოცანის შესაბამის ნახაზს და ადეკვატურად ვერ იყენებს შესაბამის ასოით აღნიშვნებს 	<ul style="list-style-type: none"> • სწორად, თუმცა გაუმართავად აყალიბებს წესებს; • უჭირს ლოგიკური მსჯელობა, ხშირად სწორად იყენებს შეძენილ ცოდნას ამოცანების ამოხსნის დროს • მეტ-ნაკლები სიზუსტით აგებს ამოცანის შესაბამის ნახაზს და ადეკვატურად იყენებს შესაბამის ასოით აღნიშვნებს 	<ul style="list-style-type: none"> • სწორად და გამართულად აყალიბებს წესებს; • ლოგიკურად მსჯელობს და იყენებს შეძენილ ცოდნას ამოცანების ამოხსნის დროს • ზუსტად აგებს ამოცანის შესაბამის ნახაზს და ადეკვატურად იყენებს შესაბამის ასოით აღნიშვნებს
დროის რეგლამენტი	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტაცია ზედმეტად მოკლე ან ზედმეტად გრძელია და შესაბამისად, დროის რეგლამენტი სრულიად დარღვეულია 	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტატორი რამდენიმე წუთით აჭარბებს ან ოდნავ უფრო ადრე ასრულებს პრეზენტაციის წარდგენას, ვიდრე ეს რეგლამენტითაა გათვალისწინებული 	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტატორი მაქსიმალური სიზუსტით იცავს მისთვის განკუთვნილ დროის ლიმიტს
პასუხები აუდიტორიის კითხვებზე	<ul style="list-style-type: none"> • უჭირს პასუხის გაცემა 	<ul style="list-style-type: none"> • პასუხობს თითქმის ყველა შეკითხვას 	<ul style="list-style-type: none"> • ამომწურავად პასუხობს ყველა შეკითხვას

საკლასო სამუშაოს შეფასების რუბრიკა
შეფასების ფორმა – განმავითარებული ან/და განმსაზღვრული

კრიტერიუმები	1 – 4	5 – 7	8 – 10
	დაბალი	საშუალო	მაღალი
კავშირებისა და მიმართებების დადგენა	<p>არ იცის მოცემულ თქმასთან დაკავშირებული ტერმინები, ფორმულები/ან იცის მხოლოდ უმნიშვნელო;</p> <p>ვერ ახერხებს ელემენტარული გამოსახულებების გამარტივებას;</p> <p>არ აქვს თეორიული ცოდნა ან აქვს და ვერ იყენებს გამოთვლებას დაკავშირებული ამოცანების ამონებისას.</p>	<p>იცის მოცემულ თქმასთან დაკავშირებული ტერმინები, ფორმულები;</p> <p>უმეტესად ახერხებს გამოსახულებების გამარტივებას;</p> <p>იყენებს თეორიულ ცოდნას გამოთვლებას დაკავშირებული ამოცანების ამონებისას, მაგრამ უშვებს შეცდომებს.</p>	<p>სრულყოფილად ფლობს მოცემულ თქმასთან დაკავშირებულ ტერმინებს, ფორმულების, ფაქტებს;</p> <p>შოგელთვის პოულობს გამოსახულების მნიშვნელობას მოქმედებათა თვისუბების, თანმიმდევრობისა და მათ შორის კავშირის გამოყენებით/ან უშვებს უმნიშვნელო შეცდომას</p>
ამოცანის ამონები	<p>უჭირს რეალური ვითარებიდან გამომდინარე პრობლემის გამოკვეთა;</p> <p>უჭირს სიტუაციური ამოცანის საფეხურებად დაყოფა;</p> <p>უჭირს ფაქტების შედარება-განსხვავება;</p> <p>უჭირს რეალური ვითარებიდან გამომდინარე პრობლემის გამოკვეთა;</p> <p>უჭირს სიტუაციური ამოცანის საფეხურებად დაყოფა;</p> <p>უჭირს ფაქტების შედარება-განსხვავება.</p>	<p>საშინაო</p> <p>ამყარებს კავშირს ამოცანის პირობებსა და რეალურ ვითარებას შორის, მაგრამ ვერ ახერხებს მიღებული შედეგების გაანალიზებას და უშვებს შეცდომებს.</p>	<p>მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში; პრობლემას „თარგმნის“ მათემატიკურ ენაზე;</p> <p>დასმული ამოცანის ამოსახსნელად იყენებს შესაბამის მათემატიკურ აპარატს და სწორად მსჯელობს.</p>
გამოთვლები	<p>გამოთვლები არ მეტყველებს ამოცანის გაბებაზე, შედეგები არადეკვატურია</p>	<p>გამოთვლები ძირითადად სწორია, თუმცა შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარჯებს.</p>	<p>გამოთვლები სწორია, არჩეული და გამოყენებული აქვს გამოთვლების ოპტიმალური ხერხი</p>

დამატებითი სავარჯიშოები

1. რა რიცხვი უნდა ეწეროს უჯრაში, ტოლობა რომ სწორი იყოს?

$$5\text{გმ} 3\text{სმ} + 26\text{სმ} = \boxed{}\text{სმ}$$

$$7\text{გ}\text{მ} 5\text{გ} + 7\text{გ} + 57\text{გ} = \boxed{}\text{გ}\text{მ}$$

$$5\text{გმ} 150\text{გ} \times 4 = \boxed{}\text{გმ} \boxed{}\text{გ}$$

$$7\text{გმ} 148\text{გ} : 4 = \boxed{}\text{გმ} \boxed{}\text{გ}$$

2. რომელი სიღიდეების შეკრებაც შესაძლებელია, შეკრიბე.

$$15\text{გმ} 400\text{გ} + 12\text{გმ} 300\text{გ}; \quad 654\text{გმ} + 951\text{გმ}; \quad 25\text{გ} 925\text{გმ} + 2\text{გ} 75\text{გმ}; \quad 784\text{გ} + 24\text{გ}.$$

3. 7 მ-ის სიგრძის ფიცარი სამ ნაწილად გაჭრეს ისე, რომ ერთი ნაწილის სიგრძე იყო 18 85 სმ, მეორის – 2 20 სმ. რა სიგრძის იყო ფიცარის მესამე ნაჭერი?

4. გამოთვალი:

$$\begin{aligned} & 624 \text{ ლარი } 86 \text{ თეთრი} + 789 \text{ ლარი } 67 \text{ თეთრი} \\ & 6 \text{ 294 ლარი } 56 \text{ თეთრი} + 2 \text{ 272 ლარი } 95 \text{ თეთრი} \\ & 1 \text{ 569 ლარი } 69 \text{ თეთრი} - 975 \text{ ლარი } 88 \text{ თეთრი} \end{aligned}$$

5. რა რიცხვი უნდა ეწეროს უჯრაში?


$$4569 = 1258 + \boxed{}$$

$$5287 - \boxed{} = 2314$$

$$3999 = 1 + \boxed{}$$

$$8008 - \boxed{} = 3026$$

6. ოჯახი შედგება 6 წევრისაგან. ესენია: პაპა, ბებია, მამა, დედა, ნინო, სანდრო. დიაგრამაზე მოცემულია მათი წლოვანება.



დიაგრამის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

ა) რამდენი წლისაა ბებია? ბ) რამდენი წლისაა სანდრო?

გ) ვინაა ოჯახში ყველაზე უფროსი? უმცროსი?

დ) რამდენი წლითაა ბებია დედაზე უფროსი?

ე) რამდენი წლითაა ნინო სანდროზე უმცროსი?

7. გამოთვალე ქვეშმიწერით:

$$5678 - 3546 \quad 5687-3406$$

$$76543 - 43210 \quad 5_3\bar{3} 678\bar{3} - 3_3\bar{3} 546\bar{3}$$

$$5_3\bar{3} 687\bar{3} - 3_3\bar{3} 406\bar{3} \quad 76_3\bar{3} 543\bar{3} - 43_3\bar{3} 210 \bar{3}$$

$$5880 - 2023 \quad 4061 - 2135$$

$$8007-1025 \quad 8_3\bar{3} 7\bar{3} - 1_3\bar{3} 25\bar{3}$$

8. ქვევრში 1530 ლ დვინო იყო. ქვევრიდან დვინის მესამედი კასრებში, ხოლო 250 ლ კი ბოთლებში გადაასხეს. რამდენი ლიტრი დვინო დარჩა ქვევრში?

9. თივის მარაგი თანაბრად გაანაწილეს 4 მანქანაზე, თითოეულ მანქანაზე 520 კგ. რამდენი კგ თივა გაანაწილეს სულ?

10. სამ ბიდონში 60 ლიტრი რძეა. პირველ ბიდონში მთელი რძის ნახევარია, მეორეში მესამედი. რამდენი ლიტრი რძეა მესამე ბიდონში?


11. ავტომობილმა გზის ნახევარი 40 წუთში გაიარა. რა დროში გაივლის ავტომობილი მთელი გზას, თუ ასეთივე სიჩქარით ივლის?

12. ბინის ფასი გაორმაგების შემდეგ 48 000 ლარი გახდა. რა ლირდა ბინა ფასის გაორმაგებამდე?


13. გაჭერი ძაფი შუაზე სახაზავის გამოყენების გარეშე.

14. როგორ გაუნაწილებ თანაბრად ერთ ვაშლს 4 ბავშვს?


15. წრე გაჭრილია ორ ნაწილად ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. რომელ ნახაზზეა წრის თითოეული ნაწილი წრის ნახევარი?




ა)



ბ)




გ)




ღ)

16. ამოწერე იმ წრეების ნომრები, რომლებიდანაც ამოჭრილია წრის ა) მეორედი ბ) მეოთხედი გ) მესამედი დ) მეოთხედზე მეტი და მეორედზე ნაკლები
ე) ნახევარზე მეტი ნაწილი




№1




№2



№3



№4



№5



№6

17. ფერმერმა სტაფილოს მოსავალი მიიღო 720 კგ, რაც 654 კგ-ით ნაკლებია, ვიდრე კომბოსტოს მოსავალი, ხოლო კარტოფილი 2348 კგ-ით მეტი, ვიდრე კომბოსტო. რა რაოდენობის ბოსტნეული მიიღო ფერმერმა სულ? შეადგინე ამოცანის მოკლე ჩანაწერი და ისე ამოხსენი.

18. რამდენჯერ გაიზრდება რიცხვი, თუ მას ორჯერ დიდ რიცხვს მივუმატებთ?

19. მაღაზიაში ვაშლი ყუთებით მიიტანეს. ერთ დღეს გაყიდეს ვაშლის რაოდენობის ნახევარი და კიდევ 2 ყუთი ვაშლი. გასაყიდი დარჩა კიდევ 16 ყუთი ვაშლი. რამდენი ყუთით მიიტანეს ვაშლი მაღაზიაში?

20. შეადგინე ამოცანა ცხრილის მიხედვით და ამოხსენი.

ფასი	რაოდენობა	დირებულება
	3 ბ	60 ლარი
ერთნაირი	? ბ	360 ლარი

21. შეადგინე ამოცანა ცხრილის მიხედვით და ამოხსენი.

ფასი (ლარებში)	რაოდენობა	დირებულება (ლარებში)
?	9	792
?	18	? } ერთნაირი

22. ვანო და გიორგი ტბისპან ერთდროულად გაეშურნენ. ვანო ყოველ 12 წუთში ისვენებდა, ხოლო გიორგი ყოველ 15 წუთში. რამდენი წუთის შემდეგ დაისვენებენ ვანო და გიორგი ერთდროულად?

23. ჩაწერე ცხრილის სახით ამოცანა: „მაკამ შეიძინა 6 კალამი, თითო 2 ლარად და 2 თოჯინა, თითო 12 ლარად. რამდენი ლარი გადაიხადა მაკამ ნაგაჭრში?”

24. მარიმ ერთ-ერთ შესაკრებად 4589-ის ნაცვლად შეცდომით აიღო 489 და ჯამში მიიღო 8500. რა იქნებოდა სწორი პასუხი?

25. ბაქტერია ყოველ წუთში ორმაგდება. რამდენი ბაქტერია იქნება ქილაში 3 წუთის შემდეგ, თუ თავდაპირველად 20 ბაქტერია იყო?

26. ქარხნის ერთ საამქროში 6, ხოლო მეორეში 4 ბრიგადა მუშაობს. ბრიგადებში მუშაობა რაოდენობა ერთნაირია. ორივე საამქროში მუშაობს 90 მუშა. რამდენი მუშა თითოეულ საამქროში?

27. V^1 კლასში მოსწავლეები ორადგილიან მერხებთან სხედან, V^2 კლასში კი – ერთადგილიან მერხებთან. ორივე კლასში მერხებთან ყველა ადგილი დაკავებულია. გაიგე რომელ მეხუთე კლასშია მეტი მოსწავლე და რამდენით, თუ V^1 კლასში 12 მერხი დგას, ხოლო V^2 კლასში – 23.


28. ერთ დღეს მაღაზიაში 7 ერთნაირი, ხოლო მეორე დღეს 5 ისეთივე ფასის კომპიუტერი გაიყიდა. მეორე დღეს კომპიუტერების გაყიდვით შემოსული თანხა 2850 ლარით ნაკლები იყო, ვიდრე წინა დღეს. რა ღირდა ერთი კომპიუტერი?

29. მაღაზიაში 14 ყუთი შავი და 18 ყუთი თეთრი ყურძენი მიიტანეს. თითოეულ ყუთში იყო 25 კგ შურძენი იყო. რამდენი კგ შურძენი მიიტანეს მაღაზიაში?

30. გოგონას 5 ერთნაირ კაბაში იმდენივე გადაიხადეს, რამდენიც 60-ლარიან ლაბადებში. გაიგე რამდენი ლაბად შეიძინეს, თუ ერთი კაბა 24 ლარი ღირდა.

31. 4 პიჯაპში იმდენივე გადაიხადეს, რამდენიც 5 შარვალში. გაიგე, რამდენი გადაიხადეს ერთ შარვალში, თუ ერთი პიჯაპი 85 ლარი ღირდა.

32. გოგონამ ერთნაირი ფასის 4 ცალხაზიანი და 6 უჯრიანი რვეული შეიძინა, სულ 4 ლარის. რა დირს ერთი ცალხაზიანი რვეული? რა თანხის უჯრიანი რვეულები შეიძინა გოგონაშ?
33. გოგონამ ერთნაირი ფასის ცალხაზიანი და უჯრიანი რვეულები შეიძინა, სულ 10 ცალი. ცალხაზიანი რვეულებში 2 ლარი და 40 თეთრი გადაიხადა, ხოლო უჯრიანში – 1 ლარი და 60 თეთრი. რამდენი უჯრიანი და რამდენი ცალხაზიანი რვეული შეიძინა გოგონაშ?
34. მაღაზიაში ქუდები და შარფები თანაბარი რაოდენობით გაიყიდა, სულ 160 ლარის. ქუდი 10 ლარი, ხოლო შარფი 6 ლარი დირდა. რამდენი ლარის ქუდები და რამდენი ლარის შარფები გაიყიდა?
35. ცირამ ერთი და იმავე ქსოვილის ორი ნაჭერი შეიძინა. ერთის სიგრძე 18 მ, ხოლო მეორის სიგრძე 15 მ იყო. ერთ ნაჭერში ცირამ 42 ლარით მეტი გადაიხადა, ვიდრე მეორეში. რა თანხა გადაიხადა ცირამ ქსოვილის ორივე ნაჭერში?
36. ლალიმ ერთი და იმავე ქსოვილის ორი ნაჭერი შეიძინა. ერთ ნაჭერში 300 ლარი, ხოლო მეორეში 180 ლარი გადაიხადა. ერთი ნაჭერი 4 მ-ით გრძელი იყო, ვიდრე მეორე. რა სიგრძის იყო ქსოვილის თითოეული ნაჭერი?
37. თეას და მაკას ერთნაირი თითო ფილა შოკოლადი პქონდა. დათოს არ პქონდა შოკოლადის ფილა. თეამ და მაკამ, თითოეულმა მას თავისი შოკოლადის ფილის ნახევარი უწილადა. ვის მეტი შოკოლადი აქვს, თეას, მაკას თუ დათოს?
38. ერთი ნაკვეთის 4 საათში მთლიანად მოხვნას 3 დიდი ან 5 პატარა ტრაქტორი სჭირდება. რამდენ საათში მოხნავს ამ ნაკვეთს 3 დიდი და 5 პატარა ტრაქტორი ერთობლივი მუშაობით?
39. თორნიკემ გაიარა 840მ. რამდენი ნაბიჯი გადადგა თორნიკემ, თუ მისი ნაბიჯის სიგრძე 60 სმ-ია?
40. კალათაში ვაშლები და მსხლებია, სულ 25 ცალი. გაარკვიე რამდენი ვაშლი და რამდენი მსხალია კალათაში, თუ ვაშლების რაოდენობა 4-ჯერ მეტია მსხლების რაოდენობაზე.
41. გიგამ 3გ 200კგ ცურძენი გაყიდა, ერთი კგ – 90 თეთრად. აღებული თანხით 200 კგ მზესუმზირა და 460 კგ ხორბალი შეიძინა. 1კგ მზესუმზირა 85 თეთრი, ხოლო 1კგ ხორბალი 65 თეთრი დირდა. რა თანხა დარჩა გიგამს?
42. კალამი ფანქარზე 20 თეთრით ძვირია. ამასთანავე, ხუთი ფანქარი იმდენივე ლირს, რამდენიც 3 კალამი. რა ლირს კალამი?
43. 2 ონკანით ავზში 650 ლ წყალი ჩაასხეს. ერთი ონკანით, ოომედმაც 3 სთ იმუშავა, ყოველ საათში ავზში 100 ლ წყალი ჩაედინებოდა. მეორე ონკანით წყალი ავზში 5 სთ ჩაედინებოდა. რამდენი ლიტრი წყალი ჩაედინებოდა ავზში მეორე ონკანით ყოველ საათში?
44. გამოთვალე MN მონაკვეთის სიგრძე ნახაზის მიხედვით.



45. სამ უეთში 135 ფანქარი იდო. როდესაც პირველი უეთიდან 15 ფანქარი ამოიღეს, სამივე უეთში ფანქრების რაოდენობა გათანაბრდა. რამდენი ფანქარი იდო პირველ უეთში თავდაპირველად?

46. სამ თაროზე 105 წიგნი იდო. როდესაც პირველ თაროზე კიდევ 15 წიგნი დადეს, სამივე თაროზე წიგნების რაოდენობა გათანაბრდა. რამდენი წიგნი იდო პირველ თაროზე თავდაპირველად?

47. სამ უეთში 75 კბ ვაშლი იყო. როდესაც პირველ უეთს 15 კბ ვაშლი დაამატეს, უეთებში თანაბარი რაოდენობის ვაშლი აღმოჩნდა. რამდენი კბ ვაშლი იყო პირველ უეთში თავდაპირველად?

48. ერთ აქვარიუმში 32 თევზი მოათავსეს. როდესაც მეორე აქვარიუმიდან პირველში 7 თევზი გადმოიყვანეს, ორივე აქვარიუმში თევზების რაოდენობა გათანაბრდა. რამდენი თევზი იყო მეორე აქვარიუმში თავდაპირველად?

49. ბოსტნეულის მაღაზიაში I დღეს 152 უეთი პამიდორი მიიტანეს, II დღეს – 138 უეთი, ხოლო III დღეს 148 უეთი. რამდენი უეთი პამიდორი მიიტანეს მაღაზიაში IV დღეს, თუ ცნობილია, რომ I და II დღეს იმდენი უეთი პამიდორი მიიტანეს, რამდენიც III და IV დღეს ერთად?

50. ერთ ცვლაში მუშამ 142 დეტალი დაამზადა, მეორეში – 138, ხოლო მესამეში – 129. რამდენი დეტალი დაამზადა მუშამ მეოთხე ცვლაში, თუ ცნობილია, რომ მან პირველ და მეორე ცვლაში ერთად იმდენი დეტალი დაამზადა, რამდენიც მესამე და მეოთხე ცვლაში ერთად.

51. ორ ავტოსადგომზე დამით თანაბარი რაოდენობის მანქანები იდგა. დილით ერთი ავტოსადგომიდან გავიდა 18, ხოლო მეორედან 19 მანქანა. რომელ ავტოსადგომზე დარჩა მეტი ავტომანქანა და რამდენით?

52. ხელფასის ნახევარი ელზამ გადასახადებისათვის გადადო. დარჩენილის ნახევარი ბანკში შეიტანა, ხოლო ამის შემდეგ დარჩენილი 200 ლარი სახარჯოდ შეინახა. რამდენი ლარს შეადგენს ელზას ხელფასი?

53. ერბოთი სავსე ქილა 3კგ600გრ-ს იწონიდა. მას შემდეგ, რაც ქილიდან ერბოს ნახევარი სხვა ქილაში გადაასხეს, ერბოიანი ქილის წონა 1 კბ 900 გრ გახდა. რამდენს იწონის ცარიელი ქილა?

54. რა რიცხვზე უნდა გავყოთ 39, რომ მივიღოთ 5 მთელი და ნაშთი 4?

55. დადგინე, 55 – 61-ე დაგალებებში რა კანონზომიერებითაა რიცხვები ჩაწერილი და რომელია მომდევნო რიცხვი

56. 0 2 4 6 ?

57. 32 31 29 26 ?

58. 16 18 22 28 ?

59. 3 9 27 81 ?

60. 128 64 32 16 ?

61. 4 10 28 82 ?

62. 3 4 6 10 ?

63. შეკვეცე მოცემული წილადები

- | | | | |
|--------------------|--------------------|----------------------|---------------------|
| ა) $\frac{7}{14}$ | ბ) $\frac{8}{16}$ | გ) $\frac{25}{35}$ | ღ) $\frac{69}{46}$ |
| ქ) $\frac{18}{54}$ | ზ) $\frac{27}{63}$ | ყ) $\frac{120}{270}$ | თ) $\frac{155}{25}$ |

64.ჩაწერე შერეული რიცხვის სახით

- | | | | |
|--------------------|-------------------|--------------------|--------------------|
| ა) $\frac{7}{2}$ | ბ) $\frac{11}{9}$ | გ) $\frac{23}{13}$ | ღ) $\frac{69}{25}$ |
| ქ) $\frac{17}{16}$ | ზ) $\frac{13}{9}$ | ყ) $\frac{23}{11}$ | თ) $\frac{68}{24}$ |

65. რიცხვი 8 წარმოდგენილია ისეთი წილადის სახით, რომლის მნიშვნელია 3. რა რიცხვი იქნება ამ წილადის მრიცხველი?

66. რიცხვი 25 წარმოდგენილია ისეთი წილადის სახით, რომლის მრიცხველია 125. რა რიცხვი იქნება ამ წილადის მნიშვნელი?

67. რომელი ნატურალური რიცხვია ყველაზე ახლოს $\frac{19}{5}$ -თან?

68. რომელი ნატურალური რიცხვია ყველაზე ახლოს $\frac{229}{105}$ -თან?

69. შეკვეცე მოცემული წილადები:

- | | | | |
|--------------------|--------------------|----------------------|---------------------|
| ა) $\frac{7}{14}$ | ბ) $\frac{8}{16}$ | გ) $\frac{25}{35}$ | ღ) $\frac{69}{46}$ |
| ქ) $\frac{18}{54}$ | ზ) $\frac{27}{63}$ | ყ) $\frac{120}{270}$ | თ) $\frac{155}{25}$ |

70. ჩაწერე შერეული რიცხვის სახით:

- | | | | |
|--------------------|-------------------|--------------------|--------------------|
| ა) $\frac{7}{2}$ | ბ) $\frac{11}{9}$ | გ) $\frac{23}{13}$ | ღ) $\frac{69}{25}$ |
| ქ) $\frac{17}{16}$ | ზ) $\frac{13}{9}$ | ყ) $\frac{23}{11}$ | თ) $\frac{68}{24}$ |

71. ჩაწერე არაწესიერი წილადის სახით:

$$1. \ 5\frac{3}{10} \quad 2. \ 11\frac{4}{9} \quad 3. \ 8\frac{3}{4} \quad 4. \ 7\frac{5}{8} \quad 5. \ 1\frac{7}{39}$$

72. მოცემული რიცხვებიდან: $\frac{4}{9}, \ 1\frac{2}{7}, \ \frac{9}{5}, \ \frac{11}{11}, \ \frac{8}{3}$ რომელია უმცირესი?

73. რამდენიმ გადიდება რიცხვი 12, თუ მას მარჯვნიდან 0-ს მივუწერთ?

74. რამდენიმ შემცირდება რიცხვი 170, თუ მას 0-ს ჩამოვაცილებთ?

75. რამდენიმ შემცირდება რიცხვი 1486, თუ მის ჩანაწერში ციფრებს: 4 და 6 შევცვლით შესაბამისად 1-ით და 4-ით?

- 76.** რამდენით გაიზრდება რიცხვი 3905, თუ მის ჩანაწერში ციფრებს: 3-ს და 9-ს შევცვლით შესაბამისად 7-ით და 5-ით?
- 77.** რამდენით გაიზრდება რიცხვი 1485, თუ მის ჩანაწერში 4-ს და 5-ს ადგილებს შევცვლით?
- 78.** ორი მილის მირჩილვას 30 წამი სჭირდება. რა დრო დასჭირდება ხუთი მილის მირჩილვას?
- 79.** რიცხვებიდან: 3025, 45890, 1030, 5005, 5559, 502, 5023, 950 რამდენია 5-ის ჯერადი?
- 80.** რიგში დგას 19 ბავშვი. მერამდენე ბავშვია შეაში?
- 81.** შეარჩიეთ უმცირესი ხუთნიშნა რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 5-ზე და არ იყოფა 10-ზე
- 82.** ყუთში 20 -ზე მეტი და 38 -ზე ნაკლები ვაშლია, რომელიც თანაბრად შეიძლება გაუნაწილდეს 3 ბავშვსაც და 5 ბავშვსაც. რამდენი ვაშლია ყუთში?
- 83.** ყუთში 30 -ზე მეტი და 50 -ზე ნაკლები მანდარინია, რომელიც თანაბრად შეიძლება გაუნაწილდეს 3 ბავშვსაც და 7 ბავშვსაც. რამდენი მანდარინია ყუთში?

მეთოდური რეკომენდაციები

როგორ ავიცილოთ თავიდან ჩამორჩენილობა?

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ დაავადების წინასწარ განჭვრება და საჭირო ღონისძიებების ჩატარება გაცილებით ადგილია, ვიდრე ავადმყოფობასთან ბრძოლა. ანალოგიური ვთორებაა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაშიც. მასაც დროულად უნდა მიხედვა და გამოსწორება. მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწისიდანვე ამჩნევს ასეთ მოსწავლეს და სისტემატურად უნდა იზრუნოს მისი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამისათვის მასწავლებელმა:

- I. უნდა აღმოაჩინოს ჩამორჩენის მიზეზი და ხასიათი. (ამის მიღწევა შეიძლება მოსწავლესთან, მის მშობელთან ინდივიდუალური და არა მთელ კლასთან ერთად საუბრით).
- II. საუბრის შედეგის მიხედვით მასწავლებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მდგომარეობის გამოსასწორებელად.
- III. უმეტეს შემთხვევაში გამოტოვებული საკითხების მხოლოდ გამეორებაც საქმარისია, რომ მოსწავლე ცოდნის საჭირო დონეს დაეუფლოს. ამისათვის დამოუკიდებლად უნდა იმუშაოს მასწავლებლის მითითებებითა და კონტროლით.

უფრო მძიმე შემთხვევაში მოსწავლეს კარგად დაგეგმილი სისტემატური მეცადინეობა სჭირდება. კარგი იქნებოდა, ასეთი მეცადინეობები მასწავლებელს ჩაეტარებინა, მაგრამ მას ეს ყოველთვის არ შეუძლია. ამიტომ უმჯობესია, მასწავლებლმა ამ პროცესში ჩართოს მოსწავლის თანაკლასელები, მიამაგროს ჩამორჩენილი მოსწავლე რომელიმე წარმატებულ მოსწავლეს. მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს მათი მუშაობა და პერიოდულად ჩაერთოს კიდეც. მან უნდა აკონტროლოს სიტუაცია და შედეგიც სასურველი იქნება ორივე მხარისათვის. ჩამორჩენილ მოსწავლეს ძლიერი მოსწავლე ეხმარება საშინაო დავალების შესრულებაში. უხსნის საკითხებს, რომლებიც მან არ იცის. ასეთ მეგობრულ დახმარებას სწორი ფორმა

უნდა პქონდეს. იგი არ უნდა იქცეს დავალების დაწერა-გადაწერად. ამას მასწავლებელი უნდა აქცევდეს ყერადდებას. თუ მასწავლებელი მოსწავლეებში ასეთ ეწ. „რეპეტიტორული დამატებითი მეცადინეობების” მუშაობას სისტემურს გახდის, ეფექტი მოლოდინს გადააჭარბებს. შედეგის მიღწევის შემდეგ დამატებითი მეცადინეობები შეწყდება.

ასეთი მეცადინეობები სასარგებლოა არა მარტო იმ მოსწავლისათვის, ვისთვისაც ტარდება, არამედ იმისთვისაც, ვინც ატარებს. ასეთი მუშაობა ზრდის და აყალიბებს მოსწავლის პიროვნულ თვისებებს.

როგორ გიმუშაოთ განსაკუთრებულად ნიჭიერ და მონდომებულ მოსწავლეებთან?

მასწავლებელმა ყოველთვის უნდა იზრუნოს განსაკუთრებულად ნიჭიერ და მონდომებულ მოსწავლეზე. დროულად უნდა შენიშნოს ისინი, გაუდგიოს საგნისადმი ინტერესი. მისცეს საკითხები, რომლებიც ყველასთვის არაა სავალდებულო. ასეთმა მოსწავლეებმა უნდა ამოხსნან სახელმძღვანელოს ყველა დავალება, რომელიც სამკუთხედითაა მონიშნული (რთული ტიპის დავალებები), დავალებები რუბრიკით: „აბა სცადე“, „შესაძლებელია თუ არა?”, „ეს საინტერესოა!“. უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა პროექტში, რომელიც ნიჭიერ ბავშვებს ავლენს.

მასწავლებლის მუშაობა ასეთ მოსწავლესთან ინდივიდუალური ხასიათისაა, მიმდინარეობს გაკვეთილზე და მის გარეთ.

როგორ დავაინტერესოთ მეცნიერებლასელი მოსწავლე მათემატიკით?

მხოლოდ მათემატიკის გაკვეთილები არაა საკმარისი იმისათვის რომ მასწავლებელმა მოსწავლეები მათემატიკით დაინტერესოს. ამისათვის საჭიროა ხშირად

მოაწყოს მათემატიკური საღამოები, ვიქტორინები, კონკურსები და ა. შ.

❖ ასეთ მეცადინეობებზე მოსწავლეს უდივდება ინტერესი მათემატიკისადმი, რადგან ეწყობა მისთვის საინტერესო და სახალისო მათემატიკური დონისძიებები.

❖ ასეთ მეცადინეობებზე ხდება გაკვეთილზე ახსნილი მასალის განმტკიცება-გადმმავება.

❖ ასეთი მეცადინეობები ხელს უწყობს მოსწავლის მათემატიკური აზროვნების განვითარებას, საკუთარი შესაძლებობების წარმოჩენას, შრომისა და ძიების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, აჩვევს დამოუკიდებელ აზროვნებას, კოლექტიურ მუშაობას, შრომისმოყვარეობას.

❖ მოსწავლეები იღებენ დადებით ემოციურ დატვირთვას. ისინი ამზადებენ გაზეობის, თხზავენ ამოცანებს, მათემატიკურ ან მათემატიკასთან დაკავშირებულ ზღაპრებსა თუ ლექსებს, კროსვორდებსა თუ გამოცანებს, თავსატეხებსა თუ მათემატიკურ თამაშებს, ფოკუსებს, ნახატებსა თუ ჩანახატებს და ა. შ.

❖ ასეთი მეცადინეობები უვითარებს მოსწავლეს ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარს.

სასურველია V კლასში ჩატარდეს მათემატიკური საღამოები შემდეგ თემებზე:

1. „ნატურალური რიცხვები“.

მიზანი: მოსწავლეთა წარმოდგენის გაფართოება რიცხვების შესახებ. საჭიროა მოსწავლეები გაეცნენ ისტორიას რიცხვთა სისტემების შესახებ. აგრეთვე იმ არაათობითი სისტემის შესახებ, რომელიც დღეს გამოიყებობა. ამის გაცნობით მოსწავლე გააცნობიერებს რიცხვის ჩატარის ძირითად პრინციპებს, გაიგებს თუ რატომ ხდება შეკრებისა და გამოკლების დროს თანრიგიდან

თანრიგზე გადასვლა.

კარგი იქნება მეცადინეობაზე რიცხვითი რებუსების გამოყენება, სადაც უცნობი ციფრები აღნიშნული იქნება ვარსკვლავით, უჯრით ან ასოთი.

2. „გეომეტრიული მასალა“

მეცადინეობაზე მოსწავლეებს უშუალო ურთიერთობა უნდა პქონდეთ მარტივ გეომეტრიულ ობიექტებთან (მონაკვეთი, კუთხე, კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთ ხედი, კუბი და ა. შ.) კარგ შედეგს იძლევა თამაში, გეომეტრიული თავსატებები, ფიგურების აგება , დაშლა, დაჭრა და ა. შ. კარგი იქნება მოსწავლეებს დაგალებად

მიეცეს ზღაპრის დაწერა გეომეტრიული ფიგურების თვისებებზე და სხვა. ძალიან საინტერესო ნახატებსა და აპლიკაციებს მიიღებთ მოსწავლეებისაგან გამოფენაზე, რომლის თემა იქნება: „ნახატები მხოლოდ გეომეტრიული ფიგურებით“. სასურველია ჩატარდეს

№1. სადამო რომელზეც განხილული იქნება:

ა) ნუმერაციის ისტორია

ბ) რიცხვთა არაათობითი სისტემები

№2. გუნდური მიკროოლიმპიადა, რომელზეც შეჯამებული იქნება სემესტრის შედეგები.

№3. სადამო, რომელზეც რიცხვითი რებუსების სახით იქნება განხილული საკითხები შეკრება-გამრკლებაზე, გამრავლება-გაყოფაზე.

№4. სემესტრი დასრულდეს მხიარულთა და საზრიანთა მათემატიკური კლუბის შეჯიბრებებით, რომელშიც ვაჟებისა და გოგონების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

№5. სადამო, რომელიც მიეძღვნება: მათემატიკურ კროსვორდებსა და ფოკუსებს

№6. კონკურსი:

„საუკეთესო ზღაპარი, ნახატი, ჩანახატი“ (მათემატიკასთან დაკავშირებული, მაგალითად თემაზე: ა) ნატურალური რიცხვი და ნული; ბ) წრე და კვადრატი; გ) ნატურალური რიცხვი და წილადი და ა. შ.).

№7. სადამო, რომელზეც განხილული იქნება:

ა) ლოგიკური ამოცანები

ბ) მათემატიკური სოფიზმები

გ) გეომეტრიული თავსატებები

დ) თვითნაკეთი მოდელები

№8. მიკროონფერენცია (ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს)

ა) ლოგიკური ამოცანები

ბ) გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსების ბიოგრაფიები

მასალა „ზეპირი ანგარიშისათვის“

თითქმის ყოველი გაკვეთილი მათემატიკაში ზეპირი სავარჯიშოების ამოხსნით უნდა იწყებოდეს. სავარჯიშოები განვლილ და ასახსნელ მასალას უნდა უკავშირდებოდეს.

ზეპირ სავარჯიშოებში იგულისხმება აგრეთვე, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის ზეპირად გამოთვლა,რაშიც მოსწავლეები კარგად უნდა გაიწაფონ.

(ნიმუში):

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელი დაფაზე წერს:

1. შეადარე: 48:8 და 14×2
2. გამოთვალება: 640 : (28+52)
3. იპოვე x -ის მნიშვნელობა, თუ $2x + 3x = 225$
4. x -ის რა მნიშვნელობისათვისაა $14x = 154$ ტოლობა ჭეშმარიტი?
5. გამოთვალე $2x + 3x + 2x + 180$ გამოსახულების მნიშვნელობა, თუ $x = 10$.

6. x -ის რა მნიშვნელობისათვისაა $140 : x = 7$ ტოლობა ჭეშმარიტი?
7. შეადარე $44+22$ და 3×15
8. წაიკითხე: $10 < x < 15$
9. გაამარტივე გამოსახულება: $x \times 3 \times 12 \times 5$
10. გამოთვალე: $18+65+22+35$
მასწავლებელი მოსწავლებს აძლევს რიგ შეკითხვებს:
-რას ნიშნავს, შეადარე გამოსახულებათა მნიშვნელობები? (ნიშნავს, გავარკვიოთ, რომელი გამოსახულების მნიშვნელობაა მეტი, რომლის ნაკლები და ჩანაწერში მათ შორის დავწეროთ შედარების შესაბამისი ნიშანი: „<”, „>” ან „=”)
- შეადარე №1 მაგალითში მოცემული გამოსახულებები. (განაყოფის მნიშვნელობა ნაკლებია ნამრავლის მნიშვნელობაზე. ბავშვები დაფაზე ასრულებენ შესაბამის ჩანაწერს: $48 : 8 < 14 \times 2$)
ანალოგიურად ასრულებენ №7 მაგალითს
- რა პქვია №2 გამოსახულებას? (განაყოფი, იმიტომ, რომ გამოსახულებას ბოლო მოქმედების სახელი პქვია)
- რა პქვია №3 და №4 ტოლობებს? (ორივე ტოლობა შეიცავს უცნობს, ამიტომ თითოეულს განტოლება პქვია)
- როგორ უნდა ამოვხსნათ №5 მაგალითი? (ჯერ გავამარტივოთ გამოსახულება და შემდეგ ჩავსვათ x -ის მნიშვნელობა:
$$2x + 3x + 2x + 180 = 7x + 180 = 7 \times 10 + 180 = 70 + 180 = 250$$
)
-რა პქვია №6 განტოლების მარცხენა მხარეს? (განაყოფი.)
-გაყოფის რომელი კომპონენტია უცნობი? (გამყოფი.)
-როგორ ვიპოვოთ უცნობი გამყოფი? (უცნობი გამყოფი რომ ვიპოვოთ, საჭიროა გასაყოფი გავყოთ განაყოფზე)
ასეთი გამეორება უნდა მოხდეს თითქმის ყველა გაპვეთილზე.

ელექტრონული რესურსები

სადღეისოდ, ყველა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასები. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მიგვეთითებინა რამდენიმე საიტის მისამართი, რომლებზეც ელექტრონული რესურსებია განთავსებული.

ვებ.პორტალი „კარგი სკოლა“

პორტალი „კარგი სკოლა“ – მრავალფუნქციური დანიშნულების ელექტრონული რესურსია. მასში თავმოყრილია დაწყებით სკოლაში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლის ყველა საჭირო ინსტრუმენტი. პორტალი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. მოკლედ მიმოვინილოთ ჩვენი მიზნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებები.

დიაგნოსტიკური შეფასება. პორტალის ამ განყოფილებაში მოცემულია მათემატიკის სწავლების შეფასების დიაგნოსტიკური ინსტრუმენტები კლასებისა და კომპეტენციების მიხედვით. მასწავლებელს შეუძლია, საჭიროების მიხედვით, შეარჩიოს კონკრეტული კლასის ამა თუ იმ კომპეტენციის შესამონმებელი ტესტი. ამასთან, რესურსი შესაძლებლობას იძლევა, მასწავლებლის სურვილის მიხედვით, ავტომატურ რეჟიმში მომზადდეს როგორც ერთ ან რამდენიმე კომპეტენციაზე, ისე მოცემული კლასის ყველა კომპეტენციაზე ფოკუსირებული ტესტი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტესტებისა და შემაჯამებელი სამუშაოების პარალელურად, ამ ტესტების გამოყენება საკმარის ინფორმაციას მისცემს მასწავლებელს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ, რაც მას სწავლების ადეკვატური მეთოდების შერჩევაში დახემარება.

ელექტრონული კურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამაში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამაში ჩართული მასწავლებელი შეძლებს:

- სწავლებას კონსტუქტივისტური მეთოდის გამოყენებით;
- დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში;
- მრავალფეროვანი რესურსებისა და მეთოდების ეფექტიან გამოყენებას;
- მოსწავლეთა უნარების მონიტორინგის წარმოებას.

ტრენინგ-პროგრამაში გათვალისწინებულია: ვიდეოლექციები, რეალური საკლასო სიტუაციების ანალიზი, მეთოდური წიგნებისა და სასწავლო ფილმების გაცნობა.

რესურსები მასწავლებლებისათვის. მასწავლებლის რესურსების სივრცეში თავმოყრილია სხვადასხვა სასწავლო მასალა და რესურსი, რომელთა მიზანია დაწყებითი სკოლის I-VI კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობა. მოცემულ სივრცეში ასევე, მოთავსებულია რესურსები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისათვის.

ხანის აკადემია

ხანის აკადემია არის პერსონიფიცირებული რესურსი ყველა ასაკისთვის, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის უფასო განათლების მიწოდება ყველასთვის. რესურსი მოიცავს სავარჯიშოებს, ვიდეო ინსტრუქციებს, ტესტებს, პერსონიფიცირებულ სასწავლო დაფას, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლებმა იმუშაონ კლასშიც და სახლშიც (მობილურითაც კი). მასალა არის საწყისი დონიდან (პირველი კლასი) ბოლომდე (კალკულუსამდე). ეს მასალა დალაგებულია კლასებად და თემებად. მასწავლებელს ეძლევა საშუალება კლასი ერთდროულად ამუშაოს სხვადასხვა თემაზე იმის მიხედვით, თუ ვის რა უჭირს და ამასთან აკონტროლოს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონე, რასაც პროგრამა თავად განსაზღვრავს.

მისამართი: ka.khanacademy.org

ქვემოთ ვუთითებთ ორ ინგლისურენოვან საიტს:

პროგრამა **Geogebra.**

გეოგებრა არის მათემატიკური პროგრამა, რომელიც აერთიანებს ალგებრას, გეომეტრიას და გამოთვლებს. ის განავითარებს მათემატიკის სწავლებისა და ვარჯიშის პროცესს. საშუალებას იძლევა შეიქმნას დინამიური გვერდი და ჩვენებაზე გაეშვას კონსტრუქციის აგების ყველა ეტაპი.

მათემატიკური ელექტრონული ტესტები I-VI კლასებისთვის

ტესტები დაყოფილია თემატურად, შეცდომის შემთხვევაში აძლევს მითითებას სწორ პასუხებზე, გათვალისწინებულია დავალებათა მიმდევრობა მარტივიდან რთულისაკენ, აქვს დროის მთვლელი, არის მოწოდებული ინგლისურ ენაზე. მისამართი:

<http://www.ixl.com/math/grades>

საცნობარო მასალა
მარტივ რიცხვთა ცხრილი (1-დან 1000-მდე)

2	3	5	7	11	13	17	19
23	29	31	37	41	43	47	53
59	61	67	71	73	79	83	89
97	101	103	107	109	113	127	131
137	139	149	151	157	163	167	173
179	181	191	193	197	199	211	223
227	229	233	239	241	251	257	263
269	271	277	281	283	293	307	311
313	317	331	337	347	349	353	359
367	373	379	383	389	397	401	409
419	421	431	433	439	443	449	457
461	463	467	479	487	491	499	503
509	521	523	541	547	557	563	569
571	577	587	593	599	601	607	613
617	619	631	641	643	647	653	659
661	673	677	683	691	701	709	719
727	733	739	743	751	757	761	769
773	787	797	809	811	821	823	827
829	839	853	857	959	863	877	881
883	897	907	911	919	929	937	941
947	953	967	971	977	983	991	997

ლათინური ანბანი

ლათინური ასოები	ასოების ქართული სახელწო დება	ლათინური ასოები	ასოების ქართული სახელწო დება
A a	ა	N n	ენ
B b	ბე	O o	ო
C c	ცე	P p	პე
D d	დე	Q q	ქუ
E e	ე	R r	ერ
F f	ფე	S s	ეს
G g	გე	T t	ტე
H h	ჰაშ	U u	უ
I i	ი	V v	ვე
J j	იოტა (ჟი)	W w	დუბლ-ვე
K k	ქე	X x	იქს
L l	ელ	Y y	იგრევ

ზომის ერთეულები

სიგრძის საზომი ერთეულები

1 კილომეტრი (კმ) = 100 მეტრი (მ)
1 მეტრი (მ) = 10 დეციმეტრი (დმ) = 100 სანტიმეტრი (სმ)
1 დეციმეტრი = 10 სანტიმეტრი (სმ)
1 სანტიმეტრი (სმ) = 10 მილიმეტრი (მმ)

სიგრძის საზომი ქართული ერთეულები

გოჯი = 4 სმ	წერთა = 48 სმ
ციდა = 15 სმ	ადლი = 96 სმ

სიგრძის საზომი ინგლისური ერთეულები

1 მილი = 1760 იარდი ≈ 1 კმ 609 მ	1 ფუტი = 12 დიუმი ≈ 31 სმ 5 მმ
1 იარდი = 3 ფუტი ≈ 91 სმ	1 დიუმი ≈ 2 სმ 5 მმ

ფართობის საზომი ერთეულები

1 კვ. კილომეტრი (კვ. კმ) = 1 000 000 კვ. მეტრი (კვ. მ)
1 ჰექტარი (ჰა) = 100 არი (ა) = 10 000 კვ. მეტრი (კვ. მ)
1 არი (ა) = 100 კვ. მეტრი (კვ. მ)

მასის ერთეულები

1 ტონა (ტ) = 1000 კილოგრამი (კგ)	1 კილოგრამი (კგ) = 1 000 გრამი (გ)
1 ცენტნერი (ც) = 100 კილოგრამი (კგ)	1 გრამი (გ) = 1000 მილიგრამი (მგ)

დროის ერთეულები

1 წელი (წ) = 365 (დღე-დამე)	1 საათი (სთ) = 60 წუთი (წთ)
1 დღე-დამე = 24 საათი (სთ)	1 წუთი (წთ) = 60 წამი (წმ)

სახელშოდებების წარმოება მეტრულ სისტემაში

თავსართი	თავსართის მნიშვნელობა	მაგალითი
დეცი	10-ჯერ შემცირება	დეციმეტრი - $\frac{1}{10}$ მეტრი
სანტი	100-ჯერ შემცირება	სანტიმეტრი - $\frac{1}{100}$ მეტრი
მილი	1000-ჯერ შემცირება	მილიგრამი - $\frac{1}{1000}$ გრამი
მიკრო	1000000-ჯერ შემცირება	იკრომეტრი - $\frac{1}{1000000}$ მეტრი
დეკა	10-ჯერ გადიდება	დეკალიტრი - 10 ლიტრი
გეპტო	100-ჯერ გადიდება	გეპტოლიტრი - 100 ლიტრი
კილო	1000-ჯერ გადიდება	კილოგრამი - 1000 გრამი

მოსწავლის წიგნის დავალებათა პასუხები

თავი 1

- 1.2 7. ა) უმცირესი VL, უდიდესი LV; ბ) უმცირესი IC, უდიდესი CI. 10. ა) 6022; ბ) 3581; გ) 14646. 11. ა) სწორია; ბ) CL. 12. უდიდესი 975310, უმცირესი 103579. 13. ა) 854250>18; ბ) 0<1398.
- 1.3 18. 987. 19. 98765. 20. 1023456789. 21. 9876543210. 23. ნაკლებია.
- 1.4 2. 150 000 000 კმ. 8. $12 \times 24 \times 3600 \approx 1\ 000\ 000$. 10. 40 076 კმ $\approx 40\ 000$ კმ. 11. 4 წითელი, 4 ლურჯი, 1 შავი. 12. 4 წითელი, 3 თეთრი, 1 ვერცხლისფერი ან 5 წითელი, 2 თეთრი, 1 ვერცხლისფერი. 13. 1. 14. 1. 17. 10.
- 1.5 15. ა) 5 733; ბ) 304 742; გ) 411139; დ) 171 512.
- 1.7 1. 4. 2. 4. 3. 4. 5. შევრული ტეხილი. 6. 6. 16. ა) 7სმ 5მმ; ბ) 5სმ 5მმ. 17. ე). 19. ა) 3სმ; ბ) 13სმ 5მმ. 24. 1სმ ან 7სმ. 25. 1სმ 5მმ. 26. 35მმ ან 13მმ.
- 1.8 4. ბოლოები. 9. 16 სმ. 10. 7 სმ. 11. ა) ANT -ს სიგრძე KT -ს სიგრძით აღემატება ANK -ს სიგრძეს; ბ) ANT -ს პერიმეტრი მეტია, რადგან AT+TK >AK. 13. ა) MKD-ს სიგრძე მეტია, რადგან EK+KF>EF. 15. 2-ჯერ.
- 1.9 7. 1655გ. 8. 4ტ. 9. 68ტ. 10. 100მგ, 300მგ, 1გ 500მგ. 11. 2ლ ვერცხლის წყალი. 13. 7 აბი. 14. 4 ქართული, 2 ინგლისური, 1 რუსული. 15. 5. 16. 45. 17. 450. აბა სცადე! 8კგ.
- I თავის დამატებითი სავარჯიშოები 9. ა) 8654; ბ) 9441; გ) 1999. 10. ა) 124; ბ) 157; გ) 29; დ) 314; ე) 80. 25. ა) კაკლის; ბ) კაკლის 216 მ, ჭერმის 180 მ.

თავი 2

- 2.1 5. 34ლარი 40თეთრი. 6. 39. 7. ეყოფა. 8. 270კმ. 9. ა) 15. საკმარისია. 16. 19. 17. 30, 18. 18. 12. 19. ნიკამ. 20. 125. 23. ა) გაიაროს; ბ) არ გაიაროს. 24. გ). 25. ალუბლის, 3-ჯერ.
- 2.2 17. $20n + 15m$. 18. ა) 1, 2, 4, 8; ბ) 1, 5, 25; გ) 7. 19. ა) $2x+8$; ბ) 2. 20. ტატო $34-m$, ბეჭა $34-m+n$.
- 2.3 7. $x+78=100$. 10. 82. 11. 283. 12. $2n-3m=10$. 13. $x=32$. 14. 8. 15. 1400. 16. ე).
- 2.5 4. 5სმ. 5. 43სმ. 6. 18სმ. 7. 40სმ 1მმ. 8. 19 სმ, 38სმ. 9. 9 სმ. 10. 850მ. 11. 12სმ. 12. ა) 700მ; ბ) 100მ; გ) შეიძლება. 13. 7. 14. 4. 16. ა) 16სმ; ბ) 4სმ. 17. ა) 715; ბ) 15; გ) 145; დ) 13, 39.
- II თავის დამატებითი სავარჯიშოები 1. 29 700. 2. ა) 81 993; ბ) 4 204; გ) 211 877; დ) 61133. 3. 24 ლარი; 26 ლარი. 5. ა) 28 318; ბ) 6 473. 7. 2005; 3241. 8. 255 815; 528 129. 9. 52. 10. ა) 661; ბ) 983; გ) 10; დ) 18 630. 20. 11 თეთრი, 9 შავი. 21. 8სმ, 20სმ, 27სმ.

თავი 3

- 3.1 6. 43 310 900 ლარი. 7. ა) 10 999 999; ბ) 109 999 999. 8. 6 007 500. 11. 228 165ლ. 12. 1 552 600. 16. ა) 3 138 400; ბ) 5 726 200. 17. 11 915. 18. ა) 28 890 936; ბ) 21 394 146. 20. ბ).
- 3.2 9. ა) 1 058 690; ბ) 9000 000; გ) 8 999 999. 10. ა) 1 304 009; ბ) 2 376 807. 12. ა) 9 993; ბ) 99 991. 14. ა) 33 749; ბ) 12 500; გ) 2 850; დ) 17057. 15. $n + a - b$. 16. 2 308 696 ლარი. 17. 3 634 000კგ. 18. 1 526 600. 20. 605 ლარი, 242 ლარი. 21. ა) 34; ბ) 24; გ) 20; დ) 25. 22. ა) 70; ბ) 56; გ) 55. 23. 21სმ 5მმ.
- 3.3 8. 49 510; 51 478. 9. 22 615. 10. 283 920. 13. 504. 14. ა) $a - 15$; ბ) $c + 7$; გ) $y + (a+c)$; დ) $x - ac$. 15. ა) 400კგ. 16. 420კგ. 17. 834; 4814; 800362. 18. ა) $12 \times 7 + 106 \times 7$; ბ) 6a; გ) 12a. 22. 4 752 ლარი. 23. 98გ 88სმ. 24. 22სმ 40მ.

- 3.4** 4. 300გ. 5. 43მ 250გ. 10. 13 ლარი. 13. $5 \times (45 + n)$, 5 ლარი 25 თეთრი. 17. 600. 18. ა) 600; ბ) 45. 19. 118ტ. 20. $10(n + m)$. 21. ა) 1; ბ) 0; გ) არ არსებობს; დ) 1; ე) 0; ვ) 0 ან 1. 23. 15 120 ლარი. 24. თინიკომ. 25. 17.
- 3.5** 3. 140. 4. 16 ლარი 90 თეთრი. 6. 357 ლარი. 7. 250 ლარი. 8. 3ლარი 80 თეთრი. 14. $2m - 80$. 15. $3a+3$. 16. $7n$. 17. ა) 45; ბ) 51. 18. $11+11n$. 19. $3n+3$; 18. 20. $3n-3$; 117. 21. $3m+7$; 43სმ. 23. ა) 140; ბ) 130; გ) 178; დ) 200. 24. ა) $22x$; ბ) 6; გ) 84 ლარის. 25. 401. 26. 262.
- 3.6** 8. 135 თეთრი. 9. 8 ლარი. 10. ა) 80 თეთრი; ბ) 24. 11. გ). 13. 2 ლარი. 14. 17 მოსწავლე, 7 რვეული.
- 3.7** 3. 10. 4. 12 ლარი 40 თეთრი. 5. ა) 4სთ-ში; ბ) 6სთ-ში. 7. 13სმ. 11. 4სთ-ში. 12. 5სთ-ში. 13. 4 დღეს. 14. 0. 15. 9. 16. 2.
- 3.8** 3. 420 ლარის. 6. 12 500. 7. 20. 9. 240კგ. 10. 360. 11. 10-ჯერ. 12. 240გ. 13. 195კგ. 14. ა) 745; ბ) 13 000კგ ბრინჯი, 21 000კგ შაქარი. 17. 26-ზე. 18. 4. 19. 48. 20. 4 ლარი 20თეთრი. 22. ორი შესაძლებლობა.
- 3.9** 19. ax ; 600. 23. ა) 4^2 ; ბ) 5^2 ; გ) 7^2 . 26. ა) 1; ბ) 10; გ) 3; დ) 2; ე) 4. 29. 32სმ.

III თავის დამატებითი სავარჯიშოები 3. გ). 9. $21a + 105$. 10. $6n$ ლარი. 11. გადიდდება 3-ით. 12. შემცირდება 5-ით. 13. გადიდდება 6-ჯერ. 14. $35n$. 15. დ). 16. 1024.

თავი 4

- 4.1** 1. 80კმ/სთ. 2. 250გ/წთ. 3. 6გ/წმ. 10. 5სთ. 12. 195კმ. 13. 10წმ. 14. 45კმ. 15. ა) 1სთ-ში; ბ) 6სთ-ში. 21. 1სთ 15წთ.
- 4.2** 1. ა) 10კმ/სთ; ბ) 114კმ/სთ. 2. 3სთ-ში. 3. 220კმ. 4. 108კმ. 5. 3სთ-ში, ბ) 162კმ, 156კმ. 6. 240კმ. 7. ა) 4სთ; ბ) 3სთ. 9. 5სთ-ში. 10. ა) 11სთ-ზე; ბ) 120 კმ-ზე; გ) 195კმ. 11. 12სთ-ზე. 13. 20გ/წმ; 24გ/წმ. 14. 6კმ/სთ.
- 4.3** 1. ა) 300კმ; ბ) 645კმ. 2. ა) 11კმ-ით; ბ) 22კმ-ით. 3. ა) 200კმ; ბ) 180კმ. 4. ა) 55კმ; ბ) 345კმ. 5. 69კმ. 6. 176კმ. 7. 15კმ. 8. ა) 72კმ/სთ; ბ) 75კმ/სთ. 9. ა) 258კმ; ბ) 782კმ. 10. 75კმ/სთ. 11. ა) 180კმ; ბ) 440კმ. 12. 195კმ. 13. ABCD-ს. 14. 3სთ-ში. 15. 10 ბანკოტი. 17. ერთ საათნახევარში.
- 4.4** 1. 4კმ/სთ. 2. საწინააღმ. მიმართ. 3. 2კმ/სთ. 4. A -დან B-კენ. 5. 17 კმ/სთ. 6. ა) 60კმ-ს; ბ) 64კმ-ს. 7. ა) 95კმ-ს; ბ) 65კმ-ს. 8. 6სთ-ს. 9. 2სთ-ში. 10. 16 სთ. 11. 32კმ. 12. 66კმ-ით. 13. 4კმ/სთ. 14. ა) $48n - 16$; ბ) $31x$; გ) $3300a + 453$. 16. ა) $m=5$; ბ) $x=2\ 000$; გ) $a=2\ 012$. 17. 140კმ-ს.
- 4.5** 3. 38სმ. 4. 160გ. 5. 3სმ. 6. 2სმ 5მმ. 7. 26სმ. 8. 38სმ. 9. 32სმ. 10. $10a$ სმ. 11. 1სმ და 4სმ ან 2სმ და 3სმ. 12. 7დმ-ს. 13. 10სმ-ს. 14. 6 სმ-ს. 15. მართვულხედის. 16. 18სმ. 17. 20სმ-ს. 18. დაარღვია.
- 4.6** 7. 32სმ². 8. 6სმ². 9. 24სმ². 10. 16სმ². 11. 27სმ². 12. 9-ჯერ. 13. ტოლი აქვთ. 14. შეიძლება ტოლი არ ჰქონდეთ. 15. 14კმ/სთ. 16. 18კმ/სთ.
- 4.7** 4. 4960მ^2 . 5. 3600 სმ². 6. 100ჰა. 7. 25ჰა. 8. $7\ 000\text{მ}^2$. 11. ა) 1 000 000-ჯერ; ბ) 100-ჯერ. 13. 8ტ. 15. 105ტ. 16. 1024სმ². 17. 5მმ. 18. 40სმ². 19. 300. 20. ა) 1000; ბ) 40. 21. ფართობი გაიზრდება 84მ^2 -ით, პერიმეტრი - 4მ-ით. 22. 576მ^2 , 624მ^2 . 23. 22სმ². 24. 50სმ². 27. ა), დ), ე), ვ).

IV თავის დამატებითი სავარჯიშოები 1. 64კმ/სთ. 3. 43კმ/სთ. 4. 4სთ. 5. 5სთ. 7. ა) ნიკა; ბ) ლაშა. 12. უდიდესია ბ), უმცირესი - ა). 13. 5სთ. 14. 3სთ-ში.

თავი 5

- 5.2** 4. N 2. 5. 1. 6. 94. 7. 96 სმ, 512სმ. 8. 20 სმ.
- 5.3** 6. 70გ-ს. 7. 360 ლარი. 8. 16 კგ-ს. 9. 100სმ². 10. 78სმ².
- 5.5** 7. ა) (0;7); ბ) (6;0); გ) (4;5); დ) (1;2). 9. 45 წთ. 13. 84 დმ. 14. $x < z$.

- 5.6** 5. ა) ვი; ბ) არა. **6.** 80სმ. **7.** 140სმ. **9.** ა) 14სმ; ბ) 28სმ². **10.** ა) 20გდ²; ბ) 54გდ². **12.** ა). **13.** 5გ, 3გ, 3გ. **14.** 10სმ, 10სმ, 20სმ; 5სმ, 20სმ, 20სმ; 5სმ, 10სმ, 40სმ. **15.** MD -ს. **16.** 4სმ, 5სმ, 24სმ. **17.** 6. **18.** 30დგ². **20.** ა) პირამიდის; ბ) პრიზმის; გ) ცილინდრის.

V თავის დამატებითი სავარჯიშოები **4.** 1524სმ². **5.** 40გდ². **7.** 1350დგ². **8.** 8. **9.** N 2. **10.** 22სმ, 12სმ, 10სმ. **11.** 3 კუბის, 13სმ დარჩა. **12.** 8. **13.** 7. **14.** A(3;5), B(7;3). **15.** 60სმ, 48სმ, 36სმ.

თავი 6

- 6.1** **16.** 3) 47. **17.** 989 997. **18.** 3 და 5. **19.** დ). **20.** ე). **21.** ა) 0, 2, 4, 6, 8; ბ) 1, 3, 5, 7, 9. **22.** 12. **23.** 15. **24.** 37, 41, 43. **25.** 3 გამყოფი, მარტივი რიცხვების კვადრატებია. **26.** 8ლარი. **27.** 52ლარი.
- 6.2** 8. გ). **9.** 90. **10.** 995. **11.** ა) 8; ბ) 0. **12.** 3. **13.** ა) 3 ან 8; ბ) 8. **14.** იყოფა. **15.** გ). **16.** 4. **17.** შედგენილი.
- 6.3** **10.** 3. **11.** ა) 1, 2, 3, 4; ბ) 1, 3, 5, 7, 9. **12.** 6. **13.** 10. **15.** 4. **16.** 3 ხუთლიტრიანი და 1 ორლიტრიანი ან 1 ხუთლიტრიანი და 6 ორლიტრიანი. **17.** 174. **18.** 25 794. **20.** ა) $a+b$; ბ) $a+b-5$.
- 6.4** **4.** 345კგ. **5.** 24 და 16. **6.** 28 და 24. **7.** ა) 78სმ; ბ) 6მმ; გ) 2მ 40სმ. **8.** 72 და 18. **9.** 45 და 9. **10.** 2400კგ. **11.** 6ლ და 18ლ. **12.** 28სმ. **13.** 9დმ, 4დმ. **14.** 60სმ და 12სმ. **15.** 28სმ-ს. **16.** 371. **17.** 63-ზე. **18.** 97-ზე. **19.** N 1 $x=400\text{გ}$; N 2 $x=30\text{გ}$; N 3 $x=1057\text{გ}$. **20.** 60კმ/სთ. **21.** 12კმ/სთ. **23.** 7. **24.** ა) 10698; ბ) 33091. **25.** 12.
- 6.5** **16.** 15მმ. **17.** 4სმ. **18.** ბ) და გ) არ შეიძლება, დანარჩენი შეიძლება. **20.** 1 ან 2. **21.** ა) 1; ბ) 2; გ) არცერთი.

VI თავის დამატებითი სავარჯიშოები **2.** 1005. **3.** 9 999 998იქნება 4 გოგონა და 3 ვაჟი. . **8.** არა. **9.** გ. **11.** 21სმ. **14.** 307. **16.** 25. **17.** 1000ლ და 2000ლ. **18.** 1750კგ. **19.** 75 და 51. **20.** 125სმ². **21.** 104სმ². **22.** უნდა დაემატოს 3 გოგონა და 2 ვაჟი, თითოეულ გუნდში 4 გოგონა და 3 ვაჟი. **23.** უნდა დაემატოს 2 გოგონა და 4 ვაჟი, თითოეულ გუნდში იქნება 4 გოგონა და 5 ვაჟი. **24.** 25.

თავი 7

- 7.1** **11.** ა) 200გ; ბ) 5წთ; გ) 2 500გ². **12.** 20გ. **13.** 2 400გ. **14.** 600გ. **15.** ბ) $\frac{1}{5}$ **16.** 54გ². **17.** 64კგ. **18.** 68გ². **20.** ა) 19; ბ) აიგება. **21.** ა) DEF; ბ) KMN; გ) ABC.
- 7.2** 7. ა) $\frac{1}{12}$; ბ) $\frac{4}{12}$; გ) $\frac{8}{12}$. **13.** $\frac{17}{100}$; $\frac{5}{10}$. **14.** 30წთ.
- 7.3** 11. მამიას. **12.** $\frac{32}{36}$. **13.** 2 000. **14.** $\frac{5}{6}$; 20. **15.** $8r+5$. **17.** 54გ².
- 7.4** **5.** ა) 2 500; ბ) 744; გ) 20; დ) 24 800; ე) 6; ვ) 5. **7.** ა) 126; ბ) 1 250; გ) 84. **8.** $\frac{2}{5}, \frac{3}{5}, \frac{3}{4}, 1, \frac{6}{3}$. **9.** 300სმ².
- 7.5** **11.** ა) $\frac{25}{25}, \frac{1000}{1000}$; ბ) $\frac{6}{4}, \frac{49}{15}, \frac{81}{59}, \frac{56}{16}$; გ) $\frac{6}{103}, \frac{6}{27}$. **12.** ა) $4\frac{1}{11}$; ბ) $20\frac{5}{20}$; გ) $3\frac{11}{149}$; დ) $1\frac{17}{19}$; ე) $2812\frac{8}{16}$; ვ) $3\frac{9}{26}$. **15.** $\frac{80}{11}, \frac{45}{9}, \frac{102}{10}, \frac{240}{6}$. **16.** $\frac{180}{6}, \frac{1200}{300}, \frac{780}{250}, \frac{3}{3}, \frac{301}{340}$. **18.** გ) 105 ნაწ.
- 7.6** 3. ა) 3-ის; ბ) $2\frac{5}{6}$ -ის. **4.** ა) $\frac{1}{8}$ -ის; ბ) 1-ის; გ) 2-ის; დ) $\frac{36}{10}$ -ის; ე) $\frac{1}{550}$ -ის. **8.** $\frac{27}{100}$.
- 7.7** 1. $\frac{3}{5}$. **2.** $\frac{3}{7}$. **4.** $5\frac{9}{10}$ გდ. **5.** $15\frac{9}{10}$ ლარი. **7.** 2კგ. **8.** $29\frac{1}{10}$ გდ. **10.** ა) $\frac{6}{7}$; ბ) $1\frac{7}{8}$; გ) $4\frac{7}{10}$; დ) 17. **12.** ა) $\frac{1}{2}$; ბ) 0; გ) $\frac{3}{2}$. **13.** $50\frac{3}{4}$ კმ. **14.** 40. **23.** 59.
- 7.8** 6. ა) 67წთ; ბ) 191წთ. **7.** ა) 115თეთრი; ბ) 1 070 თეთრი. **8.** ა) 2 045გ; ბ) 11 725გ. **9.** $\frac{13}{4}$. **10.** 21კმ/სთ. **11.** 129კმ/სთ. **12.** ა) 1; ბ) 1 და 2. **13.** ა) 1; ბ) 3 და 4. **15.** ა) $2\frac{1}{2}$ კგ; ბ) $6\frac{400}{1000}$ კგ; გ) $1\frac{500}{1000}$ კგ; დ) $2\frac{248}{1000}$ კგ. **16.** ა) $1\frac{1}{3}$ სთ; ბ) $4\frac{5}{60}$ სთ; გ) $1\frac{35}{60}$ სთ; დ) $4\frac{15}{60}$ სთ.

- 7.9** 1. $\frac{4}{14}$. 2. $\frac{3}{5}$. 3. $\frac{2}{5}$ ნაწ-ზე. 5. $\frac{5}{9}$. 6. $\frac{3}{10}$. 7. დარჩა $\frac{6}{14}$ ნაწ. 8. 2 000გ². 12. $\frac{9}{14}$. 14. $\frac{7}{24}$. 15.
 $\frac{12}{16}$. 16. ა) $\frac{7}{45}$; ბ) $\frac{9}{39}$; გ) $\frac{16}{37}$; დ) $\frac{33}{103}$. 17. 40ლ. 18. $\frac{1}{4}$. 20. $13\frac{4}{5}$. 24. $\frac{2}{7}$.
- 7.10** 1. $9\frac{2}{12}$ პგ. 2. $1\frac{15}{100}$ პგ-ით. 3. $3\frac{5}{12}$ სმ. 4. $16\frac{64}{100}$. 8. $1\frac{1}{10}$ ლარით. 9. $7\frac{50}{1000}$ ტ. 10. $1\frac{3}{5}$ ლ.
- 7.11** 1. ა) $\frac{2}{3}$; ბ) $\frac{4}{5}$; გ) 1. 2. ა) $\frac{2}{11}$; ბ) $\frac{5}{26}$; გ) $\frac{3}{22}$. 4. ა) $\frac{12}{5}$, 4-ჯერ; ბ) $\frac{6}{10}$, 3-ჯერ; გ) ტოლია. 5. $\frac{3}{21}$
 ნაწილი; $\frac{1}{21}$ ნაწილი; $\frac{2}{21}$ ნაწილი. 6. ა) AM; ბ) AD; გ) AC.
 7. ა) AT; ბ) AB; გ) AB; დ) ET. 9. ა) $\frac{24}{5}$; მ) $\frac{120}{9}$. 10. $\frac{2}{3}$ სთ. 11. $\frac{7}{15}$ სთ. 12. ა) $\frac{2}{9}$; ბ) $\frac{1}{5}$;
 გ) $\frac{1}{6}$. 13. ა) $\frac{5}{2}$; ბ) $\frac{2}{5}$; გ) $\frac{1}{24}$; დ) $\frac{21}{27}$. 14. ა) $\frac{1}{54}$; ბ) $\frac{4}{24}$; გ) $\frac{20}{84}$. 16. ა) 2; ბ) $\frac{2}{9}$. 17. ა) $\frac{9}{4}$; ბ)
 $\frac{1}{4}$. 18. მეორემ, 3-ჯერ მეტი. 19. ა) $11\frac{4}{60}$; ბ) $\frac{10}{32}$; გ) $\frac{84}{16}$. 20. 13გ. 21. $12\frac{5}{6}$ სმ.
 22. ა) $\frac{20}{14}$; ბ) $\frac{135}{14}$. 23. გ) ტოლია.
- 7.12** 4. $\frac{2}{5}, \frac{3}{5}$. 15. ა) $\frac{1}{10}, \frac{5}{10}, \frac{7}{10}, \frac{9}{10}, \frac{10}{10}, \frac{12}{10}$; ბ) $\frac{1}{12}, \frac{2}{12}, \frac{3}{12}, \frac{4}{12}, \frac{5}{12}, \frac{6}{12}$. 16. $\frac{1}{450}$ ნაწ. 18. $a=2, b=5$;
 $a=4, b=10$; $a=6, b=15$. 20. ა) $3 < \frac{17}{5} < 4$; გ) $1 < 1\frac{4}{7} < 2$. 21. ა) 11; ბ) 147. 22. დ) 5; გ) 12.
- 7.13** 4. ა) $\frac{5}{14}, \frac{3}{7}, \frac{5}{7}, 1$; ბ) $\frac{2}{3}, \frac{5}{6}, \frac{11}{12}, 2\frac{1}{2}, \frac{31}{6}$. 6. სიმინდის. 7. მეორე დღეს. 8. ელექტრო
 ენერგიის. 9. 6, 7 და 8. 10. $\frac{11}{15}$. 11. $\frac{19}{24}$. 14. 750გ.
- VII თავის დამატებითი სავარჯიშოები 2. ბადე. 3. დოლი. 6. ა) $\frac{1}{10}$; ბ) $\frac{1}{2}$. 8. ა) $3\frac{2}{5}$; ბ) $4\frac{1}{7}$; გ)
 $3\frac{3}{4}$; დ) $6\frac{2}{3}$. 11. ა) 8 ან 9; ბ) 0, 1, 2, . . . , 7. 13. 1გ. 16. ა) 10-ზე; ბ) 42-ზე. 17. 5-ზე.
 18. 17-ზე. 19. ა) $6\frac{4}{7}$; ბ) $2\frac{6}{13}$; გ) $19\frac{1}{9}$; დ) $10\frac{9}{19}$.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის
აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ,
დაგვიკავშრდეთ ცხელ ხაზზე:

(+995 32) 2 200 220



დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის— ფარგლებში

